

აღმანი

თვიური ქურნალი

წელიწადი მეტეორ

Nº XI

№ 12.

ნოემბერი, 1900



ცისლისი

საქართველოს კულტურული მუზეუმის ფილიალი, თბილი

1900

შ ი ნ ე ს ი

	83.
I— მუთილოზელი. — მოთხრობა, — I—XI ს. ა—ასი	1
II— ცისართულელა. — კომედია ოთხ მოქმედებად, ა. ცა- გარდასა	96
III— ვერტერი. — თხზ. გიორგესი. — ჯარგ. გერმანულიდან. ა—ნისა (გაგძელება)	87
IV— გურია. აჭარა — XVII — თ. სახოვანის.	1
V— სამეგრელოს აღმართა. — XVII — XX. — არქანჯელო ლამბერტისა. — (თარგმანი იტალიურით), .	27
VI— ეფიუდები ჯაროში. ლიტერატურიდან, — წერი- ლი მეექვსე, კიტა	49
VII— იველისის პონსტიტუტი	X საუკუნეში. — II.
(გაგრძელება).	63

ა მ ს ე ბ ე

3(05)
3 81
3(05)
2-80

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ჭ კ ლ ი წ ი დ ი მ ე შ ე ი დ ე

№ XI

6 თ ე მ მ ე რ ი, 1900



ტ ვ ი უ რ ი

ს ა მ ა რ ი ს ა მ ა რ ი ს ა მ ა რ ი

1900

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Декабря 1900г.

შ ი ნ ე ს რ ს ი

	83.
I—შუთისოფელი. — მოთხრობა,— I—XI ს. თ.—ასი.	1
II—ცისართულელა. — კომედია ოთხ მოქმედებად, ა. ცა- გადასა	96
III—ვერტერი.—თხს. გაოცესი.—იარგ. გერმანულიდან.— ი—ნისა (გაგძელება)	44
IV—გურია - აჭარა.—XVII —თ. სახოჯიასი.	1
V—სამეგრელოს აღმერა. — XVII—XX. — არქანჯელო ლაშბერტისა.—(თარგმანი იტალიურით),	27
VI—ეთიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—წერი- ლი მეექესე, კატა აბაშიძესა.	49
VII—ინგლისის პოლიტიკურია გე-XIX საუკუნეები.—II. (გაგრძელება)	63

ო უ თ ი ს რ ფ ე ლ ი

(მოთხრობა)

Ⅰ

„და სოქეთ უფალმან ღმერთმან:
შევინანე, რამეთუ შევქმენ კაცი“.
წინასწარმეტყველი მოსე.

სოფელი მარნეულა თითქმის ისეთივე სოფელია, როგორ-
ნიც არიან საზოგადოდ ყველა ჩვენებური სოფლები. განირჩე-
ვა სხვებისაგან მხოლოდ იმითი, რომ აქ ორმოც და ხუთის
წლის წინად დაიბადა ამ ჩვენის მოთხრობის უმთავრესი მომქ-
მედი პირი. სოფელ მარნეულაში ისუნთქა მან საქართველოს
წმინდა ჰაერი; პირველად აქ დაინახა მხე და მთვარე, ჩვენის
ქვეყნის ლურჯად მოკამკამე ცა, მისი ამაყად თავ-აღებული დევ-
გმირი მთები, კალმით ნახატი ხეობანი, ტურფად აყვავებული
ეელ-მინდორი. სამშობლო ქვეყანა ახლად დაბადებულს დედი-
ნაცვლის მსგავსად გამუდმებულის ყინვებით, ან ხანგრძლივის
სიცხე პაპანაქებით კი არ მიეგება, არამედ ნამდვილის დედა-
შვილურის სიყვარულით მოჰყენია ხელი, გადაუშალა თავისი
მადლიანი კალთა და უთხრა:—იცხოვრე ამ ქვეყნად, ჩემო ძვირ-
ფასო! სწოვე ჩემი ტკბილი და ნაამაგარი ძუძუ!.... შეიძრალ
დი. მეცნიერულის განათლებით, გაიმტკიცე ხასიათი მხნეობითა
და სიყვარულით; ამომიდექ გვერდში: იშრომე, იბრძოლე,
შენს აღმზრდელ მიწა-წყალს მოუარე.

ახლად დაბადებულს ბავშვს დიდის აღტაცებით მიეგება აგრეთვე აზნაური ბააღურ მეუნაშვილი. ამანაც სიყვარულით მოჰქვია ბალანას ხელი, გაშლილ სუფრასთან მიიყვანა და იქ მსხდომ სტუმრებს საუსე ჯიხვით მისი სადღეგრძელო დაალევინა. შემდეგ მღვდელს მიუბრუნდა და უთხრა: მამაო, არ შეიძლება, რომ ეს ჩვენი ბიჭიკო, წყლის მაგივრად, ლვინოში მოვნათლოთ? სტუმრებს ეს წინადადება ძლიერ მოეწონათ: მღვდელს ამათაც დაუწყეს თხოვნა, მაგრამ მოძლვარი არ დასთანხმდა და ამის გამო წყალში იქმნა მონათლული. სახელად დაარქვეს მიხეილი, პატივსაცემლად იმ მიხეილ ტეხურაშვილისა, რომელსაც მთელს იმ მხარეში სახელი ჰქონდა გავარდნილი აუარებელის ლვინის სმითა.

პატია მიხაკოს დიდი, ცოტათი უკან გადაწეული, თავი დაჰყვა. ბებიამ თავისი დაკოუზებული ხელებით საჩქაროზე გაუსწორა ეს თავი; მერმე ეიწრო არახჩინი ჩამოაცა ზედა და სალტებიანი თავსახვევით მაგრა შეუკრა იგი. ასე ჰქონდა შეკრულ-შებოჭვილი, ვიდრე ნორჩი, რბილი ძვლები თავის სარქველისა არ გაუმაგრდნენ. დედის ერთა ბავშვს, როგორც მშობელი, ისე ნაცნობ-ნათესავნი მეტის - მეტად ანებიერებდნენ. როცა არ ეძინა, მუდამ ხელში ეჭირათ, ართობდნენ, უმღეროდნენ, საალერსო სიტყვებს უხვად ასმენდნენ. ამ საალერსო სიტყვებში თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ იმისთანა ფრაზებსაც, როგორიც არის, მაგ. „მამა ძალლო“, „წუწკი შვილო“ და სხვანი. პირველი სიტყვა, რომელიც მან წამოიტიკ-ტიკა, იყო „ძაგლო“. ამას, უფროსების გავლენით, მალე „მამაც“ მიუმატა; როდესაც პატიამ ეს ორი სიტყვა, ერთად შეერთებული, წარმოსთქვა, დედ-მამის კმაყოფილებას და სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ დროდან თუ ვინმე ან მეზობელი, ან ნათესავი შევიდოდა მათ სახლში, მაშინათვე შინაურები მოსსენებულ სიტყვებს ათქმევინებდნენ პატია ბიჭსა, რასაც გულ-

წრფელი სიცილ-ხარხარით ეგებებოლნენ ყველანი. წარბების შეკვრა, მუშტის ქნევა, სამაგიეროს გადახდა ჯერ ისევ აკვან-შივე ისწავლა. სამი თუ თოხი თვისა იყო, როდესაც მამამ ღვი-წო დაალევინა, ბაეშვი დაილრიჯა, მაგრამ მეორედ და მუს-მედ კიდევ გაუმეორეს და ესეც შეგზია. აღტაცებული ბააღუ-რი გულიანად ხარხარებდა, როცა მისი პირმშო ფაცი-ფუცით მიიღებდა ტუჩებთან ღვინით საესე სტაქანისა და სანამ არ დას-ცლიდა, არ მოეშვებოდა. ერთხელ წლინახევრის ბავშვს მუ-ცელს დაჰვრიმა, ბებიამ ცოტა არაყი დაალევინა და ბავშვს შუცლის ტკივილი შეუყუჩდა. ამ ღროდან ნელ-ნელა იწყეს არაყის დალევინებაც. დედ-მამის ფიქრით ღვინისა და „ოტკის“ სმა რძეზე არა ნაკლებად სასარგებლო იყო პატარა ბავშვის ჯანმრთელობისთვის. სხვა-და-სხვა მწერების მეოხებით ხშირად ძილი უტყვებოდა აკვანში ულმერთოდ ჩაკრულ ბიჭუნას. ამ გვარ შემთხვევაში მისი ჩხავილი მთელს უბანს ესმოდა. დედა არწევდა აკვანს რაც ძალი და ლონე ჰქონდა, უნჯლევდა თავსა, უბრუებდა ტვინსა, მაგრამ ხანდახან ვერც ეს აჩუმებდა მტრირალს. მაშინ დედა თავის საყვარელ შეილს ასმევდა ხაშ-ხაშსა, რომელიც დიდებს ორი-სამი საათით სხვაგან საზმე მო-უხდებოდათ წასელა. როდესაც ბავშვს ცოტაოლენი შეგნება მოემატა, მაშინ ბააღურმა ხელი მიჰყო მის აღზრდა-გაწროვნა-საც. ოთახში რამდენიმე ძველის-ძველი მხატვრობა ეკიდა. მამა ხელის გულზე დაისვამდა შვილს, მეორე ხელით მაგრა დაიჭირდა, ასწევდა მალლა, მიიყვანდა რომელსამე სურათთან და და-უწყებდა ლაპარაკს: აი, შვილო, ე რო ჭიდაობენ, ეს ერთი ყარამან გმირია, მეორე ბაყბაყ მდევი. ხედამ, ყარამანს ჩოგორ დაუძლევია მდევი?.. დაუჭრია შვიდი-რვა თავი და ახლა დანარ-ჩენებისათვისაც მიუყვია ხელი!.. აი, შვილო, ე წითლად რო ჩანს, ეს სისხლის გუბეა წამომდგარი. მაშ, გმირია, გმირი ყა-რამანი! აბა, ჩემო ბიჭიკო, ვინძლო შენც ყარამანი გამოხვიდე! ჩემმა წუწემა ბიძაშვილებმა მამულიც წამართეს და თი-თონვე კინალამ ცემითაც მომკლეს... შენი ჭირიმე ბი-ჭიკო, ერთი იმათი ჯავრი ამომყარე!..... შემდეგ მიი-

ყუანდა მეორე სურათთან . „ აი , ესა , შვილო , თევზ-ქალაა : წელ-ქვემოდ თევზია , წელ-ზემოდ — ქალი . ზღვაში დაცურავს თურმე და ვინც ამას დაიკერს , ოქროს მაღნებს იპოვნის . რაც ზღვაში ოდესმე ოქრო-ვერცხლი და თეალ-მარგალიტი ჩაცვინულა , სულ ერთიან ამ თევზ ქალას ხაზინებშია შეგროვილი . მე ვფიქრობ , რომ ეს თევზ-ქალა მართალი არ უნდა იყოს . ჩემის აზრით , ეს ყველაფერი იგავია : თევზ-ქალა , ნამდვილად ნიშნავს ფულსა . ფულიც ხომ თევზივით დაცურაობს აქეთ-იქით და ამასთანავე ქალივით დაუყენებელი , გაუტანელია . ეცადე , ბიჭიკო , რომ ეს მუდრეგი თევზ-ქალა მაგრა დაბლუჭო ორივე ხელებით : ეცადე ბლომად იშოვნო ფულები ! უმამულო აზნაურშვილი გინდ ყოფილა ქვეყანაზე , გინდ არა ! არცა-რა ჩემს მამა-პაპას დაუტოვებია რამე ჩემთვის დავერც არას მე დაგინარჩუნებ , შენ უნდა გეასახელო , ჩემო პაწია ; შენ უნდა ააზაღლო ოჯახი , გვარი . უნდა შეიძინო აღგილ-მამული , სიმღიდრე „ . მესამე სურათზე ახალ-გაზდა ქალვაჟი იყო დახატული . ესენი ერთმანეთს ეხვეოდნენ , ჰკუცნილნენ ... და ისეთნაირად ისხდნენ , რომ მართებულს ოჯახში ამ სურათს კედელზე კი არა , ტახტს ქვეშაც არაეინ დააყენებდა . ბაადურს კი ყველაზე მომეტებულად ეს სურათი მოსწონდა . რაც უნდა დალონებული ყოფილიყო , შეხედავდა თუ არა ამ მხიარულ ქალ-ვაჟს , მაშინათვე დარდი და ვარამი მოშორდებოდა მისს გულსა . ამ სურათთანაც მიიყვანდა ხოლმე თავის მემკვიდრეს , სიცილით დაუდებდა თითხა და ეუბნებოდა : „ შეხე ერთი ამ პლუტებს , როგორ ჩაჰერიან და ჩაჰერებიან ერთმანეთს ! ბიჭო , მიხეილ ! დააცეკერდი რა ეშხიანი და მარილიანი გოგოა ე წყეული ! როცა ულვაშები გადიგრიხო , შენც ეგრეგაუსვი გოგოებს ხელი . მამა-შენსაც ამისთანა რამეებში არა უშავდა-რა , მაგრამ შენ უნდა აჯობო მამას . ხომ გაგიგონია : ეს ურჩევნიან მამულსაო ... ”

იზრდებოდა ჩვენი პატია მიხაკო და ესეთი წვრთნა, ამისათანა დარიგება მისდევდა ყოველ დღე უკანა, ვიდრე ექვსი წლის არ გახდა. ამ დროდან კი მას ლამე თუ ნახავდა სახლში კაცი, თორებ სხვა დროს სულ გარედ ატარებდა. მეტის მეტად მოუსვენარი, დაუდეგარი ბავშვი იზრდებოდა. მისი ხასიათის ყველაზე ცუდ თვისებას შეადგენდა შეუბრალებლობა. თუ ერთი დაიბრიყვებდა ვისმე, მთელს დღეს მოსვენებას აღარ მისცემდა, სიცოცხლეს გაუმწარებდა. პატარა ლეკვების წვალება, ჩიტის ბუდეების ჩამოშლა, წიწილ-კრუხის დაწიოკება და სხვა ამგვარები, დიდს კმაყოფილებას აგრძნობინებდა მას. მაგრამ ყველაზე უფრო საზიზღარსა და ბოროტს თვისებას იჩენდა ხოლმე იხვისა და ბატის ქორფა ჭუჭულების შესახებ. დაინახავდა თუ არა მათ საღმე, მაშინათვე როგორც ქორი, ისე დაეცემოდა და ვაი იმის ბრალი, რომელსაც ამ დროს ხელში მოიგდებდა. ბამბის ქულასავით რბილ ჭუჭულს ნელ-ნელი მოუჭერდა ხელსა და იმ დრომდე აგრძელებდა ამ მოჭერას, სანამ უბედურს სულ-დგმულს წელებს არ გამოადენდა. საზოგადოდ, წიწილების პატარონთ ისე ჟვავ-კაჭკაჭისა და ქორისა არ ეშინოდათ, როგორც ჩვენი პატარა აზნაურისა. სამწუხაროდ, მარტო ამითი არ იყო გამოწეული ეს შიში. ვისაც კი ან ბალსა და ვენახში, ან ბოსტანში ედგა, ანუ ეთესა კარგი, საიასალო რამ, ყველა ამისთვის პირ-ველად კლანჭები უნდა გაეკრა პატარა მუაუნაშვილს. არ გამოექარებოდა არც ნაადრევად მოსხმული კიტრი, არც ახლად შემოსული ბალი, არც დამწიფებული ბუდეშური. დილიდან სალამომდისინ დაძრწოდა, დაძვრებოდა მთელი სოფლის ბალებსა და ენახებშე... სადაც რას ნახავდა, იმითი ამოივსებდა მუცელს და სალაშოზე შინაც უსათუოდ მოიტანდა რასმე. დედ-მამა არა თუ არ უჯავრდებოდა ამ გვარი საქციელისთვის, არამედ დიდად კმაყოფილი რჩებოდა, რადგან მასში ხდავდა ქონების შეძენისა და მოპოვების უნარსა. გახდა რვა წლისა, ცხრისა, გადა-

დგა მეათეში მაგრამ ბაადური ყურსაც არ იბერტყდა. შვილის მომავალზე სრულებითაც არაფერსა ფიქრობდა. მიხაკოს საბედნიეროდ მას, დაუდევარი, უზრუნველი მამის გარდა, მხნე და გამრჯელი დედაცა ჰყავდა. მართალია, ბაადურის მეუღლეს მეზობლები ემდურებოდნენ სიხარბისა და კუდა-აზნაურული ამპარტავნობისათვის, მაგრამ თვით ბაადურს კი მასთან დასამდურებელი ბევრი არა ჰქონდა-რა! ამ ქალის მარად შეუჩერებელი, მშრომელ-გამკეთებელი ხელი რომ არა ყოფილიყო მის ოჯახში, უგონებ, შიმშილ-წყურვილით სული ამოხელოდა მას. ვიდრე მიხაკო მეათე წელში გადადგებოდა, იგი უცდიდა ქმარსა. ხშირად ელაპარაკებოდა შვილის სკოლაში მიცემის შესახებ, ხშირად ეჩხებებოდა, მაგრამ ლოთს და ნაცარქექია ბაადურზე ვერა გააწყო-რა. ცოლმა ცხადად დაინახა, რომ მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. უსწავლელად შვილის დატოვება მას, სამართლიანი, დიდ უბედურებად მიაჩნდა. ერთ დღეს სიბრაზით მიაფურთხა ქმარსა, გაიგდო წინ შვილი და გასწია ქალაქისაკენ, ჩავიდა ქალაქში და როგორც ჯარა, ისე დატრიალდა ჩვენი მანდილოსანი. არ დარჩენილა მთელს ქალაქში არც ერთი დიდებული ქართველთაგანი, რომელსაც კი არ მისდგომოდეს კარებზე და არ ეთხოვნოს შემწეობა შვილისათვის. მისმა დაშაქრულმა ენამ და გაიძვერულმა ხასიათმა მალე გამოიღო სასიამოვნო ნაყოფი. ამ დიდებულთა შორის აღმოჩნდნენ თითო-ოროლა გულშემატკივარი აღამიანები. მომაბეჭრებელ დედაკაცს მოწყალების ხელი გაუშვირეს, მიჰყვნენ გემნაზიის მთავრობასთან დასახელმწიფო ხარჯზე მიაღებინეს მისი პირმშო. გამარჯვებული დედა მხიარულად დაბრუნდა სოფელში. მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელდა ესეთი მდგომარეობა მისი. წლის გასულს შვილი უკანვე დაუბრუნდა: სასწავლებლის მთავრობას „სრული უნიკობის გამო“ დაეთხოვნა იგი. კვალად დატრიალდა დედა და ახლა სამხედრო სასწავლებელში მიაღებინა თვისი ვაჟი. ორი წლის შემდეგ აქედანაც დაითხოვეს იმავე მიზეზის გამო. შემდეგ მიაბარეს იგი სასულიერო სასწავლებელში, მერმე საქალაქო სკოლაში, მაგრამ დედის მეცადინეობა ყველგან უნდაყოფოდ

რჩებოდა. სწორედ გასარცარი ბავშვი იყო მიხაკო! წიგნის კი-
თხვა, სწავლა მას სრულიად არ ეხერხებოდა. ხშირად მთელს
დღეს ერთ პატარა რუსულ ლექსა კითხულობდა და სალამოზე
მაინც არც ერთი სტრიქონი არ იცოდა ზეპირადა. რუსულისა
და ქართული ანბანის დასწავლას სრული ნახევარი წელიწადი
მოუნდა. დღე და ღამ თავს იკლავდა, მაგრამ ვერც ერთი ლოცვა
ვერ დასძლია. გრძნობდა, საცოდავი, თავის ნიჭიერების სივაგლა-
ხეს და მთელი დღე ხშირად დალონებულ-დამშარებული დადიოდა.
ხანდიხან სასოწარკვეთილება მოიცეამდა ხოლმე ზოგ მის სუ-
ლიერ არსებასა და იმ დროს წყევლა-კრულებს უგზავნიდა თა-
ვის მრისხანე, წარბშეკრულ ბედ-ილბალსა. მაგრამ ეს ბედ-ილ-
ბალი სულ მუდამ მართლა დალვრებით როდი უყურებდა თა-
ვის შვილობილსა; იყო ხოლმე დრო, როდესიც მთელი მისი
სახე ტკბილად ილიმებოდა, და ამისთანა შემთხვევაში ჩვენს მი-
ხეილს კაცი ველარ იცნობდა. სწავლაში ხომ უნიჭო იყო, მაგ-
რამ სხვა-და-სხვა ეშმაკობასა და ცულლუტობაში მას ტოლი
არა ჰყავდა. როდესაც ამხანაგებს მოუნდებოდათ რაიმე ავკა-
ცობის ჩადენა, მაშინათვე მიხაკოს მიმართავდნენ ხოლმე, და
თუ ეს იკისრებდა წინამდლოლობას, საქმე უსათუოდ კარგად
გათავდებოდა. არ იყო ბუნებით ხელლონიერი ბიჭი, მაგრამ სი-
მარდით და მოხერხებით თავისზე ბევრად მძლავრ ამხანაგებს
ხშირადა სჯობნ იდა, როგორც კრიეში, ისე ჭიდაობაში. არც
სკოლებში ხეტიალმა ჩაუარა სულ მთლად ტყუილ-უბრალოდ
ჩვენს გმირსა! მათში მყოფობის დროს მან ისწავლა საქმაოდ
ლამაზი რუსული წერა. ეს იყო ერთად-ერთი ცოდნა, რომე-
ლიც კი გამოიტანა სკოლებიდან. და სწორედ ამ ცოდნის
ეოხებით გაიკვლია მან პირველი გზა და კვალი ცხოვრე-
ბისა.

III

იყო ცივი ზამთრის სუსხიანი დილა, როდესაც უკანასკ-
ნელად დათხოვნილ იქმნა საქალაქო სკოლიდან ჩვენი ბატო-

ნი მიხეილი. თვალურემლიანი, სიცივისა და უნუგეშობისაგან წელში ოთხად მოკავული გამოვიდა ამ სასწავლებლის კარები-დან და უმიზნოდ იწყო ხეტიალი თოვლით საესე ქუჩებში. ჰა-ერში განუწყვერლად გრიალებდა ძლიერი ზენაქარი და ნემსე-ბივით წვეტიან გაყინულ ნამქერს შეუბრალებლად აყრიდა თავ-სა და პირში საბრალო მოსეირნესა. „ოხ, დედაჩემო, დედა-ჩემო!.. — კვენესია ამბობდა ეს დრო-გამოშვებით, — რად მიღა-ლატე ასე უდროვოდ?.. ეხლა რომ ცოცხალი მყავდე, ასე თხერ-ტიელად ხომ აღარ ვიქნებოდი დარჩენილი?..“

— ყმაწვილო, რუსული წერა გეცოდინება, წამოდი, შენ გაზდას, ჩემ მაგივრად ხელი მოაწერე, — მოესმა უცებ ვიღასიც ხმა. მიხაკომ აიღო თავი მალლა და დაინახა რომ ის იდგა ნო-ტარიუსის კანტორის წინ.

— როგორ არა, ვიცი... — უპასუხა მან ჩასუქებულ, გაბ-ლინძულ ვაჭარს, — მოვაწერ, თუ ერთ აბაზს მაჩუქებ.

— ვაა, შე კაი კაჯო, ერთ აბაზ როგორ დაგიჭერ, ოლონდ ერთი მალე მამარჩინე იმ თხერ საქმეს. — აქ საჩქაროზე ამო-ლო ჯიბილან თეთრი აბაზიანი და გადასცა მიხაკოს.

ორივენი შევიდნენ პატარა, სუფთა თბილ ოთახში, სადაც იდგა რამდენიმე მაგიდა, საესე ნაწერი წიგნებითა და ქალალ-დებით. ერთ მაგიდასა და კედელ შუა სავარძელზე იჯდა უკ-ხო, შორეული ქვეყნიდან ოდესალ გაღმოვარდნილი ნოტა-რიუსი. დამჭკნარ, გაყვითლებულ სახეზე ცხადად ეტყობოდა, რომ არ იყო ჯანსალი კაცი, მაგრამ იგივე სახე უფრო კიდევ ცხადად მის გულკეთილობას, სათნოიან ხასიათს აჩვენებდა. და-ინახა თუ არა სიცივისაგან გალურჯებული ყმაწვილი კაცი, მაშინათვე თითო გაუშვირა ბუხრისაკენ და მამაშევილურის კი-ლოთი უთხრა:

— მიდი, ყმაწვილო, ჯერ ფათბი და მერე მოაწერე.

თეთრი აბაზიანი, ეს ტკბილი ხმა, ეს მხიარული ბუხარი, სითბო-სისუფთავე ოთახისა, ყოველივე ესე გამკურნებელ მალა-მოდ დაედო მიხაკოს დამწვარ-დაწყულებულ გულსა, რომლის

ცხარე ტკივილი საჩქაროზე გაუყუჩდა, გაუნელდა. გავიდა რამ-დენიმე წამი და, როცა შემდევ მიხაკომ კალამი აიღო ხელში, ის სრულიად აღარა გრძნობდა თოვლიან-ყინულიანი ქუჩის გავლენასა; ვაჭრის მაგივრად მტკიცედ და ლაშაზად მოაწერა ხელი დაწერილ ქალალზედა, ეს ნაწერი ნოტარიუსს მოეწონა. ვაჭარი მალე გავიდა კანტორიდან, მიხაკო კი იქვე დასტოვა სახლის პატრიონმა. ამისმა კეთილმა გულმა პირველსავე დანახ-ვაზე ცხადად იგრძნო საბრალო მდგომარეობა, რომელშიაც იყო ჩავარდნილი თხელ, საზაფხულო ჩერკესკაში გახვეული, გა-მოგდებული მოსწავლე. დაყვავებით და დაწვრილებით გამოჰ-კითხა ყმაწვილს მისი აწინდელი და წარსული თავგადასავალი,,.. და, როდესაც ყველაფერი შეიტყო, უთხრა:

— მე ამ ქამად შწერალი არა მყავს, თუ გინდა, დარჩი ჩემ-თანა. აი, ამ ოთახში იცხოვერებ, სასმელ-საჭმელი ჩემგან მო-გეცემა. ჯამაგირს ჯერ-ჯერობით ბევრს ვერას დაკინიშნავ: მინდა დაახლოვებით გაგიცნო. თევში თხუთმეტ მანეთზე მეტს არ მოგცემ“. ეს სიტყვები ციურ მანანასავით ეცემოდნენ მი-ხაკოს სულსა და გულსა, და, როცა გათავდა შათი წარმოოქ-მა, გულის სილრმიდან წამოსული მაღლობა უსიტყვოდ, მაგ-რამ უფრო მჭევრმეტყველურად, ცრემლითა და ქვითინით, გად-მოსკდა. ამ დღიდან მოყიდებული მთელი ხუთი წელიწადი დაჲ-ყო მიხაკომ მოხსენებულ ნოტარიუსთან. ცხოვერობდა მასთან არა როგორც მწერალი, ვინმე გარეშე კაცი, არამედ ვითარცა მისი ოჯახის საკუთარი, საყვარელი შვილი. ორიოდე თვის შემ-დეგ ჯამაგირი ოცდა ხუთი მანეთად გაუხადა; მეტე სამ თუმ-ნად, ოთხად, და ბოლოს ხუთ თუმანსაც აძლევდა. ამასთანავე, ტანისამოსის გარდა, სხვა არაფერზე ახარჯვინებდა არც ერთ გროშსა; რის გამოც მეხუთე წლის გასულს სამას თუმნამდე შესდგა მიხაკოსაგან ბანკში შეტანილი ფული. და იცით, ჩემო ბატონო, ყოველივე ეს სიკეთე რითი გაღუხადა ჩვენმა უაქბარ ტონმა თავის კეთილის მყოფელს? ერთ დღეს, როცა მოხუცე-ბული ავათმყოფობის გამო, ლოგინში იწვა, სხვა ქალალდებთა შორის ერთ, ავაზაკურად შედგენილ, ყალბ ქალალდზედაც მო-

აწერინა ხელი. ამ საზიტლარი ლალატისათვის მან მირღო ორა-
სი თუმანი, ხოლო ყოვლად პატიოსანმა კაცშა—ფიცხელი გა-
მოძიება, რომლის ელდას ველარ შეუძლო მისმა დაძაბუნე-
ბულმა არსებამ და საუკუნოდ დახუჭა თავისი მაღლიანი თვა-
ლები. როცა მისი ობლად-ობლოი კუბო ერთ მღვდელსა და
ორიოდ მუშა-ხელოსნებს მიჰქონდათ სასაფლაოსაკენ, უგუნუ-
რი და ფარისეველი საზოგადოება თითქმის ქვების სროლით
მისდევდა მას უკან; ხოლო ჭეშმარიტი შვილი ამ საზოგადოე-
ბისა, სულმდაბალი, დამლუბველი პატიოსანი მოხუცისა ამ ღროს
საგუბერნიო დიდ ქალაქში სცხოვრობდა თავისუფლადა. ერთ
გაძოჩნილ ვექილთან ეშოვნა მწერლის ალაგი; სრულიად დამ-
შვიდებულის სინიდისით შრომობდა აქ დღე და ღამე, გასაო-
ცარის მოსაზრებით ადევნებდა თვალყურს თავის უფროსის ყო-
ველ დღიურ მოქმედებას. სწავლობდა რუსულ კანონებს. სა-
კვირველი სისწრაფით ითვისებდა უფრო იმ კანონებს, რომელ-
თა შინაარის წალმაც აიხსნებოდა უკულმაც. სწორედ, სასწაუ-
ლი მოხდა!.. კაცი სრულიად გამოიცვალა! ვისაც მეჯუნაშვილი
სკოლაში ენახა, ის დღეს მას ველარ იცნობდა. იქ თუ მუდამ
თავ-ჩაქინდრული, დალვრემილი დაიარებოდა, აქ მარად მხია-
რული, იმედ-ნუგეშით სავსე, აბაყად დაბძანდებოდა. რის შეს-
წავლასაც წინად დღეებს ანდომებდა, ამ უამად, უფრო ძნელის
შეთვისებისათვის, საკმარისი იყო საათი. სკოლურმა უკულმარ-
თობამ უბადრუქს გრძნობა-გონება დაუხშო, ცხოვრებამ თავი-
სი ათასფეროვანი თვალსაჩინო ტალღებით ჭკუა გამოუფხიჩ-
ლა, ნიჭიერება გაუცოცხლა და განუვითარა. ას, რა კარგი იქ-
მნებოდა, რომ ერთიცა და მეორეც მარად ძველებურ, სავაგ-
ლახო მდგომარეობაში დარჩენილიყვნენ!..

I V

სრული ექვსი წელიწადი დაჰყო მიხეილ მეჯუნაშვილმა მო-
ხსენებულ ვექილთან. ამ ღროს განმავლობაში მან კარგა ზედ-
მიწევნით შეისწავლა რუსული კანონები. გამოცდილის ხელმ-

ძღვანელისგან გაიგო და მტკიცედ შეითვისა ზოგიერთა ის ხრიყებიც, რომელთა მეოხებით კანონი ხელში სათამაშებელ ბურთად გადიქტევა ხოლმე: ხან აღმა უზამს კაცი მას თავსა, ხან დაღმა. დღეს რომ ქვეშ უძვრება, ხვალ ზემოდან გადაახტება; შემდეგ კიდევ ამოსდებს პირში კლიაუზნიკობის აღვირსა, გადააღაჯებს ზედა და იქითკენ გააჭენებს, საითკენაც ნებიეს. ამგვარად დახელოვნებულია ბუუნაშვილმა ძლიერ აღვილად გადივლო თავზე ვექილობის გამოცდა, მიიღო უფლება სასამართლოებში საქმეების დაცვისა და, თითქმის იმავე დღეს, თავი დაანება საგუბერნიო ქალაქსა. ძველი დროების სახელოვანი გმირივით, ამანც დიდ ქალაქში უკანასკნელობას, მიყრუებულ მაზრაში პირველობა არჩია. ორიოდ დღის შემდეგ ეს ლირსეული გმირი ჩენი უბადრუები დროებისა გაჩნდა ერთ პატარა სამაზრო ქალაქში. აქ თან მოიტანა შვილასი თუმნის ბანკის ბილეთი, ერთი რევოლური, ხანჯალი და თავის პატიოსან გვამთან ერთად განუზომელი სურვილი სხვების გაფრქვნა-გაყვლეფისა. მეორე დღესვე სადარბაზოდ გამოცხადდა მოსამართლესთან, მის მდივან-მწერლებთან და ისეთის ოსტატობით იქცეოდა, რომ ყველას თავი მოაწონა, ყველას სასიამოენოდ დარჩა მისი გაცნობა. სამიოდ დღის შემდეგ სასამართლოშიც მიბანდა. მართალია, ჯერ ისევ დილა იყო, მაგრამ სასამართლოს დარბაზში მაინც კარგა ბლობად შეკრებილიყო სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი. ამ საზოგადოებაში რაღაც, არა ჩვეულებრივი, ჩოჩქოლი ტრიალებდა. დაიწყო საქმეების გარჩევაც. მოსამართლის წინაშე წარდგა ერთი უშინოდ ჩასუქებული შუა ხნის კაცი, რომელსაც უკან გაჰყეა საცოდავად შეკრთალ - შეშინებული, თავ-ჩაღუნული გლეხი. პირველი უჩიოდა მეორეს სარწმუნოების შეურაცხყოფისათვის. „ამან რჯული და ღმერთი მაგინაო“. მოწმეებმა დაამტკიცეს ეს საჩივარი. უბადრუები პასუხის-მგებელი კი ისე გამოყენებული იდგა, თითქმ ყოველივე ეს ლაპარაკი მას სრულიადაც არ შეეხებოდა. ის იყო მოსამართლეს ხელი უნდა მიეყო განაჩენის დადგენისათვის, როდესიც უეცრად ფეხზე წამო-

დგა ჩვენი მიხეილი, გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი მოსამართლი—
საკენ და ხმა მაღლა წარმოსთქვა:

— ბატონო მოსამართლევ, წელან ამ გლეხმა მთხოვა და—
მეცვა იგი; ნება მიბოძეთ, ავასრულო ჩემი მოვალეობა:

მოსამართლემ ეს თხოვნა თითქო სიამოვნებით მოისმინა:
მაშინათვე მისცა ნება.

მიხეილ ბააღურიჩხა ამთახანტალა, გახამებული პერანგის
საყელო გაისწორა და შემდეგ იწყო ლაპარაკი, იწყო ისეთის
რიხითა და გაბედულობით, თითქო ამ ხალხსა და ამ დარბაზში
ყოფილიყო გაზღიული და დაბადებული.

— ბატონო მოსამართლევ,— წარმოსთქვა მან,— ამ გლეხს
აბრალებენ ღვთისა და სარწმუნოების შეურაცხყოფას: მაგრამ
იმ სიტყვებში, რომელნიც ამ საცოდავს წარმოუთქვამს, სრუ-
ლიად არა სჩანს არავითარი მაგგვარი ბოროტება. რჯული და
ღმერთი შემაგინაო, ძალიან კარგი, მაგრამ საღ არის ამ სიტ-
ყვებში შეურაცხყოფა ღვთისა ანუ სარწმუნოებისა? უნდა სულ
მთლიად უცოდინარი იყვეს ქართული ენისა ის კაცი, რომელ-
საც არ ესმის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „რჯული!“ რჯული
სხვა არის და სარწმუნოება: სრულიად სხვა. პირველი სიტყვა
რუსულად ნიშნავს „ვაკითქ“-ს, ხოლო მეორე სიტყვა „ვხრა“-ს.
გლეხს უხმარია პირველი სიტყვა და მაშასადამე სარწმუნოებაზე
კრინტიც კი არა ყოფილა დაძრული. ამის შემდეგ იქნება იფაქ-
როთ, ბ-ნო მოსამართლევ, რომ ამ გლეხმა კანონს, სახელმწი-
ფო კანონს მიაყენა შეურაცხება? რალა თქმა უნდა, არა! რა ესმის
სახელმწიფო კანონებისა ამისთანა რეგვენ ადამიანს?! გლეხების
შეხედულობით რჯულიად იწილება ყოველი მამა-პაპური ადათი,
ზნე, ჩვეულება! ვის არ მოეხსენება, ბატონო, რა ზნისა და
ჩვეულებისანი ბძანდებიან ჩვენებური ვაჭრები? მოტყუება, უღ-
მერთოდ ცარცვა-გლეჯა მოყვასისა,— აი რა შეაღგენს მათი
აღებ-მიცემობის დედა-აზრს, მათი მოქმედების მიზანსა და მისუ-
წრაფებას! ამისთანა საზიზლარი, უწმინდური ზნე-ჩეეულებანი
მაშ როგორ უნდა მოიხსენიოს კაცია, თუ არ ლანძლებითა და

გინებითა? მე მწამს, რომ თვით წმინდა უმანკოებას ჩაუკონებია ამ უბრალო, გაურყვნელი კაცისათვის ის პატიოსანი სიტყვები, რომელთა გამო სამართლის ულმობელი მახვილის წინაშე წამოუყენებიათ იგი. საბედნიეროდ, ეს მახვილი ამ ქამადისეთი ბრძენი და მართლმსაჯული კაცის ხელშია, რომელიც კარგად ხედავს, სართ არის სიმართლე და საით დანაშაული. რაც შეეხება სიტყვა „ღმერთს“, ვინ არ იცის, რომ ქართველი გლეხია ამ სიტყვას ორნაირ აზრითა ხმარობს. ერთგვარი აზრით — ღმერთი არის მამა, ყოვლისა მჰყრობელი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა. ამ ღმერთს გლეხი ახსენებს ხოლმე დიდის მოწიწებითა. „ღმერთო, მიშველე!“ „ღმერთმა გადლეგრძელოს“, „ღმერთი იყვეს შენი შემწე-მფარველი“ და სხვა მრავალ ამგვარ ფრაზებს გლეხი თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხმარობს. და, აბა, ჩაუკვირდით, ბატონებო, ამ სიტყვებში რაოდენი ძალა-სჩანს ღრმა და ცხოველი სარწმუნოებრივი გრძნობისა, ღვთის დიდებისა და თაყვანისცემისა!.. შემდეგ ამისა, ვინ გაპბედავს და მოისურვებს — ერთის მხრივ — ესოდენი სასოება ღვთისა და მეორეს მხრივ — ბოროტი შეურაცხება მისი ერთსა და იმავე ადამიანის ხელში მოაქციოს? მაგრამ აქ იჩივლეს და ეს საჩივარი მოწმებმა ფიცქეშ დაამტკიცეს (თუმცა ზოგიერთ ჩვენებურ მოწმებზე მე სხვა აზრი მაქვს შედგენილი), რომ გლეხმა ლანძლვა-გინებით შოიხსენია ღმერთიო. ყოველივე ესე შესაძლებელია, მაგრამ გლეხისაგან შეურაცხყოფილია არა ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, არამედ სრულიად სხვა საგანი, რომელ-საც გლეხები აგრეთვე ღმერთს ეძახიან. რომელია ეს მეორე ღმერთი, ამას ემ წამში შეგატყობინებთ. ბატონო მოსამართლევ, გთხოვთ — ჰკითხოთ ბრალდებულსა: ხედავს ეხლა ის ღმერთსა, თუ არა?

მოსამართლემ ეს თხოვნა მუაუნაშვილისა დაუყონებლივ აღასრულა, და მოხსენებული კითხვით მიმართა გლეხკაცა. უკანასკნელი ჯერ საცოდავად მოიბუზა, რამდენჯერმე შეიშმუშნა, მერე აიღო თავი მალლა და ფანჯარებისაკენ დაიწყო

ცქერა. გადასდგა იქით ორიოდ ნაბიჯი, გაიშვირა ხელი ცისა-
კენ და წამოიძახა:

— აგერა ღმერთი!..

მთელ დარჩაზში გაისმა სიცილი. ვეჭილმა კი ხმა აიმალ-
ლა და ძლევა-მოსილების რისით განაგრძო: ხომ თქვენის ბედ-
ნიერის ყურით გაიგონეთ, ბ-ნო მოსამართლევ, რასაც ეძახის
გლეხეაცი ღმერთსა! ცა, ანუ ლაუკარდი სივრცე ჰაერისა, აი
ის ღმერთი, რომელიც ცუდად უხსენებია ბრალდებულსა. ამნაი
რად, ის სალანძლავი სიტყვები, რომელთა ხმარებისათვის ამ უა-
მად სამართალშია მიცემული ეს კაცი, უნდა ითარგმნებოდეს
აშნაირად: ასე და ისე მოუვიდეს შენს ზნესა, შენს ხასიათს და
იმ ჰაერს, რომელსაც სუნთქავს შენისთანა სულდგმულიო. მე
განვმარტე, ბატონო ჩემო, თქვენი განათლებული ცურალების
წინაშე არა მხოლოდ სიტყვები, წარმოთქმული ამ ბუნების
დავრდომილი შვილისაგან, არამედ ის სული და გულიც, რომ-
ლებშიაც დაბადებულან, ხორცულებულან მოხსენებული სიტ-
ყები. ამით ვათავებ ჩემს ლაპარაკს და, სრულიად დამშვიდე-
ბული, ველი თქვენს სამართლიან და მიუფერებელ განჩინებას.
გლეხეაცი გამართლდა, ხოლო მომჩინარი არა თუ გამტყუნდა,
არამედ დაისაჯა კიდეც: ვინაიდან საქმის წარმოებაზე დანაარ-
ჯი ფული გადახდა სრულიად იმას. იქ დამსწრე საზოგადოება
დიდის ამბით: ტაშის კვრით და ქება-დიდებით, მიეგება ახალ-
გაზდა ორატორს, ხოლო ეს უკანასკნელი მძიმე თაეის დაკვ-
რით და გულზე ხელის მიდებით უხდიდა უველას მაღლობასა .
შემდეგ, როდესაც ხალხი წავიდ-წამოვიდა და მარტო დარჩა,
ერთი მგლურად დააკრაჭუნა კბილები, ერთი მელურად გაი-
ლიმ-გაიცინა და მერე დაბალის ხმით ჩაილაპარაკა: ყოჩალ, ჩე-
მო მიხეილ ბააღურიჩ! აფერუმ, ბიჭო!.. აფერუმ ქართველო
სპასოვიჩი!

v

ვგონებ, ყველა ადვილად წარმოიდგენს იმ აღელვებას და
მითქმა-მოთქმას, რომელიც გამოიწვია მთელს იმ პატარა ქა-
ლაქში მეურნაშვილის მოულოდნელმა საქციელმა. არ იყო ისე-
თი სულ მცირე ოჯახიც კი, რომელშიაც „ახალი ადეოკატი“
ლოცვა-კურთხევით არ ყოფილიყვეს მოხსენებული. საზოგა-
დოების განათლებულმა ნაწილმა რამდენიმე კაცი გაუკავნა
მეურნაშვილს და მათის პირით გამოუცხადა მთელი კრებულის
გულითადი პატივისცემა. ჩვენებურ გაზეთებში დაიბეჭდა რამ-
დენიმე წერილი, რომლებშიაც ცაძის იყო აყვანილი „ახალ-
გაზდა მწევრმეტყველი ორატორი, სულგრძელი და უნგარო
ქომაგი ყოველი ჩაგრულ-დავრდომილისა“; მის პატივსაცემ-
ლად გამართულ სადილ-ვახშეებს დასასრული აღარა ჰქონდა. ამ
გვარის ყურადღებით წაქეზებული ჩვენი მიხეილ ბატონი
ყველგან ამბობდა ბტყელ-ბტყელ „რეჩებსა“, რომელთა შინაარს
შეადგენ და ფარისევლური ქება-დიდება მასპინძლისა, სტუმრე-
ბისა და, საზოგადოდ, ყველა მათი, ვისაც იმ ქალაქში რაიმე
უფლება ეპყრათ ხელთა. რასაკვირველია, ამასაც ეუბნებოდნენ
საპასუხო შესხმა-ქებასა. და, აი, ერთ სადილზე ერთშა სულ-
გრძელმა, მაგრამ ჭყაფ-მოკლე ინტელიგენტმა დალია მისი სად-
ღეგრძელო: აკანკალებულის ხმით, სხვა-და-სხვა წიგნებიდან
ამოკრებილი ფრაზებით იგი შეადარა იმ კაცს, რომლის ლირ-
სეულად განთქმულ სახელს ჩუმად, თავის გუნებაში, ხშირად
ეპოტინებოდა ხოლმე ჩვენი თავმოყვარე გმირი. სპასოვიჩის
გვარის გაგონებაზე მიხეილ ბეგი წინაპირველად, ცოტა არ იყო,
შეკრთა: თავა ჩალუნა და მოლაპარაკეს ქვეშიდან მორიდებით
გამოხედა. მაგრამ მაშინათვე დარწმუნდა, რომ მის, გულწრფე-
ლობით წარმოთქმულ, სიტყვებში არ იყო არავითარი დაცინ-
ვა. საჩქაროზე დაუმშვიდდა გული და სიხარულისაგან აღგზნე-
ბულმა ცეცხლმა სახე სრულიად გაუჭარხლა. ეს იყო და ეს!..
ამ დროდან მოკიდებული პირში, თუ ზურგს უკან, საკუთარი

გვარის ნაცვლად, მას ეძახოდნენ სპასოვიჩსა: ჭარმოდგენილი მაქვს, როგორ ეწყინება პატივცემულ მეცნიერ იურისტს, ამ ამბავმა, რომ იაროს, იხეტიალოს და მის უურამდე მიახწიოს!.. რაღა თქმა უნდა, ჩვენი ვაუბატონი ამ გარემოებას ფიქ-რაღაც ვერ გაიტარებდა. ვინ იცის, იქნება გულში კიდევა ფიქრობდა, რომ ეს გვარი მის კულა-აზნაურულ კეთილშობილებას უფრო შეჰვეროდა, კიდრე სახელოვან პოლონელს. შესაძლებელია!.. ქართველ კაცს თუ ერთი აღჩუს დაუჯდა კოჭი, ბევრჯელ კკვიანებიც კი სულელდებიან ხოლმე; მაგრამ უკაც-რავად, უკაცრავად, ჩემო ბატონო! რა ჩვენი საქმეა ამაზე ლა-პარაკი!

VII

ჯერ ორი თვეც არ იყო ვასული მას აქეთ, რაც ჩვენი სპასოვიჩი დასახლდა მოხსენებულ პატარა ქალაქში, და „საე ხ-ლი მისი კი უკვე გაითქვა კიდით კიდემდე“, როგორც იტყოდნენ ხოლმე ძევლად ჩენი. მამა-პაპანი. დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა მას იმ მხრის ყოველი კუთხიდან. ვჯონებ, ძევლ ებრაულ ბითეზდას არ ეხეია ესოდენი სიმრავლე ერისა, რაოდენიც და-ლიდან საღამომდისინ შეუწყვეტლივ ირეოდა მისი სახლის კარ-მიდამოზე. რაღა თქმა უნდა, არც ამ სახლის პატრონი იჯდა გულ-ხელ დაკრებილი. მთელი დღე ჯარასვით ტრიალებდა. კვირა-უქმე დღეებშიაც კი შეუძლებელი იყო უსაქმოდ მისი ნახვა. ყოველ გვარ გართობას, სიამონებას მან სრულიად მია-ნება თავი. კაცს გაუჭირდებოდა გამოცნობა თუ როდის იძი-ნებდა, ან რამდენს ხანს—ისვენებდა სახელოვანი ვექილი. სისხაშ დილა აღრიან ის უკვე უჯდა სტოლსა და გაცხარებული. სწერ-და არზებსა. ცხრა საათზე მიდიოდა სასამართლოში, სადაც რჩე-ბოდა ხშირად სამ საათამდე. ამ ღრის განმავლობაში იგი იცავ-და არა ნაკლებ ორისა და სამის საქმისა. სამ საათზე ბრუნდე-ბოდა შინა, და თან მოჰყავდა უსათუოდ რამდენიმე კაცი. სი-ნამ ამათ დააკმაყოფილებდა, სხვა,— ახალი — მომჩინარნი მოადგე-

ბოდნენ ხოლმე კარებზე. ასე გძელდებოდა საღამომდის და
ბევრჯელ შუალამემდისაც. აუსრულდა ჩვენ ვაუბატონს მთელი
თვისი სიცოცხლის ნატერა-სურვილი, მისწრაფება. ფულმა ბზე-
სავით იწყო მის ჯიბეში დენა! თითო არზის დაწერაში ის იღებ-
და თუმანსა. თუ სასამართლოშიაც მას უნდა ელაპარაკნა, მა-
შინ თუმნისათვის თუმანიც უნდა დაემატებინათ. უკეთუ ოლ-
ქის სასამართლოში გადაუიღოდა საქმე, ხუთ თუმანზე ნაკლებს
ხელსაც არ ახლებდა, და თუ პალატაში,—ათი თუმანი ნაღდი
ფული უნდა ჩაეთვალათ მისთვის. როდესაც საქმე რთულსა და
ძეირფას საგანს შეეხებოდა, მაშინ სხევა გვარის მოსაზრებით
ხელმძღვანელობდა ბ-ნი სპასოვიჩი. ამ გვარ შემთხვევაში ოცი
და ოც და ათი თუმანი სულ მცირე ფასად მიაჩნდა. ასეთ ნაი-
რად დაწყობილ საქმეს, დაუღალავ მხნეობას და საჩივრების
ოსტატურად წარმოებას, რასაკვირველია, ჯეროვანი ნაყოფი
მოჰქონდათ. დღე ისე არ გავიღოდა, რომ სპასოვიჩს სამი-ოთხი
თუმანი არ ეშრავნა; ხანდისხან ისეთი მაღლიანი დღეც გამოე-
რეოდა ხოლმე, როდესაც ათ თუმნიანებით იბერებოდა მისი
დიდი სოვდაგრული პორტმანი. ყოველ წამს ასე მარჯვედ ფუ-
ლის ხვეტამ მას მხნეობა გაუორკეცა, მის შრომისა და გარჯის
სურვილს ორბის მძლავრი ფრთები გამოასხა, მაგრამ, ამასთა-
ნავე, დიდი მომაკვდინებელი ვნებაც შესძინა. რამდენადაც იზრ-
დებოდა ბანკში დაბინაეებული შვიდასი თუმანი, იმდენადვე ემა-
ტებოდა მის პატრონს სიხარბე და გაუმაძლობა. სამი თუ თოხი
თვის შემდეგ ამ საზიზლარმა გრძნობამ სულ ერთიან მოიცვა
მთელი მისი მდაბალი არსება. სიხარბემ გასდევნა მისგან ის,
არა მცირედი გამოცდილება, რომელიც შესძინა მას „მწარ-
სამყოფელმა წუთისოფელმა“, სიხარბით დაბრმავებულმა და ფუ-
ლის ყოველ წამს ცქერით გატაცებულმა მეტ ბარგად ჩარიც-
ხა თითქმის დედის მუცლიდან თან დაყოლილი სიფთხილე და
გაიძეერობა. წლის გასულს საქვეყნოზ მოიგლიჯა ლიბერალ-
პატრიოტობის პირბადე და დაცინვით გადისროლა სანაგვისა-
კენ. ახლა კი ყველამ ცხადად დაინახა რა შვილიცა ბძანდე-

ბოდა (კამდის აყვანილი მფარველი დავრდომილთა და ჩაგრულთა. მის წინააღმდეგ გაისმა გაჯაერებული ლაპარაკი: რამდენმამე ოჯხები კარები მოუკეტა, ქუჩებში შეხვედრის დროს ბევრი არიდებდა პირსა. გაზეთებშიც რამდენჯერმე ფიცხელიად იქმნა გაკუცული. მისი კლიაუზნიკური ხრიკები, სინიდისსა და პატიოსნებაზე აშკარად ხელის აღება, მისი ანგარება და შეუბრალებლობა მთელს ადგილობრივ საზოგადოებას აოცებდა და აშთოთებდა. მაგრამ გალორებულ-გათამამებული „აბლაკატი“ ყველა ამას ყურადღების ღირსაფაცაც არ რაცხდა, ანუნშიაც არ იგდებდა. მაღლობა უფალს!... იგი აღმოჩნდა ქარაფშუტა, კუუ მოკლე აღამიანად... და სწორედ ამ გარემოებამ მოუგრინა კი-დეც მას კისერი.

VII

ერთ დღეს, სხვა მომჩინართა შორის, სპასოვის ეწვია ახალგაზლა თავადი გიორგი ბარძიმაშვილი. გიორგი მთელს იმ მხარეში ცნობილი იყო თავისი ვაჟკაცური, რაინდული ხასიათით და კარგი ძველებური დოვლათიანი ოჯახით. ამას ბევრი საზიზლარი ამბები გაეგონა მუაუნაშვილზე, მაგრამ დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა მათ: კარგად იცოდა, რომ ამ ცოდვით სავარაუდო-შიწაზე სხვა-და-სხვა ჭორები დღე და ღამ ყველგან თავისუფლად დაბრძანდებიან და ხშირად თვით უმანკო და პატიოსანი აღამიანის კარებზედაც კი დააბმენ ხოლმე თავიანთ კუდიანურ ფერხულს. ამიტომ მოისურვა შეტყობა კეშმარიტებისა და ამით შემოწმება გაგონილისა. ამ მიზნით მოვიდა იგი მუაუნაშვილთან.

— ბატონო მიხეილ, — დაიწყო გიორგიმ მისალმების შემდეგ, — მე მაქვს სამოციოდე დღის მშვენიერი სარწყავი სახნავ-სათესი მამული. ეს ორი წელიწადია, რაც ამ მამულის გამო დავი-დარაბა ამიტება აზნაურმა სიკო კუდვარდაშვილმა, შარშან, შარშან წინ და წელსაც, მთელი მოსავალი მამულისა იმან მოი-

ტაცა. წელს, სულ ცოტა რომ გითხრა, ორასი კოდი უკვდავება ჭირნახული წაიღო. მიშველე რამე, გეთაყეა.

— დიდის სიამოენებით, — მიუგო ზდილობიანად მიხეილმა, — დოკუმენტები გაქვთ რამე თუ არა?

— ოდესმე გვქანია, მაგრამ ამ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის წინად ცეცხლი წაეკიდა ჩვენ სახლსა; არ ვიცი დაიწვა, თუ მაშინდელ არევ-დარეულობაში გადაგვივარდა საღმე, ეხლა აღარსადა სჩანან.

— არა უშავს-რა, უდოკუმენტოდაც შეიძლება საქმის წარმოება... ერთი ეს მიბძანეთ, მოწმებს ხომ ვიშოვნით?

— ვგონებ, რომ მოწმების შოვნაც გაჭირდება: მოგეხსენებათ, რომ მე სოფელში არა ვდგევარ; ძველის დროდანვე ცალკე გორაზე დამდგარან ჩემი წინაპარნი და მეც იქა ვცხოვრობ, მეზობლები არავინა მყავს.

— გარეშემო სოფლების მცხოვრებელნი?

— იმათ, ვგონებ, რომ არა იციან-რა ამ საქმისა.

— შეიძლება, ოცდა ათი თუმანი მიბოძოთ წინადვე? ჩემ სასარგებლოდ კი არა, თქვენი საქმისთვის!

— დიდის სიამოვნებით! მაგრამ მსურს კი რომ ვიცოდე: ეგ ფული რა ნაირად გნებავთ მოახმაროთ ჩემ საქმეს?

— გარეშემო სოფლებიდან უნდა მოწმები მოვისყიდოთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ ტყუილად და ისიც ოცდა ათი თუმნის გულისათვის ვინ იფიცებს?

— რას ბანებთ, ბ-ნო გიორგი! ოც და ათ თუმნად თორმეტ კაცს ვაფიცებ. ერთი თვე არ არის მას აქეთ, რაც ერთი აზნაური და სამი გლეხი ხუთ-ხუთ მანეთად ფიტით გავხეოქე. აქ, ამ ქალაქში, რამდენიმე გაკოტრებული მედუქნები არიან, რომლებიც მხოლოდ ტყუილ მოწმობაში აღებული ფულითა სკოვრობენ. სოფლის საქმეზე ესხნი ვაი თუ ვერ გამოდგნენ, თორემ თითო მანეთად ვაფიცებდი...

— მერე მაგითი ხომ ხალხი ირყნება, ზნეობით ეცემა! და გარდა აშისა, სამართალს გზა და კვალი ერევა, რისგამოც შეიძგარდა აშისა,

ლება მართალი გამტყუნდეს, უსამართლომ და ბოროტმა კი გაიმარჯოს.

— დიალ, ჩემო ბატონო!. ყოველივე ეგ ხშირადა ხდება. მაგრამ რა ვუყოთ?. ცხოვრება ბრძოლაათ, ბრძანებს დიდე-ბული დარვინი. გინც ამ ბრძოლაში იმარჯვებს, მისია წუთი-სოფელი, ხოლო სუსტი და უბედურნი მარცხდებიან და უნდა გამოესალმნენ სიცოცხლესა.

— თქვენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ ამ ქვეყანად ბატონებად უნდა აღვიაროთ გაქნილ-გაოსტატებული, სინიდისზე ხელალებული ავაზაკები და მათ ყმებად მართალი და ჰატიოსანი აღამიანები დავუყენოთ; ქვეყნიერება მძლავრთა და მდიდართ გაფუყოთ, სუსტნი და ღარიბები, ჭირიანი საქონელივით, გავწყვიტოთ..

— ეგ ჩემი ლაპარაკიდან კი არა, ბუნების კანონებიდან გამოდის...

— ეხლა მე ჩვენ სოფელში გლეხებისათვის სკოლის გახსნას ვაპირებ, გამიგონია, სწავლა დიდი ღონეაო... გლეხის შეილები, ჩემგან დაარსებულ სკოლაში, განათლებას მიიღებენ, გაღონიერდებიან.. შენის აზრით, მე სულელობას ვჩადივარ: მებრძოლ მტერს ხელში ფარსა და ხმალს ვაძლევ!

— ცხადია, რომ მაგ შემთხვევაში ვერ იქცევით გონივრულადა!

— ვერ ვიქცევი გონივრულადა?. მაშ რაღას ნიშვნენ სულ-გრძელობა, სიბრალული, მიტევება?. მაშ რაღა უნდა ვუყოთ ღმერთს, შაცხოვარს, სინიდისს, ჰატიოსნებას?

— ყველა ეგენი ერთ დროს დიდ ბობოლებად ითვლებოდნენ, დიდი ხმა და გასავალი ჰქონდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც დარვინმა თავისი მოძლვრება გამოაქვეყნა, მათ დაკარგეს ყოველი მნიშვნელობა, და ამ უამაღ იმგვარსავე არხეოლოგიურ ნაშთებს წარმოგვიდგენენ, როგორებიც არიან, მაგალითად, ნანგრევები ძველი ციხე-კოშკებისა, ტაძრებისა. აი, შევხდოთ, თუ გნებავთ, აგერ ფიშ ძველ მონასტერს!. ხაკა-

რისია ერთი თვალის გადავლებაც კი, რომ კაცმა ცხადად წარმოიდგინოს, რა საუცხოვო რამ იქნებოდა იგი ერთ დროს, მაგრამ დღეს კი უხეირო ნანგრევებად არის ქცეული და ზედ თავისუფლად დადის ძალლი და ლორი.

— ისე, როგორც შენ ლვთისა, სინიდისისა, პატიოსნების გარეშემო! — დაიძახა სიბრაზით გიორგიმ. მაგრამ იმავე წამს თავი შეიკავა, გაილიმა და მშვიდობიანად წარმოსთქვა:

— თავი დავანებოთ ამ ლაპარაკს.. შენ მსწავლული, განათლებული კაცი ბძანდები, მე სოფლელი ტეტია კაცუნა გახლავარ... შენ დარგინი ზეპირად გცოდნია, მე კი სამსე სტაქ-ნების მეტი ხელში თითქმის არა მჭერია-რა. სად შემიძლიან თქვენთან ლრმა საგნებზედ ბაასი.. მაგრამ საჭიროდ კი მიმაჩნია, უკანასკნელად გითხრათ, რომ ის თქვენი დარვინი ან კარგად ვერ შეგიგნიათ, და ან დიდი მხეცი უნდა იყვეს.. უკარავად!. გადავიდეთ ჩეენ საქმეზე.. მოწმების მოსსყიდად, როგორცა სთქვი, ოცდა ათი თუმანი არის საჭირო. ამ ხანად ათი თუმნის მეტი არ გამომყვა ჯიბეში, ეხლა ამას გადმოგცემ. ხვალ თუ ზეგ შემოვივლი თქვენთან და დანარჩენ ოც თუმანსაც მაშინ მოგიტანთ. თქვენი გასამსჯელო მიბძანეთ ახლა?.

— ბატონი ბძანდები! ჩემი გასამსჯელო ორმოცი თუმანი იქნება; ნახევარი ამ თავით უნდა მიბოძოთ და ნახევარიც საჭმის გათავების შემდეგ. ხვალისთვინ პირობის ქალალდი მზად მექნება.

— ძალიან კარვის. — სთქვა გიორგიმ და წამოდგა ფეხზე. ათ თუმნიანი გადასცა, გამოეთხოვა და გავიღა სახლიდან,

viii

გაიარა სამიოდე დღემ და ერთ სალამოს, ესე მეცხრე სათი იქნებოდა, ვიღამაც კარები დაუკაკუნა სპასოვიჩსა. უკანასკნელი წამოდგა, გააღო კარი და თავის წინ ბინდ-ბუნდში გაარჩია ორი კაცი. ერთი ამათგანი ლაზათიანად იყო ჩატმულ-დახურული,

ხოლო მეორეს გლეხური ჩოხა ეცვა და ხელში ორი ცხენის აღვირი ეჭირა. პირველმა თავი დაუკრა სახლის პატრონს და უთხრა:

— მე გახლავართ აზნაური სიკო კუდვარდაშვილი. თქვენთან ერთი საიდუმლო საქმე მაქვს და, თუ შეიძლებოდეს, ნება მიბოძეთ ეხლავე მოგელაპარაკოთ.

მეუნაშვილი დაფაცურდა: კარი ყურთამდე გააღო, ორივ ხელები ოთახისკენ გაიშვირა და ღიმალით სოხოვა სახლში შემობძანება. სიკომ მაშინათვე აღასრულა თხოვნა: ოთახში შევიდა, ხოლო კარი ამ ოთახისა ცოტათრ ღია გაუშვა. შეუა ოთახში ერთი დიდი სამწერლო სტოლი იდგა; სტუმარ-მასპინძელმა მიიღეს ამ სტოლთან სკამები და ჩამოსხდნენ მათზე. ამ დროს სიკომ შენიშნა, რომ სტოლის ერთ ნაპირას იდო რევოლვერი, რომელსაც სახლის პატრონმა დაჯდომის დროს ქაღალდი წაიფარა.

— ბძანეთ, ჩემთ ბატონო, — გვერდზე თავის დახრით წარმოსთქვა მეუნაშვილმა, — მიბძანეთ: რითი შემიძლიან თქვენი სამსახურის გაწევა?

— მოგახსენებთ. მე ყური მოვკარი, რომ თავადი გიორგი ბარძიმაშვილი ამ წინაზე ყოფილი თქვენთან და ჩემ წინა-აღმდეგ ერთი საქმე მოუნდვია. გეთაყვა, ნუ დამიმალავთ! მართალია ესა, თუ არა?

— რად დაგიმალავთ! სწორედ მართალი გაგიგონიათ.

— საქმის წარმოებაში რას გაძლევთ თ. გიორგი?

— სამოც თუმანს, — წარმოსთქვა თავისუფლად მეუნაშვილმა.

— ჩემგან ოთხმოცი მიიღეთ, ოღონც საქმე ისე წაიყვანე, რომ ის მამული მე მოვიგო.

— როგორ იქნება? რას ბძანებთ! — გაოცებით დაიძახა სახლის პატრონმა.

— ასი მიირთვით!

მეუნაშვილმა კაი ხანს ხმა აღარ ამოილო. წარბები შეიკრა, მეუნვარება გადაიფინა სახეზე, ჩახველა და შემდეგ ნაღვ-

ლიანად ამოიოხრა, ვითომც ერთი შემომხედვეთ და მიხედით რა საშინლად ვიტანჯები, რა ჯოჯოსეთური ბრძოლაა ატეხილი ამ უამად ჩემს უმანკო სულში, ჩემს სპეტაკ გულშიო. ნამდვილიდ კი სიხარბისაგან გამოწვეულის სიამოვნების მეტი მას არაფერი არ აღელვებდა იმ წამში: საქმე თოხმოცი ზუმნის გარანებაზედვე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

— რა ვქნა? ვერ არის კარგი, მაგრამ რის იზამ? თქვენის-თანა პატივსაცემ კაცს ხელ-ცარიელს ვერ გავისტუმრებ. მხოლოდ ჩვენ თრის მეტმა ეს საქმე სხვამ არავინ არ უნდა იცოდეს. სამოცი თუმანი ეხლავე უნდა მიბოძოთ.

— ემ წამში ჩიგითვლით... მომეცით ხელი, რომ აღარ გადახვალო ამ თქვენ სიტყვას.

მეუნაშვილმა საჩქაროზე გაუწოდა ხელი, რომელსაც სტაცია სიკომ თავისი ხელი, მაგრა მოუჭირა და უცებ ისე ღონივრად დაიწნია ძირსა, რომ მოუმზადებელი სპასოვიჩი პირქვე დაეცა. ამ დროს თახეში შემოვარდა გლეხურად ჩაცმული გიორგიც. ძირს დაცემული მიხეილ ბეგი ფეხზე წამოაყენა, რამდენჯერმე შეაფურთხა პირში, მერმე ერთი ლაზათიანი სილა გაჰკრა და ზიზღით უთხრა:

— ყველაფერი, ყველაფერი მართალი იქნება, რასაც კი შენზე ლაპარაკობენ, მე არამზადა, შე უსინიდისო ძალლო, შენა. ეს იცოდე, რომ ყოველ დღე სიცოცხლეს გაგიმწარებ, თუ დღესვე აქედან არ დაკარგულხარ!. გესმის?

მეუნაშვილი უცებ გატრიალდა უკან, ვეფხვიერთ გადატა და რევოლვერს დააფრინდა ორივ ხელებით. მაგრამ რევოლვერი იქ აღარ დახვდა. მაშინ გაჭერდა ტახტისკენ, სადაც ეკიდა ხანჯალი, მაგრამ იქაც სიკომ მიუსწრო, ღონიფრად შემოჰკრა ცხვირ-პირში მუშტი და თხლა გულალმა გადმოაგდო ძირსა. თითონაც გადმოჰყვა თანა და წიხლითა და მათრახით შეუბრალებლად უწყო ცემა. ჩვენმა უბედურმა გმირმა რამდენჯერმე სცადა უეხზე წამოდგომა, მაგრამ ყოველ ამ დროს ხან გულსა და ხან ბეჭებში ხედებოდა სიკოს წიხლი და მუშ-

ტი, და ხელახლა იშხლართებოდა იატაკზე. ბოლოს ანგბა თავი ყოველ წინააღმდეგობას და, გასაწყპეად მომზადებული დამ-ნაშავესავით, პირქვე გაიჭიმა. სიკო ახლა კი მოშორდა; მიეიღა სტოლის უჯრასთან, გამოსწია ის და, რაც ფულები დახვ-და შიგ, სულ ერთიან ამოილო და აუჩქარებლივ ჩაილაგა ჯი-ბეში.

— ჩემი ათ თუმნიანიც არის მანდა..—დაუძახა მას გიორ-გიმ...

— ამოვიღე ისიცა და თან მეუნაშვილისებური სარგე-ბელიც ამოვატანე.—მერმე გადახედა გაშოტვილ მეუნაშვილს და სიცილით უთხრა გიორგის;

— ერთი შეხე, ამ თავსასიკვდილეს, როგორ გატვრინა სული. მელიასავრთ როგორ მოიმკვდარუნა თავი!. ღმერთს ერწმუნე, გავალთ თუ არა ამ სახლიდან, მა შინადვე ფეხზე წამოხტება და ეცემა თავის სტოლის უჯრასა!

— ბატონო სპასოვიჩო, ესეთი შენი შეურაცხება ჩვენი ბრალი არ არის: ბუნების კანონების წყალობით მე და სიკო შენზე ღონივრები აღმოვჩნდით და, დიდებული დარვინის მოძ-ლვრების თანახმად, ღონივრებმა სუსტი მიგრუიპეთ. ღმერთმა ხომ იცის, რომ ესე ყოველივე შენგან ვისწავლე და ნუ შეგვ-რისხამ, უკეთუ შენგან მიღებული, შენვე უკან მოგართეთ.— დასძახა გორგიმ. ამის შემდეგ ორივენი გამოვიდნენ გარედ, მოასხდნენ ცხენებს და მსწრაფლად გაჰქისლეს თავიანთ სოფ-ლისაკენ.

IX

გავიღნენ თუ არა გარედ გიორგი და სიკო, იმავე წამს ჩვენმა უძრავიდ გაშოტვილმა სპასოვიჩმა თავი მალლა აიღო; მიიხედ-მოიხედა და რაკი ოთახში ველარავინ დაინახა, ფიცხლავ წამოხტა ფეხზე და გამალებული ეცა სტოლის უჯრას, გამოს-

წიდ და ორივ ხელები გამწარებით შემოიკრა თავში. მერმე გაიქცა კარებისაკენ, გამოაღო და მორთო გიუიფით ლრიალი:

— მიშველეთ, მიშველეთ.. გამცარცვეს.. ოცი თუმანი ფული წამართვეს... რაზბონიკები დამეცნენ. მიშველეთ,

ამ ყვირილზე ოთახში შემოვარდა ახალგაზდა მოსამსახურე ბიჭის დაინახა თუ არა თავისი ბატონი იმ ყოფაში, ელდა ნაცე-მიერთ, გაშეშდა ერთ ადგილას. სამზარეულო კარგა მოშორებით იყო ოთახებზე და ამის გამო იქ მყოფმა მოსამსახურემ სრულიად არა იცოდა-რა იმ უბედურებისა, რაც ამ ორიოდ წამის წინად დატყდა თავს მის ბატონსა. ამიტომ თითქმის თავზარი დაეცა, როდესაც ოთახში შემოვიდა და დაინახა თმაგაბურძვნილი, ტანისამოს დაგლეჯილი და სისხლში მოთხუპნული მიხეილ აღა. გონება დაბნეული სპასოვიჩი ეძერა მოსამსახურეს, ხელი სტა-ცა ჩოხის საყელოში, უწყო ძალზე ნჯლევა და ლრიალი:

— დაინახე, განა? ხომ დაინახე ის ავაზგები? მოწამე იყავ, მოწამე! — შეშინებულმა ბიჭმა ძლიერ გახსნა კრიჭა და უაზროდ წაილულლულა:

— დიაღ, დიაღ, ბატონო!

— ამის შემდეგ ბატონმა ანება მას თავი, მივიღა სტოლ-თან და ხელ-ახლა უწყო რევა და ჩხრეკა მის უჯრას. ამ დროს განმავლობაში მოსამსახურე დამშვიდდა, გონება მოიკრიბა და გავარდა გარედ. ცოტა ხანს უკან ისევ დაბრუნდა და თან შე-მოიტანა ტასტი და წყალი. მივიღა ბატონთან, წავლო ხელი და უთხრა:

ბატონო, ე სკამზე ჩამობძანდით, თავ-პირი მოიბანეთ, სისხლითა ხარ მოსკრილი. — იქვე სკამზე დაეშვა უბედური მი-ხეილი; ბიჭმა დაუდგა წინ ტასტი, მერე ხელში წყალი დაი-გუბა და ეს წყალი ნელ-ნელა დაასხა თავზედა. ცივმა წყალ-მა ცოტა დაამშვიდა ავადმყოფი. თითონ წაიღო წინ თავი, ხელები გაიშვირა და სლოვინ-ტირილით იწყო პირის ბან-ვა. როდესაც პირში ჩაგუბებული წყალი გამოაქცია მან, თან გადმოაყოლა შეკვერებული სისხლის რამდენიმე ნაფლეთი და

მათში ერთი კბილიცა. როცა სისხლი სრულიად ჩამოირეცხა, აღმოჩნდა, რომ ცხვირი და ზემოთა ტუჩი გახეთქილი და დასი-ებული ჰქონდა. შემდეგ სისხლიანი პერანვის გამოსაცვლელად ტანისამოსი გაიხადა, და ამ დროს გამოჩნდა შავი ზოლებით დაჭრელებული ბეჭებიცა. ჩაიცვა ტანისამოსი, მივიდა კრაოტთან და ლოგინზე გულადმა გადაწვა, მაგრამ იმავე წამს საცოდავად შეჰყვირა და წამოვარდა ისევ ფეხზე. მიუბრუნდა ბიჭი და უთხრა:

— დიმიტრი, წადი, დაიძინე... გეხვეწები არავის არ უთხრა, რაც აქ ნახე და გაიგონე ამაღამა. ხვალ ვინც უნდა მიკითხოს, ყველას უთხარი: ავად არის-თქო.

ბიჭი გავიდა ოთახიდან. მეუნაშვილმა კარები ჩაკეტა, ლო-
გინი დაიმზადა, რამდენჯერმე მწარედ ამოიკვნესა და გააქრო
სანათი. ნელნელა ჩაწვა ლოგინში და, ვითომ დასაძინებლად,
დახუჭა თვალები. მაგრამ მთელი ლამე თეთრად გაათენა, მის
თვალებს ერთ წამსაც არ შიპკარებიათ ძილი. და ან კი რა ეშმა-
კი დააძინებდა უბადრუკა!... დაბეგვილ-დაუეუილი ტანი საშინ-
ლადა სტკიოდა, დასიებული ცხვირ-პირი წამდაუწუმ გულ-
საკლავად სტეხდა; დამცირებული, შელახული თავ-მოყეარეობა
სამარის ჭიათურით უღრღნიდა მას სულსა და გულსა. მხოლოდ
ახლა, ამ უბედობის უამს, დაინახა მან თავისი მარტოობა. მთელს
მის გრძნობა - გონებას შავ-ბნელი გველაშაპივით გადაეფარა
უნუგეშობა, სასოწარკვეთალება, რომელიც გახურებული შამ-
ფურივით უკრიალებდა მის სულიერ და ხორციელ არსებათ.
უეცრად რაღაც ამბავი მოხდა ამ სულიერ არსებაში: რაღამაც
სუსტად გააშუქა და მისი მკრთალი ნათელი სასიამოვნოდ მოე-
ფინა მუნ შეგუბებულ წყვდიადსა. ავადმყოფს შეუყუჩდა, გაუ-
ნელდა როგორც ხორციელი, ისე სულიერი ტკივილები.
რილასიც მოლოდინი იგრძნო მისმა გულმა. განაბა სული
და, სმენად გადაქცეულმა, სცევიტა ყურები. ამავე წამს მას
მოესმა სიტკბოებით სავსე ნაზი და წყნარი ხმა:

— ნუ გვშინიან, ჩემო უბედურო, მაგრამ მაინც ძვირ-
ფასო მიხაკოჯან!. ნუ დაპკარგავ-იმედს, ნუ დაეცემი სულითა!

შეინანე წარსული შენი ბოროტებანი, შეაფურთხე ეშმაკა და ლმერთი წყალობისა და სიცეარულისა ყოველსავე გაპატივებს!. ახლად დაიბაზები და ახლად იწყობ უცოდველსა და შეუჯი ნებელ ცხოვრებასა.

— შევინანო?. რა მაქს შესანანი?. რა მიქნია ისეთი, რაც კი ასეა და ასეთას ჩემისთანას არ ჩაედინოს! — კვნესით მისძახა საიდუმლო ხმას ლოგინში მწოლიარებ.

— ჩემო საბრალოვ! კიდეც მაგაშია შენი უბედურება, რომ ვერ ხედავ შენგან ჩადენილ ბოროტებათა!. — მოესმა კვალად იგივე სათნოიანი ხმა.. აბა, გაახალე თვალები და შენს გარეშემო მიიხედ-მოიხედე!. რა ყოფაში არიან შენი დაჩაგრულთ თანამოძმენი, შენი უბედური სამშობლო?. ამათ თანაგრძნობა, შველა, დახმარება უნდათ.. შენ კი, ნაცელად ამისა, მშიერ მგლად მოევლინე იმათ. აუარებელ მტერს მიჰყუდე შენც ზურგი და მათთან ერთად უწყე შენს მოამაგეს. ტკბილ, ძვირფას დედას გულისა და ლვიძლის წიწკა. გამობრუნდი ჩემსკენ, მახაკო, ჩემზე ერთგული, შენთეის თავდადებული მეგობარი არცა გყავს და არც გეყოლება როდისმე. დაუგდე ყური ჩემ ხმასა და დარიგებას!. იქნება სარჩო-საბადებლით ღარიბი იყვე, მაგრამ, სამაგიეროდ, სულით იქნები მაღალი, შინაგანის ნეტარებით იქნები მღიდარი, კმაყოფილი, ბელნიერი!.

ავადმყოფი უცებ წამოიჭრა ლოგინიდან, კუნჭულში, ხატის წინ, დაეცა მუხლებზე და იწყო ცხარე, მდუღარე ცრემლით ლოცვა-ვედრება. დიდება შენს ძლიერებასა, უმანკოების უქრობელო ლამპარო, ადამიანის სინიდისო!!.

x

ორი დღე იწვა ლოგინში ჩენი დაეუკილი მიხეილ ბაადურის. მესამე დღეს, დილა აღრიან, წამოდგა ფეხზე, გაიხედა. სარკეში და დარწმუნდა, რომ სახე სრულიად მორჩენოდა. მივიდა ისევ თავის ლოგინთან, ლეიბი გადმოაბრუნა, ერთგან

ნაპირი გაურღვია, შეყო ხელი შიგა და იქიდან გამოიღო ბანკის ბილეთი. წინანდელი შვიდასი თუმანი ორიათას თუმნად გადაქცეულიყო. ეს ბილეთი უბის ჯიბეში ჩაიღო და შავი სერ-თუკის ლილები თავით ბოლომდე შეიკრა. ამის შემდეგ ფაცი-ფუცით ჩაილაგა რაც კი რამ ამ ოთახში მის საკუთრებას შეა-დგენდა, და დამზადებულის ეტლით გასწია რკინი გზის სად-გურისაკენ. რადგან ქვეყნიერება ჯერ ისევ ლამის ბინდ-ბუნდში იყო გახვეული, ამის გამო თითქმის სრულიად შეუძრის შეუძლიად დასტოვა თავისი ჯერ გამაბედნიერებელი და შემდეგ შეუ-რაცხმყოფელი, ქალაქი. ჩაჯდა რკინის გზის ოთახში და გაჰ-ქანდა საგუბერნიო ქალაქისაკენ, სადაც მას შრომასა და ოფ-ლის ღვრაში უკვე გატარებული პქონდა რამდენიმე წელიწადი. საბედნიეროლ მეუნაშვილისა, იმ ოთახში ძიელ ცოტა ხალხი იყო, ამიტომ თავისი ბარგი აქეთ-იქით დაიწყო, ბალიში მის-დო ფანჯარასთან და თავისუფლად წამოწევ სკამზე. რკინის გზის გაცხარებულმა ჯანჯახმა პირველ ხანში თითქო რეტი დაახვია მას: თავი როგორლაც გაუბრუვდა, ყურებმა წივილი დაუწყეს, გულს ერეოდა. როგორცა სჩანდა, ორიოდე დღის ავადმყოფობას მის მაგარ აგებულობაზე თავისი გავლენა მოეხ-დინა. ნახევარ საათის შემდეგ მისი ბუნება უკვე შეეჩვია ახალ გარემოებას: გული დაუმშვიდდა, ტვინმა უწყო გამოფხილება. რაც კი იმ წარსულ ორ დღეს ეგრძნო და ეფიქრა, ახლა სულ ერთიან ბოხჩასავით გადაეშალა წინა. მთელი არსება მისი გააფთრებით დასცეკეროდა ამ ბოხჩას! გრძნობა დამცირებისა, შეურაცხყოფისა გადაეფინა ამ არსების ყოველ ნაწილს, ყოველ სახსარს, საიდანაც გამოძრნენ; როგორც შხამიანი გველები სოროებიდან, შურის-ძიება, სისხლის ღვრა, სიკვდილი. წარბ-შეჭმუხვნილი, მუშტებ მოღერებული წამოვარდა ფეხზე და კბილების კრაჭუნით აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. იმ წამს მზად იყო გაბრუნებულიყო უკანვე, ეპოვნა თავისი შეურაცხმყოფელნი და, მიპარვით, ან პირდაპირ, გადაეხადა მათთვის სამა-გიერო. პატარა ხანს უკან ისევ წამოწვა და, როცა კარგა ჩაუ-ფიქრდა გარემოებათ, ცხადად იგრძო სისუსტე თავისი და

ძლიერება მტრისა. ორი დღე იწვა ლოგინში მწარედ დაბე-
გვილ-დაუერილი; ერთი გვერდიდან ძლივს ბრუნდებოდა მეო-
რეზე, კვნესოდა, გმინავდა, იტანჯებოდა, და ვინ იყო მისი
შემბრალებელი, ნუგეშისმცემელი?. არავინ, სრულიად არავინ!.
პირიქით, ლოგინში მწოლარე ავადყოფსაც კა არ აძლევდნენ
მოსვენების. წინად თუ სხეული დაუბეგვეს, ახლა სულსა და
გულს უჟეჟამდნენ. მის ფანჯრებთან ხალხის გროვა არ ილე-
ოდა. დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი დაბარებულსავით გულ-
და-გულ მოდიოდნენ, უკაკუნებდნენ ფანჯარას და იცინოდნენ.
ერთი შესძახოდა: წუხელის რომ ზურგიელები მოგართვეს,
ხომ არ გაჰყიდი ცოტას მაინტაო?. მეორე უყვიროდა: დამ-
ჟავებულ მუაუნას ხომ არ ინებებთო?. მესამე ამბობდა: გროჩი
და სიკო სადილად გპატიფობენ, აბძანდით, გეყოფა მავდენი
განსვენებაო!. და სხვ. უველა ამას მოსდევდა სიცილ-ხარხარ,
ტაშის ცემა და ურას ძახილი. ხელახლა წარმოუდგა თვალწინ
ყოველივე ესა, კისერზე მძიმე ლოდივით დაწვა და თავი მწა-
რედ ჩაკიდვინა ძირისა. „არა,— სთქვა მან თითქმის ხმა მალლა,—
არა, ეხლა შურისძიების დრო არა მაქვს. შოვუცდი ეამთა-ვითა-
რების ტრიალსა, და თუ ისინი ვერ მოვიგდე როდისმე ხელში,
სხვებს ხომ ბლოვად შეეხვდები!. რამდენია ამ ქვეყანა-დ ჩემზე
უღონო, სუსტი; მათ ჩავაფრინდები კლანჭებით, მათ სისხლ
დავლევ, მათზე ვიყრი ჯავრსა!. მაგრამ ჩემი შურისძიების უმ-
თავრესი ძალა, მამაკვდინებელი შხამი კი მუდამ თქვენთვის მექნება
დამზადებული, თქვენთვის, წყეულო თავადებო, და წყეულ-შე-
ჩენებულია აზნაურებო!. ჩემი სული მხოლოდ მაშინ იგრძნობს
შვება-ლხენასა, როდესაც თქვენს კვნესას გავიგონებ; როდესაც
თქვენს გულსა და თირკმელს ნალვერდალში შევხრაკამ და შევ-
ჭამ.“ ბოროტებით სავსე ანთებულ თვალებს ვიუვით აბრიალე-
ბდა და, სისხლ-მორეული მხეცივით, წამ-და-უწუმ აკრაჭუნებდა
კბილებსა. შორიდან რომ შევეხედნათ, გეგონებოდათ, ამ სკამზე
გააფთრებული, ფეხებ-შეკრული ნადირი წევსო. ის მადლიანი
შუქი, რომელმაც ცემის ღამეს ისეთი სასიამოვნო ნათელი მოჰ-
ფინა მის ჩაბნელებულ სულიერ არსებას; ამ ეამად თითქმის სრუ-

ლიად ჩამქრალიყო: ოდნავ, ოდნაელა ბეუტავდა საცოდავადა. ახ, ნერავი იმ ბედნიერს, რომელიც შეიძლებს შენთან მოსვლას; რომელიც დაპირებს თავის ძლიერ სულს შენს დაფერფლილ ნაკვერჩხალს, გააღვიერს, გააძლიერებს და გადააჭცევს მას მზესავით ცხოველ და მანათობელ ჩირალდნადა.

xi

ჩვენი განდევნილ გაქცეული გმირი ჩაბდანდა საგუბერნიო დიდ ქალაქში და მეორე დღესვე გამოცხადდა თავბის ძველ უწინდელ ხელმძღვანელთან. ამას დაწვრილებით უანბო ყველაფერი, რაც კი თავს გადახდა პროცენტისა. არ დაუმალავს არც ერთი, თავისგან ჩადენილი, საძაგლობა, რომელსაც სტატობის სახელით იხსენიებდა. სახელოვანმა ვექილმა ყოველივე ესე გულ-დამშვიდებით მოისმინა. არც მის თეალებს და არც მთლად მის სახეს ამ დროს არ დასტურებიათ სულ მცირეოდენი უსიამოენო ზეგავლენაც კი გაგონილი ამბებისა. ცხადადა სჩანდა, რომ თვითეული მათგანი მას ეხატებოდა და იმ გვარსავე ჩვეულებრივ მოვლენით, როგორიც არის, მაგალითად, დამთქნარება, სუნთქვა ჰაერისა, მოძრაობა და სხვ. ამიტომაც, როცა მუაუნაშეილმა თავის მოთხოვნა გაათავა, მან ძმურ-ამხანაგურად დაადო ხელი მხარზე და ღიმილით უთხრა;

— გამოცდა გკლებია, ჩემო მიხაკო, გამოცდა! მხოლოდ ერთი რამ არ გეპატიება, ერთი რამ მოგსვლია ღიდად სათაკილო, ყველა ვექილისათვის სასირცხვილო! ეს ისა, რომ იმ ტეტია სოფლელმა ნადირებმა ისე როგორ მოგატყუილეს?! გამოცდა, გამოცდა ძრიელა გკლებია... უაი იმათ ტყავსა, რომ შენ მაგივრად მე არ ვიყავ! იმათგან დაგებულ მახეში, მათვე გავაყოფინებდი თავსა და მერმე ისე, რომ ერთმანეთი ხანჯლებით აეჩეხათ! დიალ, გკლებია...

— დიალ, ჩემო ერთად-ერთო კეთილის-მყაფელო, იმედო და მფარველო! — მიუგო ამაზე მუაუნაშეილმა, — გამოცდილების

გარდა, სხეაც ბევრი რამ მაკლია. ვისთან შევიგსებ ამ ნაკლსა, თუ არ თქვენთან. ნება მიბოძეთ, რომ ეს წელიწადი თქვენი მფარველი კალთის ქვეშ გავატარო!

— დიღის სიამოვნებით! — უპასუხა ვეჭილმა, — მხოლოდ ჯერ-ჯერობით შინ უნდა იმუშავო. ეჭვი არ უნდა, გაზეთებში დაბეჭდავენ შენს თავ-გადასავალს, ამიტომ არსად არ უნდა გამოჩნდე. ორიოდე თევის შემდეგ ყველას შარშანდელი თოვლივით. მიავიშუდები... მერმე კი თამამად გამოხვალ კარზე და გაჭრევი, საზოგადოებაში, სადაც ისე უნდა დაიჭირო. თავი, თითქო ბუზიც კი არავის აუფრენია შენთვისა... ყოჩალად იყავ! მთელი ჩვენი საზოგადოება სულ დიღრონ-დიღრონი არამზადებით არის სავსე. შენი ამბები მათ საქციელთან ბავშვის ტიკტიკად გამოჩნდება. შაშ ვისი უნდა შეგრცხეს? ვის წინ უნდა ჩაღუნოთავი? ნუ შეუშინდები იმ ვაჟბატონებსაც, რომელნიც პატიოსნებაზე, სინილისზე და სხეა ამ გვარ რამე-რუმეებზე ხმა-მალლა ჩხავიან. იკოდე, რომ ყველაზე დიღი და გაქნილი არამზადები ესენი არიან! უნდა ერთი რამ კარგად დაიხსომო! რამდენადაც ცუდი იქნება შენგან ჩადენილი საქმე, იმდენადვე უნდა. სითამამე-გაშბედაობას მოუმატო. ზოგჯერ ურცხვობას გმირულ თვისებადა რაცხავს ხალხი. ესე მოიქეც და მაშინ დაინახავ რაც მოხდება. ნუ გეშინიან! ისე დაგატრიალებ, როგორც სოფლელმა დედა-ბერმა. ჯარა! იქნები ჩემ თანაშემწედ: შენ ივლი სუდებში, მე ოკრუენოი სუდსა და პალატაში. ვინდა დაგვიდგება წინა!

ასე და ამ გვარად დაწყეს თავიანთ მომავალი საქმეები ამ ორმა ღირსეულმა მეგობარმა, ტა თითქმის იმავე საათში იწყეს მათი სასურველი მართვა-წარმოებაცა. მიხეილ ბეგმა, როგორც იყო, თვე ნახევარი გაატარა შრინაურ მუშაობაში, შემდეგ კი ველარ მოითმინა: გააღო დახურული კარი და, თანახმად ზემოდ აღნიშნულის დარიგებისა, ამაყად გამობრძანდა გარედ-იწყო სიარული დაბალ სასამართლოებში, რომელ შიაც თითქმის ყოველ ცისმარე დღეს იცავდა რაიმე საქმესა. თუმცა ჯიბე

ცალიერი არას დროს არ რჩებოდა, მაგრამ გული კი მაინც გულის ადგილს არა ჰქონდა. მოგეხსენებათ მნიშვნელობა ჩეეულებისა! თუმცების ხვეტას გაჩეული დღეს მანათიანების შონას არა თუ არა სჯერდებოდა, არამედ თაქილობდა კიდეცა. ამის გამო ყოველ წამს იგი გრძნობდა რაღაც გამოურკვეველ მოუსვენრობას. ესეთი მდგომარეობა ხანდისხან ისე გაუმწვავდებოდა, ისე შეაწუხებდა ხოლმე, რომ მზად იყო ყოველივე აქაურობისათვის მიეფურთხებინა და იმავე წამს გაქცეულიყო სადმე. მაგრამ თავის მფარველის წყენისა ეშინოდა, რისგამოც გულის თქმას ებრძოდა, თავს იკავებდა. ასე, რის ვაი-ვაგლახით და ჭაპან-წყვეტით, გაატარა, როგორც იყო, ერთი წელი-წადი. ახალი წლის დამდევს კი ვეღარ მოითმინა: წამოიკიდა თავისი გუდა-ნაბადი და გამოვარუა ქალაქიდან. ჩაჯდა რკნის-გზის მატარებელში და გასწია. საიმ? ეს პირველ ხანებში თათონაც არ იცოდა. იჯდა რკნის გზის ოთხში და ისეთის აღზებულის მოუთმენლობით მოჰქმდა წინ, თითქმ შეყვარებული ჭაბუკი თავის სატრფოს სანახავად მიეჩქანებათ. ასე ირბინა მთელი დღე და ღამე. შეორე დღით თავი ამოჰყო საქართველოს ერთ განაპირო მხარეში. აქ მან, რასაკვირველია, სამაზრო ქალაქს მიატანა. დაბინავდა თუ არა, მაშინადვე აქაც იგივე ინიები გაიმეორა, რაც უკვე ჩადენილი ჰქონდა წინადა. მის საუბედუროდ, აქაური ქართველები ისეთი ქრისტეს ვირები. არ აღმოჩნდნენ, როგორებიც ენახა სხვაგანა. ამის გამო მისი მიბანება და ბრუელ-ბრუელი სიტყვების რახა-რუხი თითქმის სრულიად შეუმჩნეველად დარჩნენ. ორი-სამი თვე გავიდა და ჯერ არც ერთი ხეირიანი საქმე არავის არ მიენდო მისთვის. ის გაოცემით ხედავდა, რომ აქ თითქმის ყველამ, მასზე არა ნაკლებ, იცოდა ყოველ გვარი კანონიერი ხრიკები და გაძრომ-გამოძრომა... და, მაშინადამე, მისი დახმარება ამ მხრივ არავისთვის საჭირო არ იყო. სამი თვის შემდეგ ჩაილაგა თავისი პარგი-ბარხანა და ერთ ღრუბლიან დღეს გამოსწია ჩეენი სამაზრო ქალაქისა-კენ. თავისუფლად მობანდა ზემოხსენებულ ქალაქში; უმთავ-

რეს ქუჩაზე დაიქირავა სამი სუფთა, მოზღიული ოთახები, რო-
მელნიც ახლად ნაყიდი ავეჯით კოხტად მორთო და მოაწყო.
შეორე დღესვე ნახა ყველანი, რომლებთანაც მას რაიმე დაძო-
კიდებულება ექნებოდა მომავალში. გაიცნო ზოგიერთი გავ-
ლენიანი მოქალაქენიც; ხოლო ერთი კვირის შემდეგ გამართა
სანაქებო, ჩინებული ხადილი, რომელზედაც მოიწვია ყველა
ახლად გაცნობილი მოხელენი და მოქალაქენი. საზოგადოდ,
როდესაც კი ქეიფზე იყო, დიდი მოლხენა იცოდა ჩვენმა მი-
ხეილ აღამ, მაგრამ მოხსენებულ დღეს თავს-თავსაც კი გადა-
იჭარბა მასპინძლობითა, მხიარულობითა და პურალობითა. შეუ-
სადილი ჯერ არ იქნებოდა, როდესაც მან მოიტანა ლამაზი
ყუთი, გაალო და იქიდან გადმოაწყო სუფრაზე ვერცხლის
მშეენიერი თასები, აზარფეშები, ჰატა-ჰატარა, ოქროში დაფე-
რილი, ჯამები, ბროლის ყანწები, ვეებერთელა ჯიხვები, ვერ-
ცხლით მოჭედილი რაკრაკა კულები. ხაუცხოვო კახური ღე-
ნით უკვე შექეიფიანებული სტუმრები სამხიარულო კიურით
მრეგებნენ ყველა ამას. ვისაც რა უნდოდა, ის აიღო ხელში და
გხიაღდა მაჩა-პაპური სმა და ლხინი. საზანდრებმა მოუმატეს
თარისა და ჭიანურის ეშხიანად დაკვრას; მასპინძელმა დასძახა
ამ საკრაევს და, თუმცა სმა მაღალი არა ჰქონდა, მაგრამ
ჩინებულის კილოთი იმლერა რამდენიმე სპარსული ბაითი. მას
აჰყენენ სტუმრებიცა და მთელი არე-მარე იმ სახლისა, ალტა-
ცებულ მხიარულების ურიამულმა დჰფარა. საღამო უაშე ყინუ-
ლიდან აღოღებულმა შუშეუნა შამპანიურმაც იწყო ტკაცა-
ტკუცი ოთახში. სადილს მიჰყევა ჩაი, ხოლო ჩაის შემდეგ გაიაღ-
და ქაღალდის თამაშობა. მასპინძელმა ჯერ მომრიგებელ მოსა-
მართლესთან ითამაშა და მოაგებინა მას ოცდახუთი მანქოთ;
მერმე მაზრას უფროსთან და აქაც თუმანი წაგო.. ამგვარის
მასპინძლობით, ოსტატური ქცევით და ლაპარაკით მუაუნა-
შვილმა ერთბაშად მოხიბლა და მოინადირა მთელი იქ დამს-
წრე საზოგადოება. ქალაქში გაისმა ახალი „აღვოკატის“ ქება-
დიდება. გასითხოვარმა ქალებმა იწყეს მის ფანჯარების წინ

სიარული, სეირნობა; საქმის მქონე ხალხი მიაწყდა მის კაბინეტს.
ბედ-ილბლის კუდიანმა ანგელოზმა კვალად მიიბრუნა სპასოვი-
ჩისაკენ თავისი მაცდური, მოღიმარე სახე.

ს. თ—ა

(შემდეგი იქნება)

ՅՈՒՆԻՑԻԱՆ

ՅԱՏԱՑՅԱ ԹԱՐԱՎԵՇՅԱ

ՆՐԵՆԱ: Ըստակացած և մռնածութած մյարշ մռյմյածած.

ԲՈՐՅԱԼՈ ՍԱՆԱԿԱՅՈ

ՏԵԽ և ԿՈՅԱ

(Քան ՆՐԵՆԱՑԵ մարդենով ՆԵՋԻՆ և ՏԱԱՏԱԿԵ ԲԵՄԱԾ, ՀԳ-
ԴՐԵ ՍԱՑՈՂԱԾԱԿԵԾ և ԱԿԿԵՆԱԿԵԾ.)

ՏԵԽ. ԾԱՐԵՑ ՄՈՒՀԻՇ և ՄՈՒՍՎԵՆԵՇ, ՄԵՎՈԼՈ! ԸԱԽՎՈԼՈ ՑԱ-
ԼՈ, ՑՇՐՈՄԵԼՈ ԿԱԿՈ ԿԱՐ; ՄԵՆԿ ՍԱՅՄԵՅՑՈ ՑԱԿԵՑ...

ԿՈՅԱ. ՄԵ, ԾԱՐՈՆՆ, ՕՄ ՑՈՒՄՈԽԱԿ ՄՆԱՇԱ ՎԱՐ, ՀՎԱՐՈ ԸԱՑՈՒ-
ՐՈ, ՌԱ ՀԱԼՈԽ ՄԵՌՈԼԱՆ ԸԱՑՐԿՈԼԵՑ ՕՐ ՈՅՄԵՅՑԱ.

ՏԵԽ. (ԿԵՐԵ ՄԱՐՄԱՐԵԿԱ.) ՀԱՌ, ՀՈՎՈՒՐԱ?

ԿՈՅԱ. (ԵՄԱ-ԵՄԱՌԱ.) ԸԱՑՐԿՈԼԵՑ ՌԱ ՕՅՄԵՅՑԱ-ՄԵԴԵԿԻ ՀԱԼՈԽ
ՄԵՌՈԼ.

ՏԵԽ. ՀԱՌ ՄԵՌ ՊԵԿ ՊԵԿ! ՄԵ ՎԱՐԿՈՑ, ՀՈՎՄ ԻԵՄՈ ԵԼՈԿԱ ԸՈՒ-
ՐԱԿՄԱԿՈՎՈԼՈԽ ՄԵՆՇ. ԱՆ ՀՈՎՈԽ ԸԱՑՈՒՄԵՑԵՑ, ՄԵՎՈԼՈ?
ԵԱՑՄԱՎՈԼՈ, ՑՇՐՈՄԵԼՈ ՎԱՐՈ, ԿԱՌ ԿԱՍՈԵՐԵՑԵԾՈՍ, ԵՒՆԱ-
ԿՈՒՄՎՈԼՈ... ՀԱ ՎԵՆԱՌ, ՀՈՎՄ ԴԱՎԱԾՈ ԱՌԱ ԿԱՐ! ԱՆ ՀԱ-

განძია ამ დროში ცარიელი გვარიშვილობა, როდე-
საც სწავლა გამეფდა!

ნიკო. რა, ბატონო! მე იმას კი არ მოგახსენებთ, რომ ელი-
კო მწუნობდეს; პირიქით, სიტყვაც მომცა, თუმცა
მშობლებმა ჯერ ეს არ იციან... მე იმას მოგახსენებთ,
რომ ვაი თუ გადააბირონ, აზრი შეუცვალონ!..

ანა. (გერ გაიგონებს.) რას ჩააცივდი აზნაურობას! რით ვერ
გაიგე, რომ დიდი გვარიშვილობა დღეს ბევრი ფუქ-
სავატი ადამიანის შემარცხვენელია!..

ნიკო. (მაღლა.) მავას არ მოგახსენებთ. ელიკომ სიტყვა მომცა,
რომ ცოლად გამომყვება.

ანა. პო-და, სხვა რადა გინდა? ელიკო სხვა ფარჩის ნაჭერია:
თუ სიტყვა მოგცა, თავის დღეში არ გადავა. ჩხო-
ლოდ; შვილო, საქმეს დაბოლოვება უნდა, შენ ჩვე-
ნი ძეირფასი სტუმარი ხარ ყოველთვის, მაგრამ ხალ-
ხი სხვას იტყვის... ელიკოს ძეგი, შენი ამხანაგები,
აქ რომ იყენენ, სულ სხვაა: იტყვიან, ამხანაგებთან
დადისო, თორემ მარტო გასათხოვარ ქალთან ხშირი
სიარული პრ რის კარგი. თუმცა შენი პატიოსნების.
დიდი იჩედი მაქვს, მაგრამ მწარე მოგონება ძალიან
მაღრანებს... .

ნიკო. აკი შოგახსენეთ, ამ წუთშიაც მზად გახლავართ ჯვარის-
საწერად, თუმცა მშობლებთან არ მომიღაპარაკნია... .

ანა. მშობლებთან შოლაპარაკება საჭირო არ არის, თავის დრო-
ზე გაიგებენ. იმათ ისეთი იმედი აქვთ ელიკოს ჭყუ-
ისა, რომ გლახაც რომ შეირთოს, ხმას არ ამოიღებენ.
იციან, რომ ელიკო ჭყუს არ წააგებს. საქმე ქალია... .

ნიკო. აი ეხლაც იმიტომ გიახელით, რომ უკანასკნელად გა-
დაგვეწყვეტა საჭე, რადგანაც სოფელში გიახლებით
და შეიძლება, ორ კვირასაც ვერ ვნახო. ეხლა იქ გა-
ცხარებული მუშაობაა. ამასთანავე ამხანაგები მიმყავს
ჩემი ნამუშავარის დასათვალიერებლად.

ანნა. როდის მიღწეარო?

ნიკო აი ეხლა, ბატონო, თრი საათის შატარებლით. (საათს ნისავს).

ანნა. ელიკო რომ ქალაქში გავიდა! უი, შენ ჩემო თავო! შაგ-
რამ ვეტყვი, რომ მოგწეროს. შენ ეს მითხარი, სიტ-
ყვა ხომ მოგცა?

ნიკო. როგორ არა, ბატონო, თურ რომ... (აქო) ეს იმას კი
აღარა ფიქრობს, თუ როგორი ძლიერი მეტოქე მყავს
— მალხაზი!

ანნა. ჰო და, სიტყვა მოგცა, სხვა რაღა გინდა? ის ემზადება,
შენც შენებურად მოემზადე. შეგატყობინებთ და ჩა-
მოიჩაბენ...

ნიკო. მე ყოველთვის მზად გახლდებით.

ანნა. (ჩაფიქრდება, ბუჭნუოს სწერს) ჰ... ერთი რამე უნდა მეთ-
ქვა შენთვის. სკვლილ-სიცოცხლეა... რა ვიცი, იქ-
ნება დამავიწყდეს და მერე ვეღარ გითხრა... იქნება
მოვკვდე კიდეც... (მაღლა აიხედავს სასოებით) „სასუ-
ფეველსა შენსა მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხე-
დე სუფევითა შენითა“! (ზირჯეარს გამოასახავს). ჰო,
ის უნდა გითხრა, რომ დღეიდან შენ ამ ოჯახის შვი-
ლი ხარ, და ამიტომ საჭიროა იცოდე ამ ოჯახის
საიდუმლოც... ამიტომ რომ ხორციელი ადამიანი
მომაკვდავია და ვინ იცის, რა მოხდება...

ბიჭი. (კარჯებს შემთაფებს) ბატონო ნიკო, ყმაწვილები გთხოვენ
ერთ წუთს.

ნიკო. უოხარი, ეხლავე-თქო!

ბიჭი. გვიანდებაო, საქმე აქვთ.

ნიკო. (ანნას, იმას ან ემის) ერთ წუთს... უკაცრიაოდ! (ჩქარა
გადის).

ანნა. (ნიკოს გასკლას ეკრ შენიშნავს და განაგრძობს). მე დამაბე-
რა და დამაყრუა შენი სასიდედროს,— ჩემი ევგენიას
საქმე! მაგისი დედ-მამა ხომ დარღმა გადაიტანა....

(სასოებით) „განუსვენე, უფალო, მათ, სადაცა იყო
მართალნი განისვენებენ!“ სადღაც სახითათოდ გაეტ-
ნო ევგენიას ერთი უცხოელი აფიცარი და გაგიუე-
ბით შეჰყვარებოდა. აფიცარმა ქალი ითხოვა, მაგრამ
მშობლებმა უარი უთხრეს: ვინ იცის, ვინ იყო, უპა-
ტრონო!.. სიყვარულმა თავისი არ დაიშალა და ქა-
ლი ფეხ-მძიმედ შეიქმნა... მოეჭრა თავი დიდებულს
ოჯახს! ამ ხანებში ის აფიცარიც ჩეენის მხრიდან სა-
დღაც მოუსავლეთში გადაიყვანეს. ქალს ლოგინო-
ბის ტრო მოუვიდა და იმისი სოფელში შენახვა
შეუძლებელი გახდა. მთლად მიწასთან გავსწორდე-
ბოდით! ერთ ღამეს ჩავალაგეთ ბარგი, ჩავისვი ქალი
და საწყალი ჩვენი ერთგული ვანუა—ბიჭი.. უმოიხ-
სენე, უფალო, წიაღსა შინა აბრაამისასა!.. და გავ-
სწიეთ ქალაქს, ვითამ რამე შავადმყოფობის საქა-
მოდ. ქალაქში სასტუმროში ჩამოვხდით.. საწყა-
ლი ვანუა ბიჭი... დიდი გამჭრიახი კაცი იყო განს-
ვენებული... ქალი დაგვიწვა ლოგინზე; ეყოლა მშეე-
ნიერი ვაჟი. ერთი კვირა კი შევინახეთ, რადგანაც ჩვენე-
ბური არავინ არ იყო იმ სასტუმროში, და როდე-
საც ჩვენებურები გაჩნდნენ, მაშინ დამალვა ძნელი
იყო. ერთ უკუმეთ ღამეს ავდექით მე და ჩვენი ერ-
თგული ვანუა და ეს საყვარელი ბავშვი წაეიყვანეთ
და კიბეზე დავუგდეთ სფირიდონ ზურდმაგარაშვილს,
თანაც შორიდან ვდარაჯობდით, რომ ბავშვი ძალებს
არ მოეტაცნათ. კარგად ვიცოდი, რომ სფირიდონ
მხენე და ჭკვიანი კაცი იყო და ამასთან უშვილო... იმათ
ბავშვი იპოვეს და გამო ზარდეს, და აი ეხლა ხომ ხე-
დავ ჩვენ საყვარელ მალხაზს?.. ჩვენ მოვნათლეთ და
ალექსანდრე დავარქვით, გვეშინოდა, მოუნათლავი
როგორმე არ მომკვდარიყო. სფირიდონს მალხაზი
დაურქმევია. მას აქედ იმას თვალს გადევნებდი, და
აი ყოველ ფლე ვხედავ ჩემს ამაგდარს. ერთი ეგეც

დაბინავდეს და მაშინ სიკვდილს არ ეინალვლი... ეხ-
ლა არ ვიცი, ევგენიას გავუშნილო თუ არა! იმან
არაფერი არ იცის, რა ვუყავით ბავშვს, შეწუხებუ-
ლი იყო, და კითხვას როგორ გამიბედავდა შიშით,
მთელ ოჯახს ყელები დასჭრა. შემდეგ წავედით სო-
ფელში; მაგრამ ხალხს რა დაემალება: ქვეყანა ეჭვის
თვალით გვიყურებდა. ამ დროს იღბალზე ჩვენ სო-
ფელში გრძვია თავის ამხანაგს ჩემი ღიმიტრი, აი ეს
შენი სასიმამრო, ახალგაზდა აფიცერი იყო მაშინ.
სტუმრობაში გაიცნო ევგენია და ისე საშინლად
მოეწონა, რომ სოფელს არ გამოსცილებია, ჯვარი
გადაიწერა. აი ეს საიდუმლო მინდოდა მეთქვა. (ბურ-
ნუთხა სწერს).

ნიკო. (ჩქარა შემოვა და თავის სკმთან განერდე) უკაცრაოდ,
ბატონო, ვერ პოვისმინეთ ლაპარაკი, ამხანაგებმა და-
მიძახეს.

ანნა. (მოიხედავს, კერ გაიგონა) რას წიმოხტი? შენ სხვა აზრი
კი არ ვაივლო თავში! ვერა ხედავ, რა ოჯახია, რა
შვილები ჰყავთ? რა ვქნათ...

ნიკო. (საათს დაჭურებს) რა ბძანებაა, ბატონო? მეშურება, ყმაწ-
ვილები ჩიცლიან.

ანნა. წადი, შვილო! რაღ უნდა დარჩე? როგორც გითხარი,
მოგწერთ.

ნიკო. (ხედს აძლევს) ელიკოს გარდაეცით ჩემი სალამი! ნახ-
ვამდის. (ხელზე ჭროდნის).

ანნა. უჩემოდ ამ სახლში ჩხირიც არ გადაბრუნდება!.. ელიკო
შენის მეტს არავის არ შეირთავს!.. გზა მშვიდობისა!
(თავზე ჭროდნის).

ნიკო. მალე გნახავთ. (ჩქარა გადის).

ანნა. (მარტო. ჩაფიქრდება) მითომ იუკადრისა ნიკომ ჩემი ნაამ-
ბობი? ახლა რა ვქნათ!.. ყმაწვილი იყო და შესც-
და.. მართალია, ძალიან ცუდი, ლვთის და კაცის

საწყენი საქმე ჩაიდინა... მაგრამ უცოდველი ვინ არის!.. ახლა ახალი საფიქრებელი ეს გამიხდა: გავამუღავნო თუ არა მაღაზის ვინაობა? ვაი თუ, ოჯახი აიწერს! არა და... ვინ უწყის, რა მოხდეს ერთს სისხლში და ღვიძლში!.. ნიკას ხომ ყველაფერი ვუამბე, დექ, მარტო იმან იცოდეს; ისიც ხომ ამ ოჯახის შეილია, როგორათაც სიძე. ახში მაინც არ დაიმალება, გამომუღავნდება ყველაფერი, სიჩუმე სჯობია ცოდვის შვილნი ვართ, ცოდვითა და ტანჯვით გაჩენილნი... (მაღლა ახედავს,) უცოდველი მხოლოდ ღმერთია! დიდ არს სახელი უფლისა აშ. და მარაუის. (ჰირჯვას იწერს).

მეორე სანახავი

“გზა, გლიგო და დათოვო (ნაგაჭიებით).

დათოვო. (ნაგაჭის დააწეობს, ქუდი, მოიხდის და სტოდზე დანარცხებს) უიმე, დედავ! მოვკვდი ამდენი თრევით! (ელივას) კაცი არ უნდა გამოგყვეთ თქვენა! რასაც ესენი დადიან! ახლა ამათი ჩაჩიობა-ვაჭრობა! ორი მანეთი რომ დაუფასონ, ექვს შაურს შეიძლევნ!.. უიმე, უიმე! დავიწვი, კაცო! სირცხვილით დავიწვი, ღმერთს გეფიცებით!..

ანნა. (ელივას) შეილო, სად იყავი, რა ივაჭრე?

ელივო. (შლიაპას მოიხდის) რა ვიცი, რაღაცეები!..

ანნა. (ბერნუთსა სწევს) ჰო, რა უნდა შეთქო, შვილო ელიკო! ნიკო იყო ეხლა აქა, შენი ჩახეა ძალიან უნდოდა, მოუთმენელად გელოდა.

ელივო. (საჩქაროდ) მერე რა იქნა? სად წავიდა?

ანნა. (კერ გაიგონებს) ჰო, გელოდა-მეთქი.

ელივო. (დაუკარის) სად წავიდა?

- ანა. (არ ესმის.) უკანასკნელად უნდა მოველაპარა-
კოეო...
- ელიქო. (მოუთმენჯად.) სად წავიდა, როდის მოვა?
- ანა. მე სრულიად მზადა ვარო, ოღონდ წერილი მომ-
წერეთო...
- ელიქო. (გაბრაზებული.) ოჰ, ღმერთო ჩემო!
- დათიქო. (მიგა ახლოს და ყურში.) ეეე! ნათლიდედ! კლეოზნი-
კო, სად წავიდაო?
- ანა. სოფელში წავიდა, შვილო, სოფელში. მოიწერეთო
ამბები...
- ელიქო. როდის ჩამოვალო?
- ანა. ამხანაგები მიჰყვანდა, ჩემი მამული უნდა ნახო-
ნო.
- ელიქო. (გულგაწვალებული) დათიკოჯან, გენაცვალე, ჰერთე,
ამდენი ყვირილის თაერ არა მაქვს!
- დათიქო. თავი დამანებე, შენ გაზდასა! კაცო, ამის ყვირილში
ჭიპი ჩამვარდა!
- ანა. როგორც კი მზად იყოთ, მომწერეთ და ჩამოვალო.
ამხანაგები მიჰყავდა...
- ელიქო. ეჸ, ერთი შენცა! (შეჭტეგს). რა დროს ვაჭჭალია! მშიე-
რი ძალლივით კუჭი მეწვის შიმშილითა!...
- ელიქო. (ხვეწით) სანამ დაბრუნდები, მე საუზმეს მოგიმზა-
დებ.
- დათიქო. (ალექსით) ელიკოჯან, გენაცვალე, შენ ხომ ჩემი სა-
კუთარი და ხარ! გამიგონე, რომ ვერ მიუსტრებ. კა-
ცო, რა ჯიუტი რამა ხარ! განა მეზარება წასვლა,
ბაგრამ გვიან არის: მატარებელი ორ საათზე გადის
და ეხლა კი სამის ნახევარია.

ელიგო. მაშ წერილს დავწერ, და ეხლავე ფოჩტაში უნდა ჩააგდო (წამოავლებს სეჭს ნაკაცს, შლიაპას და თავის ოთახში შეკა საჩქაროდ).

მესამე სანახავი

ანნა და დათიგია

ანნა. (თავისთვის) მოიწერეთ და ჩამოვალო, ქა, მაშ საქმეზე არ უნდა წასულიყო?

დათიგია. (მიუახლოვდება) დეიდა!... (დაიუკირქებს) დეიდა ანნა!

ანნა. (მოიხედავს) ქა, რა გაყვირებს?

დათიგია. რა მაყვირებს, არა-და ჩურჩულით ბევრს გაგაგონებ აი! (მაღლა) პური მშიან, პური! გექნებათ რამე. ელიკომ მთელი დღე ძალლივით მათრია.

ანნა. საღილი მალე იქნება, შვილო!

დათიგია. რას ამბობ, კაცო, როდის მალე? თქვენ ხომ საღილთ უკანა სკამთ საღილს — ნ საათზე, სანამ რა გამაძლებინებს!

ანნა. ელიკოს უთხარი და გაჭმეუს.

დათიგია. ლვინო, დედი?

ანნა. (უკმაყოფილოდ) სულ ლვინო და ლვინო! რა გახდა ეგ ლვინო?

დათიგია. (სკამთან დაუჩოქებს და ეალერსება, თავს გულზე დაადგებ) მაშ, დეიდა, გაგიგონია, რომ ქრისტიანი უმიზვნოდ მოინათლოს?

- ანა. (ქოჩორზე ხელს უსომს და კალერსებინა), ღვო ბადავს უოველ გვარ ურიგობას და უწესოებას...
- დათიკო. (იქით) ეე, შენი რჯულიც დაიქცა! ეს რა თქთარია! (იმას ადერსით) მაშ უღვინოდ პური როგორა ვჭა-მოთ?...
- ანა. ღმერთიცა და ჭკვიანი კაციც იმის წინააღმდევია, რომ ყარა-მარად ღვინო იხმაროთ!
- დათიკო (მღერის) ამან, აამან, აამან-ეი!... ამან ეი! (იმას ორი-ეს ხელებს სახესთან მიუტანს) რა პარაკლისი დაი-წყე, ადამიანო, ლამის შიმშილით ხელში შემო-გაკვდე!...
- ანა. ჰო, რა იყო?
- დათიკო. (უკირის) შენ კი გენაცვალე, იმიტომ, რომ მარნის გასაღები შენა გაქვს. აბა დაიძარ, კაცო! (მეღავაში ხელს წააკლებს და აუნებს).
- ანა. (ძლიერ ადგება, დათიკო შეკელის) ნელა, ბავშვო!
- დათიკო. (მუშას უთამაშებს ცხვირ წინ) უუ! შენი სიმარდის ჭრიმე! ჯეირანი ხარ რალა.
- ანა. (მიდის) ნუ ხარ ცელქი, შვილო!
- დათიკო. (დრიალებს) ჰაი-ჰააი! დაიძრა იალბუზი! (მიჰყავს ხელ მოკიდებული და თან პირით უგრავს, როგორც ზურნა «საკიდაოს») — ტარანინა-ნაინა... (იქით) რა დარდი-მანდი გოგო მიმყავს საქეიფოდ!... (კიდევ განაგრძობს) ტარაინა ნაინა... (მუა კარებთან რომ მიკლენ, ელიკ გამოვა თავის თთახიდან).

მეოთხე სანახავი

იგინიგე და ელიკო

ელიკო. (უქოდის თავის თთასიდან). დათიკო-ჯან, დათიკო სად
მიღიხარ?

დათიკო. ვა! ვერა შეედავ, რომ მე და ქალთა მზე საქეიფოდ
მივდივართ!

ელიკო. რა დროს ხუმრობაა, პატარა ხანს მობრუნდი!

დათიკო. კარგია, კარგი გავიგე (ანნას ქარებს გაუღებს და მამა-
გალს მიჯურებს) ეხლავე მოვალ, დეიდა! (აცინის და
ტაშს შემოჭერას) როგორ მიგოგმანებს! ხოხობია,
რალა, ხოხობი! (გამობრუნდება, ელიკოს) რა გინდა,
გრძაცვალე?

ელიკო. (წერილს აჩვენებს). აი ეს წერილი ეხლავე ფოჩტაში უნ-
და წაილო, აი ფულიც. ძალიან საჭირო წერილია,
ბიჭს ვერ ვანდობ.

დათიკო. ჰო და კარგი. დამაცა, ერთი ლუკმა შევჭამო...

ელიკო. ეხლავე მოირბენ, ფოჩტა ხომ ახლოა...

დათიკო. ვისთან არის?

ელიკო. ნიკოსთან. ძალიან საჩქაროა.

დათიკო. ეგ ხომ გავიგე, რომ საჩქაროა. კაცო და, ფოჩტა ხუთ
საათზე მიღის...

ელიკო. ვიცი, მაგრამ მინდა, რომ ეხლავე წაილო. მე მინდა,
წერილი თან მიჰყვეს სახლში, არ დაგვიანდეს.

დათიკო. (დაცინვით) „ჩქარა, ჩქარა!“ დიდი სახელმწიფო მიწერ-
მოწერა კი გექნებათ!

ელიკო. აბა, შენი ჭირიმე, რა დროს ხუმრობა? ეს წაილე, მო-
ლი, ერთად ვისაუზმოთ და რამდენიც გინდა იხუმრე.

დათიკო. კაცო, მაშ რა ვქნა, თუ არც ვიხუმრო? ფილოსო-
ფიაზე აბა საიდან გელაპარაკო! ჰო, მამა-ჩემი არ წა-
მიწყდება!... თქვენ ნასწავლები ხართ, ჩემო ძმავ, და

სხვანაირი ლაპარაკი იცით; ნახევარი არც კი მესმის ხოლმე. მე კი პატარაობისას ტირაცუების გაზღიული ვარ... აბა რა უნდა მესმოდეს. მერე ვარონენჯის გიმ-ნაზიაში გამგზავნეს, აი იქ რუსეთში,—ასე ეყონა მამა ჩემს, რომ ჩემი ჭკურს საკმარისი სწავლა აქ კი არ მოიპოვებოდა. როგორც იყო რის ვაი-ვაგლახით მესამე კლასამდის მივაღწიე... გამიწყრა ღმერთი, და ახალი დირექტორი დაგვინიშნეს. შემოვიდა თუ არა ჩვენ კლასში, შეტომაჩერდა (ოცდა თრი წლისა ვიყა-ვი), რაღაცა მკითხა და ალბედ რიგიანად ვერ ში-ვუგვი,—ადგა ის ოჯახდაქცეული, არც ჩემ ბიჭობას შეხედა, არც თავადობას და პირდაპირ სთქვას: ამ მხეცს აქ რა ადგილი აქვსო! აიღეს და მესამე კლა-სიდან, გაიგვი, კაცო, მესამიდან პირველ კლასში გა-დამიყვანეს!.. ორი თებეს უკან სულ გამომაგდეს. აი ჩემი სწავლა-განათლება! რა საქმეს უნდა დავადგე, ქეიფის მეტს!

ელიკო. (ლიმილით) შენი ქირიძე, დათიკოჯან, ეს წერილი წაი-ლე! ჩემი ძვა არა ხარ?

დათიკო. შაშ ვინა ვარ! შენი გულისთვის, გინდა, მთელი ფოჩ-ტჲ დავანგრიო?

ელიკო. რისთვის? რის გულისთვის? რა სიყვარული იქნება?

დათიკო. მაშ რა გინდა?... იცი... ერთი ეს მითხარი, რასა სწერ ნიკოს?

ელიკო. მე ესწერ, რომ მიღებს თუ არა ამ წერილს, ჩაბოვი-დეს. გესმის, ჩვენებმა არაფერი არ იციან: მე იმის. სიტყვა მიეცე შერთვისა...

ნიკო. (სამოვნებით) ძალიან ბიჭია! მაგრამ შალხაზი? ეგძც რომ კარგი რამეა?

ელიკო. მალხაზზე გადავწყვიტე.

დათიკო. მერე ნიკო?

ელიკო. უუკ, რა ვქნა, ესე ჩოხდა. მერე გაიგებ...

დათვე. (გულში მუშტის იცემს) ურ, დედავჯან, რა ძნელია! ეხლა მე რომ ქალი ვყოფილიყვავი, რომელს ვირჩევ-დი საქმროდ: ნიკოს თუ მალხაზის? (ღრევით) რა ვწნა, ეს პირძალლები ორივე რომ კაი ბიჭია! ღმერთმანი!.. ვაი დედასა, რომ არ იცი, რომელი აარჩიო!.. (ორივე ხელს ცხვირთან მაჟტანს) კაცი! შე თათარო, შენა, ორივეს სიტყვა მიეცი, თუ როგორ არის საქმე? მითხარი და!

ეღიგო. (მოუთმენლად) მერე ყველაფერს გეტყვი, გასწი, წაიღვ ეს წერილი!

დათვე. (მიდის. ააგდებს ჭედს და თავს შეუშექს, თან შემოს-ძახებს) „ალსდეგ, თამარ დედოფალო, სტირის შენ-თეის საქართველო“... (გადის და კუჭისებიდნაც მო-ისმის სიმღერის ხმა).

ეღიგო. (ჩაფიქრებული და არჩება) ღმერთო! რა ბავშვები ვართ ხოლმე სწავლის დროს: როგორ იცისკროვანებუ-ლად, ტკბილზეტარებად მიგეაჩინია ხოლმე სიცო-ცხლე და ცხოვრება! გამოჰყობ ქვეყანაში თავს და ყველა ეს ზმანება უკუ იქცევა!.. ჩემზე მაგარი ხასიათისა, კერპი და ჯიტრი არავინ არ მეგულებო-და ჩემს ნაცნობებში, მაგრამ... ერთმა არა ჩეეულებ-რივმა მოვლენამ მთლად გარდაქმნა ჩემი ხასიათის სიკერპეცი, ჩემი ოცნებაც, თვით ჩემი მიმარულებაც. (ავგანია).

მეტუთე სანახავი

იგივე და გგბენია (მაჟცხნივ გამოდის).

ეგბენია. რას აკეთებ, შვილო?

ეღიგო. არაფერს. დათიკო სხვაგან გავგზავნე და იმას ველი.

ეგბენია. სად სხვაგან?

ელიკო. ფოჩტაში. წერილი გავატანე.

ეგბენია. რა წერილი, ვისთან?

ელიკო. ნიკოსთან. აქა ყოფილა, თურმე ჩემი ნახვა უნდოდა, და ვერ მოვუსწარი; სოფელში წასულა. შაფერობას ვსთხოვ.

ეგბენია. რატომაც არა, კარგია. შენი ძმების ამხანაგია და ჩვენ სახლში შეილივით შეჩვეული. რა უნდა მეთქო, ქალო... არავინ არ დაგავიწყდეს დასაპატავებლად. სია შევადგინე, მაგრამ არ ვიცი, ყველანი მოვაჭრიე თუ არა. აი მოვიტან და გადაათვალიერე: თუ აკლია ვინმე, ჩაუმატე. დღესვე უნდა გავუგზავნოთ. (ოთახში შევ).

ელიკო. (მარტო) რომ იტყვიან, ორ ცეცხლ შუა არისო, სწორედ ჩემზე არის ნათქვამი: რომელი ერთი დავომა?! ჩემი იდეალი ნიკო არის! ჩემი იდეის მისახვევად მხოლოდ მისი მეგობრობა არის საჭირო... მეორეს მხრით ვერ წარმომიდგენია, როგორ თავზარს დასცემს ჩემი უარი ცოლობაზე! გუშინ ისეთი მტკიცე სიტყვა მივეცი, რომ სრულიად დარწმუნდა ჩემს თანხმობაში. მაგრამ მალხაზი?! ნიკო კიდევ მოინტებს ამ ამბავს, დამჯდარი და მოფიქრებული კაცია, აუჩქარებელი... მალხაზი? სასოწარკვეთილი, მაშერალი, უმანკო სული, ეული კაცი, რომელსაც არავინ არ გააჩნია ამ ქვეყნად, გარდა ულრძესი ჩემის სიყვარულისა და პატივის კემისა! ჩემი უარი იმას მოჰკლავს, გაანაცრებს... მერე მე როგორ უნდა მოვასვენო! როგორ უნდა შევიწირო უმანკო მსხეურპლი!.. გადავწყვიტე, ნიკოს უარი ვუთხრა, ის ამას აიტანს, თუმცა დიდად შესწუხდება... და ხელი მივცე დავრდომილს, რომ ჩემს ქვეყანას არ შოაკლდეს ერთი უნიჭიერესი ყმაწვილთაგანი. ნიკოს ყველაფერი მივსწერე და ვსთხოვე, არსად არ გაამხილოს.

მეტევსე სანახავი

იგივე და დათიყვა, მერე ეგგენია.

დათიყვა. (ღილინით შემოგა, ჭუდის ბოჭკოთი ღფლს იწმენდს, ასნ
სელით აჩენებს) შიგ უჯრაში ტყაპანი გავადინე!

ელიყვა. რა უჯრაში?

დათიყვა. ფოჩტის უჯრაში რაღა, კაცო!

ელიყვა. როგორა გვინდა, ხვალ მიიღებს?

დათიყვა. მე რა ვიცი, მე ხომ ფოჩტალიონი არა ვარ!

ელიყვა. არა, მაინც?

დათიყვა. (ჯარიბით) ვაიმე, დედაგ! სულთამშუთავი ხომ არა
ხარ, კაცო! მიიღებს მარა, რა შორს ის არის!..

ელიყვა. მაღლობელი ვარ. ეხლა კი წამოდი, საუზმეს გაჭმევ.

დათიყვა. არა... ჰო, ცოტას შევჭამ; საცაა, სადილიც იქნება.
სადილად კი სხვაგანა ვარ.

ელიყვა. სად სხვაგან?

დათიყვა. ჩვენი ვანო აკეთებს სადილს. მართალა, ერთი ხუთი
მანეთი უნდა მასესხო.

ელიყვა. რად გინდა?

დათიყვა. დაპატრეუბული ვარ. მეთქი!

ელიყვა. თუ დაპატრეუბული ხარ, ფული რალად გინდა?

დათიყვა. კაცო! ფაიტონის ფული არ მინდა, ფეხით ხომ ვერ
მივალ, კნიაზი ვარ! ახლა საზანდარი?.. ელიკო, გე-
ნაცვალე, (უკას უწევს) ამ დღეებში ქერს გავყიდი და
ხომ იცი, ერთი ხუთად მოგცემ საქორწილოდ. პირ-
ძალლი ვიყო, თუ მოგატყუილო! შენ არ მომიკვდე!..

ელიყვა. კარგი, კარგი. ვანო ვის უმართავს სადილს?

დათიყვა. აი, ჩვენი ნადენკას ადიუტანტს... რა ჰქვიან ჩმ ოხ-
რად დასახჩენს?

ელიყვა. რას ამბობ, ნადენკას რა ადიუტანტები ჰყავს?

დათივი. რა ვიცი, სულ კი იმას დასდევს და ვისი აღიუტანტია? ელიგო მიხეილის აღიუტანტი იქნება.

დათივი. მეც ეგრე მეგონა, მაგრამ კამანდირს ორმ თვალით არა ხედავს, სულ ცოლს დასდევს. (გაიხარხარებს) ვაიმე, დედავ, რა სეირი იქნება, ესეც რომ მოდაში შემოვიდეს!.. ვაი, საწყალი კამანდირები! ჰო, მე და ჩემთა ღმერთმა!

ელიგო. ახალია? რა გვარია?

დათივი. (ფიქტობს) ახალია. რა ჰქვიან იმ ვერანს?! რალაც უცნაური გვარი აქვს (ფიქტობს) სტაფილო, ბოლო-კი, ჭარხალი... არა... მოიცა, მოიცა... (მოაგონდება) ვიქტორ ჰექტოროვიჩ. უიმე, დედავ, სული შემი-გუბდა. აქ აპირებს მოსვლას ვიზიტად. კაი ბიჭი კია. მგონია ჩეხია, სწორედ არ ვიცი. მე სულ ფრანგუ-ლად ველაპარაკები ხოლმე. (ეკგენია შემოდის).

ელიგო. (დიძილით) მშვენიერად კი ელაპარაკები!

მეშვეოდე სანახავი

იგინდე, ეგბენია, მერე დიმიტრი და მაჯსაზ.

დათივი. მაშ შენ რა გვონია? ასეთს დაუფრანციცულებ, რომ სარეკელასაცით...

ეგბენია. (ხელში ჭალად უჭირავს) აპა, შვილო, სია. (ედუნე ართმევ!).

დათივი. (ეკგენიას) კომან ვუ, პარტე ვუ, მა ტანტ-მაღამ ფუტუ!

ეგბენია. ნეტა არა სულელობდე!.. გადაიკითხე, შვილო!

დათივი. (ესგევა და ხელზე ჭკლცნის) მამიდაჯან, ეხლა მოდაა, ფრანგული უველამ უნდა ისწავლოს და კიდევ იცი, რა? (დანანებით) ახ, სიძე რატომ კამანდირი არ არის, ერთი აღიუტანტი შენც გეყოლებოდა...

ეგბენია, მერე რად მინდოდა?

დათიკა. რად გინდოდა? რად გინდოდა და ჩვენ დანულრეულ
დროშეაში შევაბამდი, ძალიან გამწვევბი არიან!..
(იცინის).

ეგბენია. (დათიკას) ნეტა არ მცედ-მოედებოდე...

დათიკა. სიძე რომ სამსახურიდან არ გამოსულიყო, შენც ადი-
უტანტი გეყოლებოდა! აბა, რაზე აჩქარდა! როგორ
კოხტად იგლიდი, მამიდააქმო, ადიუტანტით! ჰერიი!

ეგბენია. რას გადარეულზარ, ბიჭი! ადიუტანტს რა თავში ვიხ-
ლილი?

დათიკა. ეგ რა ჩემი საქმეა! მოდა არისო. მე რა ვიცი!..

დაშიცრი. (ლაპარაკით შემოდის, უკან მაჯსაზი მოსდევს) შენი
მტერი ნუ გამობრუნებულია, როგორც ჩვენ ვერ გა-
მობრუნდეთ, თუ ძალიან არ ვეცალეთ და თავი ქვას
არ ვახალეთ!.. (თვილს იწენდს, დაკადება).

მაღხაზ. რასაკვირველია, ცდა უნდა, დიდი ცდაც: მოზარდ
ბავშვებს საფუძვლიანი ნიალაგი სწავლისა... (ეგბე-
ნიას ხელზე ჭირობის, ეჭიკოს და დათიკოს სულ არ-
მევს).

დიშიცრი. რა სწავლა, ჩემო ძმავ.. ძალიან დაიქვეითა თავად-
აზნაურობამ! ისევ თუ გამოდიან რამე, ღმერთმა ხე-
ლი მოუმართოთ, დაბალი წოდების ხალხი—მშივრე-
ბი და მწყურვალები!.. ბატონი ვაცმევთ, ვაჭმევთ,
ტყავს ეიძრობთ... ეხლა ჩემ შვილებს რომ მუნდი-
რები და პალტოები აცვიათ... ბატალიონის კამან-
დერი ვიყავი, მაგის ნახევარიც არ მეცეა!.. რა ბძა-
ნება!... სწავლის დროს ხომ რაღა! დელოფლის წყარო-
ზედ ვეყარენით, რუსის სკოლა იყო... ერთი-ორს კი
წაგვაკითხებდნენ, „რასტავნოი უნტერ-აფიცირები“ და
მერე მთელი დღე ბოსტანს გვამარგლინებდნენ: კომ-
ბოსტო ვარო, კართოფილი, ქარხალი... რა უიცი!
ი ეს იყო ჩვენი სწავლა. ახლა ჩაცმა? მაგრამ რა

ჩატმა? სალდათის თეთრ ტილოებში ვიყავით გამოკრულები, ჩურჩხელის პარკებსა ვვვანდით! მაგრამ კაცები კი გამოვედით...

ეგბენაზ. სად მაშინდელი ღრო, დალოცვილო, ხად ეხლანდელი!...

დამძირია. მითომ როგორ?

ეგბენაზ. მაშინ სულ სხვა მოთხოვნილება იყო ყველაფერში, ეხლა სხვაა.

დამძირია. რასა ბძანებთ, რის მოთხოვნილება!.. ჰო-და, ეხლა როგორი მოთხოვნილებაც არის, ისეც ვინახაეთ და ვზრდით ბავშებს, მაგრამ რა გამოვიდა! (მალეაზე) როგორც იქნება, რის ვაი-ვაგლახით მიაღწევენ ეს ვაებატონები (დათივზე) მესამე კლასამდის; გამოცვივიან იქიდან დედ-მამის დაუკითხავად, ჩაიცვამენ ჩიხას, ჩამოიკან კურებენ იარაღს და ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან!.. ნეტა რიგიანი ქცევა მაინცა ჰქონდეთ, ჯანი გავარდეთ, თორემ ნამდვილი ტყის ყაჩალები არიან!..

ეგბენაზ. (თითქო ადერსით. კრიალისანს ათაშიაშებს.) ნუ იცი ხოლმე წუწუნი, საჭმეს გააჭირებ...

დამძირია. როგორ არ გავაჭირებ, ქალო! (მტკიცედ.) დაავეცით, მიწასთან გავსწორდით, თავი მოგვეჭრა!! ახა, ღმერთო ჩემო! (დათივზე) ეხლა ეს ვაებატონი რომ შეიარაღებულა, ერთი მიბძანეთ, ვის ეომება? შემილი, დიდი ხანია, დავიჭირეთ და ყარსი ავიღო!... ქალაქში რა იარაღი უნდა?... რომ დუქნები და ტრაქტირები დალეჭონ მთვრალებმა, მეერლე და პოლიციელები დაჩხონ, უწყინარი კაცი ქუჩაში არ გაარონ... და ბოლოს ციმბირში ამოჰყონ თავი!.. აბა, ეს რა საქციელია! აბა ეს ვის არ დააღრმნებს და არ დაამარებს?

ეგვენაზ. ყველა ხომ ეგჭოთ არ არის!

დამიტრი. სულ ყველანი, შენმა გაზდამ, ვინც შეიარაღებული უსაქმოდ დაეხეტება და ლოთობს.... აი, ბატონო, შენი ძვირფასი ძმისწული... ერთი ჰეითხე, შენ გაზდას, იმდღეს რა ჩაუდენია... (მალესაზე.) მამა ნუ მოვიკვდება, სოჭვი, რას შემომჩიოდა აი ამ წამს ქუჩაში სვიმონი... აი პოლიციის ბოქაული?

მალესაზე. (დამილით.) ცოტაოდენი შეცდომა მოსვლია, მეორედ ალარ იზამს...

დამიტრი. რის ცოტაოდენი, ყმაწვილო, ცემით მოუკლავთ საბრალო მეეტლე, დაუჭრიათ კიდეც!... ის კაცია სვიმონი, თავს იკლავდა: „აბა მიბძანეთ, როგორ მოვიქციო: ჯერ ერთი თქვენი ნათესავია და მეორეც მაგის მამა ჩემი მეგობარი იყოვო, ხმა არ ამოვილო და საძსახურიდან გამომიძახებენო“...

დათივა. (ზიზღით.) დაიკარგოს ქალაჩუნა! გამოაგდებენ არა, იმისმა თავის სიცოცხლემ...

დამიტრი. არა, მაღლობას ეტყვიან, რომ ყაჩალებს ხელს აფარებს!..

დათივა. ვინ ყაჩალებს? რად იცით, სიძე, ხან და ხან უსამართლობა... (თავჩაღუნული ჭედს ათამა შეძს).

დამიტრი. როგორ თუ უსამართლობა? მაში ის იქნებოდა დანაშაული?

დათივა. (გაბუტვით, შებლ-შეკრული). ის იყო მაშ! ამოდენა ვაჟკაცს მეუბნება, შენ კნიაზი კი არა, ჯორი ყოფილხარო!.. მაშ მოეუთმენდი? მოწმები მყავს...

დამიტრი. მოწმებიც შენისთანანი იქნებიან! ის უმიზეზოდ ვერაფერს ვერ გაგიბედავდა! სტყუი!... რას დადიხართ, ერთი კაცმა გკითხოთ? რა დაგრჩენიათ ამ წყეულ ქალაქში? რა გესაქმებათ?

დათივა. თუ გწყინთ, სულაც არ გავიელი თქვენს სახლში...

დამიტრი. რატომაც არ უნდა გაიარო, ჩემო ძმაო? მაშ ვისთან უნდა გაიარო, ნათესავი ხარ და ლვიძლი? მე

ମେଳାଲାଦ ଗାମବୀଦ, ଖାମ ଖାଗିନାଦ ଦା ଶ୍ରେଣୀରାଦ ମନୋ
କ୍ଷପି!

ଏହିବ୍ରନୀଥ. (ଫାଟିଗୁରୁଙ୍କ.) କିମ ଦା ରା ଅରିବି? ଶେବି ମର୍ଯ୍ୟାନି ଖାମ ଆ
ଅରିବି...

ଫାଟିଗୁରୁ. ଏହି, ଏହିତି ଶେବିପାଇ

ଏଇକ୍ଷା. (ଜ୍ବରିଛି ଶ୍ରେଣୀଙ୍କ.) ଚାମାଦୀ!.. (କ୍ଷେତ୍ର ମହେବିଦ୍ୟେଶ ହିତେଶଙ୍କ ଓ
ଶ୍ରେଣୀଙ୍କ ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥ)

ଏହିବ୍ରନୀଥ. ଶେବି ଉତ୍ତରାନ୍ତିଦେଶି ଖାଲିମ୍ବେ, ଭାଲାପ୍ରେଇଲା, ପ୍ରମାଣିତେଲା...
ଫିରିଯାଇଲା. ଆହା, ଲମ୍ଭେରିତିକ ହେବା! (ବିନାର୍ଥକ ପରିଶ୍ରମରେ) ମାତ୍ର ମନ୍ଦ୍ୟ-
ଚିନନ ଉର୍ଧ୍ଵବିଦ୍ୟା କୌଣସି? ଗାଗ୍ରେ, କାଲା, ଖାମ ତାବାଦ-
ବିନାର୍ଥକ ଭାବୀରୁବୀଦା ପାରେମନ୍ତର ମେହାକି! କିନ୍ତୁ ପରିଶ୍ରମରେ ଦା ପାହା-
ଲେଶ ଗାତ୍ରାବ୍ଦୀରବେଶ ହେବନିଶା ଶ୍ଵରିଲେବିଶା... ଲିଙ୍ଗବାଦିଶେବନିବେ,
ଲମ୍ଭେରିତିକ!

ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥ. (ଫିରିଯାଇଲାରେ) ଯେବେନି ମାରିତାଲିଶା ବିନାର୍ଥିବେନ. ମାରିତାଲା ଦା,
ଉତ୍ତରାନ୍ତିଦେଶି ରା ଉତ୍ତରାନ୍ତିକାଳୀନି? ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥିବେନ ଏହିବେନ,
ମନ୍ଦ୍ୟ-ବ୍ୟକ୍ତି...

ଫିରିଯାଇଲା. ମେହା ରା ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥିବେନ!.. ରାସା ଶ୍ରୀକୃତିବେନାନ ଏହି ନାମର ବ୍ୟକ୍ତି
ବାହି! ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥିବେନ ଏହି ନାମର, ଶାଶ୍ଵତ-କାରୀପୁ, ଶାଶ୍ଵତ-ଶାଶ୍ଵତ-
ପୁରୁଷ... କ୍ଷାପି, ଶ୍ଵରିଲା, ଶେବି ଶାଶ୍ଵତ-
ଶି, ବିନାର୍ଥିବେନ ମେହା ଖାମ ଏହା ଦାଗମିରଦେବାରା? କ୍ଷାପିଲା
ଏହି ଗିନିଦେଶା, ଏହି ମାମା-କାନ୍ତେଶ୍ଵର ଜୀବନିବେବାର ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥିବେନ,
ଏହି, ଏହି ରାଜାର ଲ୍ଲକ୍ଷଣ! ତାରେମ ହାତିବିନାର୍ଥିବେନ,
ବାତିନିକ, ତା ବାତିନିକ ରାଜୀବ, ଏହି ଲିଙ୍ଗବାଦି ଗାନ୍ଧିତ୍ୱେରୀରେ
ଦେବ ଦା ମେହା ଦାତାନ ବାନ ମହିନେବେବା, ବାନ ନିରାତ କାନ୍ତି-
ମେନ, ବାନ କିଲେବେ ଶ୍ଵରିଲାରାଜୀବର ଏହି ଦାତାନେବେବା ଦା ରାଜିବିଶି:
ଗାନ୍ଧିତ୍ୱେବା ଏତାକ ଉଦ୍ଦେଶ୍ୟରେବେବା ହାତିବିନାର୍ଥିବେନ କାମୀ. ଏହି
ପ୍ରେମିଲା ଉତ୍ତରାନ୍ତିଦେଶିବେବା ବାତାନ କ୍ଷାପିଲା ଦାତାନେବେବା ଖାଲିମ୍ବେ.

ମାନ୍ଦ୍ରବିନାର୍ଥ. ବେବେ ଏହି ପ୍ରେମି ରା, ବାତିନିକ, ତାବିନିକ ଗାନ୍ଧିତ୍ୱେରୀରେ
ବ୍ୟକ୍ତି ଏହିକାଳୀନ ବ୍ୟକ୍ତି ଏହିକାଳୀନ ବ୍ୟକ୍ତି! ଏହି କାନ୍ତିମାନ
ବ୍ୟକ୍ତି, ତାବିନିକ ବ୍ୟକ୍ତି ଏହିକାଳୀନ!

ଫିରିଯାଇଲା. କ୍ଷାପି, ଏହିକାଳୀନ କାନ୍ତି!

ଏହିବ୍ରନୀଥ. ଖାଲାର ଶ୍ରେଣୀଦ୍ୱାରା, ବ୍ୟକ୍ତିକାରୀରେ, ପ୍ରମାଣିତେଲା
ଏହି ଏହି ହାତିବିନାର୍ଥିବେବା...

დიმიტრი. რატომაც არა, მობძანდით, ბატონო! მიალაგ-მოალაგე, რაც გაბადია; ყველა თავის ალაგს დააბინავე და რატომაც არა, ჩამობძანდი ქალაქში ზამთრობით, ერთი ორი კვირით, თუნდა თვით; თეატრებინახე, სხვა კიდევ დროს გასატარებელი და წაბძანდითორებმ ზოგი მთელი შელობით ქალაქში ჰყრიან; მამული იქ უპატრონობით ოხრდება; ვინ იცის, შენის ქონებით ვინ იკვებება... აბა ბიქებს რა დარდი აქვთ, და შენ კი აქ ნახევარზედ მშიერი ხარ. სხვა არა იყოს რა, ზაფხულში, ამ სიცხე-პაპანაქებაში, როდესაც ვისაც კი ერთი-ორიოდე გროში აქვს, აგარაჭზედ მიეშურება, და შენ კი უველაფერი საკუთარი გაქვს: აგარაკიც, სასმელ-საჭმელიც, მოსამსახურებიც და აქ კი ოხრაკები სიცხეში! რომელი ერთი სთქვის კაცმა... (ანა.)

მერვე სანახავი

აგინივე და ანნა.

ანნა. (შემოდის, მაღაზის) დილა შვიდობისა, შვილო! (უკალას.) საუზმე მზად არის, რატომ არ მობძანდებით?

მაღაზი. (ანნას ხელზედ ჭრილის).

დიმიტრი. ოპო, ეს კარგი მახარობელი ხარ, ჩემო ანნავ! შენიდაბადება არც კი გამხარებია ესე! (ადგება) მობძანდით!. (ხელს მოხვევს მაღაზის) ლაპარაკში სულ გადამვიწყდა შიმშილი. (მიდიან).

გებბია. (ფანჯარაში იუჟორება. ანნას ხელით აჩვეუბს, აქ დარჩიო.) მიბძანდით, მე და ანნა ეხლავე მოვალთ, მგონია, სტუმარი მოგვდის...

ანნა. (ახლო მიერა) რა გინდოდა?

გებბია. (მაღაზი) დარია მობძანდება! რატომ ასე მომიხშირა, ძალიან კი მეპიტნავება! თვალიც გამოხეთქია!

ანნა. მოვიდეს, შვილო, რა არის...

ეგბენია. ჩემო რაო? ამბები უნდა მოიტანოს, აგვალელვოს, ერთმანეთს წაგხმუბოს... ჯერ ის მოინელოს, რაც ულაპარაკნია...

ანნა. რა ყურს უგდებ, შვილო, რაც უნდა, ისა სთქვას. შენ დარბაისლობას ნუ დაივიწყებ. რაც უნდა იყოს, დიდი გვარის ქალიდ...

ეგბენია. (ფანჯრისქვენ) მე რომ არ დავდივარ იმასთან, რით ვერ გაიგო, რომ არც ის უნდა მოვიდეს ჩემთან... (დარჩა შემოდის).

მეცხრე სანახავი

თბინიუ და დართა.

დართა. (შემოდის დიმილით) დილა მშვიდობისათ! როგორ გიყითხოთ, როგორ შვიდობით ბძანდებით?

ეგბენია. (კარებში მიეგებება) მადლობა ლმერთს, მოგვიგონეთ! (აკოცებს და წინ მიიწვევს) მობძანდით, გენაცვა... არც ეგრე დავიწყება უნდა, დაგვანატრულეთ ნახვა! (იქით) ისემც გიხარია!

დართა. (იქით) ისემც შავი ჭირი დაგეძვეროს და თან გაგიტანოს, როგორც შენ ჩემი ნახვა გინდოდა! (ანნას) როგორა ბძანდებით, ბატონო? (შირზე და გულზე აკოცებს)

ანნა. მადლობა უფალს! თქვენ ხომ კარგად ბძანდებით? დაბძანდით, გენაცვა. (დასხდებიან მწერივად: მარცხნივ (სცენიდან) ანნა, შესში ეგბენია, მარჯვნივ დართა).

ეგბენია. რამდენჯერ დავაპირე თქვენი ნახვა, მაგრამ ისე აწეწილ-დაწეწილები ვართ, რომ ერთი წუთი თავისუფალი არა გვაქეს, თქვენმა სიცოცხლემ! (იქით) სწორედ სულ შენ მასსოვდი, შენმა მოძირებამ!

დარია. თქვენ დღეგრძელობასა ვფიცავ, თქვენი თავი ნუ მომინკვდება, სულ თქვენს ხსენებაში ვარ. (იქთ) ისემც სიცოცხლით გამიძეხით!

ანნა. (სულ შირდაპირ იყერება (ჩალხისკენ) დაპარაკის დროს და ხშირად მაღლა ახედავს სასოებით) უქმე დღეა, უთულდ ეკულესიიდან მობძანდებით... მე კი ვერ წავედი დღეს წირვაზედ... ახა ვაგლახ-მე! საქმეებს თავი ვერ დავახწიე.

დარია. დიახ, მშვენიერი წირვა და ქაღაგება მოვისმინე, თქვენ- მა სიცოცხლემ... (იქთ) სტანისლავ ჩარახჩიანოვის მაღაზიაში! (ეპგენიას) დიღს მზადებაში იქნებით?

ეგბენია. რას იზამთ, ვალი უნდა მოვიშორიოთ...

დარია. კარგი სასიძო კი იშოვეთ, თუ ბოლოს...

ეგბენია. რა ბოლოს?

დარია. თუ მოთავსდით და მშეიღობიანობა იქნება...

ეგბენია. რატომაც არ იქნება შეიღობიანობა, არ მესმის...

დარია. (ორ აზროვნებად) ლმერთმა ქნას! მხოლოდ გარემოება... (ჩუქად დაპარაკობენ).

ანნა. (თავისთვის.) ნეტავი თუ დღეს ეინ იყო მწირველი ან ვინ იქადაგა!,. (ანნას დაპარაკის დროს ეპგენია და დარია ჩე- მად დაპარაკობენ.) საშინლად აქებენ იმ ახალ გაზდა მოძღვარს, რა ჰქვიან... რაღაც გვარია...

ეგბენია. თქვენ სხვა ნაირის თვალით უყურებთ ჩვენს საქმეს, და არ შეიძლება გვიძანოთ,. რასა ხედავთ ჩვენს საქმე- ში ორ აზროვანს?

დარია. (მედიდურად იჭიმება.) არა, თქვენმა მჩემ! ჩვენს ხაზო- გადოებაში დაჩვეული არ გახლავართ არა-აზროვან- ლაპარაკს!.. ვის ეკადრება! არც გვარიშვილობით, არც აღზდით, არც ნათესაობით არავიზედ ნაკლები, თუ არ მეტი, არა ვართ... ბებია ჩემი ბატონიშვი- ლების შთამომავალი იყო... დიღის საკაძის დედი- ნაცელის გერი ყოფილა პაპა-ჩემის სიღედრი!.. მთელი ბატონიშვილებიც ჩემი ლვიძლი ნაჟესავები არიან!

ეძიებ ძელსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი”..

დარბა. აი ეხლავე მოგახსენებთ, როგორც იყო საქმე. სოფი-ოსთან ვიყავით...

გგმბნდა. სოფიოსაც კარგად ვიცნობთ... (სამიგენი ერთსა და იმავე დროს დაპარაკდებენ: ანა თავისთვის და ხშირად მაღლა ადაპურობს თვალებს; ეპგენია და დარბა არ აც-ლიან ერთმანეთს და ხელებს ხმარობენ).

ანა. ან რა საკადრისია უმანკო ბავშეზედ ლაპარაკი! დიდი უგულო უნდა იყოს ადამიანი, რომ, რაკი თავისი არა ჰყავს, არც სხეისი შეილი დაინდოს. თორემ (გულში ხელს შემოიკრავს) ღმერთმა ყოველ ქრის-ტიანს მისცეს იმისთანა შეილი, როგორიც ჩემი ელე-ნეა. (ხელებს შარჭყავს) ან რა საკადრისია დარბაი-სელი ქალისთვის ამისთანა ლაპარაკი! გასათხოვარ უმანკო ქალზედ კარგის მეტი რა უნდა ითქვას! (ხელებს ადაპურობს) „მიულივე, უფალო, რამე თუ არ უწყიან, რასა იქმონენ“. — ტყუილის თქმა ხომ დამა-მცირებელი და დამამხობელია ადამიანისთვის, რატომ მართლის თქმა არ უყვართ!... თუნდა იგი მართალი დიდ წყრომალაც დამიჯდეს, ვის შევეპოვები, რო-დესაც უფლის სიტყვები მასხოვს: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუ-ფეველი ცათა“.. (ჰირფერს იწერს).

გგმბნდა. (ჩქარ-ჩქარა დაპარაკობს ხელების შელით, დარბას არ აც-დის) თქვენ გიბძანებიათ, რომ ღიმიტრის ქალს ბნედა სკირსო... ნეტარი როდის ნახეთ!... როდის მოუვიდა წემ შეილს ბნედა!... თუ არა და სულ ერთი წელი-წალი არ არის, რაც ბავშვი გაიცანით... ესეც არ გვაკმარეთ, ჩემზედაც კი გიბძანებიათ, რომ იმის-თანა დედის შეილი არისო... ნეტა ვის რა გაუგო-ნია ან უნახავს ჩვენი ურიგობა! თუ თქმაზედ იქნება,

შეიძლება ჩვენ უფრო ბევრი ვთქვათ და უფრო მართალიცა... თქვენ იქნებით თუ სხვა, ჩემთვის სულ ერთია, თუ მე არ მინდობთ და ცილსა მწამებთ, მე მართალს რატომაც არ ვიტყვი!... ახლა იყით, თქვენ-ზედ რას ამბობენ... მალხაზზედ კიდევ გითქვამთ, სფირიდონის შვილი არ არისო, ქუჩაში ნაპოვნიაო... აბა რა სათქმელი იყო ამისთანა ტყუილი?... ქვეყა-ნამ იცის, მალხაზი ვისი შვილიც არის... თქვენ არა-ფერიც არ იცით! თქვენი გულის წუხილი კარგად ვიცი: მალხაზი რომ ელიკოს შეირთავს, მთელი იმისი მამული ჩვენთან გადმოვა, და თქვენ არაფერი არ გერგებათ... ეს კარგად ვიცით... და თქვენ იცოდეთ, რომ სხვისი არაფერი არ გვინდა, ჩვენ ჩვენი გვაქეს... (გაჭაპასებული) მიკვირს, რომ მაგის-თანა მოლაპარაკე ჩვენზედ როგორა ბედავთ და ჩვენ-თან მობძანდებით!... (აღვება ზეზედ) დიდ ვალს დაგვ-დებთ, თუ არ გაგვაბედნიერებთ და არ ინგებთ ჩვენთან მობძანებას. (იჭით) აშარი!

დარია. (არ აცდის დაპარაკს, ხელების შლით) მოითმინეთ, ბატო-ნო, საქმე მოგახსენოთ... მოგახსენოთ... იოსები შე-მოვიდა სფირიდონთან და სთქვა, რომ... პირში წამო-გიყენებთ, ვინც პირველად სთქვა, რომ დინიტრის ქალიო... უი, უი, უი! არ მომიკვდეს ის ერთად ერთი ძმისწული!... რასაკადრისია!... მოგახსენოთ, როგორც იყო... ელისაბედმა სთქვა, მგონია, ევგე-ნია ქალს ათხოვებსო... თქვე დალოცვილო, ძალია-ნაც ნუ გამოიდებთ თავსა... რომ ბძანებთ, აბა რა უნდა სთქვათ სხეაზე, მითომ ჩვენზე? არაეიზედ ნაკ-ლები არ გახლავართ არც გვარიშეილობით, არც ოჯახით არც ნათესაობით, და არც შთამომავლო-ბით!... მამი ჩემის ოჯახი სდულდა და გადმოსდიოდა... თუ მათქმევინებთ, ნამდვილს გაიგებთ. ეხლა გეწვით

გული მალხაზისათვის, როდესაც სიძეთ გაიხადეთ, ჰო?! მე უფრო ახლო ნათესავი არა ვარ სფირილონისა და სოფიოსი, მე კი არ შემტკიცა იმათთვის გული!... მალხაზი გადაგდებულია თუ გადმოგდებული, ეხლა ამაზე გვიანლაა ლაპარაკი... და რომ თქვენ ოჯახს უმანკოების სახელი არა აქვს დავარდნილი, ეს კი ქვეყანაშ იცის!.. მაინცა და მაინც რა ძალიან მიწყრებით: ისეთი რა მითქვამ, რომ ქვეყანას არა სკოდნოდეს?!... ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ღირსი გაგხადეთ და მოვედი!... თუ დიდ ბედნიერებად არ ჩასთვლით ჩემს მოსვლას, ნურას უკაცრავად... (თავს უკრავს დაცინკრიტ და აპროჭული მიდის).

მეათე სანახავი

იგინივე და მაღაზაზ

მაღაზა. (გამოვა შეა ფაპარაკის დროი, წინ სცენაზე მოვა, თავს დაუკრავს და უნდა სთქვას რამე; ისინი უურადღებას არ აქციებან. პატარა ხანს შეწერდება.) ბატონებო! უნდა მომეხსენებინა, რომ... (აქით) რა ვენა, ყურს არავინ არ მიგდებს... დიღება შენთვის, ღმერთო! რა მოსვლით! სწორედ საგიერთია!... (ხელს გაიჭნევს და ჩქარა გავა შეა კარით).

(მოქმედება ასე თავდება: დარია კარებასაგენ წაგა, ეპგენია გაჯავრებული თვალს გაადევნების, ანა თავის ალაგის დარჩება და რალასაც ბუტბუტებს,)

(ფარდა)

მოთხე მომავლება

შირველი სურათი

სცენა: ეკრანშიულად მოწყობილი სასტუმრო ოთახი დამიტრის სახლში, შეა კარი ზაღაში გადის. მარცხნივ ეპინიას და ელიგოს ოთახია, მარჯვნივ დიმიტრის კაბინეტი.

პირველი სანახაელი

ფარდა აისდება, სცენა ჭატარა ხანს ცარიელია. შემოვ-
ლენ შეაკარით ელიგო და ნიკო დაპარავით.

კლიენტ. (დაზონებული) როგორ სამძიმო იყო ჩემთვის იმისთანა
წერილის მოწერა, ალენილი წარმოსალენია, და დარ-
წმუნებული ვარ, თქვენ ძალიან კარგად გესმით ჩემი
გადაწყვეტილება ამ უკიდურესს მდგომარეობაში...

ნიკო. (მწესაცედ) ვგრძნობ და თვალითაც ვუყურებ ჩემ უბე-
დურებას, მაგრამ... წარსულს ვეღარ დააბრუნება!...
განა არა ჩემი მოძალა ბედნიერება უუდიდესს
ჯილდოდ მიმაჩნდა და მუდამ ვფიქრობდი ამაზედ.
მაგრამ გლეხები რომ იტყვიან: „რაც შუბლზედ არ
გიწერია, არ ახდება“.

კლიენტ. ახლა ჩემ გულში ჩამოიხედეთ, ძვირფასო ნიკო! ჩემი
გადაწყვეტილება უკიდურესი თვალი წირვა იყო...
განა მე თოთონ მოეითიქრებდი ამას! წარმოდგენილი
მქონდა, როგორი გონების თვალით შეხედავდით ამ
გვარ ჩემ საქციელს, როდესაც მე თქვენ უკანასკნე-
ლად გადაწყვეტილი სიტყვა მოგეცით... როგორ
ლუქსავატად და გამოფიტულ ადამიანად მიგაჩნივართ

მას შემდეგ, როდესაც ჩემი მოცემული სიტყვა უარ ვყავი...

ნიკა. (მტკიცებ) არა, პირიქით მე დამაფიქრა თქვენი სულის სიღიადემ!

ელაკა. ლმერთმა ხომ იცის, რომ ეს გამოუთქმელი სულის ქვეთება იყო, როგორც წელან აგიხსენით.

ნიკა. მე თქვენ როგორ გაგყიცხავთ! მე მხოლოდ ჩემ ბედს უნდა დავემდურო! აკი გითხარით, სწორედ ოცნებად მიმაჩნდა ჩემი მომავალი ბედნიერება თქვენთან დაკავშირების გამო! მაგრამ... მაგრამ საფუძვლიან საბუთს ვხედავ და თითქმის გულითად თანაგიგრძნობთ თქვენს განზრახულებაში, თუმცა ამავე დროს ცხადადა ვგრძნობ დიდს ცვლილებას ჩემს ზნეობითს ცხოვილებაში. რა ვქმნა, სხვა რა დამშთენია, თუ არ ბედის დამორჩილება თქვენ და საბეჭნიეროდ... ოღონდ თქვენ იყავით ბედნიერი...

ელიკა. (ტითონი მოსდის) იმედი მაქვს, ყოველთვის იქნებით ჩემი უუძვირფასესი ძმა-მეგობარი?

ნიკა. (მტკიცებ) ყოველთვის!

ელიკა. (ღიმილით) ჩემი ძერჩიფასი მეჯვარეც? (მჭერვალებს).

ნიკა. ყოველთვის მიგულებდეთ თქვენთვის თავგანწირულ მეგობრიდ!

მეორე სანახავი

იგინიგე და ანნა, მერე ისევ ელიკა

ანნა. (მარცხნივ კარიდან გამოდის) გამარჯვება, შვილო—ნიკო! როდის მოსულხარ ასე უკბად? აკი სულ ვამბობდი, ყოჩაჭი ხარ მეთქი!

ნიკა. (ხელზედ ჭიათუნის.) როგორც კი მიეიღე ბატონი ელი-
კოს წერილი, აბა რალა დამაყოვნებდა; იმ წამსვე
გამოვეშურე.

ქლავთ. (ნიკას) ერთ წუთს დაგტოვებთ. ცოტაოდენი საქმე
მაქვს. (გადის).

ანნა. ძალიან კარგად გინებებია, შენმა გაზდამ! (დაჯდება.) ან
რა მომზადება გინდოდა!?. ამათი ხომ ვერაფერი ვერ
ვავიგე: ხან ერთსა ვკითხე, ხან შეორეს, საროლილ
გწალიანთ-მეთქი ქორწილი, მაგრამ პასუხი არავინ არ
მაღირსა.

ნიკა. მეც გამიკვირდა წერილი რომ მივიღე...

ანნა. აკი გეუბნები, შვილო, რომ უცბად გადაწყვიტეს სად-
ლეოდ.

ნიკა. მაინცა და მაინც დიდი მომზადება არ მინდა ამ დღის-
თვის: ერთი ხელი ტანისამოსი ყოგელთვის მზად
მქონდა...

ანნა. ჰო და მეტი რა გინდა? დანარჩენი მერე მოხერხდება...
საქმე ქორწილია. გამქუცევი ხომ არაეინ არ არის!
შენმა გაზდამ, ყველაფრით შემკულ-მოწყობილი მზი-
თევი მზადა აქვს ჩემს ელიკოს.

ნიკა. მჯერა, ბატონო, მაგას რალა თქმა უნდა...

ანნა. შენ, შვილო, როგორლაც მოწყენილსა გევხარ, ალბად
დაილალე მგზავრობით?

ნიკა. (იქით.) რა მაქვს გასახარელი! (იმას.) არა, ძალიანაც არ
დავლლილვარ...

ანნა. მაშ რაზედ ფიქრობ?

ნიკა. არაფერზედ, ბატონო!

ანნა. არა, მაინც? გეტყობა...

ნიკა. (მაღლა.) სხვა რალა მაქვს საფიქრებელი, თუ არ მალხა-
ზის ბედ-ილბალი!

ანნა. უი, შენ ჩემო თავო! ხომ გიამბე, მალხაზი ამ ოჯახის
შვილია-მეთქი! რალა დროსია, რითი გაასწორებს საქ-

მეს, თუ არ მოთმინებით! რაც მოხდა, მოხდა, რა
მოსაგონებელია!

ნიკა. რა არ არის მოსაგონებელი?

ანნა. რომ მალხაზი ამ ოჯახის შვილია. მორჩა და გათავდა!
ელიქ, (ჩქარა შემოდის.) ანნა! დეიდა ანნა! პატარა ხანს მოძ-
ძანდით, საქმე გვაქვს.

ანნა. (ადგება) რაც გითხარი, კარგა დაიხსომე! (ის და ელიქ
გადან.)

ნიკა. (თავისთვის.) ახლა რა ნუგეში მომცა ამ ბებერმა! რა
უნდა დავიხსომო? ყველამ იცის, რომ სიძე ამ ოჯა-
ხის შვილი იქნება!.- მალხაზი სიძეა; ისიც ამ ოჯა-
ხის შვილად ჩაითვჭება. ეს ეინ არ იცის! (წინ სცე-
ნაზე შოგა გულ-დაწყებილი.) რამდენიც უფრო ვა-
კეირდები ხალხს, იმდენი უფრო მეკარვება რწმუნე-
ბა მისის გულწრფელობისადმი: ვთქვათ, ელიკო ჯერ
კიდევ ბავშვია, იდეებით ცხოვრობს, დღეში ოცჯერ
გამოიცვლის აზრს, რადგანაც მისი მოსაზრება, ანუ
უკეთ ვთქვათ, ოცნება საფუძვლიან და საძირკვლიან
ნიადაგზე არ ირის დამყარებული. ან და რა ნიადა-
გი უნდა ჰქონდეს ოცნებას?! თქვენ ეს მოხუცებული
სთქვით, ეს დამჯდარი და გამოცდილი ადამიანი, ღვთის
მოსავი, რომელიც დღე-ლამე სახარების კითხვაში ატა-
რებს,— ეს რაღა აემა სულმა გადარია, რომ სულს
ლალატობს და თავის სიტყვას უკუ აგდებს!... ყველა-
ზედ ძალიან ესა ცდილობდა, ელიკო შემერთო!...
რა ნუგეშს მაძლევდა, შვილს მეძახდა, და ეხლა კი...
მალხაზზედ ხმას არ მაღებინებს! (დადის) ამას მოვე-
ლოდი! მხოლოდ მალხაზის ქონება უბამთ ამათ
თვალებს!... ვიცი, კაცის დაფასება არ შეუძლიანთ!...
(ამოოშვრით) ჯერ კიდევ დიდხანს გასტანს ფულის
ბძანებლობა ქვეყანაზედ... (მალხაზი შემოდის).

მესამე სანახავი

იგივე და მაღაზაშ, მერე დიმიტრი და სფირიძონ

მაღაზ. (შემთბის) კაცო, მარტო აქ რას აკეთებ?

ნიკო. მაშ სად წავიდე?

მაღაზ. გადი, კაცო, ზალაში, სტუმრები იკრიბებიან, გაიცა-
ნი, ქალებს უკავალრე...

ნიკო. რომ არაფერი შეილი კავალერი ვარ... გუთნის დედა...

მაღაზ. ის კი არა და... ეგრე უნდა იყო?

ნიკო. არა, ტანისამოსი აქა მაქვს, დიმიტრის კაბინეტში, მო-
ვასწრებ ჩატაბა.

მაღაზ. ფული ხომ არ გინდა? წვრიმალ რამეებზედ დაგჭირ-
დება.

ნიკო. მაქვს. მაინცა და მაინც ბევრი არაფერი არ მომინდება.

მაღაზ. თუ მოგინდება და, აქ არა ვარ!

ნიკო. არა, არ მომინდება, მაქვს.

მაღაზ. (დიმილით) იცი, ნიკო, ხომ სასიხარულო დღეა, და
ყველას მხიარულება გვმართებს, მაგრამ გული რო-
გორლაც მიცემს, თითქო რაღაც საშიშ საქმეს ვკი-
დებ ხელს... აქამდის კიდევ არაფერი...

ნიკო. რა გასაკეირველია, დიდი დამაფიქრებელი ნაბიჯია ცხრა-
რებაში ცოლის შერთვა, მაგრამ აუცილებელია..
არა უშავს.. რა, ცხოვრების შიში ვის გაუგონია!

მეოთხე სანახავი

იგინივე, დიმიტრი და სფირიძონ

(კაბინეტიდან გამოდიან)

დიმიტრი. (სეჭვი დაკეცილი ქაღალდი უჭირავს) აი, შეილო-მალ-
ხაზ, ამ ქაღალდში ყველაფერია ანუსხული, რაიც

ჩემი შეილის კუთვნილებას შეადგენს. ჯერ გადა-
თვალიერე, და მერე ჩემს სფირილონს გაჟავცემ შეხა-
ნახად...

მაღაზ. (მოკრძალებით) ბატონო! რა საჭიროა ამისთანა ხელ-
შეკრულობა?!

დამძირირი. არა, ესე სჯობიან, რომ ბოლოს მითქმა-მოთქმა არ
იყოს. ძმიზ ძმას ანგარიში უყო, ისევ ძმები იყვნე-
ნო», მე, ჩემო ძმავ, არავის არაფერს არა ვპრავ.
იმ თავიდანვე მიყეარდა წესიერება. ყველა ჩემ შვილს
სათითაოდ განაწილებული აქვთ ჩემვან თავისი კერ-
ძი, დიდია თუ მცირე. სფირილონმა ყველაფერი იცის
და ჩაიბარა კიდევც. მამულია თუ ფული...

მაღაზ. მაინცა და მაინც ვერაფერი მემამულეები ვართ...

დამძირირი. რატომაც არა, ძმავ! ცოტაც არ უნდა დაიწუნოს
კაცმა! (სიგრძეედ) ეს ბატონი ამტკიცებს, რომ ოც-
და ათი დღიურით შეიძლება კაცმა კარგად იცხოვ-
როსო და ჩემს ქალს კი ათჯერ ოც და ათი დღიუ-
რი მაინც შეხვდება თავის წილად!

მაღაზ. (დამძირირით) არა, მე მაგაზედ არ მოგახსენეთ.. კარგად
ვერ გამოვსთქვი. მე იმას მოგახსენებთ, რომ სუსტი
შემმუშავებელნი ვართ მამულისა. ესე იგი, თითქმის
არაფერი არ გავვეგება...

დამძირირი. ახა, ღმერთი ჩემო!...

მაღაზ. არა, ნიკომ კი მაღე მიაგნო მიზანს და თავის გზას
დაადგა; სხვებისა კი რა მოგახსენოთ...

დამძირირი. (დაჯდება.) მაშ არაფერს არა სწავლობთ, რომ მიბძან-
დებით ხოლმე უმაღლესს სასწავლებელში?

მაღაზ. როგორ, ბატონო?

სფირიდონ. (დაჯდება, სიცილით.) რა ვიცი, შვილო, ბეგრის
იასაულებივით კი გაუჭირებთ ხოლმე მშობლებს საქ-
მეს: ჩქარა ფული და ფულიო, აი შიმშილით დავი-
ხოცეთ, ეს ტანისამოსი არ გვაქვს, ის სწავლის ფუ-
ლიო და რა ვიცი კიდევ...

მაღაზაზ. მაშ რა ვწათ, თუ კი გვიჭირს?

დიმიტრი. ეგ კარგი, გრძირთ და მოგდით კიდევ. საქმე ეს არის: მამულისა თქვენ არაფერი იყით, ოჯახისა და სახლ-კარისა! მაშ რასა სწავლობთ?

მაღაზ. ყველაფერს და არავერს.

დიმიტრი. ეგ კი ვეღარ გავივე!

სფირიდონ. (სიცილით.) არაფერსაო? აგვშენებია ოჯახი!

დიმიტრი. ეხლა შენ, ვსოდეთ, რა საგანი უფრო იყი?

მაღაზ. მე ვიცა, ბატონო, მსოფლიო ისტორია.

დიმიტრი. (დაციხვით.) ისტორია და არაკები ჩემმა ანნამ კი არ იყის!

მაღაზ. ისტორია არაკი არ განლავთ! მსოფლიო ისტორია..

დიმიტრი. ეგ რომელი ისტორია?

მაღაზ. საქვეყნო ისტორია... უუძველესი ხალხის ისტორია, მაგალითად: რომაელებისა, ბერძნებისა, ეგვიპტელებისა, ჩინელებისა და კილევ ბერი სხვა ხალხისა, ძველი დროიდან მოკიდებული...

დიმიტრი. უცხო ხალხის ისტორია რად მინდა, როდესაც ისიც კი არ ვიცით, რა ერქვა ჩვენი დიდებულის მეფე ერეკლეს მამასში! (დაციხვით.) მგონია, არც კი თქვენ იცით ჩემზე მეტი!...

მაღაზ. მართალია, საქართველოს ისტორია საზოგადოდ ძალიან სუსტად ვიცით,..

დამიტრი. აგაშენოს ღმერთმა!

სფირიდონ. ისტორიას ვინა ჩვის, კურსს ათავებენ და ქართული წერა-კითხვაც კი არ იციან!

დამატრი. (მაღაზის.) მამა ნუ მოგიკვდება, ერთი ეს მიბძანე: მაშ სადაური სწავლა მიგილია, თუ შენი ქვეყნისა არაფერი არ იცი? (ღიმოლით.) სფირიდონ! რას იტყვი, თავი ნუ მოგიკვდება: დიდი სწავლა-ცოდნა ჰქონია — ბერძნების ისტორია ვიციო, ამ კალატოზებისა და მეფურნეებისა!... რა ისტორია უნდა იყოს!

სფირიძონ. (სიცილით) თუ ეგრე გინდოდა, შვილო, პეტერ-ბურგში რა მიგარბევინებდა: აი აქვე წალკაში გაგზავნიდი მაღნებზედ, და ბერძნების მეტი რა არის იქა! (იცინის).

დიმიტრი. (ჩაფიქრებული) არა, სწორე მოგახსენოთ, დიდად სამწუხაროა: რვა კლასი აქ უნდა გაათავონ, ოთხი უნივერსიტეტში და ჩხირის გადაბრუნება კი არ იციან! თუ ძალად პირში ლუკმა არ ჩაუდე, შიმშილით დაიხოცებიან!... შენი მტერი, რომ ცხოვრებისა და მუშაობისა ამათ არაფერი არ გაეგებათ!... მაშ სწავლა რაღასა ჰქვიან? უბედურებია სწორედ! ჩვენ რაღა მოგვეთხოვება, რომ გემნაზია თვალითაც არ დაგვინახეს! ხალხი კი ვართ...

მალხაზ. უკაცრაოდ, მე ეხლა საბაასოდ არა მცალიან, და აი ნიკო გაგუებთ მაგის პასუხს. ის აგიხსნით, რომ ამ საქმეში ჩვენ კი არა ვართ დამნაშავენი, არამედ ჩვენი მშობლები და აღმზღელნი... (გადის მარცხნიან ჩქარა).

დიმიტრი. კარგი ამბავია! ჩვენ გამოვდივართ დამნაშავე, რომ ამათ არაფერი არ გაეგებათ!.. მაშ, რისთვის ვიძრობთ ტყავს შვილების აღსაზღელად?

ნიკო. (რომელიც აქმდის დადინდა) თქვენ მართლები ხართ, მაგრამ არც ჩვენ გახლავართ მტყუანნი.

დიმიტრი. მითომ როგორაო?

ნიკო. როგორ გვამზადებთ, რომ იმ მომზადებაზედ რამე საფუძვლიანი აღმოცენდეს? უაქ რვა კლასს ათავებთო! მერე რა გამოვიდა?

სფირიძონ. როგორ თუ რა გამოვიდა?

ნიკო. ისე, რომ ყველა საგანს ვსწავლობთ ცოტა-ცოტას და სრულად და რიგიანად არც ერთს. საზოგადო განვითარება ხომ სულ არა გვაქვს. კაჭკაჭისავით გაზეპირებულ გაკვეთილებით გადავდივართ კლასიდან

କଲାଶଶି ଦା ଚାତାଗ୍ରେହତ ଗିମନାଥିବାସ. ଦାଲିଆନ ଗ୍ରୋହିନାନ. ଏ କି ଏ ଗ୍ରୋହିନାନ, ରନ୍ଧ ଉମାଲଲ୍ଲେବୀ ସିଂହାଲାଶ ଦାଵା-
ଦଗ୍ରେହିତ, ଏହା! ହେବ ଗ୍ରୋହିନାନ, ରନ୍ଧ ଶତ୍ରୁଦେବନ୍ତିବୀ ମୁନ-
ଦିରିଶ ହାତିପ୍ରାମିତ ଦା ଶିନ୍ଦେଲ୍ଲ ଫାମନ୍ଦୋଇଶାମିତ; ତାରେମ
ଏଥ ଶାନ୍ତାଦ ସିଂହାଲାଶ ଗାଘରଦିବାଶ୍ରେଷ୍ଠ ବିନ ନିଜିକରେବୀ, ରନ୍ଧ-
ଲେଖାପ୍ର ଶତ୍ରୁପ୍ରଦ ଏରାଟ୍ୟେରି ଏ ବିପ୍ରିତ ଦା ମନ୍ତ୍ରମହାଦେ-
ବେଳନ୍ତ ଚାରି ଏଥ ଏଥ ମେବନିଯେରେବୀର ଶିଶୁଶେନାଦ.
ଶେଷଦଗାମିତ ଉନ୍ନିକ୍ଷେତ୍ରିଶିତ୍ୟର ଘେରେ, ଦା ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟ ଦାଗ୍ରେ-
ବ୍ୟେବା: ଶାନ୍ତ ଫାତିଧ୍ୟ, ଏହା ଗାନ୍ଧାଶ ଦାଵାଦଗ୍ରେ, ଏହା ଶାଗନି
ଅମନ୍ଦିରକିମ? ଏରତ ଶାଗନି ମନ୍ତ୍ରକିମିତ ଶେଲ୍ଲ ଦା ଏ ମନ୍ଦିର-
ଫିରନ୍ଦବା, ଗେନ୍ଦରେଲେବୀ; ମନ୍ତ୍ରକିମିତ ଦା ମେନାର୍କ୍ଷେଷ୍ଟ ଗାରା-
ବ୍ୟାଳ, ଉତ୍ତରି ଏତ୍ତିଲାଦ ମିଗାହିନିବା; ଏହି କିମିତ କରିପ୍ରେ-
ଶିରି ଏହା ମନ୍ତ୍ରକିମିତ, ଏମିତିମ ରନ୍ଧ ମିମିଶି ଲ୍ଲେଜିପ୍ରିବି-
ଦାନ ଏରାଟ୍ୟେରି ଏହା ଗ୍ରେମିଶ ଉପରଦିନାରନ୍ଧବିଶ ଗାମନ...
ଏଦଗ୍ରେହି ଦା ମେଶାମେହ୍ନ୍ତ ଗାରାନ୍ତବାଲ, ଉତ୍ତରି ଶାମିଶନିଦ
ମିଗାହିନିବା! ମିତିମ ଗାମନପ୍ରଦିଲି ଶତ୍ରୁଦେବନ୍ତି ବାର ଦା ନାମ-
ଦିଲାଲିଶ ଗାନ୍ଧାଶ ମିମାଗ୍ନିବା... ଶିରାଦ ମେଶାମେ କୁରିଶିଶ ଶତ୍ରୁ-
ଦେବନ୍ତିମା ଏହା କିମିଶ, ରନ୍ଧମେଲ ଶାଗନ୍ତ୍ରେଷ ଦାମିତାଵର୍ଗେବୀ
ସିଂହାଲାଶ! ଏହା ଏହା ଏହା ଏହା ଏହା ଏହା... କୁରିଶିପ୍ର ଦାଵା-
ଶିରୁଲାଙ୍ଗତ ଏହି ଚାନ୍ଦ-ଚାଗଲାନ୍ତିତ ଦା ମନ୍ଦିରଶ୍ରେଷ୍ଠବିଶ ଶିନ୍ଦିଶା-
କ୍ରେବ ମିମେଦେହିତ. ଶିରାଦ ହାତ୍ତିକିମିତ ଦା ଏରତ-
ମାନ୍ଦିତିଶା କ୍ରେବିତିଶାବତ ଏମିଶାନ୍ତବିଶି: „କାପୁର, ଏହା ମିମିପାରିତ,
ଏହା ମିମିପାରିତ ଶାବଲିଶି?“... ମନ୍ଦିରିତ ଏହି, ଦିନିଲ-ଦୁନିଲି
ଗାରାଗପ୍ରେବରେବୀ; ବାଲିଶ ଦା କ୍ରେବିନାଶ ଦାଵାକ୍ରେବିନିଦେହିତ
ଦା ମିମିପାରିତ ମାଶିନ ଦାଵିନାଶବତ ହେବନି ମେବନିଯେରେ-
ବୀଶ ଉଦ୍ଧରଣିବୀବୀ! ମିମିପାରିତ ମାଶିନ ଦାଵିନାଶବତ, ରନ୍ଧ
ଏହା ଶାକିମିଶିତପୁରି ହେବନି ମନ୍ତ୍ରମହାଦେବଶ୍ରେଷ୍ଠିନ୍ତ ଏହା ଚାରି.
ରନ୍ଧ ଉଲକିମେଶି ସିଂହାଲା-ଚାନ୍ଦାତଲାଙ୍ଗତ ଏହିଶ—କ୍ରେବ-ଚା-
ନ୍ଗବୀବ ଚାନ୍ଦିପାରିତାରେବୀ, ପ୍ରକାଶରେବୀ ଦା ଗାମନପ୍ରଦିଲାଙ୍ଗବୀ
(ଦାତିକା).

მეტუთე სანახავი

იგინივე და დათივე. მერე ნადენება და ბარანი

დას-ივა (საქორწილოდ მორთული შემთვა შესა კარით.) თქვე და-
ლოცვილებო! ყველანი აქა ხართ და სტუმრების და-
მხვედრი კი არავინ არ არის...

დიშიცრი. მაშ შენ რის მაქნისი ხაჩ, თუ სტუმრებსაც ვერ მიი-
ღებ? შეატყობინე მამიდა შენს. მერე ვინ სტუმრები
არიან?

დათივა. (მამიდას გარებას შენ მიდის.) რა ვიცი, ბევრნი მოვიდნენ...
ნადენკაა თავის აღიუტანტით. (კერქებში.) კაცო, არ
გამოხვალ, სტუმრები იკრიბებიან?

დიშიცრი. ნადენკა—ჩემი დისტული სადაური სცუმარის... მეო-
რეც, ნადენკა და აღიუტანტი სად გამიგონია! ეს ლა-
გვაკლდა!

დათივა. (წინ მოვა.) აი, სრდე, მიხეილს რომ დაუნიშნეს აღიუ-
ტანტი—უცხოელი...

დიშიცრი. (უგამურად.) არაფერი არ მესმის...

მეტებსე სანახავი

იგინივე, ნადენება და ბარანი (უშოდიან შესა კარით)
ეგბენდა (ოთახიდან.).

ნადენება. (საქორწილოდ მორთული. ეგბენდას, რომელიც ამავე დროს
თავის ოთახადან გამოდის.) სალამო მშეიღობისა ძა-
ლუა! (ჰეთენის.). გილოცავ დღევანდელ დიდ ბედნიერ
დღეს!

ეგბენდა. (მხიარულად) აბა შენ იცი, ნადენკა-ჯან, როგორც გა-
მიმხიარულდები!

ნადენგა. (მხარეობად.) სულ ცხრილით წყალს მოვზიდავ, ჩვენი გლეხები რომ იტყვიან!... ერთი ეს მითხარი, ლამაზი ყმაწვილები იქნებიან?

გვგენია. რამდენიც გნებავთ... (დიმილით.) აბა შენებურად...

დათვეთ. (ნადენგას.) კაცო, ამ ყმაწვილს არ გააცნობ? (ბართი- უე აჩვენებს.)

ნადენგა. (თთქმა დარცხვენით.) უიშ!... ძალუაჯან, ეს ჩვენი ახა- ლი აღიუტანტია! დიდი გვარიშვილი... (ბართის ეპი- ნიაზე.) მა ტანტ (ჩემი ძალუათ).

გვგენია (ხელს აძლევს ბართის.) წინ მობძანდით! (წინ სცენაზე მიდიან.)

ნადენგა. (დიმიტრისთან მიგა გოგმანთა.) მომილოცავს, ძია, დიდებული დღე! (ჭოტის.) ლმერთმა ყველა შეილ ები გაგიბედნიეროს!

დიმიტრი. მაღლობას მოგახსენებ. (აფხაბს სფირიდონს და სხვბს.) ეს ჩემი ძეველი მეცობარია და ახალი მძახალი, ბატონი სფირიდონი... მეონია, იცნობ?

ნადენგა. (ხელს აძლევს.) ვიცნობ, ბიძა-ჩემი!

სფირიდონ. დიდად სასიამოვნოა... თქვენი მეულლის კაცური კაცობა ხშირად გამიგონია...

ნადენგა. (მდანდად თავს დაუკრავს) მაღლობას შემოგწირავთ ..

სფირიდონ. (თავაზიანად) რაზედ იკადრებთ, ბატონო!

დაბაცრი. (ნადენგას) ქალო, ამ ყმაწვილს კი არ იცნობ? (ხა- კაზედ აჩვენებს)

ნადენგა. (ხელს გაუშერებს) როგორ არა, ძველი ნაცნობაა.. ახლა, ბიძა ჩემო, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩვენი აღიუტანტი...

დიმატრი. (გაოცებით) ვინ თქვენი აღიუტანტი?

ნადენგა. (წყრომით) რა ვწნა, რა უცნაური ხარ!.. ჩემი ქრის აღიუტანტი. (ბართიზედ უჩვენებს)

დაბაცრი. (ადგება) ჰო და ევრე სთქეო, რატომაც არა! (დაცინ- გით) თორემ რამდენი აღიუტანტი შენა გყავს... (ხელს აძლევს ბართის.)

ნადენგა. (მითომ წყრომათ) ნუ იცით, ბიძა ჩემრ... (უკელანი ხელს
ჩამოართმევენ და დასხდებან. ნანდენგა დამიტრის მოუჯ-
დება) სხვაბიძაჩემო, ხომ კარგი სასიძო იშოვე?

დაზიტრი. მაღლობა ღმერთსა, გამოდგება. . შენ ეს მითხარი,
ქალო, ეს ყმაწვილი რომ გაგვაცანი, გვარი არ უნდა
შეგვატყობინო?

ნადენგა. დიდის გვარისაა, ძიაჯა5! უკხოელია... დადი შემძლე-
ბი...

დაშაური. ახა, ღმერთო ჩემო! გვარი არა აქვს?

ნადენგა. როგორ არა აქვს... მაგრამ ვერ დავიხსომე, ძნელი
გვარია... დათიყო! თუ მა ხარ, არ გახსოვს, რა გვა-
რია ბარონი?

დათავჭ. რას ამბობ, კაცო, როგორ არ მახსოვეს? ერთი კვირა
ვსწავლობდი მაგის გვარს და ძლიეს დავისწავლე.

ნადენგა. მაშ ძის უთხარი! მე ვერ დავისწავლე, ჯერ ახალია!...
დათავჭ. (რისიანად) ამის გვარი გახლავთ: ბარონ დე კომბოს-
ტინო.

სუირიდონ. (თავისთვის) ღმერთმა დლეგრძელობა შისცეს, კარ
გვარი ჰქონია!

დაბი რი. (ბარონის) დაბძანდით, ბატონო!, (ნადენგას) უთხარი,
ქალო, მავ თქვენ იღიურანტს, დაბძანდეს...

ნადენგა. (ბარონის ბძანებით, ფრანგულად) პრე ნე ზიუნ შეზ ე
ასსევ ვუ! (აიღეთ სკამი და დაჯექით).

ბართა. (დიმილით) ეე პასიანს! (მოთმინება იქონიეთ).

ნადენგა. (დათიყოს) ყმაწვილო, სკამს ვერ უთავაზებ უცხო
კაცს?

დათავჭ. ვაიმე, ვაიმე! რატომაც არა! (სკამს დაუდგამს ნადას
სკამის ცოტა უქან) ბარონ! ისი კუშ! (მითოშ: აქ და-
ჭეჭიო.)

ბართა. (გაიღიმება და დაჭდება)

ნადენგა. (დათიყოს) ყმაწვილო, ყოველთვის ხუმრობა კრ არ
იქნება! მაგისთანა სიტყვას ძალლს ეტყვიან, „აქ და-
წეჭიო“.

დამაკო. რას აშბობ, ქალო, რასა? გემნაზიაში ერთი მასწავლებელი გვყვანდა ფრანგული ენისა—სტადლინი... არ გაგიგონია სტადლინი—ფილოსოფიასი ის გვეტყოდა ხოლმე ჩვენ, შეგირდებს, მეტადრე როდესაც გაკვეთილები არ ვიცოდით: „კუში“! ნადვილი ფრანგულია. ამან რა შავი ქვა იცის...

დამიტრი. (დაბლა ნადენებას) ამ ყმაწევილმა ჩვენებური არ იცის? ნადენება. ჩვენებური კი არა, რუსულიც ძალიან ნაკლებად იცის, თითქმის სულ არ იცის.

დამიტრი. ერიპაა! მერე რა ენაზედ მსახურობს?

ნადენება. (ქოლგას გადასცემს ბართს, მედიდურად) რა ენა უნდა? თავის სახელისა და გვარის მოწერა კი იცის.

დამიტრი. იჲ, იჲ! კარგა კი გცოდნია! მზად დაწერილს მოწერს ხელს, ჰა? რასა ბძანებ, ქალო! მთელი პოლკი კისერზედ აწევს აღიუტანტს! მთელი კანცელარია იმის ხელშია! ხუმრობაა!...

სფირიდონ. როგორც ვიცით, პოლკის საქმეებში დიდი შნიშვნელობა აქვს აღიუტანტს.

დამიტრი. (თავ-გამოდებით) რასა ბძანებთ, ბატონო? ზოგი მე მკითხოთ! განსვენებული ილიკოს აღიუტანტი არ ვიყავი, როცა ის პოლკის კამანდირი იყო! (დაცინ გათ) სწორედ იმას მიბძანებდა, წალი, ჩემ ცოლს კუდში სდიდო! რა ბძანებაა! თვალს ვერ მოვაშორებდით კამანდირს!... სად გაგონილა სამსახური სამსახურია.

სფირიდონ. არა, გამიგონია, რომ აღიუტანტს პოლკში ბევრი მოეკითხება.

დამიტრი. მეც მაგას ვამბობა...

ნადენება. თქეენ დროს სულ სხვა იყო, ეხლა სხვაა... (ბართს ხელით ანიშნებს, ცხვირსახოცი მომეო. ის უკნა ჯიბი. დან ამოიღებს და მიაწვდის. ნადენება მოიხოცავს ცხვირს და დაუბრუნებს) ათასი მცოდნე მწერალი ჰყავთ. დას-

შერენ და მოუტანენ ხელის მოსაწერად. თითონ
ხომ არაფერს არ იკონებს, მარტო ხელს აწერს.

დიმიტრი. (ღელავა) რას ამბობ, ქალო, რას? მაშ არ უნდა
იცოდეს, რას აწერს ხელს? ვაი, შენ, ჩემო თავო!
რომ არაფერი არ გაგევება, რას ლაპარაკობ? სფირი-
ლონ, რას იტყვი?

სფირიდონ. მართალი ბძანებაა! როგორ? ხელი მოვაწერო და
არ ერცოდე, რას ვაწერ!... ეხლა ციმბირი შორს კი
არ არის...

ნიკა. (ადგება, დიმიტრის) ნება მიბოძეთ, თქვენს კაბინეტში
გიახლოთ.

დიმიტრი. ინებეთ, მიბძანდით, ბატონო!

ნიკა. (დიმიტრი) უნდა მოვემზადო, დრო არის... (მიდის)

დიმიტრი. დიახ, დიახ, დროი! (ნადეჯას) ეს ყმაწვილი მოწყე-
ნილია, გააცნობდი ვისმე.

ნადეჯა. ყველანიც გავაცანი...

დიმიტრი. თორემ ჩვენ მაგისი არა გვესმისრა და მაგას ჩვენი.
დათიყო! შენ გაზდას, ზალაში მიიწვიე ეს ყმაწვილი,
ჩვენებმა ბევრმა იციან ფრანგული... თორემ ჩვენ-
თან რა დროს გაატარებს!...

დათივერ. (მედაგზედ სეჭს მოჭკიდება) ბარონ, ბარონ! (თავით
ასიშნება) ალე... ა ლა ზალ! (მითომ ზალაში გავა-
დეთ)

ბარონი. (დაგება)

ნადეჯა (ბარონს.) ესკე ვუ პარტე? (მიდიხარია?)

ბარონი. უე პარ. ვულე ვუ ვენირ ივეკ მუა? (გიახლებით. გინ-
დათ თქვენც წამოხვიდეთ ჩემთან?).

ნადეჯა. უე ანკორ კელკ მო ზა დირ ა მონ ონკლ. (ცოტა
რამე მინდა ვუთხრა ბიძა-ჩემს.).

(ბარონი და დათივერ გადიან ზალაში).

დიმიტრი. (ნადეჯას.) თავი ნუ მოგოკვდება, ვრნ არის, სად ვი
პოვნია?

ნადენგა. რა ვქნა, როგორ თუ ვინ არ ის! (თავგამოდებით.) უცხოელია... არ ვიცი ფრანგია თუ იგსტრიელი.—დიდი ოჯახის და გვარის შვილია, დიდი მღიდარი.

დამიტრი. შვილო, თუ დიდი გვარის შვილია და მღიდარი, ჩენ რაღას შემოგვჩერებია?

ნადენგა. (წერნით.) თქვენ რას შემოგვჩერებიათ! ყმაწვილი კაცია, სამსახური უყვარს, და მიხეილს დაუნიშნეს აღიუ-ტანტალ...

დამიტრი. ესთქვათ, მიხეილს დაუნიშნეს... ერთი ეს მითხარი, შენ გაზდას, რომელი დივიზიის კამანდირი ხარ, რომ აღიუტანტი დაგდევს უკან?

ნადენგა. (წერნიმით.) რად იცით, ბიძა ჩემო, მაგნაირი ლაპარაკი? მაშ მარტო როგორ უნდა ვიარო?

დამიტრი. (დაცინებით) „მარტო როგორ უნდა ვიარო!“ მერე რა მგლები მოგიტაცებენ ქალაქში? მარტო ქალები, ვა-საც კი თავის იმედი აქვს, პეტერბურგში მიღიან... პარეფში... ამერიკაში... (გააჭარბეს). „მარტო როგორ ვიარო!“ თუ არა და, ნათესავები გყავს, ახლო მეგო-ბჩები, მოსამსახურე... აღიუტანტი თავის კამანდირ-თან უნდა ეგდოს! რას დაათრევ, ერთი კაცმა გკით-ხოს! რომ შენი ქოლგა ატაროს და ცხვირსახოცი, ჰა? ან კიდევ ბათინ კების ლილები შეგიკრას! შენ, შვი-ლო, ცოტა გჯფთხილდი, თორებ მაგ უცხოელებმა ძალიან გაშინაურება იციან...

ნადენგა. (წერნით.) რა არის, ღმერთმანი... იქნება ღამე მომჩ-და საღმე წასვლა, და უცხო კაცი შემწვდა...

დიმიტრი. (დაცინებით.) ი ეს კი კვერანურია! „უცხო კაცი!“ მერე ეგ რაღა მამიდაშვილია. შენი? არა, მაგაზე ხა-შიში კაცი ვიღა შეგხვდება, ნეტა ვიცოდე! თუ არა და, ღამე რა გესაქმებათ, რომ დასდიხართ? ყაჩალები ხართ, პოლიციის მოხელენი, თუ რა ხართ? არ ვიცი ღმერთმანი!

ნადენგა. (ტირილის ხმათ.) რა არის, ბიძა ჩემო, ისე არ მოვალ,
რომ არ გამლანდლოთ! (თვალებს იწმენდს.)

დიმიტრი. არიქათ! ტირილს აპირებს, აღიუტანტს დაუხახეთ,
ცხვირსახოცი ხომ იმასა აქვს!... ამა უცხვირსახოცოდ
ტირილი ვის გაუგონია!... (იცინის.)

ეგბენია. ახირებული ხარ, დიმიტრი! აბა რა ნახე გასაკიც-
ხავი?

დიმიტრი. (ადგება გულშორებული.) როგორ თუ რა ვნახე? ახლა
ქვეყანას ჰქითხე! „რა ნახე!“ ეს-ლა მაკლია, რომ ჩე-
მი თვალითაც ვნახო! რაც არ შეგშვენის, არ უნდა
ჩაიდინო! აბა რა საქციელია, ქმრის აღიუტანტს
დაათრევს ქუჩა ქუჩა!... ეს ხომ პამპულობა! კაცე-
ბისა ეშინიანთ!... კაცებისა კი არა, მამალი მგლი-
საც არ ვეშინიანთ!... იცხოვრეთ ადამიანურად, რასა
გავს... (დადის).

დათგვა. (ჩქარა შემოვა) სტუმრები შეიკრიბნენ, აღარ გამო-
ბძანდებით!...

(უკელანი ადგებიან)

ნადენგა. (გაბრუნებული) ჩემზედ ვერაფერსაც ვერ იტყვიან!

დიმიტრი. (დაცინებით) ვინ გაგიბედავს!... მე შენთვის მითქვამს,
რომ გაფთხილდი-მეთქი, თლორემ ეგ ვიღაც კომბოს-
ტოა თუ სტაფილო!... (გადიან.)

ფარდა

(ანტრაქტი უმჯსიჯოდ)

მ ე რ ხ ე ს უ რ ა თ ი

სცენა: განათებულ-განდებული ზელა დიმიტრის სახლში. კედლის
ძირებზე ჩამწკრივებულია სკამბი და სავარძლები. წინ
სცენაზე ორივე მხრივ დიკნები და სავარძლები. სადაც
საქორწილოდ მორთულია. ზოგი წინ სცენაზე სხედან
და ბასობენ, ზოგი სცენის სიღრმეში დასეირნობენ. ზა-
ლას შეაზედ კამარანი კარები აჭის, რომელიც სხვა თთა-
ხებში გადის.

პირველი სანახავი

მარჯვენავ წინ სცენაზე სხედან: დიმიტრი, სფირიდონ
და ნიკო, მარცხნივ; გეგენა და სოფია — ჩუმად ბასობენ.
სტუმრები ბოლოს სცენები და მუსიკულებენ.

ეგბერია. (სოფიას)... დარიას, ბატონო, სამჯერაც გავუგზავნე
კაცი, და არ ინება მობძანება, მაღლობა შემოეთ-
ვალა; და მე, სწორე მოგახსენოთ, არ ვეახლებოდი
მოდიშის მოსახდელად! ან კი რა მქონდა საბოლიშო!
თითონ დაგვლანძლა და მთელი ქვეყანა მოსდო ჩეენ-
ზედ ცილის წამებით. რა არ მოიგონა...

სოფია. არა, წინდაუხედავი ლაპარაკი კი იცის! მართალია,
მახლობელი. ნათესავია ჩემიც და ჩემი ქმრისაც, მაგ-
რამ იმისაგან სიკეთეს არ მოველით. ამას წინად
სფირიდონმა, ცოტა გაწყდა, სახლიდან არ დაითხოვა.
მეტი დაუდგრომელია!

ეგბერია. ჩვენ რომ არ გვინდობს, ეს კიდევ არაფერი, ჩვენთვის
უცხოა... თქვენა? მალხაზზედ გაუცრცყლებია ხმა,

სფირიდონის და სოფიოს შვილი არ არისო, უკანონო შვილიათ და არ ვაცი კიდევ!...

სოფიათ. (აძლიათხავს) უკანონოა თუ კანონიერი, ვის რა საჭმე აქცი? ჩვენი შვილიც ეგ არის და ყველაფერიც... ვინც რა უნდა სთქვას...

მაგრენათ. (ეჭვას თვალით.) განა კი ვინ დაიჯერებს, მაგრამ რად უნდა სთქვას!... კიდევ რა ეთქვა... (რუმად დაპარაკობენ.)

სოფირიდონ. არც ეგ ლონისძება მიმაჩნია საფუძვლიანად, ვერც ეგ დაიჭერს თავს. ქუჩაში ქვის მტვრევასაც შრომა ჰქვით და გონებით მუშაობასაც, მაგრამ განსხვავება კი ძალიან დიღდია.

დიმიტრი. ეგ ვინ არ იცის!

ნიკა მე, ბატონო, მაგას კი არ მოგახსენებთ, მე ვაშბობ, რომ შრომას და მუშაობას თავისი წეს-რიგი უნდა ჰქონდეს; უამისოდ იგი სრულიად უნაყოფო იქნება, იმიტომ... (ჩუმად დაპარაკობენ. სცენის საღმიდან ლაპარაკით მოდიას ნადგნება და მაღვსაზი.)

მეორე სანახავი

იგინიგე, ნადენება და მაღაზაზ.

მაღაზაზ. (საქონწილოდ შორთულია, ფრავი აცვია და თეთრ სეფ-თამანებს იცვამს.) მართალია, ყველა ხალხშია არის-ტოკრატობა და შეიძლება, ჩვენშიაც იყოს, მხოლოდ...

ნადენება. (ცხარედ. მარალს ათამაშებს.) შეიძლება კი არა და, არის-ტოკრატება გვეყავს!

გავაზაზ. (ღიმილით.) ბატონო, ვისაც თქვენ ეძახით არის ტოკრატებს, ისინი არამც თუ ქართველი არის-ტოკრატები არ არიან... მე იმათ სრულიად არა ვსთვლი ქართველებად!

ნადენგა. (დაცინებით.) კაი ამბავი! რაზედ გვიწყრებით? მართალია, ბევრი არა გვყავს, მაგრამ ცოტინი ხომ მაინც არიან!

მაღაზ. ჯერ ეს მიბანეთ, ვის ეძახით არისტოკრატის?

ნადენგა. (წერილ) უკაცრაოდ, ბატონო, ბავშვი არ გახლავართ, რომ მაგას მკითხავთ!

მაღაზ. წლოვანება აქ რა შეუშია? შეიძლება, დარბაისელი მოხუციც ბძანდებოდეთ და ეს კი არ იცოდეთ!

ნადენგა (ატენციდი.) ნუ დაიგიწყებთ, დარბაისელო ყმაწეოლო კაცო, რომ ოც და ექვსი წლის ქალს გოხუცს არ ეტყვიან! ზღილობაც კარგი საქონელია!

მაღაზ. (გაისარხარებს.) მე ხომ თქვენზედ არ მოგახსენებთ, საზოგადოდ ვაჩბობ! (იცინის.) ოც და ექვსისა კი არა, თუნდა ცამეტის წლისა ბძანდებოდეთ, მე რა საჭე მაქვა! თქვენი ნებაა...

ნადენგა. (დაშობინდება.) ჰო და ვინ არ იცის, რომ არისტოკრატები მაღალი წოდების ხალხსა ჰქვიან!

მაღაზ. დიალ, ეგ მართალია, მაღალი წოდების ხალხსა ჰქვიან, მაგრამ როგორ ხალხს?

ნადენგა. (ხელების შრანწვით) სწორე მოგახსენოთ, მე თქვენი არა გამეგებარა!

დამიტრი. (სიცილით.) როგორ არ გაგეგება! აი ეხლა შენ არისტოკრატკა ხარ, კულპაწარასევით რომ დაათრევ ქმრის აღიუტანტს! (უკეთა იცინია).

ნადენგა. რა არის, ბრძანებო, ღმერთმანი!...

მაღაზ. (ნადენგას) იმას მოგახსენებდით... მართალია, არისტოკრატი მაღალი წოდებისას ეთქმის, მაგრამ არისტოკრატი ამასთანავე... უფრო განმარტებით რომ მოგახსენოთ... თავისი ხალხის მეთაურია, მძისი წარმომადგენელი, წინამძღვარი, ხელმძღვანელი. ეს წოდება უუძველესია. მაგალითად: ძველ საბერძნეთში არის-

ტოკრატები ეწოდებოდათ იმ მაღალი წოდების ხალხს,
რომელიც მეთაურობდა თავის ერს, წინ უძლიდა
ყოველ საქვეყნო საქმეში; მერე ვინ გეგულებათ
ქართველებში ამისთანები?

ნადენგა. ბევრიც. მაგალითად: ომიანიძეები, ფუტკარაძეები, და
სხვანი.

მაღაზა. (ღიმილით) სამწუხაროად ჩემი ვერაუერი ვერ გაიგეთ,
თითქო სხვა და სხვა ენაზედ ვლაპარაკობდეთ!

ნადენგა. (წერნა) უკაცროდ არ გახლდეთ, ბატონო სიძევ,
რომ ჩვენც გაგვეგება რამე. (ჭმუჭინით) ჩვენ ბავშვები
არ გახლავართ, ცოტაოდენი ჩვენც გვისწავლია!...
(ხელებს იფშვნეტი) ათი წელიწადია, რაკ ინსტიტუტი
გავათავე და გამოცდილება კიდევ სხვაა...

ღიმილი. ევ მართალია! რაც მართალია, მართალია! გამო-
ცდილება კი დიდი აქვს: რენიეს საკანციტეროს და
სტანისლავ ჩარახიანის მაღაზის თვალ-დახუჭული
მიაგნებს. მეტადრე სტანისლავასი სულ დაწვრილე-
ბით იცის, სად რა ულავია! (ყველანი იცინია) გამო-
ცდილებაა, მაშ რა არის!

ნადენგა. (ბაბას შეუბუყერს)

მაღაზა. (ნადენგას) მომიტევეთ, ბატონო, როგორ გავბეჭავ,
რომ უვიცობა შეგწამოთ; ეს მეტი უზღელობა იქ-
ნებოდა ჩემი! — მაკრამ მაინც (ღიმილით) უნდა მოგა-
ხსენოთ, რომ სიტყვის მნიშვნელობას არ დაკვირ-
ვებიხართ...

ნადენგა. (ამრეზიალი) მითომ როგორ, ბატონო?

მაღაზა. თქვენ რომ გვარები ჩამოთვალეთ, ქალია თუ კაცი,
ქართველი არისტოკრატები კი არ არიან... როგორ
ვსთქვა უფრო მარტივად.. ისინი ქართველებისათვის
და ყოველი ქართული საქმისათვის ისევე...

ნადენგა. (გაწიწმატებული) მგონია, აჭარბებთ, ბატონო სიძევ! როგორ...

მაფხაზ. ისე, რომ დიღას შეცდომით და უსამართლოდ მიგონი კებიათ იმ ხალხისათვის ეს დიდად საპატიო წოდება. თქვენ ხალხის მეთაურებს და წინამძღვრებს, მდის გულშემატკივრებს კი არ ეძახით არისტოკრატებს, როგორც სამართლიანად უნდა ითქვას,—აი, ვის ეძახით თქვენ ქართველ არისტოკრატებს: პირველი, იმ ხალხს, რომელსაც ქართველობისა არა აცხიათ-რა, თუმც შთამომავლობით მაღალი წოდებისანი არიან; მეორე, იმ ხალხს, რომელმაც ქართული ენაც კი არ იცის—თუმცა არც სხვა იცის რამე—პირიქით ენაც და ეროვნობაც სათაკილოდ მიაჩნიათ; მესამე, იმ ხალხს, რომელიც ვალებში ყელაშდის სურავს!... ეს არის საქართველოს გაუკურნავი სენი!...

დიმიტრი. (იქთ) „ჩემი არა ბრალია“! (იცინის).

ნადენგა. (ამრეზილი) ეგ მეტი მოგლისთ!....

მაფხაზ. რამდენიმე დამტკრეული ფრანგული სიტყვა, როიალზედ უგზო-უკელოდ ტყაპა-ტყუპა და მასთან უძლური კნავილი?... აი, ბატონო, თქვენ ვის ეძახით ქართველ არისტოკრატებს, ესე იგი, ქართველების მეთაურებს და წინამძღვლებს! ღმერთმა აშოროს ჩეენს ქვეყანას ეს კეთილის მყოფნი ანუ ეს უკურნებელი სენი!... ნამდვილ მეთაურებს კი, მოულალავ მშრომლებს და გულშემატკივრებს თქვენ ვერ იცნობთ, თუმცა გვერდში გიდგანან! (დათივო).

მესამე სანახავი

იგინივე და დათიყვა, მერე ელივა

დათიყვა. (დიმიტრის) სიძე! ეკულესიდან კაცი მოვიდა, ყველა-
ფერი მზად არის და გელიანო.

დიმიტრი. (ადგება) მზად არის და რაღას ვუცდით! (დათიყოს)
პატარძალი მზად არის? მოახენეთ, გამობძანდეს.

დათიყვა. ეხლავე. (გადის და ელივა შემოჰყავს)

დიმიტრი. სფირიდონ! ჩვენ ხომ საყდარში არ გავყვებით?

სფირიდონ. არც არის მიღებული. ყმაწვილები ფაქტურებიან, ჩვენ
აქ დავხვდებით, მოხუცნი. (იღიმება.)

დიმიტრი. (ქალებთან მიწა) მაშ, ქალო, ევგენია, გზა დავუ-
ლოცოთ ყმაწვილებს და გავისტუმროთ; აგერთერთ-
მეტი საათია.

დათიყვა. (ხელ ჭარბილ შემოჰყავს) საპატარმენთ მორთული ელი-
ვა) გზა გვიყავით, გზა! (უვირის.) ნეფის მაყრები ხიდ
ქვეშ! რა ბიჭები ვართ! (მიღებანს წინ სცენაზედ).

დიმიტრი. აბა მობძანდით, გზა დაულოცეთ. (მაღსაზი და ელი-
ვა დადგებიან ურთად; მაღსაზის მარჯვნივ ნიკა; ელი-
ვას მარცხნივ ნადენება და სხეანი რიგზედ.) იყავით,
შვილო, ბედნიერნი! თქვენი ბედნიერება სიცოცხლეს
მომიმატებს... (გული ამოუკდება ელივას და მაღსაზის
ჭირნის).

სფირიდონ. ღმერთმა ტკბილად შეგარგოსთ მშობლების აშაგი.
(ჭირნის).

მგბენია. (მოეხევა ელიქს გულ-ამომჯდარი.) ლვთისა დედაო! შენ
გამიბედნიერე ჩემი შვილები! (ორივეს ჭკოცნის.)

სოფია. იცოცხლეთ და იცხოვრეთ ბეღნიერად. (ჭკოცნის ორი-
ვეს).

დიშიტრი. დათიკო, შენ თან წაპყვები!

დათივა. დიალ, მაშ, მაშ!

დიშიტრი. ჰო და, ნულარ დაიგვიანებთ. აბა წაბჭანდით შშვი-
ლობის გზაზელ!...

დარივა. აბა დაიძარით, ხალხო! (უკელინა მიდან. მაჯხაზი ხელს
მისცემს ელიქს.)

დიშიტრი. (საჩქაროდ.) მოიკათ! მოიკათ! (შებლზე სელს შე-
მოიკრავს.) ვაი, შენ ჩემო თავო! ვაი შენს დომიტ-
რის!

სფირიდონ და უგელანი. რა იყო? რა იყო? (შემოეხუცან).

დიშიტრი. რაღა რა იყო, თავი და თავი დაგვავიწყდა... ანნას
რომ არ დაულოცნია!

მგბენია. უი, დამიდგა თვალი! როგორ დაგვავიწყდა! დათიკო-
ჯან, ჩეარა ანნა...

გვეჯანი. ანნა!... ანნა!... ანნა!...

ალიგო. ანნას თქვენთვის სადა სუალიან, ბოთლებსა სთვლის.

დიშიტრი. რა დროს ხუმრობაა, დაუძახე, დალოცოს...

დათივა. უიმეე! ახლა სად ვეძებო, ის ყაჩალი, ისა! (გარბის).

სფირიდონ. კარგია, მოგაგონდა, დიმიტრი, თორემ ეწყინე-
ბოდა, ამაგდარია...

მგბენია. რა ბრანებაა, ბატონო, სახლში აღარ დაგვაყენებდა!
ჩემზედ მეტი ამაგი აქვს ჩემს შვილებზედ.

დიშიტრი. შე დალოცვილო! უმაგისოდ ჩემი ოჯახი რა ოჯა-
ხი იქნებოდა!

მეოთხე სანახავი

იგინივე დათივი და ანნა

დათივი. (სელში აუკანილი მოჭეავს ანნა. ქარებში ყვირისა) კაცო! კუთხეში ჩასუპულიყო და წვანილს არჩევდა!

ანნა. ნუ ცელქობ, ბაეშვი! დამსვი, დედაშვილობას!

დამიტრი. (დათივის გაჯარებით.) სულ ხომ მასხარობა არ უნდა! მაგ ხნიერი ადამიანი რა შენი ტოლია!

ეგიენია. ახლა სულ ტუტუცობა კი არ უნდა!

დათივი. (დასკამს.) რას ამბობ შენცა! მე არ მომეუვანა, ორ დღესაც ვერ ამოაღწევდა სარდაფიდან!...

დამიტრი (სელს მოსევეს.) ჩემო ძვირფასო ანნა! აბა ყმაშვილები დალოცე და ეკკლესიაში გავისტუმროთ.

ანნა. (მივა ელიფოსთან.) უფალმა გაკურთხოს, შვილო, ზე-კიერმა მამამ! იმედი მაქვს ჩემი ლვთისა დედისა, რომ უკეთურს და უკულმაროს გზას აგაცდენს ცხოვრებაში. (ჰერცინის.) იყავი ბელნიერი, სვინდისიერი და ლვთის მოსავი. (ზიკრისთან მივა.) მოდი, შვილო! (სელებს უბებზედ მოსევეს.) შენი იმედი ყოველთვის მქონდა, როგორც მხნე და პატიოსანის ვაუკარისა...

დათივი. (ტაშს შემოჭერავს) ვაიმე, დედავ, ეისა ლოცავს! (სელს მოჭეიდებს) ეე! ნათლიდედ, ვისა ლოცავდეს?

დამიტრი. (დათივის) მომეუა იქით! (ანნას) ქალო, აი ჩენისასიძო! (მაღხაზზედ უჩენებს).

ანნა. (გაკვირვებით) ვინა? რაო?

დამიტრი. (უკვირის) მალხაზი დალოცე! (იქით) სულ გამოჩერა ჩერდა საბრალო!

ანნა. (შეა სცენაზედ დადგება) ვინ მალხაზია?

დიშიტრი, (გულ-მოსული) რა დაგემართა, ადამიანო? აი ეს
მალხაზი, სფირიღონის შვილი!...

ანა. (სედს შეადგიდ მიიდებს, როგორც შექ უკურებენ სოფტე
და მაღაზის უკურებს; თანაც აქეთ-იქით ისედება) აი,
ეს მალხაზი? ეს მალხაზია თქვენი სასიძო?

დიშიტრი. ჰო, ეგა, მაშ? რა იყო?

ანა. ჰოი, თქვე უბედურებო!

ჩგგება, (სსკებს) აკა გითხარით, რატომ პირველად ამას არ
დავალოცინეთ, იმაზედ ჯავრობს!... (ანას) ადამიანო,
ნუ აგვიანებ ბაეშვებს!

ანა. (გაანხედებულა ეგგენიას) ხმა ჩაიწყვიტე, შე ურცხვო,
ასპილო!! შენის ურცხვობით დედ-მამა ამოიჭამე და
გინდა, მეც ამომიჭამო! (სედგაბურაბით) გმაღლობ
შენ, სახიერო და კაცო-მოყვარევ, რომ ამ უაშამდის
მაცოცხლე, რათა ეს სახარელი შეცდომა ამეცილე-
ბინა ამ საბრალოებისათვის! არა ლირს ვარ შენის
ციურის წყალობისა, გულთამნილავთ, შე (კოდვილი
მხევალი შენი! (სასოებით შირვენაზე გამოისასავს).

დიშიტრი. ქალო! გავისტუროთ ეს ყმაწვილები...

ანა. (უძრავად სდგას) რატომ აქამდის არა ვსთქვირა? რომ
მომკედარეიყავი!! უა! უი!... გენაცვალეთ, თათრობა
ხომ არ ჩამოვარდა ამ ჩვენ ქვეყანაში!...

დიშიტრი. (შემჯრთალი) რაო? რა იყო?

ანა. ჩვენის ცოდვებით თავად ცეცხლი ეკიდება ქვეყანას, რაღა
მიმატება უნდა!

(უგალანი გაკვირვებით შესრუქიანი)

ეგგენია. (გულა მისდის) რა იყო, ადამიანო?

ანა. (ეგგენიას) შე უბედურო! მალხაზი ხომ შენი შვილია!!...

უგლაგნი. (გაოცებით) რაო? რა არისო?

ანა. (ეგგენიას) ამ ოცდა ექვსი წლის წინად მე და ჩვენმა საწ-
ყალმა დემეტრემ არ მოვუვდეთ სფირიღონს (მალხაზი

ზედ) აი ეს, ალექსანდრე, შენი უკანონო შვილი?!

ეგბენია. უიპ! (გული შემოეწება და დივანზე მიესვენება. უკელანი განცვალფრებულნი და გაშტრებულნი დარჩებას. ანთა თავს. ჩაჭერიდებს. სურათი.)

ივარ და

ა. ცაგარელი.

15 მაისი 1900 წ.

ტფილისი.

ვ ე რ ტ ე რ ი

თხზულება გეტეს

(თარგმანი გერმანულიდან *)

4 გვ. გვ. ტო.

ეს მარტო მე არ მემართება. ყოველი ადამიანი ტყუდება იმედებში, ყველას უცრულება მოლოდინი. ვინახულე ის კე-
თილი დედა-კაცი ცაცხვებ ქვეშ. უფროსმა ბავშვმა ჩემან მო-
აშურა და მისმა სიხარულის ყიუინმა დედა-მისიც მოიყვანა. დე-
და-კაცი ძლიერ დაღონებული გამოიყურებოდა. პირველი მისი
სიტყვა იყო: „ბატონო, ჩემი ჰანსი მომიკვდა!“ ჰანსი მისი უმ-
ცროსი შვილი იყო. მე ხმას არ ვიღებდი. „ჩემი ქმარი კი შვე-
იცარიიდან დაბრუნდა,—განაგრძნო მან,—არათერი არ მოუ-
ტანია და კეთილი ხალხი რომ არ გასჩენოდა, მათხოვორბა
დასჭირდებოდა. გზაში ციება შეეყარა..—მე ვერათერი ვერ
ვუთხარი და ბავშვს ცოტა რამ ვაჩუქრ. დედა-კაცმა თავაზიანად
მოგაწოდა რამდენიმე ვაშლი, მე გამოვართვი და დავტოვე ის
მწუხარების. ადგილზე...“

2.1 გვ. გვ. ტო.

ყოველ წამში მეცნლება სულის განწყობილება. ხან-და-
ხან კიდევ გამოანათებს ხოლმე ჩემთვის მხიარული სხივი სიცო-
ცხლისა, ახ! მხოლოდ ერთის წამით! როცა ვეძლევი ოცნებას,

*) იხ. „მოამბე“ № IX, 1900 წ.

ერთი ფაქტი არა მშორდება: ალბერტი რომ მოკვდეს? მაშინ შენ შეიქნებოდი!.. ლოტტა შეიქნებოდა... მივყვები ამ ოცნებას, სანამ არ მიმიყვანს უფსკრულამდის, მაშინ კი ვკრთები და შიშით ვიწევი უკან.

როცა შეედივარ იმ ჭისკარში, რომელშიაც პირველად ლოტტას საცეკვაო სალამოზე წასაცვანად შევედი, თვალ-წინ წარმომიდგება ხოლმე ვანსხვავება მაშინდელსა და ეხლანდელს შეა: მაშინ სულ სხვა იყო! ყველაფერმა, ყველაფერმა განვლო! აღარ დარჩა აღარც ერთი ნიშანი მაშინდელის ცხოვრებისა, აღარც ერთი ფერება ჩაშინდელის გრძნობისა! მე მასვე ვერძნობ, რასაც უნდა ჰგრძნობდეს მიცვალებულის სული, როცა ბრუნდება დანგრეულს, გადაბუგულს კოშკში, რომელიც მან, ერთს დროს ახოვანმა თავადმა, აღაგო, საუცხოვოდ მორთო და სიკვდილის უამს იმედებით გადასცა თავისს საყვარელს შეიღის...

3 სექტემბერი.

ხან-და-ხან არც კი მესმის, როგორ შეუძლია, როგორ ჰქედავს სხვა ლოტტას სიყვარულს, როდესაც მხოლოდ მე მიუვარს იგი ასე სავსებით, მთელის ჩემის სულით და გულით, როდესაც ვერაფერს ვიცნობ, არა ვიცი-რა, არა მყავს-რა გარდა იმისა!

4 სექტემბერი.

ასეა, დიალ! ბუნება ემზადება შემოდგომისათვის და ჩემშიაც და ჩემს გარშემოც შემოდგომა დგება. ჩემი ფოთლები ყვითლდებიან და მეზობელ ხეებს უკვე გასცივდნენ ფოთლები. გახსოვს, ერთის გლეხის ბიჭის შესახებ რომ გწერდი, როცა აქ პირველად მოვედი? ახლა ვიკითხე ის ბიჭი ვალპეიმში; მითხრეს, — ადგილიდან დაითხოვეს და მას აქეთ მისი არა ვიცი-რაო. გუშინ შევწვდი მას მეორე სოფლისაკენ შიშავალს გზაზე; გამოველაპარაკე და ისიც მომიყეა თავისს თავ-გადასავალს. მისმა ამბავმა გული სრულდად ამიჩჩივილა, რასაც ადვილად წარმოიდგენ, როცა მისს ნაამბობს გადიმეორებ. მაგრამ

რჩსთვის? რატომ ჩემთვისვე არ ფიბარხავ გულში, რაც მაწუ-
ხებს და მტანჯავს? ან შენ კიდევ რისთვის გაწუხებ? რისთვის
გაძლევ შემთხვევას, შემიბრალო და გამკიცხ? იღბად უსცე
კუთვნილებაა ჩემის ბედისა!

კრძალვით და წყნარის მწუხარებით მიპასუხა ბიჭმა ჩემს
კითხვებზე; მაგრამ მალე, თითქო უეცრად მოაგონდა ჩენი ნა-
ცნობობა, უფრო გულ-ახლილიდ გამომიმხილა თავისი შეცდო-
მა, თავისი უბედურება. ნეტავი შემეძლოს, მეგობარო, მისი ყო-
ველი სიტყვის შენთვის გადმოცემა! იგი მომიყვა კმაყოფილე-
ბით და მოვაწების სიტყბოებით, რომ მისი დიასახლისი-
საცმი სიყვარული დღითი-დღე იზრდებოდა, რომ მან ბო-
ლოს არც კი იცოდა რას სხადიოდა, ანუ, მისი სიტყვები რომ
გავიშეორო, სად ჰქონდა თავი.. მას არ შეძლო არც ჭამა, არც
სმა, არც ძილი; თითქო ყელზე რაღაც დადსგომოდეს და ორ-
ჩობდეს, ისეთი რამ ჩაუდენია, რაც არ უნდა ექნა; თითქოს რა-
ლაც ბოროტი სული დასდევდა, სანამ ერთ დღეს. როცა ქალი
ზევით თთახში ეგულებოდა, არ ავიდა მასთან, ანუ, უკეთა
ვთქვათ, აზიდულ იქმნა მასთან რაღაც ძალის; რაკი ქალი მისს
თხოვნას ყურადღებას არ აქცევდა, მან ძალის მოხმარება მოი-
ნდომა, არ იცის კი, როგორ მოხდა ეს... ღმერთია მოწამე,
რომ მისი განზრახვა იმ ქალის შესახებ ყოველთვის პატიოსანი
იყო და ისე მოუთმენლად არას ნატრობდა, როგორც მისს შე-
რთვას, მასთან სიცოკხლის გატარებას. ხანგრძლივის ლაპარა-
კის შემდევ იგი ერთბაშად შეჩერ და, მაგრამ ისე კი, რომ, ეტ-
ყობოდ, კიდევ ჰქონდა სათქმელი რამ და ცერ ჰბედავდა; ბო-
ლოს გამომიტყდა ყოყმანით და დარტვენით, თუ რა აღერსის
ნება მისცა მას ქალმა და რამდენად დაიახლოვა იგი. ორჯერ-
სამჯერ შესწყვიტა ამბავი და მარწმუნებდა,—ამას იმიტომ კი
არ ვამბობ, რომ მას ჩირქი მოცეცოვო, იგი ისევე მიყვარს, რო-
გორც წინად, რომ მისი ძაგება ფიქრადაც არ მომსვლია
და ამას იმიტომ მოგახსენებო, რათა დაგარწმუნოთ, რომ მე
არც ისე გიერ და უგუნური ადამიანი ვარო... აქ კი, ჩემო ძვირ-
ფისო, მე ისევ ვიწყებ ძველს სიმღერას, რომელსაც მუდამ გიმ-

ლერი ხოლმე: ნეტავი შემეძლოს ის ბიჭი წარმოფიდგინო ისე, როგორც ის ჩემს წინ იდგა! ნეტავი შემეძლოს ყველაფრის სისწორით გადღოუმა, რომ გაგრძნობინო, თუ როგორ თანავუგრძნობ მას, თუ როგორ უნდა თანავუგრძნო! ზაგრამ კმარა! შენ იცი ჩემი ხვედრი, მიცნობ მეც და აქედან კარგად მიხვდები, თუ რა მიზიდავს ყოველ უბედურისადმი. და განსაკუთრებით ამ უბედურისადმი.

გადავიყითხე ეს ბარათი და ეხედავ, რომ მოთხრობის ბოლო არ მიამბნია, მაგრამ იგი თავის-თავადაც ადვილი მისახვედრია: დიასახლისმა წინააღმდეგობა გაუწია მას; ქალის ძმაც ჩაერია საქმეში; მას დიდიხანია სძულდა ეს ბიჭი და უნდოდა მისი გამოგდება სახლიდან, რადგან ეშინოდა, რომ დის გათხოვება მისს შეილებს წაართმევდა მამულს, რომელიც მათზე უნდა გადასულიყო, რადგან მათი მამიდა უშვილო იყო. მან მაშინათვე გამოაგდო იგი სახლიდან და ისეთი ამბავი დააწია, რომ თვითონ დიასახლისსაც რომ სდომოდეს მისი უკანვე მიღება, ვეღარ მოახერხებდა. ახლა თურმე სხვა მოჯამაგირე აუყვანია, რომლის გულისთვისაც ძმას აშლია და რომელზედაც ამბობენ, ჯვარს დაიწერსო. — მე კი გადაწყვეტილი მაქვსო, — დაუმატა ბიჭმა, — ამ ამბავს უკან აღარ ვიკოცხლოვო.

რაც გიამბე, გადაჭარბებული არ არის; შემიძლიან ვთქვა, რომ სუსტად, მეტად სუსტად გიამბე და გავაუშნოვე მოთხრობა, რადგან ჩვეულებრივის სიტყვებით მოგიყვით.

არა, ეს სიყვარული, ეს ერთგულება, ეს გულის-თქმა მგოსანთა ოცნების ნაყოფი არა ყოფილი. იგი არსებობს, ცოცხალ არს თავის სიწმინდით და მხურვალებით იმ ადამიანთა წრეში, რომელთაც ჩვენ გაუნათლებელს, გაუთლელს ვეძახით; ჩვენ განათლებულნი და გადაკეთებულნი.... დიალ, გადაკეთებულნი.... იქამდე, რომ არათერი ვართ. მე შენ გთხოვ, — ეს ამბავი მოწიწებით წაიკითხო. მე დამშეიდებული ეჭრ ამ ბარათის წერის დროს; ჩემს ხელზედაც შეატყობ, რომ სხვა დროსაებრ არ ვდელავ და არ ვგღაჯნი. წაიკითხე, ძვირფასო, და იგულისხმე, რომ ეს არის მოთხრობა შენი მეგობრისაც. დიალ, მეც ასე

მომივიდა, ასე მომივა და ნახევრადაც ისე მხნე და მტკიცე არა ვარ, როგორც ის უბედური, რომელთანაც თავის შედარებას ვერც კი ვძელავ.

5 სექტემბერი.

ლოტტამ ქმარს ბარათი მისწერა სოფელში, სადაც ის საა ქვეების გამო იმყოფებოდა. ბარათი ასე იწყებოდა: „ჩემო ძვირა ფასო, ჩემო საყვარელო, მოდი, რაც შეიძლებოდეს ჩერა. გელი ათასის სიხარულით“... ერთი მეგობარი მოვიდა და მოიტანა ამბავი, რომ ალბერტი ზოგიერთ გარემოებათა გამო ჯერ ვერ დაბრუნდებაო. ბარათი გაუგზავნელი დარჩა და საღამოზე ხელში ჩამივარდა. წავიკითხე და გავიღიმე; ლოტტამ მკითხა მიზეზი.— „ოუნება ლვთაებრივი რამ ნიჭია სწორედ-მეთქი!— მივუგე მე.— ერთი წამით წარმოვიდებინე, რომ ეს ბარათი ჩემი დამი იყო მოწერილი“. მან სიტყვა შემაწყვეტინა, ეტყობოდა, რომ ეწყინა და მეც გაეჩუმდი.

6 სექტემბერი.

ბევრი ვითმინე, სანამ გადავწყვეტდე ჩემის ფრაკის გამოცვლას, რომელშიაც ლოტტასთან პირეელელ ვითამაშე; მაგრამ ის ბოლოს ისე დაძველდა, რომ მისი ტარება აღარ შეიძლებოდა. შევაკერინე ახალი ფრაკი სულ მსგავსი პირეელისა; აგრეთვე უკოელი ელეგი და შალვარი.

ეს ახალი მაინც ასე არ მოქმედობს ჩემზე, როგორც წინანდელი. არ ეიცი... მაგრამ დრო და უამი გავა და იქნება ეს უფრო ძვირფასი შეიქნეს ჩემთვის.

12 სექტემბერი.

ლოტტა რამდენიმე დღე შინ არ იყო; ალბერტის ჩამოს საყვანად წასულიყო. დღეს შევედი მის ოთახში. ის გამომეგება და ხელზე ვაკოცე უზომლ სიხარულით და სიტკბოებით. სახლიდან გადმოფრინდა ერთი იადონი და მოთავსდა ლოტტას შხარზე.

— ახალი მეგობარი! — სთქვა ლოტტამ და გადმოიტყუა
ჩიტი ხელზე, — ამას ჩემს პატარებს დავპირდი! საყვარელი რამ
არის! შეხედეთ! როცა პურს ვაძლევ, მოჰყვება ხოლმე ფრთე-
ბის ფრთხიალით მარჯვედ კენკას. მკოცნის კიდევ, ხედავთ!

ლოტტამ პირი მიაწოდა ჩიტუნიას, რომელიც ისეთის სიყ-
ვარულით შეეხო მის ტკბილ ტუჩებს, თითქო მთელს ამ სიტ-
კბოების ნეტარებასა გრძნობსო.

— ეს თქვენც გაკოცებთ, — მითხრა ლოტტამ და მომა-
წოდა ჩიტი. პაჭაწინა ნისკარტი ლოტტას პირიდან ჩემსაზე
გადმოიტანა და მისი ნაზი შეხება ჰგავდა წინადგრძნობას, წი-
ნიდ-გემებას სიყვარულის ნეტარებისას.

— მისი კოცნა არც სულ უანგაროა, — ვუთხარი მე, — იგი
საზრდოს ეძებს და უკუფრინდება ცალიერი ალერსით დაუკ-
მაყოფილებელი.

— ჩემი პირიდან მართლაც კენკავს მარცვლებს, — სთქვა
ლოტტამ და მიაწოდა იადონს რამდენიმე ფეტვის მარცვალი
თავის ტუჩით, საიდანაც ტკბილად ამოილიმება უბიწო, თანა-
მგრძნობი სიყვარული.

მე თვალი მოეარიდე. ეს არ უნდა ექნა ლოტტას. არ
უნდა გაეხელებინა ჩემი ოკრება ამ ზეციურის უმანკოებისა
და უაღრესის ნეტარების სურათებით, არ უნდა გაეღვიძებია
ჩემი გული ძილისაგან, რომელშიაც ვარწევ ხოლმე ხანდახან
ჩემ სიცოცხლისაგან გულგრილობას. ან-და რატომ არა? იგი
ასე მენდობა! მან იცის, რა რიგ მიყვარს იგი!

15 სეჭრემბერი

სწორედ ჭკვილან შეჰშლის კაცს, ვილჰელმ, ის გარემოე-
ბა, რომ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არც აზრი აქვთ
და არც გრძნობა ის მცირე რამესადმი, რასაც კიდევ შერჩე-
ნია ფასი აშ დედამიწაზე. იკი ხომ ის კაკლის ხეები, რომელ-
თა ჩრდილშიაც ვისხედით შე და ლოტტა, როცა პატოსანი
პასტორი ეინახულეთ სტ...ში, საუცხოვო კაკლის ხეები,
რომელნიც ყოველთვის ულრმესი სულიერი სიამოვნებით მაჟ-

სებდღნენ! რა მიმზიდველად ხდედნენ ისინი ეზოს, როგორ აგრი-
ლებდნენ მას და რა საუცხოეო ტოტები ჰქონდათ! და ამას-
თან მოგონებანი იმ კურთხეულ ადამიანებისა, რომელთაც ისი-
ნა დაურგავთ! სოფლის მასწავლებელმა გვითხრა ერთი მათგა-
ნის სახელი, — პაპამისისგან გაეგონა; ჩინებული ადამიანი თურ-
მე უოფილა და მისი სახელი ამ ხეებ ქვეშ მარადის წმიდა იყო
ჩემთვის. უნდა გითხრა, რომ მასწავლებელს თეალები ცრემლებით
ევსებოლნენ, როცა გუშინ მიამბობდა, თუ როგორ მოსჭრეს ის
ხეები. — მოსჭრეს! მგონი გავხელდე და ძალლსავით დავკინო,
ეინც პირველად დაპკრა მათ ნაჯახია ასეთ სანხხავს უნდა ვუ-
ყურო მე, რომელიც გლოვას მოჰყვებოდი, ასეთი ხეები ეზო-
ში რომ ჰქონოდა და ერთი მათგანი სიბერის გამო გამხმარიყო!
ჩემთ ძვირფასო! ამ უბედურებაში ერთი რამ მაინც არის სა-
ნუგეშო! რა არის ადამიანის გრძნობა! მთელი სოფელი უკმა-
უოფილოა და იმედია, რომ პასტორის ცოლი მალე მიხვდება
ავერცებზე, ერბოზე და სხვა ამგვარ მოხაკითხებზე, თუ რო-
გორ გულ-ნატკენი არიან მაზე აქაურები. ახალი პასტორის
ცოლი (ჩვენი მოხუცი უკვე გარდაიცვალა) ერთი გამხდარი,
სნეული ქმნილებაა, რომელსაც აქვს მიზეზი არ მიიღოს არა-
ვითარი მონაწილეობა წუთი-სოფელში, რადგან არც გასში
იღებს ვინმე მონაწილეობას. ის ერთი გიური დედაკაცია, რო-
მელსაც თავი სწავლულად მოაქვს, სარწმუნოებრივ კითხვათა
გარკვევაში ერევა, ბეერს. შრომობს ქრისტიანობის ახალმოდურ
მორალ-კრიტიკული რეფორმაციისათვის, ლაფატერის ბოდვაზე
ძხრებს მაღლა სწერს, ჯანმრთელობა მისი სრულებით დარღვეუ-
ლია და ამიტომაც ამ ქვეყანაზე მას აღარ დარჩენია არავითარი წი-
ნარული. მხოლოდ ასეთ ქმნილებას შეეძლო ჩემი კაკლების მოჭრა,
იცი, გონის ვერ მოვსულვარ! წარმოიდგინე, ჩამოცვინული ფოთლე-
ბი ეზოს აფუჭებენო, ეს ხეები დღის სინათლეს მართმევენო
და როცა კაკალი შემოდის, ბავშვები ქვებს უშენენ ხეებს, ეს
ნერეებს მიშლისო და ღრმა ფიქრებს მირევსო, როცა კენწია
კოტს, შემლერს და მიხაელისს ერთმანეთს ვადარებო. — რადგან

სოფელში უკმაყოფილო პირებს ვხედავდი, განსაკუთრებით მოხუცებულებს, ვკითხე მათ: რაღ მოითმინეთ ესა-თქა?

— თუ კი მამასახლისს ასე სურს, ჩვენ რა უნდა ექნათ? — მიპასუხეს მათ.

ერთი საქმე კი კარგად მოეწყო. მამასახლისმა და პასტორმა მოინდომეს თურმე მოჭრილი ხეების ერთმანერთში განაწილება; ეს ამბავი გაიგო პალატამ და უთხრა მათ: „აქ გვიზოდეთო! რაღვან პალატა წინადვე აცხადებდა უფლებას პასტორის ეზოს იმ ნაწილზე, საღაც კაკლები იდგნენ, და მიჰყიდა ისინი მას, ვინც მეტი ფასი გამოილო. ხეები აღარ არის! ო, მთავარი რომ ვიყო მაშინ ამ პასტორის ცოლს, ამ მამასახლისს... მთავარიო! მთავარი რომ ვიყო, განა ამ ხეებზე ვიფაქრებდი!

10 ოქტომბერი.

როცა კი მის შავ თვალებს ვხედავ, კარგადა ვარ! იცი, უველავერზე უფრო ის მწყინს, რომ ალბერტი იმდენად ბედნიერს არა ჰგავს, რამდენადაც მას იმედი ჰქონდა, ან რამდენადაც მე შემძლო ვყოფილიყავი, რომ... წერტილები არ მიყვარს, მაგრამ აქ არ შემიძლიან სხვანაირად გამოვთქვა აზრი... და მგონია, ასეც საკმაოდ ცხადია.

12 ოქტომბერი.

ოსსიანმა ჩემი გულიდან განაძევა ჰომიროსი. რა საუკუნო რამ არის ის ქვეყანა, რომელშიაც შევყავარ ამ დიდებულ აღამიანს! ტრამალთა შორის მიმოდიხარ, შენს გარშემო გრიგალი ღმუის, და ორთქლებულ ღრუბლებში მთვარის მკრთალ შუქზე ხედავ წინაპართ სულებს; ტყის ნაკალის გრვინვასთან ერთად გესმის კვნესა მთებში დამწყვდებულ სულებისა და გოდება ვაება მტირალი ქალწულისა, რომელიც დასტირის ხავსმოკიდებულ და ბალახით დაფარულ ქვებქვეშ მდებარე მოკლულ გმირს, მის სატრფოს. თვალწინ გიდგას მოხუცი მგონანი, რომელიც ეძებს ამ ვრცელ ტრამალთა შორის თავის მამის

ფინგალის კვალს და ჰეოულობს კი მის სამარის ქვებს; იკი ტირილით შეჰყურებს საღამოის საყვარელ ვარსკვლავს, რომელიც მოღელვარე ზღვაში ინთება, და გმირის სულში იღვიძებენ დრონი ძველნი, გარდასრულნი, როცა გმირს სხივი შეგობრულად საშიშარ გზას უნათებდა, და მთვარე თავს დაჰყურებდა მის ხამალდს, გამარჯვებით შინ დაბრუნებულს და დაშვენებულს გვირგვინებით. მის შუბლზე ღრმა მწუხარებას ამჩნევა; იგი უკანასკნელი, მარტო დარჩენილი მივიწყებული გმირია; დაქანცული ბარბაცით უახლოვდება იგი სამარეს და კვლავ ივსება ახალის მწვავის სიხარულით, რომელიც გამოწვეულია მიცვალებულ გმირებზე განუშორებელის მოგონებით. დაჰყურებს ცივს დედამიწას, მიღალს მღელავ ბალას და ამბობს: „მგზავრი, რომელიც მიცნობდა ჩემის სიცოცხლის გაზაფხულის დროს, მოვა და იყითხავს: „სად არის მგოსანი, კეთილშობილი ძე ფინგალისა?“ იგი ჩემს საფლავს გადაიყლას და მიწა მას პასუხს არ გასცემს... ო, მეგობარო! მზადა ვარ, ხმალი წავართვა რომელიმე კეთილშობილ იარალის მტარებელთ და ერთბაშად განვათავისუფლო ჩემი მთვარი გაჭიანურებულ ცოცხალმკვდრობის საშინელი ტანჯვებისაგან და განთავისუფლებულ ნახევარ ღმერთს გავაყოლო ჩემი სულიც.

19. ოქტომბერი.

ახ, ეს სიცალიერე, ეს დაუსრულებელი სიცალიერე, რომელსაც აქ, ამ გულში ვგრძნობი რომ შემეძლოს მასა ვხალოდ ერთჯერ, ამ გულზე მიკვრა, მთელი ეს სიცოცხლე ამჟივსებოდა.

26 ოქტომბერი.

დიაღ, ძვირფასო! თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ ადამიანის არსებობას ცოტა მნიშვნელობა აქვს, ძალიან ცოტა. ლოტოასთან ერთი მისი მეგობარი ქალი მოვიდ. მე მეორე ოთახში წავედი, წიგნი ავიღე, მაგრამ კითხვა ვერ შევძელი და კაჭამს. მოვყიდე ხელი საწერად. მათი ჩუმი საუბარი მესმოდა:

ისინი ერთმანერთს უყვებოდნენ უმნიშენელო რამეებს, ქალა-
ქის ახალ ამბებს: ესა და ეს გათხოვდაო, ის ავად არისო, ძა-
ლიან ავადაო; ამას მშირალი ხველა სჭირსო, სახის ძვლები სულ
ერთიანად უჩანს და გულს ეყრება ხოლმეო. „ერთ ფარადაც
აღარა ღირს მისი სიცოცხლეო“, — სთქვა ერთმა. №№-იც „მაგ-
ნაირად არის ავად“, — სთქვა ლოტტამ, — „ის კიდეც გასივ-
დაო“, — სთქვა მეორემ. — და ჩემმა ოცნებამ გადამიყვანა იმ უბე-
დურების ლოგინთან; ვხედავდი, თუ როგორის გულდაწყვეტით
შორდებოდნენ ამ წუთისოფელს. ვხედავდი... ეილპელმ!.. ეს ქა-
ლები კი მათზე ლაპარაკობდნენ ისე, როგორც ჩვეულებრი-
ვად ამბობენ ხოლმე სრულებით უცხოზე, იგი კვდებაო.

მიმოვიხედე და დავათვალიერე ოთახი: ვხედავ აქა-იქ ლოტ-
ტას ტანისამოსს, ალბერტის ქალალდებს და ავეჯეულობას,
რომელსაც ასე შეჩვეული ვარ და ვფიქრობ: დახე, რა ხარ შენ
ამ სახლში! შენი მევობრები პატივსა გცემენ! ხშირად შენ შე-
ადგენ მათ სიხარულს, და შენი გული გრძნობს, რომ უშენოდ
ეს სიხარული შეუძლებელი იქმნებოდა და მაინც... ეხლა რომ
წახეიდე? რომ მოშორდე ამ წრეს? იგრძნობენ სიცალიერეს,
რომელსაც ჩემი დაკარგვა მოახდენს მათს სიცოცხლეში, ან
რამდენ ხანს გასტანს ეს გრძნობა? რამდენ ხანს? ო, ისე წარ-
მავალია ადამიანი, რომ მაშინაც კი, როცა იგი მართლა რამეს
შეადგენს თავის მახლობლებისათვის, ღრმა შთაბეჭდილებას ახ-
დენს მათზე, განშორებისათანავე დავიწყებას ეძლევა და... სულ
მოკლე ხანში მისი ხსოვნაც ჰქონება.

27 ოქტომბერი.

ხშირად მზადა ვარ გავიპო მკერდი და თავი გავიხეთქო,
როცა წარმოვიდგენ, რომ ერთა ადამიანი მეორესათვის ასე
ცოტასა ნიშნავს. სიყვარულს, სიხარულს, ნეტარებას სხვა ვერ
შომანიჭებს, ისე როგორც ვერც მე, მთელის ჩემის ნეტარებით
აღსავს გულით, ვერ გავაგედნიერებ სხვას, რომელიც დგას.
ჩემს წინ ცივი და უძლეური.

საღამოს.

ამოდენი რამ მაქვს, და ფიქჩი ლოტტაზე ნოქავს ყველა-
ფერს, ამოდენი რამ მაქვს და უმისოდ ჩემთვის ყველაფერი
არაფერია.

30 თქმულები.

ათასჯერ მზად ვიყავი მოეხვევოდე ყელზე! მაღალმა ღმერ-
თმა იცის მხოლოდ, რას ჰკრძნობს აზამიანი, როცა ამოდენა
შეგობრულ ალერს ჰსედას და ხელის წაელებას კი ვერ ჰბე-
დავს; ხელის წაელება ხომ უბუნებრივესი თვისებაა ადამიანო-
ბისა! განა ბავშვები არ ავლებენ ყველაფერს ხელს, რასაც და-
რნახავენ? მე კი?

3 ნოემბერი.

ღმერთმან ხომ იცის, რომ ხშირადა ეწვები ნატვრით,
დიალ ხანდახან იმედითაც, რომ აღარ გავიღვიძებ: დილაზე
თვალს ვხელ, ვხელავ მზეს და უბედური ვარ. ო, ავგუნება
ადამიანი რამ ვიყო, რამ შემეძლოს ბრალი დროს დავსდეა,
ან მესამე პირს, მაშან ეს აუტანელი ტვირთი ტანჯვისა გამი-
ნახევრდებოდა მაინც. ვაიმე! ვაიმე! ვკრძნობ კარგად, რომ ბრა-
ლი მე, მარტო მე მდევ... ბრალი კი არა!.., ისიც კმარა, რომ
ჩემში არის წყარო ყოველი უბედურებისა, როგორც წინად
იქ იმყოფებოდა წყარო ყოველი ნეტარებისა. ნუ თუ იგივე
არა ვარ, რაც წინად ვიყავი, როცა გრძნობებით აღსავს მი-
შოვიდოდი, როცა ყოველ ნაბიჯზე სამოთხეს ვხედაედი, როცა
გულში მსოფლიოს მოსათავსებელი სიყვარული მქონდა და
ახლა ეს გული მკუდარია, იქედან აღარ მოჰდინარეობს აღტა-
ცება, თვალნი ჩემნი მშრალნი არიან: გრძნობანი ჩემნი, რაკი
დამაამებელი ცრემლებით აღარ ირწვიან, შუბლს მინიოჭებენ.
შე მეტად ვიტანჯები, რადგან დავკარგე ის, რაც შეადგენდა
ჩემის სიცოცხლის ნეტარებას, წმიდა მაცოცხლებელ ძალას,
რომლითაც ჩემშივე ვქმნიდი მთელ მსოფლიოს; როცა ფანჯ-

რიდან შორს სკრს იქეთ გაეიყურები და ეხედავ, როგორ ფანტაზის ღრუბლებს ამომავალი მზე და ანათებს მყუდრო მინდორს და წყნარი მდინარე ჩემსკენ გველივით მოიკლაკნება მოტიტვლებულ ნაპირებს შუა... ო! როცა ეს ერთ დროს საუცხოვო ბუნება ასე უსულდგმულო, გაქვავებული და ცივი დგას ჩემს თვალწინ და ზოელ ამ სიტურფე-მშვენიერებას არ ძალუს ჩემი გულიდან მაღლა ტვინში გადაიტანოს თუნდა ერთი ბეჭო მაინც ნეტარება, მე ვდავევარ ღვთის წინაშე, ვითარცა ამომშრალი წყარო, ცალიერი ჭურჭელი! ხშირად დავარცნილვარ დედა-ბიწაზე და ღვთისთვის ცრემლები მითხოვნია, ისე როგორც მიწის მუშა მას წვიმასა სთხოვს, როცა გახურებული ცავს დაჰყურებს და დედა-მიწა მის გარშემო გამხმარია უწვიმობისაგან. საგრამ ახ! ვგრძნობ, რომ ღმერთი არ გვაძლევს წვიმასა და მზის სინათლეს ჩვენი მხურვალე თხოვნით, და რადიყენენ ისე ნეტარნი იგი დრონი, რომელთ მოგონება მე მტანჯავს, თუ არ იმიტომ, რომ მისს მოწყალებას მოთმინებით ველოდი და მის მიერ ჩემზე გადმოფრქვეულ მაღლსა სავსკლრმა-მაღლიერი გულით ვლებულობდი.

8 ნოემბერი.

ლოტტამ ჩემი უზომიერობა მისაყვედურა! ახ! რამდენი გრძნობა და ალერსი იყო ამ საყვედურში! და ეს უზომიერობა ის არის, რომ ღვინომ შემთტყუილა და მთელი ბოთლი გამოვსცალე.

— მაგას ნუ შერებით! — მითხრა მან, — იფიტქრეთ ლოტტაზე.

— ვიფიქრო! — ვუთხარი მე, — განა ამისი. თქმა საჭიროა? ვფიქრობ! არა, არა ვფიქრობ! თქვენ მყავხართ მარად ჩემს გულში და გონებაში. დღეს იმ ალაგზე ვიჯექი, საღაც თქვენ უკანასკნელად ეტლიდან ჩამოხვედით...

ლოტტამ სხვა საუბარი დაიწყო, რომ არ დაენებებინა ჩემთების ამ საგანზე ლაპარაკის გაგრძელება. მეგობარო! დალუპული ვარ! გაელენა მისი ჩემზე უსაზღვროა!

15 ნოემბერი,

გმადლობ, ვილჰელმ, კეთილშობილურ თანაგრძნობისათვის და გონიერის რჩევისათვის, მხოლოდ გთხოვ დამშვიდდე, დამანებე, რომ თვითონ ავიტანო სიმძიმე ჩემი მდგომარეობისა; ამ ვაჭირვებაში იმოდენი ძალა კიდევ შემჩენია, რომ შემიღლიან ბოლომდის ვიბრძოლო. შენ იცი, რომ მე სარწმუნოებას პატივს ვსცემ; მე ვგრძნობ, რომ სარწმუნოება ზოგ დაუძლურებულთათვის ყავარჯენია, ზოგ მწყურვალთათვის განმაგრილებელი წამალი. მაგრამ ყველასათვის კი? გარდავლე თვალი ამ ვრცელ ქვეყანას და დაინახავ, რომ არიან ითასობით ადამიანნი, რომელთათვისაც სარწმუნოება არ შეაღენს არც ყავარჯენს და არც განმაგრილებელ წამალს, და მაინც და მაინც ჩემთვის იქნება იგი ასეთი? ხომ თვით ქე ლვთისა ბრძნებს, მასთან იქნებიან ისინი, რომელნიც მისცა მას მამან? რომ არ ვიყო მე ამ მიცემულთა რიცხვში? რომ თვით მამას სურდეს ჩემი თავი, როგორც ამას გული მეუბნება? გთხოვ, ამას ურიკოდ ნუ ახსნი; ამ უმანკია სიტყვებში არ დაინახო დაცინვა; ეს არის მთელი ჩემი სული, რომელსაც ვხსნი შენს წინაშე; თუ არა და ის მერჩია, გავჩუმებულიყავი, რადგან იმ საგანზე, რომელზედაც სხეამაც ჩემსავით ცოტა იცის, ადვილად არა ვკარგავ სიტყვებს. აუამიანის ხვედრია განვლოს მისთვის მიზომილი ტანჯვა, თვისი ფიალა შესეას ძირამდის? და თუ იგი ფიალა თვით ზეციერ ლმერთსაც კი ემშარა, რად უნდა გავყოყოჩდე მე და გეჩვენოთ ისე, თითქო იგი ჩემთვის ტკიალი იყოს? რად უნდა მრცხვენოდეს მე ლოცვისა იმ საშინელ წამებში, როცა მთელი ჩემი არსება ყაფნასა და ბრ. ყაფნასა შეა ირყევა, როცა წარსული ვითარცა ელვა ანათებს ბნელ უფსკრულს მომავალისას და ყველაფერი ჩემს გარშემო ინთქება და ჩემთან ერთად იღუპება, როცა ცოცხალ ქმნილებას შიში იპყრობს, როცა იგი ყველასაგან მიტოვებულია, მიექანება უფსკრულისაკენ, განა შეუძლიან მას არ წარმოსთქვას სასოწარკვეთილი სიტყვები: „ლმერთო, ლმერთო, რისთვის ამაღე

მე ხელი? ნუ თუ ამ სიტყვების უნდა შემრცხვენოდეს ამ სა-შინელ მდგომარეობის დროს მაშინ, როცა ისინი მანაც ვერ აიკიდა თავიდან, ვინც თვით ზეცას ისე ჰკეცავს, როგორც უბრალო ხელმანილსა?

იგი ვერ ხედავს, იგი ვერა ჰგრძნობს, რომ ამზადებს სა-წამლავს, რომელიც ბოლოს მოუღებს მეცა და თავის თავსაც; მე კი ხარბად ვეწაფები იმ ფიალას, რომელ საც ჩემდა დასალუ-პავად მაწოდებს იგი. რას უნდა ნიშნავდეს ის კეთილი თვალი, რომლითაც იგი ხშირად... ხშირად... არა, ხშირად არა, მაგრამ ხანდახან მაინც შემომხედავს ხოლმე, რას უნდა ნიშნავდეს ის სიამოქნება, რომლითაც იგი იღებს ჩემგან ჩემდა უნებურად გა-მომელავნებულ გრძნობას, რას ნიშნავს ის ჩემი ტანჯვისადმი-თანაგრძნობა, რომელიც მის სახეზე იხატება?

გუშინ, როცა შინ მივდიოდი, ხელი გამომიწოდა და მითხ-რა: „მშვიდობით, ძვირფასო ვერტერ!“ ძვირფასო ვერტერ! ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მან „ძვირფასი ვერტერი“ და-მიძახა და ამან ერთიანად დამიარა ტვინში და ძვალში. ათა-ჯერ განვიმეორე ეს წინადადება ჩემთვის და წუხელი, როცა დასაძინებლად წავედი და ჩეს თავთან რაღაცას ელაყბობდი, ერთბაშად წარვიძიახე: „ლამე ნებისა, ძვირფასო ვერტერ“, რის შემდეგაც ბევრი ვიცინე ჩემსავე თავზე.

22 ნოემბერი.

არ შემიძლიან ვილოცო: „ლმერთო დამანებე იგი“-თქოს წარმომიდგება კი ის ხშირად, როგორც ჩემი საკუთრება. არ-ძალშის ვილოცო „მომეცი იგი!“ რადგან იგი სხვისია. ვო-ხუნჯობ ჩემს გაბედულებაზე და ასე რომ გავაგრძელო, ანტი-ტეზების მთელი ლიტანია გამოვა.

24 ნოემბერი.

ამა ჩვით გრძნობს, როგორ ვიტანჯები მე. დღეს მისმა შემო-ხედვამ გულის ძირამდის ჩაღწია. იგი მარტო დამხვდა. მე არა მითქვამს-რა. მან შემომხედა; ვეღარ დავინახე მასში ჩვეულებ-

რივი მიმზიდველი მშვენიერება, ვეღარც ცოცხალი გონება, რომლის სინათლე სახეს უბრწყინებს ხოლმე; ეს ყველაფერს გაჰქრა იმ შემოხედვის წინაშე, რომელიც აღსავსე იყო ულრ-მესი გრძნობითა, უტკბილები თანატანჯვითა. რატომ ვერ ვბე-დავდი მის წინაშე დავცემულიყავ? რატომ ვერ ვბედავდი მი-მეცა პასუხი ყელზე მოხვევნით და ათასის კოცნით? თითქო იგრძნოო ჩემი სულის მდგომარეობა, მან თავი შეაფარა პია-ნინოს და დამდერა ჰარმონიული ჰანგები ტკბილის, ნაზის ხმით; მისი ბაგენი ასე მშვენიერნი თავის დღეში არ მინახავან. თით-ქო მწყურვალენი იშლებოდნენ ისინი იმ ტკბილ ხმათა შესას-მელად, რომელნიც აღმოსდიოდნენ საკრავიდან და რომელსაც ხმას აძლევდა საამურად მისი წმიდა პირი. ნეტავ შემეძლოს შენთვის ყველაფრის სისწორით გარდმოცემა! — ვერ მოვითმი-ნე, ჩავკიდე თავი და დაესდე აღთქმა: არაოდეს არ გავტედავ აღვბეჭდო კოცნა ამ ტუჩებზე, რომლებზედაც მიმოფრინავენ ციურნი სულნი. და მაინც... მინდა... პა! ჩვენ შესა მაღალი კე-დელია... ეს ნეტარება... მერე დავიღუპო ამ ცოდეის მოსანა... ნებლად... ცოდვა კია?

30 ნოემბერი.

ხანდახან ვაძბობ ჩემთვის: ასეთი ხვედრი განსაკუთრებუ-ლია; სხვა ყველა ბელნიერად უნდა ჩასთვალო, რადგან ჯერ არავინ შენსავით არა ტანჯულია. მეტე ვკითხულობ ძველ დრო-თა რომელიმე მწერალს და ისე მეჩვენება, თითქო ჩემს საკუთარ გულში ვიხედებოდე. ამდენი უნდა ავიტანო! ან, განა ჩემამ-დინაც ყოფილან ჩემებრ უბედური აღამიანნი?

30 ნოემბერი.

ვეღარ მოვდივარ, ვეღარ მოვდივარ ცნობაზე! სადაც კა მივდივარ, ისეთი რამ მომეჩვენება, რაც მოთმინებას მიკარგავს. დღეს! ო, აღამიანის ბედისწერა!

სადილობის დროს წყაროზე წავედი, რადგან ჭამის მაღა არა შეონდა. ყველაფერი ცალიერი იყო. საღამოს ცივი ჭარი

ჰერავდა მთიდან და ხევზე შაეი საწვიმო ლრუბლები იკრიბებოდნენ. შორიდან დავინახე ერთი კაცი, მუგანე, ცუდ ტანისამოსში; ის კლდეებზე შუა მოფორთხავდა და ჩანდა, რომ ბალახებს ეძებდა. როცა მივუახლოვდი და იგი ჩემს ხმაურობმზე მობრუნდა, დავინახე ფრიად საინტერესო სახე, რომელსაც აჩნდა ბეჭედი წყნარი მელანქოლიისა და თან პატიოსანის სულისა. შაეი თმა წინიდან შუაზე ჰქონდა გაყოფილი, უკან კი მსხვილი ნაწნავები ეკიდა. ტანისამოსზე ვამჩნევდი, რომ ეს კაცი დაბალი წოდების უნდა ყოფილიყო, ამიტომ ვიფიქრე არ მაწყენს-მეთქი და ვკითხე, რას ეძებდა.

— ვეძებ ყვავილებს, — მიპასუხა მან ამოთხვრით, — ვერა ვპოულობ კი.

— ამისათეის დროც არ არის, — ვუთხარი მე ღიმილით.

— ყვავილები ბევრია, — სოქვა მან და ჩამოვიდა ძირს ჩემთან. — ჩემს ბალში არის ვაჩრდი და „უკაუჩრისა“ *) ორნაირი ჯიშისა: ერთი მამა-ჩემმა მომცა და იზრდება, როგორც უბრალო ბალახი; ორი დღეა ვეძებ მათ და ვერა ვპოულობ. იქ, სახლში ყოველთვის ბევრია ყვავილი ყვითელი, ცისფერი და წითელი; მშვენიერი ყვავილები აქვთ; ვერც ერთი კი ვერ ვიპოვე. რაღაც უსიამოვნო გამომეტყველება შევამჩნიე და ამიტომ კითხვა სხვა მხრიდან მოვუბრუნე: „რად გინდათ მერე ის ყვავილები?“ — საოცარი მთრთოლვარე ღიმილით გაუნათლდა სახე».

— თუ თქვენ არ გამცემთ, — მიპასუხა უცნობმა და თითო ტუჩებზე მიიფარა, — ჩემს სატრფოს თაიგულს დავპირდი.

— ძალიან კარგი საქმეა. — ვუთხარი მე.

— ოჲ, მას აქვს ბევრი სხვა ნივთებიც, ის მუიდარია.

— და თქვენი თაიგული მაინც ძვირფასია მისთვის. — ვუთხარი მე.

— ოჲ, — განაგრძო მან, — მას აქვს თვალ-მარგალიტნი და გვირგვინი.

— რა ჰქვია მას?

*) ლათინური *noli me tangere*, რუსული — не тронь меня.

— სახელმწიფო სეიმი რომ მომცემდეს, რაც მერგება, სულ სხვა კაცი ვიქმნებოდი! — მიპასუხა მან. — დიალ, იყო დრო, მე კარგად ვიყავი! ახლა ჩემი საქე წასულია. ახლა მე ვარ.... — მისმა ზეცისკენ მიმართულმა ცრემლიანმა თვალებმა ყველა-ფერი გამოსავეს.

— მაშასადამე წინად ბედნიერი ყოფილხართ? — ვკითხე მე.

— ახ, ნეტავ, კვლავ ისე ვიყო! ისე კარგად ვიყავი, ისე მხიარული, ისე უდარდელი, როგორც თევზი წყალში.

— ჰეინრიხ! — დაიძახა ერთმა მოხუცებულმა დედა-კაცმა, რომელიც გზიდან მოგვიახლოვდა, — ჰეინრიხ, სად იმალები? სუყველგან გეძებთ, წამო, საჭმელი ჭამე.

— თქვენი შვილია? — ვკითხე დედაკაცს და მივედი მასთან.

— დიალ, ჩემი უბედური შვილი! — უფალმა წილად მძიმე ჯვარი მარგუნა.

— რავდენი ხანია ასე? — ვკითხე მე.

— ასე წყნარი ეს ნახევარი წელიწადია. მადლობა ღმერთს, რომ ახლა ასე არის. წინად ერთი წელიწადი გიუი იყო და დაბმული იმყოფებოდა საგიუეთში. ახლა ილარიას არაფერს უშავებს, მხოლოდ მეფებთან და დედოფლებთან აქვს საქმე. ეს ერთი კეთილი, წყნარი კაცი იყო, ხელს მიმართავდა, მშვენიერი წერაც იცოდა; ერთბაშად დაფიქრიანდა, ჩავარდა ციებ-ცხელებაში, მერე გაგიუდა და ახლა ისეა, როგორც თვითონა ხედავთ. რომ მოგიყვეთ, ბატონო, მის ამბავს...

მე ეს სიტყვათა ნაკადული შევაჩერებინე ერთი კითხვით.

— რა დრო იყო ის დრო, რომლითაც იგი ასე კმაყოფილია, ბედნიერი ვიყავიო?

— სულელი! — სთქვა მან თანამგრძნობი ღიმილით, — იმ დროს გულისხმობს, როცა თავის ჭკუაზე აღარ იყო. იმ დრო-თი ყოველთვის ამაყობს. ეს ის დრო არის, როცა ის საგიუეთში იყო და თავისი თავის არა იცოდა-რა.

ამ ამბავმა თავზარი დამტა; ხელში ჩავუდევი დედაკაცს ფული და საჩქაროდ მოვშორდი.

„მაშინ ბედნიერი იყავი, — ვსთქვი მე და გავეშურე ქალა-ქისაკენ. — მაშინ ბედნიერი იყავი, როგორც თევზი წყალში!

ღმერთო! რისთვის დაუნიშნე ადამიანს ხეედრად, რომ
ბედნიერება მისთვის შეძლებელი იქნეს მხოლოდ გონების გახს-
ნამდის ან და მის დაკარგვის შემდეგ? უბედურო! როგორ შევ-
ნატრი შენს შეშლილობას, შენს გრძნობათა არეულობას! სახ-
ლიდან გამოდიხარ იმედებით აღსავს შენი დედოფილისათვის
ყვავილების მოსაკრებად ზამთარში... და სწუხარ, რომ ვერ
ჰპოულობ, არ გესმის კი რატომ ვერ ჰპოულობ. მე კი... მე
გამოვდივარ კარში უიმედოდ, უმიზნოდ და ვბრუნდები შინ
ისევ, როგორც გამოვედი. — შენ ოცნებობ მაზე, თუ რა კაცი
იქნებოდი, რომ სეიმი ფულს გაძლევდეს. ბედნიერო ქმნილე-
ბავ! შენ შეგიძლიან შენი უბედურება მიაწერო მიწიერ დაბრ-
კოლებათა. ვერა გრძნობ! ვერა გრძნობ, რომ უბედურება შენს
გულში, შენს შერყეულ ტვინში ბუდობს, რისგანაც ვერ გიხს-
ნიან მეფენი მთელი ქვეყნისა.

დე, უნუგეშოდ დაიღუპოს იგი, ვინც დასცინის სხეულ
ადამიანს, როცა იგი განსაკუთრებულად მიდის შორს მყოფ
წყალზე, რომელიც მხოლოდ უძნელებს ავათმყოფობას, უმწა-
რებს უკანასკნელ წამებს! ვინც დასცინის ადამიანის დატან-
ჯულ გულს, რომელიც ქრისტეს წმიდა საფლავისაკენ მიემგ-
ზაერება, რათა განთავისუფლდეს სინიდისის მხილებისაგან და
მოიშოროს თავიდან სულიერი ტანჯვები! ყოველი ნაბიჯი, რო-
მელსაც იგი დაუტკეპნელ ეკლიან გზაზე გადაადგამს, არის მი-
სი დამტრითხალი სულის მანუგეშებელი და ყოველ დღე მგზა-
რობისა შესამჩნევად უმსუბუქებს გულის ტანჯვებსა. — გაქვთ
უფლება ამას სიგიჟე უწოდოთ, — თქვენ, სიტყვების ფაჭრებო?
სიგიჟე? ო, ღმერთო! ხომ ხედავ ჩემს ცრემლებს! თუ ადამია-
ნი ეგზომ საწყალი შექმენი, რისთვის-ლა მიეცი მას ძმები, რო-
მელნიც მას ართმევენ იმ ცოტასაც, რაც მისთეის მიგიცია და
სტაცებენ იმედს, რომელიც მას შენზე დაუმყარებია, შენზე,
უსაზღვრო სიყვარულო! რადგან იმედი გამკურნებელ ფეხი-
სადმი, ვაზის ცრემლებისადმი, სხვა რა არის, თუ არ იმედი
შენზე დაყარებული, შენზე, რომელმაც ჟველაფერს, რაც კი
ჩვენს გარშემოა, შთაბერე გამკურნებელი, შემამსუქებელი ძა-

ლა, რაც ყოველ წამში გვჭრდება? მამაო! რომელსაც ვერ ვიცნობ! მამაო! რომელიც წინად მთელს სულს მივსებდი და ახლა სახე მიიბრუნე ჩემგან! მიმიწოდე შენთან! შესწყვიტე სიჩუქე. შენს სიჩუქეს ვერ აიტანს ჩემი დავრდომილი სული. ნუ თუ რომელიმე მამას, ადამიანს, შეუძლიან წყრომა იმ შვილზე, რომელიც მოულოდნელად ბრუნდება, ეხვევა ყელზე და შესძახის: „მე ისევ აქა ვარ, მამაჩემო, ნუ გამიწყრები, თუ შევწყვიტე მოგზაურობა, რომელიც შენი სურვილისამებრ უფრო დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. წუთი-ხოფელი ყველგან ერთია: წვალება, შრომა, ზღვევა და სიხარული; მაგრამ მე ამას რას ვაქნევ? ჩემთვის კარგია მხოლოდ იქ, სადაც შენა ხარ და შეურს შენს თვალწინ ვიტანჯო და ვისიამოვნო“... და შენ კი, ზეციერო მამაო, შეგიძლიან იმას ხელი ჰკრა?

1 დეკემბერი.

ვილპელმ! ის კაცი, რომელზედაც ამას წინად გწერდი, ის ბეღნიერი უბედური, წინად ლოტტას მამასთან ყოფილა გადამწერლად, ლოტტასადმი სიყვარულს ფარულად ზრდიდა გულში, მერე ეს გრძნობა გამომუღავნებულა და სამსახურიდან დაუთხოვნიათ; საბრალოს ეს ვერ აუტანია და ჭკვიდან შეშლილა. ამ მოკლე მშრალ სიტყვებით ივრძენი, რა საშინლად იმოქმედა ჩემზე ამ აშბაგმა, როცა მას ალბერტი მიყვებოდა ისე გულგრილად, როგორც, იქნება, შენ კითხულობ მას.

4 დეკემბერი.

გთხოვ.. ხედავ, ჩემი საქმე წასულია, აღარ შემიძლია მეტი თმენა! ლოტტასთან ვიჯექი.... ის პიანინზე უკრავდა სხვა-და-სხვა ჰანგებს სრულის გრძნობით, სრულის!.. სრულის!.. მისი ჰატარა და დედოფულას რთავდა ჩემს მუხლებზე. თვალები ცრემლებით ამევსნენ. თავი ჩავდუნე და მოვკარი თვალი ლოტტას საქორწინო ბეჭედს... ცრემლები გადმომცვიდა... უეცრად დაიწყო მან ძველი, ღვთაებრივ ტკბილი მელოდია, უეცრად, და სული აღმევსო ნუგეშითა და მოგონებით იმ წარ-

სულ დროთა, როცა ეს სიძლერა მესმოდა, მომაგონდა ჯერ გამოურკვეველი მდგომარეობა, მერე ჩემი შეშფოთება, ჯაერის გაცრუებული იმედები და ველარ მოეისვენე, დავიწყე თთახში წინ და უკან სიარული, გული ინთებოდა გრძნობათა ზეირთებში და მეგონა გასკდებოდა.

— თუ ღმერთი გწამთ,—ვუთხარი მე და სიჩქარით მივუახლოვდი,—თუ ღმერთი გწამთ, შესწყვიტეთ.

ლოტტამ შესწყვიტა და განციფრებით შემომხედა.

— ვერტერ,—მითხრა მან ლიმილით, რომელმაც მთელს არსებაში დამიარა,—ვერტერ, თქვენ ძალიან ავადა ხართ; რაც წინად გიყვარდათ, ის ეხლა გაჯავრებთ. წალით. მე თქვენ გთხოვთ, დამშვიდლით. მე მოვშორდი მას და... ღმერთო! შენ ხელავ ჩემს უბედურებას და შენვე მოულებ მას ბოლოს.

5 სექტემბერი.

როგორ თანა მდევს მისი სახე! ძილში თუ ცხადად ჩემი სული აღსავსე არის მითი! აქ, როცა თვალს ეხუჭავ, აქ, ამ შუბლში, სადაც ერთდებიან მხედველობის ძალნი, დგანან მისი შავი თვალები, აქ! მე არ ძალმის ეს ავხსნა: გავახელ თუ არა თვალებს, მისი თვალები მაშინაც აქ არიან; ვითარცა ზღვა, ვითარცა უმოძრაო უფსკრულნი, გადაშლილან ისინი ჩემს წინ და მივსებენ ფიქრსა და გრძნობას.

რა არის ადამიანი, ეს ნაქები, ნახევარ-ღმერთი! ხომ მისი ძალები მაშინ დალატობენ მას, როცა მისთვის ისინი უფრო საჭირონი არიან, როცა იგი სიხარულით აღტაკებულია ან ტანჯვებით შეპყრობილი, ხომ იყი თრივე ამ შემთხვევაში მაშინ ჰერძნობს ხოლმე თავის სრპატარავეს, მაშინ უბრუნდება მას უგულო, ცივი ცნობიერება, როცა ნატრობდა უსრულოების სავსებაში თავის დაკარგვას.

o. 6.

(დასასრული შემლებ №-ში)

გურია-აჭარა

მზადებელის ფინილები

XXII*)

სოფ. ხულო და ბჟარის წარსული.

ხულო.—წარსული ცხოვრება აჭარისა. — ხიმშიაშვილთა გვა-
რი. — აბდულ-ბეგი ხიმშიაშვილი. — სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი. — ახ-
მეტ-ბეგი ხიმშიაშვილი და გენერალი ბარონი ოსტენ-საკენი. ახმეტ-
ბეგის შვილები. — ქერ-ხუსეინ-ბეგი და ოსმალეთის ცდა აჭარის ფაქ-
ტიურად დამორჩილებისა. — აჭარა თავისუფლებას ეთხოვება. — ოს-
მალურის ხარჯის შემოღება. — ბათომის ოლქის დაპყრობა რუსეთის
მიერ. — აჭარელების გადასახლება ოსმალეთში. — მათი ყოფა ახალ
ქვეყანაში. — ამბოხება აჭარაში. — გენერალ-მაიორის კომაროვის „გან-
ცხადება“. — როგორ მიეგება ქართველობა ახალ შეძენილ ძმებს. —
სადილი ტფილისში 1878 წ. 20 გიორგობისთვეს. — წერილი შერიფუ-
ბეგ ხიმშიაშვილისა.

თამარის-ხიდიდან სოფ. ხულომდე ერთის საათის სავალი
გზა. ორ კლდეს შუა საშინელის გრგვინეით მიმავალი აჭარა-
წყალი, დედა—მდინარე აჭარისა, ერთბაშად განზე გრჩებათ და
გამოდიხართ ასე 8 დღიურის სიფართე ვაკეზე ზღვის პირიდან.
3,391 ფუტის — სიმაღლეზე. ამ ვაკეზედა მის ჩრდილოეთით
გაშენებულია სოფ. ხულო — უწინდელირეზიდენც ახალციხის

*) იხ. „მამბე“ 1898 წ. № X. — მკითხველთან ბოდიშს ვიხდით,
რომ ჩენის წერილების გაგრძელების მოწოდება, ჩენგან დამოუკიდებელ
მიზეზთა გამო, ასე დაგვიგვინდა.

ფაშებისა, სელიმისა და ახმეტისა და აგრეთვე ზემო-აჭარის უკანასკნელ მმართველისა და პატრონის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

ვაკეზე პირველადვე თვალში გხვდებათ ორ სართულიანი სახლი, სადაც მოთაესებულია ხულოს ნაწილის კანცელარია; მის გვერდით ხისავე ორ სართულიანი სახლია, აჭარულის არქიტექტურისა, სადაცა დგანან აჭარელი ჩაუშები ანუ ჩაფრები. კანცელარის იქით-აქეთ ცოტა მოშორებით ორი სახლი დგას ქვითკირისა, ოთხ-ხუთ თვალზანი ჯითოვეული. ორივე სახლი ეკუთვნით შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილებს ერთი თემურბეგს და მეორე—არსლანბეგს. სამმართველოს წინ, შოსეს პირას, კოშკისა და აბანოს ნანგრევებია. აქ ყოფილია სასახლე თვით შერიფ-ბეგისა. ნაკოშკართან გაშენებულია ბალი, აწ თავ-მინებებული და ცხენთა საძოვრად მიშვებული. თვით ხულოელები სამმართველოდან ნახევარის ვერსის მანძილზე სცხოვრობენ.

ხულო ისტორიული სოფელია და ბევრ რისამე მოწამეა აჭარელთა ცხოვრებაში. იმად ღირს, რომ აქ ცოტა მეტი ხანი შევჩერდეთ და გავაცნოთ მკითხველს ხულო, მისი დღევანდვლი მდგომარეობა, როლი ხიმშიაშვილის გვარისა აჭარის ცხოვრებაში, ხულო და ხულოსთან ერთად აჭარის წარსული.

ხულოში, რომელიც ყველაზე დიდ სოფლად ითვლება ზემო-აჭარაში, მცხოვრებნი ორმოც კომლამდე არიან. სახლები ყველას, როგორც საზოგადოდ აჭარაში, ორ სართულიანები აქვთ, ხისა; ზოგან ქვითკირის სახლიც შეგხვდება კაცი ზედა-სართულში თვითონა სცხოვრობენ, ხოლო ქვედაში საქონელი უბიათ. შუაგულ სოფელში აშენებულია ხის ჯამე. საძირკვლად დატანებული აქვს ის ქვის მასალა, რომელიც დარჩენილა მართლმადიდებელ ეკკლესიის დამალთა მიერ დანგრევის შემდეგ. ეს ეკკლესია ამ სამოცის წლის წინად მდგარა და მაჰმადიანთ პირველად პირდაპირ ჯამედ უქცევიათ. ლოცვად რომ მდგარან, ხოჯასი და მლოცველ ხალხის ხმა, გუმბათის რეზონანსის მიზეზით, ერთმანეთში არეულა. ამ უხერხულობის ასა-

ცილებლად ქვის გუმბათი ჩამოუშლიათ და ხისა გაუკეთებიათ. მერე სულ დაუქცევიათ ქვითკირის ეკვლესია და იმის ალაგას აუგიათ ხის ჯამე, რომელიც დღესაც დგას. საძირქველს ერთგან ჩატანებული აქვს ძველის ეკვლესის ჩუქურთმიანი ქვა. ჯამეს წინ აუზია, მშენიერის წყაროს წყლისა, ხადაც გამაპმადიანებული ქართველნი ნამაზსა შვრებიან. აუზს იქით, ჩრდილოეთით, ნასახლარია შერიფბეგ ხიმშიაშეილისა, ხოლო ჯამეს დასავლით ქვის გალავან შემოელებული სასაფლაო შერიფბეგის წათესავთა. ცველა საფლავს ძეგლი ადგას მარმარილოსი: ფართო ფიცარი მაღლა აყუდებული და თავზე ოსმალურის ფეხის ქანდაკება. აქ არიან დასაფლავებულნი: ცოლშვილნი მურთაზაბეგისა (შერიფბეგის შეილისა), არსლან-ბეგი, სებასტოპოლის ომში მოკლული ძმა შერიფბეგისა—აჭმიდფაშა, იბრაჰიმ-ბეგი და სხ. უმეტესობა საფლავებისა შამბით არის დაფარული. ჯამეს ცოტა მოშორებით ათიოდ დუქანია ხისა, პატარები, საწვრილმანოები, საყასბო, სამჭედური. ვაჭრები ბერძნები და სომხები არიან.

ეს საზოგადო სურათია ხულოსი. ახლა მივმართოთ მისსა და საზოგადოდ აჭარის წარსულს ცხოვრებას.

* * *

მე-XVII საუკუნის ნახევრამდე აჭარა ხან გურიელების ხელში იყო და ხან ოსმალეთისაში. ამ ხნიდან კი ეს უკანასკნელი საბოლოოდ დაეპატრონა და ქრისტიანობაც XVII საუკუნის ბოლოდან ისპობა თანდათან. მაგრამ ოსმალეთის გავლენა ფაქტიურად უფრო XIX საუკუნეში დაეტყო საქართველოს ამ ნაწილს. აქ ოსმალეთის ბატონობის მკვიდრად ფეხის მოკიდებას ხელს უწყობდნენ მაღალის წოდების პირნი, ბეგები, რომლებიც სხვა-და-სხვა ჯილდოებითა და დაპირებებით, პირადის სარგებლობით გატაცებულნი, ადეილად ელეოდნენ თავის ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, შამა-პაპათა სარწმუნოებას.

აჭარაში, და განსაკუთრებით შისს ზემო ნაწილში, გავლენიანი იყო და მთელის მხარის ბატონაც და პატრონაც იმავთავით ვე იჯვლებოდა ხიმშიაშეილის გვარი. ეს გვარი, როგორც

ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, მონათესავება არაგვისპირის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა. მათს წინაპარს XVII საუკუნეში კაცი შემოჰკვდომია. არაგვის ხეობაში, მეფის რისხევას გაქცეულია და აჭარაში შეხიზნულა. აქ, როგორც კარგს ვაჟკაცს, თავი გამოუჩენია და მაღვე მთელის მხრის ბატონობაც ხელო ჩაუგდია. იგივე ზეპირგადმოცემა მოყვითხრობს, რომ აწინდელის ხიმშიაშვილების წინაპარი აბდულა-ბეგი უბრალო შევიდობის მოყვარე მწყემსი ყოფილა და ქვეყნის უფროსობა ფიქრადაც არ გაუვლია, როცა მწყემსის ჩამბახი ეჭირა ხელში და საქონელს უვლიდაო. მაგრამ ბუნებრივმა კუუამ და სიძირიდრემ ხალხში გავლენა მოუპოვა, თავის თავს „ბეგი“ უწოდა და და სხვამაც არ გაუტეხა ხათრიო, ამ აბდულას, ერთ დროს მწყემსად ყოფილს, ჩვენ უკეე ვხედავთ აჭარელთაგან შედეგნილ მეომართა რაზმის უფროსად, ძლევა-მოხილების მაძიებელს, გურიის სოფელ აკეთში თავად მამუკა თავდგირიძესთან მეპრძოლს. მაგრამ პრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულავს იყო 1782 წელს. აბდულა პირველი ხიმშიაშვილი იყო, რომელსაც ისტორიაც იცნობს, და რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ზემო-აჭარაში ხიმშიაშვილთა გვაროვნობას.

აბდულა-ბეგს დარჩა შვილი სელიში. ისიც მამის კვალს ადგა და ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ ფაშობაც-კი იშოვნადა სელიმ-ფაშად იწოდებოდა. ეს ის სელიმ-ფაშა იყო, რომელმაც ახალციხეში გაქცეული და უტახტოდ დარჩენილი სოლომონ, მეფე იმერეთისა, რუსების წინააღმდეგ 1814 წელს შეელასა და დახმარებას სთხოვდა.

წარსულ საუკუნის უკანასკნელს წლებში აჭარა ახალციხის ფაშას ათაბეგს შერეფ-ფაშას ექვემდებარებოდა. გარემოება, მეტად აწეშილ-დაწეშილი იყო. ამით ისარგებლა სელიმ-ბეგმა, ფეხი კარგად მოიმაგრა აჭარაში, ბატონი გახდა აქაურთა მკვიდრთა და ახალციხის ფაშას პირდაპირ, კადნიერად ფამოუცხადა, არ მინდა გემორჩილო და ბატონად აღგიაროვო. ეს მარტო არ იყმარა სელიმ-ბეგმა. შეპკრიბა აჭარელნი და მათეს შემ

წეობით 1803 წელს შერიც-ფაშა ახალციხიდან განდევნა, ხოლო ფაშობა თითონ ჩაიგდო ხელთ *).

სელიმფაშის დროს, როგორც აჭარა, ისე ახალციხის საფაშალიყო ლეკების ბუნაგად შეიქმნა. ეს მტაცებელი ხალხი თავისუფლად დათარეშობდა ყველგან. სელიმ ფაშის ეს მთიულები ქართლის დასარბევადა ჰყავდა დაქირავებული. ცოტ-ცოტათი ძლიერების ფრთხები გაშალა, ქედ-მაღლურად დაიჭირა თავი და სულთანს თითქმის არც კი ემორჩილებოდა. სულთანს, რა თქმა უნდა, არაფრად ექაშნიკებოდა თავისის ქვე-შევრდომის ურჩობა და განურჩისხდა. სელიმი იძულებულ იქმნა ახალციხიდან ლტოლეოლიყო. სელიმს სიკვდილიც მიუსაჯეს. შერიც-ფაშა ისევ დაბრუნდა ახალციხეში და თავისს მეტოქეს ძებნა დაუწყო. სელიმ-ფაშა ამასობაში აჭარაში იმაღლავდა თავსა თავისის სახლობით, რაღვან მასთან ერთად მისს სახლობასაცა ჰქონდა სიკვდილი შისჯილი.

1815 წელს სულთანის ბძანებით არზრუმის სერაქსირში, ბაბა-ფაშამ (ფეხლევანმა), აჭარაში ისევ გამოუგზავნა დიდი ჯარი. სელიმ-ფაშა ზემო-აჭარის სოფელ ბაკოსთან ხირხათის ცრხეში გამაგრდა და იქ იყო, სანამ მოღალატემ ხელში არ ჩაუგდო. სელიმ-ფაშის მოკვლის ამბავს დაუწერილებით ვიტყვით, როცა ხირხათის ციხის აწერის შემთხვევა გვექნება.

სელიმის დასჯის შემდეგ მისი ოჯახობა ახალციხეში გადაიყვანეს, გარდა მისის ორის შვილისა — აპმედ-ბეგისა და აბდი-ბეგისა, აბდი-ბეგმა ცოლად შეირთო მამია გურიელი V-ის დაჲესმა, ორივე ძმა გურიაში გაიქცნენ მამია გურიელან.

1828 წელს რუს-ოსმალოს ომი ატყდა. სელიმის უფრო-სი შვილი აპმედ-ბეგი უკვე დავაუკაცებული იყო. თანაც დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ფოცხოვიდან მოკიდებული შა-

*) ჩვენის წერილის ისტორიულის ნაწილის შედგენის დროს ვსარგებლობდით დ. ბაქრაძის რუსულად გამოცემულ წიგნით „საარქეოლოგია. მგზავრობა გურია-აჭარაში და გ. ყაზბეგის წიგნით „სამი უთვე ღმალე-ოის საქართველოში“.

ვის ზღვის პირამდე, სიმდიდრე და მამული დიდი ჰქონდა, — ზოგი მამისაგან დარჩა, ზოგიც თვითონ იყიდა. ხულაში სწორედ იმ ადგილას, სადაც ქრისტიანობის დროის ეკკლესიის ნაგრევებია, სასახლე გაიშენა და დასახლდა. რუსებისათვის ახმეტ-ბეგისთანა გავლენიანის კაცის დაახლოვება და მეგობრობა დიდ სასურველი და საქიროც იყო. ამიტომ, ახალციხეში დაბანკებულ რუსის ჯარის უფროსმა, თავადმა ბებუთოვმა, 1828 წელს, ახმეტ-ბეგთან მოლაპარაკება გამართა. 1829 წელს ახალციხის გარეშემორტყმისათვის ახმეტ-ბეგს ფაშობა ებოდა და თანახმა გახდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიერო. იმპერატორმა ნიკოლოზმა გენერალ-მაიორობა და სტანისლავის ლენტი უბოძა; რომლის მისაღებად ახალციხეში იქმნა მოწვევული. მაგრამ ზალე გარემოება გამოიცვალა: თავადი ბებუთოვი გამოსცვალეს. ხოლო ახმეტ-ფაშა, რომელიც პირადად იცნობდა ბებუთოვს და ენდობოდა, ვერ გაჰქიდა ერთბაშად მინდობოდა, ახალციხის ჯარის ახალს უფროსს, გენერალ ბარონ ოსტენ-საკენს. ამიტომ, თუმცა პირობა ზისცეს ახმეტ-ფაშას, არა დაგიშვებოთ, მაგრამ მაინც არ წავიდა ახალციხეში, სადაც ოსტენ-საკენმა იხმო.

ბარონი ოსტენ-საკენი მოლაპარაკებას აღარ შეუდგა და პირდაპირ აჭარაში წავიდო თავისის ჯარით. ამ გალაშქრების დროს, ესე იგი, 1829 წ., მარიამპისთვეში უამი მძვინვარებდა აჭარაში და შესოვრებნი ტყეებში იყენენ დახიზნულნი. თვითონ ახმეტ-ფაშა ქვემო-აჭარაში იმყოფებოდა. რუსის ჯარი სოფ. რიყეთში რომ მისულა, ლორჯომში გაუგიათ. ხულოში მამასახლისები შეკრებილან და რუსის გენერლის მოციქულს დახვედრიან. მოციქულს უთქვამს: რუსები ბათომში მიღიან, აჭარლებს არა ერჩიან, მაგრამ რა სოფელშიაც თოფი დაიკლება, იმ სოფელს აანაცარმტუტებენო: გენერალს მოუთხოვნია, რომ თვითონ ახმეტ-ფაშა მიჰებებოდა. მამასახლისებს სამა დღე ვადა უთხოვნიათ. მაგრამ ამ დროს თვითონ ოსტან-საკენი მისულა ხულოში და, რაღაც ახმეტ-ფაშა ვადაზე არ გამოცხადებულა, ბძანება გაუცია მისი სახლი გადაეწვათ.

ამასობაში, ახმეტ-ფაშას, თავი მოუყრია 300—400 აკარე-ლისათვის და გადაუწყვეტნია—რუსები ბათომისაკენ არ გაეშვა. რუსის ჯარი ხულოში ორ ლამეს დარჩენილა და მერე ლორ-ჯომისაკენ დაბრუნებულა. ოსტენ-საკენის რაზმი, არტილე-რიით და კავალერიით, ორ ათას კაცისაგან შესღებოდა. თან მიჰქონდა აუარებელი ურმები, ბევრი დაჭრილი და ავალმყოფი ჰყვანდა და მეტის-მეტის სიმძიმით მიღიოდა. მთე-ლი დღე მოანდომა ხულისა და ლორჯომს შუა გზის გავ-ლას. აქ ჯამესთან მოედანზე კარავი დასუა და მეორე დღეს სომლიის მთის აღმართს შეუდგა. ახმეტ-ფაშა უკან ფეხ-და-ფეხ მისდევდა და თავისი კაცები წინ და წინ გაგზავნა გზის შესა-კერელად. აჭარელები მთებზე გადმომდგარნი, ზევიდან ქვებს აგო-რებდნენ და ჯარს საჭეს უბრკოლებდნენ. 22 მარიამობისთვეს სალამოზე რუსის ჯარი საჭულაფერდის ქედს მოექცა. ლამე იქ გაათია. მეორე დღეს გურიის საზღვრისაკენ გაემართა, იქიდან ქვაბლიანჩას დაჰყეა ახალციხისაკენ.

ეს უკანასკნელი ეპიზოდი იყო 1829 წლის ომისა. მალე ზავი ჩამოაგდეს. ახმეტ-ფაშას ყარსის გუბერნატორობა მისცეს და ერზრუმის ხერაქსიარად მოკვდა.

1829 წლის ომის შემდეგ, იმის წყალობით, რომ ახმეტ-ფაშას, ოსმალეთის მთაერობის წინაშე, დიდი სამსახური მიუძლოდა, ხიმშიაშვილის გვარმა ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი ოსმალეთის საქართველო. თითოეულმა ძმამ თითო ნაწილი მი-იჩინა თავისთვის. ამ ღროს ესენი ოსმალეთის სულთან მარტო-ოდენ სიტყვით ექვემდებარებოდნენ. ერთად-ერთი ბეგარა—ჯარის-კაცობა იყო. ესეც ახმეტ-ფაშამ შემოილო, რომ ამით ეამებინა სულთანისათვის და თავისი ერთგულება დაემტკიცე-ბინა. მაგრამ ამ ბეგარასაც პირველ ხანში წესიერად არ იხდი-დნენ,—სამიოდ-ოთხიოდ კაცს და ისიც უსახლკაროს ვისმე თუ გაიყეანდნენ სულთანის ჯარში.

ახმეტ-ფაშის სიკვდილის შემდეგ, მათს ძმებში, კუელაზე გავ-ლენიანი ქერ-ხუსეინ-ბეგი იყო. ახმეტ-ფაშის შვილის შერიფ-ბეგის მცირეწლოვანობის გამო მთელს აჭარას ქერ-ხუსეინ-ბეგი

მართავდა და ოსმალების მთავრობას ხელს უშლიდა აქ ოსმალურ წესწყობილების შემოღების საქმეში. ქერ-ხუსეინ-ბეგის შოსახეშვალ ისმალეთიდან ჭყონია-ფაშა, კაცი მეტად სასტიკი, გამოგზავნეს. ჭყონია-ფაშა ქვედა-აჭარაში, სოფ. ქედას, დაბინავდა და იქიდან შიშის ზარსა სცემდა გარემო მცხოვრები. მაგრამ ქერ-ხუსეინ-ბეგი მიუხტა და ქედოდან განდევნა. მაშინ ჭყონია-ფაშის მაგივრად სხვა, იმაზე უღონიერესი და უსასტკესი კაცი, ქეი-ოლლი, გამოგზავნეს ტრაპიზონიდან. ოთხი ათას კაცით მოვიდა აჭარაში და მთელს ქვეყანას წვა და სრვა დაუწყო. ამავე დროს ქეი-ხუსეინ-ბეგის წინააღმდევ ყარსის ფაშის ჯარმაც გამოილაშერა. ხუსეინ-ბეგი შეიპყრეს და ყარსში გაგზავნეს. მაგრამ მტერს ხელიდან გაუსხლტა. მეორეჯერ ისევ დაიჭირეს და სტამბოლში გაგზავნეს, საღაც მეორმოცე წლების გასულში მოკვდა კადეც.

ქეი-ოლლის სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა და თავისი სახელი მარად-სახსოვარი გახდა. იმან შემოილო ცოტ-ცოტად აჭარაში ოსმალური მართვა-გამგეობა და ნიადაგი მოამზადა საკომლო და მიწის გადასახადისათვის.

როცა ახმეტ-ფაშისა და ქე-ოლლის წყალობით ოსმალეთის მთავრობამ ხალხს თავისუფლება ნელ-ნელა წაართვა; მერე განიზრახა ბეგებისათვისაც წაერთვა ივივე დამოუკიდებლობა. მეორმოცე წლების გასულში და მეორმოცედა-ათე წლების დასწყისში წარმოშადებენელნი ბეგების გვარეულობისა სტამბოლში იხმეს. მთავრობამ გამოუცხადა: თქვენი საყვარელი ფირმანები უნდა გადავშინჯოთ და ახლები მოკვეთ, ახალ წესების თანახმად შედგენილებით. ბეგებს ეგონათ, ეს არის, გავკეთდით, მთავრობა წყალობით აღვავსებსო, და რაც რამ საბუთები ჰქონდათ ქართველ მეფეთაგან, ანუ ოსმალებისაგან ბოძებულნი, სულ სტამბოლში წარადგინეს. მთავრობამ რაკი ხელში ჩაიგდო ყველა საბუთები, თამამად გამოუცხადა ყველას: „სახელმწიფოს ყველა ქვეშავრდომნი განუზნევდად წოდებისა და საწმენოებისა, გადაებულნა არაან ხარგა იხადონ საერთო წესითა“.

ამ სიტყვების გამოცხადებასთან ერთად ბოლო მოეღო აქარის მკვიდრთა თავისუფლებასაც.

* * *

ამ დღიდან მოკიდებული, ოსმალეთი მტკიცედ და თამაშად იწყებს აქარაში ფეხის მოკიდებას, ხალხს ბევრა (ათის თავი ყოველგვარ მოსავალზე) გააწერა, მთელი მხარე ოსმალეთის ხერთო კანონებს დაუმქვემდაბერა, სამხედრო სამსახურიც შეაბარა. ათასვარი მოხელეები მთავრობისა ხალხს მიესია და მისს ავლა-დიდებას წუწვნა დაუწყო წურბელასავით. რასაც სახლმწიფო ოფიციალური კანონი აკლებდათ, იმას ეს მოხელენი უსრულებდნენ.

სანუგეშო არც ბევების შდგომარეობა იყო. ჩამოერთვათ ძალებური უპირატესობანი. ნებირად ცხოვრებას ჩვეული. ხალხი ახალ რეგიმს ვერ შეურიგდა და დროვინვა დაწყო. ბევებმა როგორლაც რუსეთისაკენ დაიწყეს თვალის ჭერა. აშობდნენ, რუსების ხელში თვალ-აზნაურობა დიდი პატივშია და თუ რუსეთმა ეს მხარე დაიპყრო, ჩვენი უფლებანი ისევ დაგვიძრუნდებათ. უკანასკნელი ზატონი ზემო-აკარისა, ახმეტ-ჭაშას შვილი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი იყო. განსაკუთრებით ხელს ეს უწყობდა რუსეთს აქარის დაჭერის საქმეში. ხალხს კი თვისდა ერთმორწმუნე ოსმალთა მხარი ეჭირა. მართალია დიდად იყო შევიწროებული მოხელეთაგან, მაკრამ ვერ წარმოედგინა, თუ სულთანს, ყველა მაშმალის მმოსავთა მამას, ელალატებოდა. და ამიტომ, როცა კი შეტაკება ჰქონდა რუსეთს ოსმალეთთან, აქარელები რუსების, როგორც გიაურების, წინააღმდეგ იბრძონენ.

* * *

აი, ამ მდგომარეობაში შოასწრო უკანასკნელმა რუს-ოსმალოს ომშა, როცა ოსმალეთი, ძლეული, 1878 წელს, ბერლინის ხელშეგერულობის ძალით, იძულებული იყო აწინდელი ბათომისა და ართვინის ოლქები რუსეთისათვის დაეჭმო. იმავე დროს რუსის მთავრობამ მემოერთებულ მხარის მკვიდრთ გამოუცხადა: ვისაც არა ეს ურთ აქ დაჩჩენა. და ოსმალეაში გირ-

ჩევნიათ გადასახლება, სამი წელიწადი ვადა გეძლევათ, ვინც ამ ხნის განმავლობაში გადასულხართ, გადასულხართ, მერე კი ნება არა გაქვთ. მთელის ამ სამის წლის განმაელობაში აქარა შეფოთავდა. ოსმალეთიდან დას-დასად მისული აგენტები უარესად უჩუნი-ხურებდნენ აქაურებს. აშინებდნენ ხალხს, რუსის ხელში ძალიან გაგიჭირდებათ, ურჯულო ხალხია, რაჭმადის სჯულ-ზე ხელს აგალებინებთო. ოსმალეთში წამოდით, მიწა ბევრია და სულთანის მფარველობის ქვეშ თავისუფლად და ბელნიერად იცხოვრეთო. ომის გათავების შემდეგ მთელს მხარეში საშინე-ლი სიმშილი ჩამოვარდა. ხალხი ომში იყო გართული, ხელ-ში იარაღი ეჭირა, ხვნა-თესვისათვის არავის ეცალა. ეს გა-რემოება და ფანატიკოს მოლების ქადაგება ერთმანერთს და-ერთო, ხალხი აალელვა, გული აუკრუვა აქაურობაზე და ისიც აიყარა. იმ სამის წლის განმავლობაში ბათომის ოლქიდან 38,000 სული გადასახლდა ორისავ სქესისა, ან $\frac{1}{8}$ მცხოვრებთა. აქა-რელები აიყარნენ კია, შეეხიზნენ ოსმალეთსა, მაგრამ ოსმალე-თის მთავრობამ მეტად მცირე ზრუნვა გამოიჩინა მათს დასაბი-ნავებლად: შიმშილმა, წყურვილმა, უბინაობამ და ათასგვარ გაჭირვებამ სასოწარლკვეთა გადმოხვეწილებს. აი ამათ შესახებ რა სწერია იმ დროინდელს „დროებაში“ (1879 წ. № 188).

«როგორც გვესმის, ახალ-შემოქმედულ საქართველოს ნაწილებიდან, ოსმალეთში გადასახლებულები ტრაპიზონის ასლო დაბინავე-ბულან შემდეგს ადგილებში:

«ტრაპიზონისა და ხოფის შეა: 1, ომურას (ტრაპიზონიდან აქეთ, პარახოდით) ორის საათის სავალზე), 2, სურმენს, რვა სა-თის სავალზე (პარახოდით), 3, ოფს, თექესმეტი საათის სავალზე ხმელეთით, 4, ორიზეს, 20 საათის სავალზე ხმელეთით, 5, ათა-ნას, 26 საათზე ხმელეთით, 6, არყავეს და 7, ხოფის.

«სულ, როგორც ამბობენ, ამ შვიდ ადგილას და იმის ახლო-მახლოს არიან დასახლებულები 500 მოსახლე, უმეტესნი ქაბულე-თლები არიან. ამათგან ნამეტანად სახლობენ სურმენს, ორიზეს, და ათანას, დანარჩენ ადგილებში ნაკლებად. ეს სულ, რაც შოგისსენეთ,

ბათუმსა და ხოფის სახლობენ და ოცნებით, (კომლზე რომ ხეთი სული კიანგარიშოთ) 2,500 სულზე მეტია.

«რაბიზონს იქით უნიემდის დასახლებულან შემდეგ ადგი ლებში და მის ახლო-მახლოს: 1, თირიბოლის (3 საათის სავალია «პარაზოდით»). 800 სული; 2, კირისუნის (აქა სათის სავალია, ტრა-შიზონს იქით.) 100 მოსახლე ანუ 500 სული; 3, ორდეს (ათი საათი ტრაპიზონს იქით) და 4, უნიეს (13 საათის სავალზე). ორ-დეს და უნიეს უკელაზე მომეტებულად დასახლებულან, მეტადრე უნი-ეს — 4,000 სული.

«მ ითხსავ ადგილას აჭარლები და მაჭახელები არან. მხო-ლოდ უნიეს არან ცოტა ჭობულეთლებიც.

«მგრარად, ტრაპიზონს იქით, სულ 5,300 სული იქნება. სამ-წუხაროდ, უფრო ცუდი დღე ადგებათ მომეტებულ მოსახლებს, რო-მედნიც უნიეს დაქიზნენ. უნიედან არ დღის სავალზე უნდა გა-დასახლოს ნიჭიარს.

«სულ გადასახლებულების ოცნები, თუ დერვაშ-ფაშისაგან ძა-ლად გადაყვანილები, და თუ მერმეთ ნება-უოფლობით — 7,800 არის, რაც ტრაპიზონს ახლო-მახლოა.

«ამას გარდა ჭანეთში და ტრაპიზონის გარშემო, გაფანტულ-ები არან. უსახლობისა, ნაკლებულობისა და ჭარის დაცდისაგან დადს სიღარიბეში და აკადმიურობაში არან. ბეკრს უმაწვილები და დედა-გაცები დახოცვიათ. საზოგადოდ, ძალიან მწუხარებაში არანო და ამ-ბობენ, ნახობენ გადასახლებასათ.

«ოსმალოს მმართებლობას კერაფერი შემწეობა მიუწოა და ტრა-შიზონის ფაშის საფეხური მისკლია. ამბობენ, ზოგს უკან დაბრუ-ნება უნდაო, მაგრამ გასკლისას ბეკრს, თავისის თუ სხვის შეცდო-მით, ისეთი ბილეთი აუღია, რომ დაუბრუნებლად გავდივართ. ამ გარემოებისა გამოდ რესის მთავრობისა ეშინიათ და დარჩენილან საცოდავადა....

* * *

ცოდელსავე ამას მოჰყვა აჭარელთა ამბოხება. მიზეზი ამ ამბოხებისა იყო ერთის მხრით, უტაქტო საქციელი ამ შემო-

ერთებულ მხარის ახალ უფროსებისა, რომელთა ხელშიაც მცხოვრებთა სვე-ბეჭი იყო. საქე იქამდე მივიღა, რომ ხულოში, ზემო-აჭირის ნაწილის კანცელარიის ცეცხლი წაუკიდეს და გიღაბუგეს; ოვით ნაწილის უფროსს გამძვინვარებული ხალხი მოუკელელს არ გაუშვებდა, რომ იმას დროზე არ შეეტყო და არ გაქცეულიყო. ამასობაში რუსის ჯარიც მოვარა და აღელ-ვებული ხალხი დააყუჩა. მეორეს მხრით ფანატიკუსი მოლები არ ისვენებდნენ და ხალხს უქაღაგებდნენ: რუსები სჯულს გა-მოგიცვლიან, ცოლებს გაგიუპატიურებენ, მიწა-წყალს წაგართ-მევნენ. ამ ხების განსაფანტავად და ახალ შემოერთებულ ხალ-ხის დასამშვიდებლად, მაშინ დელი სამხედრო ვუბერნატორი ბა-თომის ოლქისა, გენერალ-მაიორი კომაროვი, იძულებული შე-იქმნა მცხოვრებთა საგულისხმოდ. შემდეგი „განცხადება“ გა-მოეცა:

«ზოგიერთი ბათუმის სანჯახის ფუხარა და აღაება ტეუდეს ხმებს აუღიან და ლაპარაკებებს, რუსის მთავრობა ჩვენს საეჭვაოს მიწა-წყალს და სამართალს წაგვაზთმევსა, რომელიც ასმალოს დორს გრძელნათ. ამისთანა ტეუდე საბარით და ამბათ შეშინებუ-ლი ხალხი აღგარა, დაუკიდა რსთათ თავის სასაჭ კარა და ემზა-დება მუსავართა წასკარას ასმალეოში. საწყლებში ის კი არ იციან, რომ იქ იმათ მაელის დიდი მწესარება, შამშილი, წეურევალი და ცოლშევილის სიკვდილი, ამისთანა გონია სასარის და ამბების გა-სამტეუნებლად ჩვენ გინდა გამოუცხადოთ ხალხს მთავრობის გე-თილი აზრი და სურვილი.

1) კურც მუსულმანის დინის, სატწაუნოებას, კურც მუსულმა-ნის ოჯახობას და იმის ჩვეულებას კერავინ კურ შეესება; მაგრამ კანი, სისხლის გადასდა კი უნდა მთავალოს. კაცის მოკვდა დი-დი ცოდვა და ათავის ნება აჯა აქვს მტერობით კაცი მოკვდას. კა-საც დეშმანი და მტერი ჰყავს, იმან სამართალში უნდა იჩივლოს, და იმ დეშმანს სამართალი დასკვას დანაშაულისათვის. მუსულ-მანის ქალებს კერავინ ცეცხლს რასმეს კურ ჰყადხებას. რუსის კანონი ითხოვს, რომ თვითონ მუსულმანები მუდამ პატი იყს. სცემდნენ და

კველიდნენ თავისს ქალების ისე, როგორც ყორანში სწორია. კანონი თავის არ მისცემს ნებას, რომ ქალი უპატიურად მოუქცნენ. ყოველს ქალს ნება აჭარა სამართალში იჩივლოს, თუ უპატიურობა მასების რამე თავის ქმრის, ან მამის რვასში, და იმედიც უნდა ჭირდეს, რომ სამართალი იმისკენ იქმნება.

2) ცოლმა თუ უჩველა ქმარს, ან ქმარმა ცოლს, შვილმა მამას, ან მამის შვილს, ხისიმმა ხისიმს, ან თუ ქვიშა-ობლის საქმე იქნა, ან ბერებიდორებაზე საჩივარი : ტყდა უკელა ამგვარი საქმეები განიხილება და გადაწყდება მეჯლისში მუსულმანის კანონის ძალით ისე, როგორც ყორანში სწორია, ან როგორც შარიატი ამბობს.

3) რაც ოსმალოს დროს თახშირი და სახელმწიფო გადასასადი იყო, იმაზე მეტი არ გადასდება. მაგრამ უკელას რომ იმას გადასდა გაუგვილდეს, თახშირს ფულზე გადასჭრიან: თახშირს აღდებენ სამართლიანად, მდიდარს ქვეყნაში მეტს აიღებენ, ღარიბს ქმედენაში ნაკლებს, მაგრამ, უოკელს შემთხვევაში, ოსმალოს დროს რომ თახშირი იყო, აწ იმაზე ნაკლები იქმნება. ღარიბს მდიდარზე ნაკლები თახშირი გადასდება; მალან ღარიბ ფუსარის სულ არ გადასდება.

4) რაც სოფლების და მემლექეთების სელში ტყებია, ისინა მსვე იმათ დარჩებათ. ტყების სარგებლობა, როგორც ოსმალეთის დროს ყოფილა, ისევ იმ წესის და კანონზე დარჩება. დანარჩენი ტყები, რომელიც ასიმალეთის დროს სკანთქოს ყოფილა, სახელმწიფოთ დარჩება და მთავრობა ყარაულებს დაუენებს, რომ ტყე უბრალოთ არვინ მოჰკას და არ წაახილოს. კისარ ამისთანა ტყებიდან ხის ძელის გადატანა ჭირდეს, იმას ტყის თახშირი გადასდება და ბილეთი მიეცემა ტყის მოსაჭირელად.

5) რუსის მთავრობას, როგორც საქართველოში და გაკასიაში არ გამოჭიავს ნიზამი, სალდათი, ისე არც აქ გამოიყვანს; მაგრამ სახელმწიფო სამსახურისათვის და წესირების დასაცემელად რუსის მთავრობა გამოიყვანს მილიციას და კამაგირს დაუნიშნავს, როგორც საქართველოში და გაკასიას მსარეზეა. თავის ქვეუნის დაცემა მტრის წინააღმდეგ უოკელი კაცის და, რასაცირკელია,

ბათუმის სანჯახის მუსულმანებისათვისაც კა საქმე ძირითადი და წმინდა მოგადეობაა.

6) მეჩეთებთან და ჭამებთან მედრესები უნდა გაძმაროთ და იმამებმა უსწილებს მუსულმანის სჯული და წერა-კითხვა უნდა ასწავლონ, როგორც ოსმალოს დროს ყოფილია. რესის მთავრობა მედრესებს შემწევა და თავის მფარველობას არ მოაკლებს. რესის მთავრობაც გამართავს თავის სკოლებს, მაგრამ მაღიდ არავის არ წაიყვანს ამ სკოლაში. მაგრამ თუ კიჩი მუსულმანია ისერვა შეიღლის მეუკნა ამ სკოლაში, ან ობლის, ეთამის, პატრიონია იმაზე გაზდა, იმათ უნდა სთხოვონ მთავრობას და ის წებას მისცემს, რომ ყმაწილები მიიღონ სკოლებში. მუსულმანის შეიღლებს ამას. თანა სკოლებში ეკოლებათ თავისი იმამები, რომელიც ასწავლიან იმათ მუსულმანის სჯულზე წერა-კითხვას. მოლლებს, მუზტებს და იმამებს იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ რესის მთავრობა შემწევა იმათ და თავის მოწევლებას არ მოაკლებთ, როგორც არ აკლებს სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდებას. რესის მთავრობას უწინაც ჰყავდა ათი მილიონი მუსულმანი, რომელთა მოლლები, იმამები და მუზტები მთავრობის მოწევლებით ცხოვრობენ და კეთილდღეობაში არიან.

7) დამოუწას მთავრობა გერ მოშლის ამისთვის, რომ ეშინაა, უცხო ქვეყნის კატოლიკ სალსი არ გააჩარიბოს. მაგრამ უთკეც ღონისძიებით კი ეცდება, რომ სალსი გაუადვილოს იმდენი საქონლის გატანა ბათუმიდან, რაც თავის სახლისათვის და მეცნიერებისათვის დასჭირდება.

8) სანამდას ბერლინის კონკრესით დადებული გადა გადასასვებისა არ გავა, მანამდის მუსულმანებს შეუძლიათ თავისუფლად გადასახლება ოსმალეთში. იმათ შეუძლიათ გაეიდონ თავის სასლერი და ნიკები; მაგრამ ადგილ მამულს კერ გაუიდან; მოჭაჭალს შეუძლია მარტო მიუვის გაუადვა, თუ ოსმალისაგან ბოძებული თოვი აქვს. ბერლინის კონკრესისაგან დადებული გადა რომ გავა, იმის შემდეგაც შეუძლია თითოეული თითოეული სახლობას ასმალეთში გასვლა; მაგრამ მის გულისთვის პასპორტი უნდა აიღოს.

9) ფირალებს და მქუცუკებს რესის მთავრობა ფიცხად სჯის, მაგრამ საჭიროა, რომ მართალი მოწმები და ცხადი საბუთები წარუდგეს სასამართლოს, და თუ ნამდევილად დამტკიცდა იმისი დანაშაულობა, კანონი და ზაკონი ძალის ფიცხად დასჯის. ოვთონ მთავრობა ეცდება, რომ ფირალის გამამტკიცნებელი საბუთები შექრიბოს და მერე შეუბრალებლად დასაჯოს.

რესის მთავრობას სხვა უფრო ფიცხელი ღონისძიება აქვს ფირალის დასასჯელად. იმას შეუძლია უცებ მოაშოროს ცუდი, გონივრ კაცი სოფელს და მემლექეთს; მაგრამ ამის გულისუკის სოფელის და მემლექეთმა თვითონ უნდა შეადგინონ ქადალდზე თავისი გადაწყვეტილება და მესურების დასმით, ან ხელის მოწერით უნდა სოსოკონ მთავრობას,—ესა და ეს გონივრ კაცი ან ფირალი მოგეხშორეთ. ქადალდზე შედგენილს გადაწყვეტილებას ორს მესამედს მცხოვრებლებისას უნდა ჰქონდეს ხელი მოწერილი. ამას შემდეგ, იმათგან დასახელებულს ცუდს და გონივრს კაცებს მთავრობა უცბად გადასახლებს შორს ქეუწებში ან საუკუნოდ, ან დიდი ხნით. თვითონ სოფელებს და მემლექეთებს ნება აქვთ დაიწირონ გონივრ კაცები და მერე შეუდგინონ გარდაწყვეტილება იმათ დასაკარგავად; დაჭრის უძალაც შეუძლიანო მცხოვრებლებს შეადგინონ ქადალდზე გადაწყვეტილება; მეომე მთავრობაც შეეწევა იმათ დასაჭერათ.

10) რესის მთავრობა დანიშნავს სამსახურში აქაურს მცხოვრებლებს, გინც ღირსი იქმნება, არამც თუ მარტო ზაფთიებათ, უჩასტრების ნაჩალნიგებათაც. რესის მთავრობა იმდენად გულდანდობილია აქაურ მუსულმანებზე, რომ იმათგან მალიციაც შეადგინა და უჩასტრების ნაჩალნიგებიც დათინიშნა აღლულებით, კამაგირებით; მაგალითათ თუფან-ბეგი (შერგაშიძე) განაწესა ქვედა-აჭარაში, ახმედ-ბეგი ართვინის უჩასტრებში და ნური-ბეგი ხიმშიაშეიღი შეშეთისა და იმერჩევის უჩასტრებაში.

11) ბათუმის მაზრის უფრთხისი მისწერს უკეთა ლურუგებისა და უჩასტრების ნაჩალნიგებს, რომ ისინი ტებალად ეჭვეოდნენ ხალხს და უურდღებით მოუსმენდნენ უოკელს იმათს თხოვნას და გაჭირებას; იმათ უნდა შეატერბინონ უოკელივე საჯხის თხოვნა და გაჭირება ბათუმის გუბერნატორ-ზაშის, რომ იმინ იშვამდგომ-

ლოს უმაღლეს მთავრობასთან და დაკავშირფილს ხალხის სამართლიანი თხოვნა. უმაღლესი, რაც ზემოთ მოხსენებულია, უნდა გამოცხადდეს აქტადივანში, შავშეთ-იმერსევში, ხათუმ-ჩურჭელში, ბორჩხა-მაჭაბელში და მურდულში იმ აზრით, რომ ხალხმა ადაპტაციუროს ცენტ კაცებს, რომელნაც ატექსებს, ვითომც ხალხს მოეჯოდეს სხვა-და-სხვა გატირება და ძეწებება რესის მთავრობისა-გან».

* * *

შემოერთებისათანავე, მთავრობამ რუსისამ, ბათომის მხარეს ცალკე სამხედრო გუბერნატორი დაუნიშნა, ოლქი ნაწილებად დაჰყო და უოტ-უოტად და თანდათან მკვიდრნი, რომელიც მარტო ოდენ, რუსის სენატი სათოფეზე გარბოლენ, შეეჩერებულ რუსის აღმინისტრაციას, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას. ამასთანავე ერთად დაგვიახლოვდნენ ორის წლობით დაშორებული და გულიდან მოწყვეტილი ძმები, ბელმა ისევ შეგვაერთა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაზომ დიდი და განუსახლვერელი უნდა ყოფილიყო მაშინ სიხარული მთლიად ქართველობისა, რომელსაც ამდენი ხნის ნატვრა, მაჰმადიან ქართველების შემოერთება შეუსრულდა. შართალია; გეოგრაფიულად შემოვეკიერთდა, მაგრამ საჭირო იყო, ახალ შეერთებულ ძმებს შეეგნოთ სისრულით მნიშვნელობა ამ აქტისა. ასე თუ ისე გაეგოთ, რომ მარტო სარწმუნოება გვაშორებდა, თორემ გული და სიყვარული- ისევ ძველებური გვექონდა. როცა ამ ეპოქას მოვიგონებთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ლვაწლი, რა ლვაწლიც მიუძლეის ჩვენს წინაშე ნეტარხესნებულს თავ. გრიგოლ გურიელს, რომელიც დახლოვებული იყო მაჰმადიან ქართველებთან. ეს კეშჩარიტი მამული შვრლი კარგად იცნობდა მათ, იცოდა რა კილოთი, რა ჰანგით ელაპარაკნა ამ ისტორიულის აქტის შესახებ, აეხსნა და ჩაეგონებინა მათთვის მისი მნიშვნელობა და ჩვენ ძმებად დავესახეთ, და არა მტრებად, როგორც მაჰმადის სარწმუნოება ასწავლიდათ.

ბათომის წარის შემოერთებისათანავე, 1878 წ. ნოემბერს ტფილისში ჩამოვიდა ქართველ მაჰმადიანთაგან დეპუტაცია.

მოწინავე წრემ ქართველებისამ განიზრახა სადილი გაემართა ამ ძვირფას სტუმართათვის და ამ სადილზე აღენიშნათ ეს დაუვიწყარი იქტი შეერთებისა, მოელოცნათ ერთმანეთისათვის ეს ბედნიერი დღე, ქართველური გული გადაეშალათ ერთმანერთისათვის და მტკიცე და ურყყეველი საძირკველი ჩაეყარათ ძმობისა საიმედო მომავლისათვის. ამ სადილს მოთავეობდა ჩვენი დაუვიწყარი მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი. სადილი გამართული იყო თ. ივანე მუხრან-ბატონის სახლში, კლუბის დიდ დარბაზში. მასპინძლები ორმოცდა ათ კაცამდე იყო. მათს შორის იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრ. ორბელიანი, კონ. ჭ. მამაცაშვილი, თავ. იასე ანდრონიკაშვილი, თავ. დ. ჯორჯაძე, დიმ. ფურცელაძე და სხ. ლიტერატურის წარმომადგენელნი იყვნენ, გარდა ილია ჭავჭავაძისა, რომელიც ას უამაღლ ტფრლისში არ იმყოფებოდა: აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ივ. კერესელიძე, პ. უმიკაშვილი, ნიკ. ივალიშვილი, დ. „დროების“ რედაქტორი, სერგ. მესხი. სტუმრები ყოფილან 16 კაცი, მათ შორის გენერალ-მარორი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. აი „დღოვება“ როგორ აგვიწერს ამ ღირს სახსოვარს სადილს:

„სწორედ სამ საათზე სანოეაგეს მოთავემ უფ. დ. ი. ყიფიანმა მოიწვია საზოგადოება სუფრაზე, რომელიც სამი მხრით იყო გამართული. შუაში დაბრძანდა თ. გრ. დ. ორბელიანი, იმას მოუსხდნენ: მარცხნივ — ჰუსეინ-ბეგი ბეჟან-ოლლი (ბეჟანიძე), მარჯვნივ შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი; შემდეგ მარცხნივ იჯ-და ნური-ბეგ ხიმშიაშვილი; მარჯვნივ — ჰუსეინ-ბეგი აბაშიძე, ჰასან-ბეგი ბეჟან-ოლლი, მუფთი-ეფენდი სურმანიძე, ართვინის დეპუტატები, მღვდლები და სხ.

შუა-ჭამაზე, როდესაც შამპანის ღვინო შემოიტანეს, თ. გრ. დ. ორბელიანი, სავსე სტაქნით ხელში, წარმდვა და წარმოსაქვე შემდეგი ჩინებული, გრძნობით საესე სიტყვა:

ბატონებო!

«რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეერთებოდა? რა გვისარიან? რას კდევსასწაულობო? კრება ესე წაჭმოგვიდგენს სიხარულს მას

საჩახავსა, როდესაც ერთის დედის შვილი, შავის ბედის გამზ, განშორებული, დიდსანს ერთმანეთისათვის დაკარგული, — ანაზ-დეულად, მოულოდნელად შეჭირდნენ, იცნეს ერთმანეთთა და გადაე-სვიდნენ გულითადის სიყვარულითა.

«ჩვენც, ეგრეთგე საქართველოს შვილი, კიუაგით დაკარგული ერთმანერთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბერი ვიტან ჯეთ მცერთაგან, ბერი გაასირება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც არ დაგვვიწყება დაშორებული ჩვენი მიები. ოვალი, გული გვეპირა თქვენები, ბატონებთ, და გნატრობდით, როდეს აღმოვა ჩვენთვის მზე შეეთებისა! (საზოგადოებაში მოისმის გაცხარებით ტაშის კვრა).

და ამ, გვისმინა ღმერომანაცა, და დექს ჩვენ შორის კსედავთ და შორებულთა მმათა და მოსარული კმადლობთ ღმერთისა და კე-კედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურუკლად!... და დღეის იქთ ლხინშიაც, ჭარშიაც, უნდა ვიუკნეთ ჩვენ ერთად, გითარცა ერთი დედა-საქართველოს შვილი.

«მაგრამ, ბატონებთ, ვინ არის, დეთის გარდა, მიზეზი ესრე-თის ჩვენის გაძენიერებისა? უოვლად-მოწელე დადი იმპერატორი, აღმადგენელი და მოვარეელი ძეგლისა იკერისა და კურთხევაცა ღვთი-სა მოუფინოს დადებულსა გვირგვინობსანისა თავსა მისია მრავალ და მრავალ-უამიერ, საბედნებოდ დადისა მის იმპერატისა!

«ძატოსებთ! ღმერთმა გვიდღეგრძელოს ჩვენი დადი იმპერატორი, «არავის არ შეგვანატდისა!.. «ურიართაა!

თ. გრ. ორბელიანის შემდეგ წამოლგა უფროსი დეპუ-ტაციისა ჰუსეინ-ბეგი ბეჟან-ოლლი და წმინდა ქართულის ენით რამდენიმე სიტყვით წამოსთქვა საღლეგრძელო დიღას მთავ-რის კავკასიის ნამესტნიკისა.

შემდეგ წამოლგა უფ. ალ. ზუბალოვი და სთვა:

მოწელენა ხელმწიფენა!

«აც უნდა მძიმე სკედრი შესკდეს საფსეა, საზოგადოებასა, თუ ბოლოს უოველივე კარგად გათავდება, დაად, გაცმა მხდლობა უნდა შესწიოს ღმერთსა.

«შემდგომ მრავალწლის ჩსუბისა, სისხლის დკრისა და სიძმულა-
ვარისა თრთა მმა საფრთხ შორის, რესეკის და ლიმაფოის საქარ-
თველოისა, მიუხდომელმა განგებამა ისე მრავალი საჭმე, რომ დღეს
ეს ორი ჩამომტერებული საფრთხი ერთად შეერთები ვართ და კდლე-
სასწაულობთ განსეთქილობის მოსპობას ჩვენს შორის, ჩვენს მმუ-
რად შეყრასა «ძველებურთა, ჩვენებურთათა» — ამ კას გულითა, რო-
მელსაც ჩვენ ჩვენში ვსედავთ, ისე თქენებია გეგულებით.

«ძველად დიად მრავალგვარი სიძმიდო და სიგეთე ჭერნია სა-
ქართველოსა და ესლა ერთი და მაინც საუნჯე გადაგ გამჭვის უნაგლუ-
ლოდ, ესე იგი კაი გული, ის გული, რომელიც ურაელთვის აღიძ-
რის თავ-განწირულობით უოკელ საზოგადო კეთილ საჭმეზედა მმუ-
რის სიკერულისათვის.

«ამგვარ თვისებისა გამო ჩვენის გულისა, უნდა მოგახსენოთ,
რომ ასლა ნებით თუ უნებურად, ხომ ჩვენი სათ, და რა გავიცანით
ერთმანეთი და რა გადევ ერთმანეთს უკედ გავიცნობთ, მაშინ უკ-
ჭელია, სულ ჩვენი იქნებით, ერთინი ვიქნებით და ერთად გავსწევთ
ულელსა, საზოგადო წარმატებისათვის!...

«მაგრამ ვის ჭმართებს გადევ ქება და ჰატივი ამ ჩვენის შეერ-
თებასათვის? ბატონებო, სტაქები დაამზადეთ! ეს ქება და ჰატივი,
დიად გვმართებს, რომ კუძღვასთ ძლიერ რესეკის საფლას! და ეს
სადღეგრძელო იუს ჰატივებისათვის რესეკის საფლასა. უჟაა!..

ა. ზუბალოვის შემდეგ, შემდეგი სიტყვა წამოუთქვამს დიმ.
ყილუანს:

«დღევანდელისთვის დღე დიდი სანია სასატრელი იყო ჩვენთვის.
ორთად სიტყვა მომახსენებინეთ ამის განსაზარებულია.

«ერთხელ საქართველოც გრცელი და მაგარი ჭვეუანა უოფილა.
ამზე გვემოწმებიან: ერთის მსრით — გმირული მოქმედება, რომელი-
საც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი სსენება ისეთის სახე-
ლისა, როგორც, მაგალითად, ვასტანგ გორგასლან, დავით აღ,
ძაშენებელი, დიდი და დიდად მსაობიდ თამარ მეუე; მეო-
რეს მსრით — გვემოწმებიან ისეთი სურთო-მოძღვრებითი ამოსაკით-
ხავები, როგორც, მაგალითად, ციხე-სიმაგრები და ტაძრები შიგნით

და ტაქტები გარედ, დიდის სიშორიდან რომ მოგვითხრობენ ქართველობის ქვეყნობასა და ღვთის მოუკარებას,—ათონის მთიდან, მაგალითად, იერუსალიმისმდე.

«ბუნების გამომეძიებლობით ვიცით, ორმ ქვეუნიერებაში უძრავი არა არის—რა დროთა ბრუნვაში სხვა-და-სხვა შეტაკებანი მომხდარა და ერთი ისეთიცა, ორმ დაურღვევა ჩვენი გვარ-ტომხითი კავშირიცა,—და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, ორმ აქაურ ქართველებს იქცევით ქართველებისა არა გვიმენია-რა,—ისინი ჩვენთვის სწუხდნენ, ჩვენ—იმათვების; ჩვენ იმათ ადარა გიცით-რა, იმათ — ჩვენი.

«ვინ იცის, კიდევაც რამდენ სინი ვიქებოდით ამ მდგრამარებაში, ორმ დადებულის რესით ხელმწიფისათვების არ მიგვენდო თავი. იმის მდგრადულობა სალხოთვის ზრუნვაში მოგვმადლა ეს, შერთება ამდენის სინის დაშორებულებსა. ორგორც კნიაზმა გრიგოლ დიმიტრის ძემ. წერმილისთქმა, მისი დადებულების უქვეშევრდომილებს მადლობას განუზომელა კზრდით ჩვენს გულში და რადგან ახლა აგვიხდა სამასწლეული ნატერა, ვისურკოთ, კნიაზ გრიგოლის სიტყვებისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილის კაშირისა უკუნისამდე.— და ამ ჩვენს ძეველს მომშებს რომ თვალითა კსედავთ და მმურის სიყვარულით შეგეხარით, შეგსვათ სადღეგრძელო იმათია!

თავ. აპაკი ჭვრეთლის სიტყვა:

«აატონებო!

«ეკრი ქართული ლხინი გვინახვს, სმირად დავსწრებივართ სუვრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა დ გულ-გასსნილობა უოფილა. მაგრამ ისიც კა არ დაგვრჩენა შეუნიშვავად, ორმ ხან-და-ხან ამ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ჭმუხვის ღრუბელი გადაჭვერია; თითქმის იმათ იმ დროს რაღაც სწევატლათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღასაც ინაკლისკბდნენ იმ მდიდარ სუვრაზე!..

«დღევანდელი ლხინი კი, კხედავთ, სხვაგარა: მხიარულება უნაკლულო და სისარულო ულრუბლო!

და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა ოკითოუეულა თქენებანიც კარგადა ჭრიმნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვატეუი, რომ ამის მაზე-ზე დორთა-კითარებისაგან დაშორებულის ჩემის მოძეების, რომ-ლის წარმომაღებებიც აქა ბძანდებათ, დღეს ხელ-ახლად ჩემითას შემოურთება და ძლიერად შეკავშირება.

დაალ, ბატონებო, დღეს ჩემის შეგვიძლიან მივიღეთ ჩემის წინაპლების საფლავებითან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი კუნ-კიდევ არ გაგვითვურებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?

«... აქ მე ნამეტანს არას ვალუება, ეს ანდერძი იყო: დედა-ენა და ერთბა ამაბას სადიდებლად ბეკრ შრომა გაუწევა და დადი მსხვერპლი შეუწირავს ჩემს ნეტარ-ხსენებულს მამა-პაპებს.

«იმკელი, ესე იგი, ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისე-თი გემოც მიუციათ, რომ კურ კიდევ კურ მოგვისერსება მასი და-ვიწერა და არა თუ ჩემი, იმ ჩემი მოძმებსაც, რომელაც რამოდენი-მე საუკუნის განმავლობაში დაშორებულება გვეკვდენინ, იმათაც კა შეთხენიათ დედა-ენა ტებილად სასაუსოლად.

«მეორე, ესე იგი, ერთბა, ისე მდიდრულად შეუმუშებათ და ისეთ გრარად აუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის სა-კუთრად ქართველის ერას საკუთხევლ ნიშნებით, რამ დღესგე ქარ-თველი ერთის შესედვისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩემის მოძმებიაც; ამის დასამტკაცებლად შორც ნ უდარ წავალი, — საკმარა, რომ აქვე, აი სუჯორზედ, მავისედ მოვისედოთ.

«ასელა ვხედავთ, რომ ჩემის წინაპლების დანაპარები აქეთაც და იქთაც შენახულა და ამათ სჩას, რომ ჩემ შორას მშერა კავ-შირი თურმე აროდეს არ უოფალა მოშლილი!

«დაალ, დღემდი თუ ცალკ-ცალკე შეგვინასავს ის ანდერძი, დღეს უჯრა აგვალად და ძლიერად აგას კულებთ, თუ კა მშერად მიკცემთ ერთმანეთს ხელს, დაგადგებით ერთს გზას და მაკმართავთ ერთს მიზანს.

«აქ ესეც უნდა მოვისეხიოთ, რომ იმ ჩემს სამაგალითო მა-მა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დღიდი ლათსებაცა ჭრინდათ: მტრის

და მოუკრის პასუხის გაბა! გისგანც კი რამ კეთილდ დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუქცდიათ.

«ამ ღირსებაბს წურც ჩვენ ვიქტორიათ მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადებს, და ვინც აგვისრულებს დანაშირებს, წვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დაკუმტკიცოთ სიუგარული...»

თუ ჩვენი მამა-პაპები ადგენებდნენ თვალს შეუქნის მოძრაობას, წურც ჩვენ ვიქნებით თვალ-დახუჭული...

«მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარა გავუღოთ, — და უბედობას ვეწინააღმდეგოთ!

«ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოუკანა!

«მაგრამ რომ ვიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაშრები და თვალ-უური ვადეგნოთ დართა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მავცეთ გზა განათლებას, და შემდე იმათ ენერგიას და ცოდნას; მამებმაც დაკამაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეკრთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან შარშავად არ დაკრჩეთა!...»

სიტყვები ნიჭიერის მგოსნისა, რომელსაც გამოუხატავს დამსწრე საზოგადოების აზრი, ღირდის ალტაცებით მოუსმენია ყველას. მთელის სადილის განმაელობაში ლაპარაკის საგანი — ძვირფასი სტუმრები, ახალი შემოერთებული შხარე და მათნი მკვიდრნი ყოფილან. ქართველის გული სავსებით აძგერებულადიდის ხნითვე დაკარგულ ძმების პოენითა, მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონია.

მაგრამ საინტერესოა ვიკრთხოთ ისიც: ამ იხლად შემოერთებულ მხარეში ჩვენი ძმები ჩვენს შესახებ რასა პფიქრობდნენ, მიერჩნდით ძმებად თუ არა? სამწუხაროდ, სარწმუნოებას, საზოგადოდ, ეს. გრძნობა ძირიანად აღმოუფხვრით უმრავლესობის გულიდან, მათსა და ჩვენს შორის გადაუთელავი კედელი აუგია. მხოლოდ მოწინავე გუნდს, რამდენსემე პირს შერჩენია იმ ღროს შეგნება ერთურთის ვინაობისა და ძველის დამოკიდებულებისა. ეგ იყო და ეგ. როგორც წერილობითი საბუთი ჯე მცირე გუნდის აზრისა, როგორც თავის თავის, ისე ჩვენს

შესახებ, ჩვენის აზრით, მეტაც საინტერესოა გავიცნოთ წერილი აქარის უკანასკნელ ბატონის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა, დაბეჭდილი „დროებაში“ ერთის წლის შემდეგ იმ სამახსოვრო სადილისა, რომელზედაც ორთავ შეერთებულმა ძმებმა ეროვანერთს დაახლოვება მიულოცეს. თავისს წერილში, რომელსაც აქვე გადმოვსწერთ, თავისი „აღსარება“ გამოსთქვა ავტორმა და სახელადაც „გულწრფელი აღსარება“ დაარქვა. აი ეს წერილიც:

«გაცის ცხოვრება თავიდან ბოლომდისინ დღე-ღამესაგით მუდა ცვლა-მოძრაობაში არის.

«მე მინდა, ბატონებო, მოგახსენოთ ჩემის ცხოვრების უმთავრესი თავ-გადასაკალი გულ-მართლობითა.

«მე, ჩემის უმაწყილობის მოღმა, ჩემდა სამწუხაროდ, ასმალოების ქვეშეგრდომობაში აკახილე თვალი: თავიდან გვე ჩემი თანამემამულე, ჩემ მომძეთ ტანჯვა, ჩაგვრა, თავში ცემის მეტი არა მანახა-რა! გაზრდადებული ლხინი, სისარული რა არის კაცისთვის, უთურდ მალე მოსძაგლება, მოსწყინდება, რომ ჭირი, ნალველი, კვერცხი და ასერა რა იყოს!...

«თუმცა მე კერძოდ, ჩემის ღირსების შესაფერად მომეტებული სახელიც მქონდა, ჟატიიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პაპეული, თუ ჩემგან შეძენილი, რომლით შემეძლო თავისუფლად ასმალურ გალადებით და შეებით სიცოცხლე; მაგრამ ესე უკალა გა-რეული გამოჩენილობა თვალში სრულ არაფრად არ მოძიოდა!

«პირად ძალა-ნებრივ სიმხიარულე კაულოვილების კიხენდი მარტო ასმალების სათვალ-ფერისოდ; მაგრამ შინაგან ტებილი სული, გული მუდამუამს რაღაცა გამოურკვეველი სიმწუხრის ბეჭ-უკუნით მო-ცვლი მქონდა; კცდილობდი მუდამ ცისმაჲე დღეს, ამ ჩემის დაყარ-დნილ-დაცემულის მდგრამარების როგორმე გაუმჯობესობას. მაგრამ კერაფერი ერ მოვიგვარ!

«ან როგორ ავიცილებდი თავიდგან. ეგრეთ ბოროტ-მოკლინე-ბათ, როდის ერთის მხრით ასმალოების უსაჩართლობა, მძღავრობა, რარცვა-მგლეჭულისა, დამაჭვევლობა და ჩემ ტებილ სამშობლოს

უკიდურესი აოსტება, გატიალება დღითგან-დღეზე უფრო და უფრო
მატულობდა?... მეორე მხრით, ჩემსა საუკარელ მომე მესს-კლანზ
თა ზნეობრივი საშინელი გარუკნა, გრიბივრება, ავგუსტისა, მეთავე-
თობა, სიჩაობე, მგლეჯელობა, მოსისხლეობა, ჭრა, კვლა და მისთა-
ნა კაცობრიობითის გზა-კვლითგან გრედ გასკლა ღუპევდა ჩემს
ძისუანასა! და დღე ერთ მზგეირად, მზგეთრი თვეედ, თევ ერთ წლად
და წელიწადი ერთ მრთელ საუკუნოებად.

«ვერ აც-და-სუთის წლისა არ გაუკიდ, რომ მრავალი საუკუ-
ნოების უწყალოდ დატანჯულ მსხვერპლადა კჟკრმნიბდა მე ჩემს
ნორჩის, ახლად გაშლილს უკავილოგანს სიცოცხლეესა! ამნაირი ჩემი
ტანჯული სიცოცხლის წამლად, კსთჭერი, ქვეუანაში შესკლა, ცოლის
მერთვა, დაწერილ შეილება, ხან ერთზედ, ხან მეორეზედ გულის გა-
დაუღლება, მოუკრებში კარგი დორების გატარება, ფსინდ, სისარული,
ნაკადობა და მასთან კაცის გულის მასამოვნე. მაგრამ ამ უკელა
საშუალებამ რაც არ მომიმატა ჭირი ჭირზედ, თვალემ საიმისოდ არა
შეუმსუბუქებიათ-რა ჩემთვის. ერთმას სიტყვით, რეინის გალაში შემ-
წყვდეულის კვეგის მდგომარეობას ჭიავდა დასხლოებით ჩემი მდგო-
მარება. მუდამ კცდილობდა ჩემის თავას და ჩემთა მოძმეთა გამო-
სხნას, ჩემი ქვეუნითურით, ოსმალოების სელიდგან და რეს სელმწიფის
შესწევრდომისაში შესკლას, რომლის მფარეველობაშაც იყენება და-
დის ხნის მოდმა ჩემი უმრავლეს საუკარელ მოძმეთა მსარე-ქვეუნები:
იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესტეთის მცირე ნაწილი და სხვ.; მაგ-
რამ არ იქნა, არ შეღირსა!...»

«1853 წლის ომიანობისა, ცოტა რამ იმედი მომეცა. კამბობ-
დი: აგრე, ახლა გამოვალ თსმალების ქვეუკრძომობისაგან, ჩემია-
ნებსა და ჩემს ქვეუანასაც გამოვიხსნი იმათ მტარეაზობათგან და და-
დებულ რესეთს შეკუერთდები. მაგრამ, საუბრუქოდ, უოკელი საშუ-
ალი გამიწუდა, გზა-კვალი დამესშა, უოკელით ფოლსი მოძმედგა და
ხელი მომეცარა!.. განა მოიბრვება უოკელთვის სადმე მისთანა ერ-
თგული მოუკარე მეგობარი, რომ შენ ხვაშიადი მიანდო, შატიოსნად
შეგინახოს და არ გაგოჭებას? განა მოიძებნება მუდამ თავი. გრ. გუ-
რიელისთანა, უფ. მ. მეფისაშვილისთანა და ზოგიერთ ახალციხელე-
ბისთანა გამოსადეგი მმა-კაცები, გაჭირებული კაცის ხელის-ხელ-მან-

დალად და წელული გულის სალაუნ-წმილად, ორმ ისარგებლოს ჩე-
მისთანა სკე-ბედისგან განწირულმა კაცმა?...

«რაც იქნა, იქნა, მაღლობა ღმერთსა, იმათ სრულ აღარ მოვი-
ხსენიებს, უკედას დავიწყების უფსერულში მიუსცემ. ასლა მაღლობა,
ქება და ღვევება უოკლის მჟრობელს, უოკლის შემძლებელს, უოკ-
ლად სახიერს, ერთს ღმერთსა, თომ ამ უკედა ჩემის გულ-სულის
შემავიწროებელმა ბნელ დამის წამმა განკლო, გადიარა. 1877 წლის
ომიანობის მოლმა, ჩემდა საუკუნო სასისრულოდ მომეცა საშუა-
ლება ღვთის მაღლით მაღალ რუს ხელმწიფის მფარველობის ქეშ
შესკლისა. მეცა და ჩემს თანამემამულეთაცა ჩენეს მრავალ-რიც-
ხვედ მმათა თანა შეერთებითა. ღვთის კურთხეული განგება. ორმ
ჭხედავდა მუდამ ჩემი შეწუხებული გულის კრისა-ოსვრასა, ნუგეშით
მომავრ სამავიერო, მთ დამის ბნელი უკუნი ბრწყინვალე ღღედ გა-
დამექცა, სრმწუხაო — სიხარულად და ჭირი ლხინზედ შემეცვალა..

«მის მოლმა დაუახლოვდა ქ. ტიფილის, სხვა-და-სხვა ჩინებულ
შირთა, თავადთა და აზნაურთა. თავიდან მოუთლებული უკანასკნელ
აღსაკლის მქონე შირთამდის და მათონა პატივცემულ უოგელ წო-
დების შირთა ისეთი საგრძნობა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს
გულში, ორმ კერაოდეს კერ დავიკიწყებ ჩემ ღღეში მე იმათ ღიდ
მოკეთობას, წრფელ კაცთ მოუკარგობას და მიღებულებას!.. თუმცა
ახლა დოობით ცოტა ხნით დავშორდი მე იმათ მწეალობელ მო-
კეთე მოუკრობას, მაგრამ სული-გული ისეკ იმათთან მიბრუნავს,
იგინი არიან ჩემი გონიერის მაჲად მაბრწყენნა, სარო-იმედნი და და-
გვიწყებლად ძრითვასნი სახსოვანი...

«ღმერთმან ჭენას, ისეკ მალე მიგვდე მე ჩემის გულის საწად-
სა, მათთან ხლებასა, ორმლის მსგავსი უბედიდერესი წამი არ შეი-
ძლება. იუთს ჩემთვის ამ ქეუანაზედა... ღმერთმან ჭენას, მეცა და ჩემ-
თა თანამოძმეთაცა საქმით დაგემტევიცებინოს ჩენენან მოსალოდი
კეთილშობილური მოქმედება; შეკერთებულვიული. მტევიცა მმურად
ჩენენს ღიდის ხნის აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხვ მმათათანა, სუ-
ლითა და გულითა და უოგელ კერალ-განწერაბილებითა ხელი-ხელს
მაგვაცეს და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯები, ფითაც გან-
თქმული. იუპნენ ჭრისტიანობისა ჩენენი წინაპარნი საქვეუნოდ, ეხა-

როსთ დიდის სნის მოღმა იმათ ღრმად მიძინებულის სულ-გულსა
და იშვებდნენ ჩვენის დირს მეტკიდრეობითა, რომლით წინ წავა
ქვეყნის მაშენებლობა. განასლდებან ცის ტაბარნი, სამოქალაქო ფა-
ქტობა, სელოსობა, სწავლა-მეცნიერება ზნე-გითოდობით, ერთი-
ათასად და ათი-ათასად წარიმართება მიწის შემუშავება, ნერგა,
წინდვა, მუგნა გამრავლება, უოველი საზოდო გაგვიყვდება, რომ უო-
ველი გაცი ბედნიერების გზა-გვალს დადგეს ღვთის მსასურებით,
სიმართლით და გაცი-მოუგარებითა....

ქ. არტაანი,
29 თიბათვეს (1879 წ.).

შარიფ-ბეგ ხიმშიაშვილი

* * *

შეძლებისა დაგვარად ვეცადენით მკითხველებისათვის გა-
ვვეცნო წარსული ყოფა აჭარისა იმ დრომდე, სანამ ეს კუთხე
კერძოდ და ბათომის ოლქი საერთოდ ბერლინის ტრაქტატის
მალით 1878 წელს რუსეთის იმპერიას არ შემოუერთდა. შემ-
დეგს წერილში ვეცდებით გავუშიაროთ მკითხველს ის ცნო-
ბები, რაც ალაგობრივ შეკვრიბეთ ამ მხარის შესახებ იმ დღი-
დან დაწყებული, რაც აქ რუსის აღმინისტრაციამ დაიწყო მო-
ქმედება და ყოველივე დაექვემდებარა იმპერიის საერთო კა-
ნონებს.

თ. სახლვა

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელთ დამბერტისა

(თარგმანი იტალიურით)

XXII *)

ომის წეს-რიგი

მეგრელები, როგორც ქვეყნიერობის დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომსა. იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ პატარეები დაჲყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გა-ჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ისე აღიჭურვებიან იარაღით, დაიჭერენ ხელში ფარს და მიჰმართავენ შვილდსა, თოთქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას. ყველანი ისე გულმოდგინედ ეკიდებიან ამ ხელობას, რომ მუდამ მზად აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა ლაშქრობის დროს: საუკეთე-სო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღალვენ; საუკეთესო სურსათს აგრეთვე ინახავენ ლაშქრობისათვის; ყოველივე ია-რაღიც ისე გამოწყობილი აქვთ, რომ მთავრის პირველსავე ბრძანებისამებრ შეეძლოთ სალაშქროდ გამოსვლა. გარდა ამი-სა ლოგინში რომ ისვენებენ, შვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, აპჯა-რი და სამაჯეები სასთუნალს უდევთ ხოლმე, რათა საჭიროე-ბისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ.

ოდიშში ვერავინ ვერ განითავისუფლებს თავს ლაშქრო-ბისაგან, რაც უნდა დიდი გვარის კიცი იყოს, ან რაც უნდა

*) იხ. „მოამბე“, 1900 წ., № X.

ავალმყოფი იყოს. როგორც კი მთავარი უბრძანებს, ყოველი მეგრელი, სიტყვის შეუბრუნებლად, მზად არის გაჰყვეს. ოვით მთავარიც, სხვების მაგალითისათვის, ისე ერთგულად ეკიდება თავის მოვალეობას, რომ თუმცა იყი ზოგჯერ ციებ-ცელებით ავად ყოფილა, მაგრამ ბანაკი არ მიუტოვებია, არამედ, მიუხედავად ავალმყოფაბისა, შეიარაღებული შეეარღნილა ხოლმე ბრძოლაში. ამ რიგად კოლხიდაში ყველა დიდი ტანჯვის და ჯაფის ატანას ეჩეება: ლოგინში ფუფუნება რა არის, არ იციან; ყველა მიჩვეულია ჭილოფზე და ნოხზე მასვენებას. პატარა ბავშვებს და ნორჩ ახალგაზღლობას თვით სასტიკ ზამთარშიც ფეხთ არ აცმევენ და ამ რიგად აჩვევენ თოვლში ფეხშიშველ სიარულს. საშინელ პაპანაქება სიცხეში სანადიროდ მიღიან. ხშირად შიშველები გავლენ ხოლმე უდიდესს მდინარეებში. ყოველსავე ამას იმიტომ ჩაღუნ, რომ ცქვიტები და მარდები შეიქმნენ და შეეჩიონ იმ გასაჭირს, რომელიც ჩვეულებრივ ომიანობას თან მოაქვს.

როცა მთავარს უნდა ომი დაიწყოს, მას არ სჭირდება არც დოლის დაკვრა ჯარის შესაქრებად და არც ფულისა და არც სურსათის მოგროვება ჯარის სარჩენად. საკმაოა მხოლოდ, რომ საჭიროების დროს რამდენიმე შიკრიკი გაგზავნოს სამთავროს ყოველ მხრით ბარათებით დიდებულებთან, აზნაურებთან და აცნობოს, რომ იგინი ამგენი დღის განმავლობაში მთელი თავის კაცებით, იარაღით და სურსათით გამოცხადდნენ ამა და ამ ადგილს, სადაც უნდა შეიყაროს ლაშქარი. ამასთანავე ისიც უნდა აცნობოს, თუ რამდენი დღის სამყოფი სურსათი წამოილონ თან. ამ ამბის მოსვლის დღიდან დანიშნულ დრომდის ყველა თავის სურსათს ამზადებს, ათვალიერებს თავის იარაღს და ცხენებს, შეაკეთებს საომარ მოწყობილებას, გაიგებს თავის კაცების ამბავს და დანიშნულ დროს გამოცხადდება ამორჩეულ ადგილს.

კოლხიდა ისე ცოტად ცნობილია, რომ შეიძლება არავინ არ დაიჯეროს, თუ ვიტყვი, რა ძლიერი და მრავალ რიცხვოვანი ჯარი გამოჰყავს მთავარს საომრად: სულ მცირე ხანში

შეპკრებს ხოლმე ოცდა ათ ათასს მეომარს, სულ ცხენოსანს, კარგად გატოცდილს და გავარჯიშებულს. თუმცა ჩვეულებრივ მთავარი თხოულობს, რომ კომლზე ერთი კაცი გამოვიდეს ლაშქრად, მაგრამ აზნაურობა უფრო თავის სურვილით, ვიდრე კანონით, სულ ერთიანად გამოდის, ისე რომ, აზნაურს თუ ხუთი ან ექვისი ვაჟი ჰყავს, ესენი ყველანი გაპყვებიან საომრად მთავარს, უკეთუ იმ ხანში არიან, რომ ცხენზე შეჯდომა შეუძლიათ. როცა მეტი გაჭირება არის და მეტი ჯარი არის საკირო, მაშინ ბრძანება გამოდის, რომ კომლზე ორი და სამი კაცი გამოვიდეს ლაშქრად. ზოგჯერ გამოდის ბრძანება, რომ სახლში დარჩეს მის დასაცველად მხოლოდ ერთი და დანარჩენები, ვისაც შეუძლიან იარაღის ხელში დაჭრა, გამოვიდნენ საომრადო.

ჯარი რომ შეიკრიბება, შტერთა ქუცუნისაკენ გაუდგება და მიდის იმ წესით დაწყობილი, როგორც მოსახლობა არის დალაგებული, მაგალითად: იუ იმერეთის სახლეარს უნდა დაეცნენ თავს, ისინი, ვინც იმერეთის საზღვრად ცხოვრობენ, შეადგენენ მოწინავე ჯარს; ვინც შუა ოდიშში ცხოვრობენ — შუა ჯარს, და ვინც აფხაზეთისაკენ — ზურგის ჯარს. სულ წინააღმდეგ არიან დაწყობილნი, როცა ჯარი ან უკან ბრუნდება და ან საომრად აფხაზეთზე მიდის: ამ შემთხვევაში მოწინავე ჯარი გადაიქცევა ზურგის ჯარად და ზურგისა — მოწინავედ. ბანაკად თერთეული ნაწილი ჯარისა დგება მისთვის მიჩენილ ადგილზე. ამ ადგილის საზღვრებში თერთეულ მეომარს შეუძლია ის ადგილი აჩოირჩიოს, რომელიც მას მოსწონს და ნიშნად იმისა, რომ ასეთი ადგილი ამოარჩია, მიწაში ჩაასობს თავის შუბსა და ამის შემდეგ სხვას ნება არა აქვს მიითვისოს ის ადგილი. ამ ადგილზე მისი ამომრჩეველი დადგამს თავის კარავს ან აშენებს ფაცხას. თავაღ-აზნაურები იკეთებენ თავისთვის მშვენიერ კარავებს და ზოგი თავიანთ მხლებელთათვისაც სდგამს კიდევ ორს ან სამს კარავს. არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჯარი ისე მოწყობილი გამოდოდეს ლაშქრად, როგორც მეგრელების ჯარი. მშვენიერი ტანიქამოსები ისე ბრწყინავენ, როგორც არსად

სხვაგან: თვითეულს მოაქვს ყველა თავისი ტანისამოსი და ცდილობს, რომ აქ უფრო კარგად იყოს ჩატმული, ვიდრე ჩვეულებრივ არის. მართლა ახირებულია, რომ აქ ყოველ დღე იცვლიან თავიანთ ტანისამოსს. ვისაც ვეცხლეულობა აქვს, ერთიანად თან შოაქვს; აგრეთვე მოაქვთ საუკეთესო სპარსული ხალები, რათა ამ ხალებზე დღისით დასხვნენ და ღამით დაიძინონ. პურის ჭამა ამ დროს მეტად მხიარული იყიან, რადგან ამისათვის მოდენიან მრავალ ძროხას, ხარს, ცხვარს, ხბოს, მოიტანებენ ტომრებით ღომს და ფქვილს. ყოველ დღე ახალი პურის გამოსაცხობად მოსვლისათანავე რამდენიმე თონეს სდგავ მენ. ბანაკად რომ დგანან, დროს ატარებენ მუდამ წვეულებაში. დღეს თუ ერთმა გამართა ნაღიმი და რამდენიმე კაცი მოიწვია, ესენი სამაგიეროს გაუმართავენ შემსევ დღეებში. ასე რომ მუდამ ნადიმად სხედან და მთელ ღამებს ქიფუში ატარებენ. სიბნელეში ისმის მრავალი შეუწყობელი ხმა, რომელიც განუწყვეტლივ მღერის. ეს ხმები და სიმღერები ერთი ორად მატულობს, როცა ჯარი შედის ისეთ ქვეყანაში, ხალაც ბლომად არის ღვინო; აქ ერთი-ორად უმატებენ სმას და ხმასაც აღამაღლებენ ხოლმე. იმის შიში არ აქვთ, რომ ამ დროს მტერი თავს დაგვეცემიანო, რადგან ჩვეულებად არ აქვთ ღამე ბრძოლა. ამბობენ, რომ ღამე არ ვარგა ბრძოლა, რადგან მტერს შენიანისაგან ვერ გაარჩევო და მტრის ვნება რომ გინდოდეს, იქნება შენიანი მოჰკლაო. ამის მიუხედავად თავი ფრთხილად უჭირავთ ამ დროსაც. თუმცა დარაჯებს არ აყენებენ ჩვენებურად, მაგრამ ამოარჩევენ ორმოცდა ათს ცხენოსანს და დაავალებენ რომლისამე თავადის ხელქვეით მთელი ღამე მზის ამოსვლამდა იარონ ბანაკის გარეშემო.

როცა ორი მოპირდიპიჩე ჯარი ერთმანეთს შეხვდება, მთაერებს ჩვეულებად აქვთ, თუმცა მტრები არიან, ერთმანეთს გასაგრილებელი სასმელი უთავაზონ. აგრეთვე იქცევიან ერთმანეთის შორის დიდებულები. გათენებიდან მზის ჩასვლამდა უკრავენ დოლს. მათი დოლი სპარსულსა ჰყავს, ესე იგი, სპილენძის არის და საჭმაოდ დიდი, ქვაბის მსგავსი; ერთის მხრით

გადაკრული აქვს ტყავი. როცა ჯარი მიღის, ორ-ორ დოლს ცხენზე ან აქლემზე გადაპყიდებენ იქით-აქეთ და შუაში ჩაჯ-დება მედოლე, რომელიც ორი პატარა ჯოხით განუწყვეტლივ უკრავს. დოლთან ერთად უკრავენ საყვირს, რომელიც აგრე-თვე სპარსულია: სწორი და არა მოღუნული; სიმაღლით კაც-ზე უმაღლესია, ამას ორი კაცი უკრავს, ხან ერთი და ხან მეორე, მისი ხმა ყურთა სმენისათვის უფრო საზარელია, ვიდრე სასიამოენო. საყვირის დაკვრის შესახებ ასეთს წესს მი-სდევენ: პირველად დაუკრავენ დადიანის საყვირს, მეორედ გუ-რიელისას, და მესამედ დაუკრავს ლიპარტიანი, ოდიშის უდი-დებულესი თავადი. მერე საყვირი ხელიდან ხელში ვადადის და ყველანი რიგზე უკრავენ უფროს-უმცროსობის კვალობაზე. თუ შემთხვევა იქმნა და დადიანი მეხვდა პირის-პირ იმერეთის მეფეს, რომელიც წინად მისი ბატონი იყო, ამ პატივსა კიდევ სცემს დადიანი, რომ თუმცა მტერია მისი, მაგრამ მანამდი არ დაუკრავს საყვირს, სანამ იმერეთისას არ დაუკრავენ.

შემდეგ ამისა ბრძოლა უნდა მოხდეს. ჩვენში ვამარჯვების იმედი სულ ჯარის წესიერებაზე და მის სამხედრო დისკიპლი-ნაზეა ხოლმე დამყარებული. მეგრელები კი იმით ამაყობენ, რომ ბრძოლის დროს არაეთარი წესი და რიგი არა გვაქესო. როგორც კი მტერი გამოჩნდება, მეგრელები რაზმებად როდი დაეწყობიან, არამედ ვინც კი მოასწრობს ცხენზე შეჯდომას, იგი გაექანება პირველადვე მტრისაკენ და ესვრის შუბსა; თუ მოახვედრა და ჩამოაგდო მიწაზე, ხომ დაიჭერს; თუ არა და, მტერმა თუ დასცა მიწაზე, თვითონ იქმნება წაყვანილი. აგრე-თვე მოქმედობს მთელი ჯარი. ამის გამო მათი ბრძოლა თავ-დება ცხენის ერთი გაჭენებით, და მეოთხედი საათის განმავლო-ბაში ან მტრის ჯარს გაარღვევენ, ან მტერი მათ გაქელავს, და ბრძოლა დასრულდება. ამნაირ ოში მეგრელებს ბედი აქვთ და ყოველთვის გამარჯვებულნი რჩებიან ბრძოლაში. თუმცა იმერლები, რომელთანაც მეგრელები ჩვეულებრივ ომობენ, ტა-ნადაც კარგი მოყვანილნი არიან, სახითაც მშვენიერები, და მათ პირისახეზე გამოიხატება ისეთი დიდებულება და მამაცო-

ბა, თითქოს მთელი ქვეყნის დამორჩილება უნდათო, მაგრამ როდესაც კი შეებმიან ოდიშელებს, ყოველთვის დამარცხებულან პირველსავე შუბის სროლაზე. მე ბევრჯერ მიკითხავს მეგრელებისათვის, თუ რა მიზეზია, რომ იმერლები ეგრე მშვენიერები და შესახედავად მამაცები ვერ გიმაგრდებიან-მეთქი? ამაზე ის პასუხი მოუკით, რომ ომში გამარჯვება შეხედულებაზე როდი ჰკიდიათ, არამედ შამაცობაზეცა. რადგან იმერლებს შეხედულობა კი აქვთ და მამაცობა აკლიათო, ამიტომ ჩვენ, მეგრელებს ვერ გაგვიმაგრდებიანო. მეგრელები ქვეყნიერების ყველა ერთა უმამაცესნი ვართო და არასოდეს არაფრის არ გვეშინიანო. მართლაც, შემდეგ იმისა, რომ დადიანმა ბევრჯელ ღიდებულად გაიმარჯვა იმერლებზე, ესენი იმდენად შეშინდნენ, რომ ვეღარ ბედავენ აშკარა ბრძოლაში მასთან გამოვიწნენ. დადიანი იმდენად გაამაყებულია თავისი გამარჯვებით, რომ, რადგან მეფე აშკარა ომში არ გამოდის, სამაგიეროდ დალიანი მის სამეფოს ყოველ წელიწადს თავს ესხმის, ყოველსავე ანადგურებს და სწვავს, სახლში მუდამ ბრუნდება დიდის ნადავლით: იარალით, ტყვეებით და სხეა რამეებით.

ერთხელ მეფემ გაიგო, რომ დატიანმა ჯარი შეჰქრიბა და ჩემზე მოდისო, მაშინვე იმ ზარალის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უსათუოდ მოელოდა, ქუთაისის (*Cotatis*) დიდად გამაგრებულ ციხეში შევარდა და იქიდან რამდენიმე ზარბაზანი გამოისროლა იმის ნიშნად, რომ სამეფო გაფრთხილდეს და თვითოულმა თავს უშეველოსო. ზარბაზნის სროლა გაიგონეს თუ არა, ყველანი დაიხიზნენ სხვა-და-სხვა ციხეებში და ან უმაღლეს მთებზე, და ამ გზით თუ ქონება არა, თავისუფლება მაინც დაიცვეს, და მონობა, რომელიც მათ მოელოდა, თავს აიშორეს.

ერთხელ დადიანმა მოინდომა ქუთაისის ციხიდან მეფის გამოგდება, ციხის დანგრევა და მიწასთან გასწორება. ამისათვის ერთს ფრანგს, რომელიც მაშინ ტყვეელ ჰყავდა, გაკეთებინა აკედა - ათიოდე ზარბაზანი და შეუდგა განზრახულ საქმეს, მაგრამ, რადგან მეგრელები უფრო გამოცდილი არიან გაშ-

ლილ ადგილზე ბრძოლაში, ვიდრე ქალაქის ალყის შეკვრაში, ამ საქმეში ვერ გაიმარჯვეს. დადიანს ეგონა, რომ როგორც იერიქონის კედლები საყვირის ხმაზე დაიკუა, ისე მხოლოდ ზარბაზნის ხმაზე ციხის კედლები მაშინვე დაინგრევაო. მას არც ის მოწყობილება ჰქონდა, რაც საჭირო იყო ზარბაზნებისათვის და არც გამოცდილი კაცები ჰვევანდა, რომელთაც შესძლებოდათ ზარბაზნების კარგად ხმარება. ამის გამო თუმცა ბევრი უფშარა ესროლა ციხეს, მაინც ვერიაფერს გახდა და დიდის მწუხარებით უკანვე დაბრუნდა ოდიშში.

ამის შემდეგ დადიანმა უბრძანა თავისიანებს, რომელნიც სახლობენ იმერეთის საზღვარზე, მუდმივის თავსდასხმით შეაწუხეთ მტერიო. ესენი ასრულებენ ბრძანებას და ხშირად აოხრებენ იმერეთის სამეფოს, საიდანაც სახლში ბრუნდებიან მდიდრული ნადავლით, საქონლით იქნება, თუ ტყვეებით. მეგრელები მართლა ისეთი შეუპოვარნი შეიქმნენ, რომ ხანდისხან თვით ქუთაისის ციხემდის მიდიან და ქალაქიდან გამორჩევნ ხოლმე იმ საქონელს, რომელიც მინდროორში ბალახობს. სხვათა შორის ერთს დღეს ოდიშიდან გამოსულიყო ოციოდე კარგად შეიარაღებული ცხენოსანი. ამათ ქუთაისის ციხესთან თვით მეფის თვალწინ დიდძალი პირუტყვი დაეჭირათ, მიიჩეკებოდნენ წინ და მირბოდნენ სახლისაკენ.

იმერეთის მეფე შეწუხდა რასაკვირველია, უფრო სირცევილისა, ვიდრე დანაკლისის გამო, და უსაყვედურა თავისიანებს, თქვენ იმდენი გული აღარ გერჩის, რომ მეგრელებს შეარჩენთ ასეთს შეუპოვრობას და უტიფრობასო. მეფის სიტყვაშ იმოქმედა და ოთხმოც და ათიოდე იმერელი შეიარაღებული შეჯდა ცხენზე და მსწრაფლად დაედევნა მეგრელებს, რომელნიც მირბოდნენ თავის სახლისაკენ. მდევრები დაეწივნენ სწორედ იმ დროს, როცა მეგრელები შედიოდნენ თავის ქვეყანაში. ამათ სრულებითაც არ შეშინებიათ, როცა დაინახეს, რომ ასეთი უმრავლესობა თავს დაგვეცაო. თუმცა იცოდნენ, რომ რიცხვით ნაკლები იყვნენ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ მამაკობით სჯობნიდნენ. ამიტომაც ნადაელი გვერდზე გაუშვეს

და მოუბრუნდნენ მდევრებს, რომელნიც შებამართულები სა-შინელის კენებით მოსდევდნენ. მეგრელები საშინლად შეეტაკნენ მდევრებს და თითქმის ყველანი ჩამოაგდეს ცხენილან და უმეტესი ნაწილი იმათ შორის ტყვედ წაიყვანეს. გამხიარულებულ-ნი როგორც ქუთაისში ნაშოვნი დავლით, ისე ამ ტყვეების ხელში ჩაგდებით, მეგრელები დიდის ამბით სახლში დაბრუნ-დნენ. მეორე დღეს გამოცხადდნენ სასახლეში და მთავარს წა-რუდინეს ტყვეები ისე შეიარაღებულნი, როგორც რყვნები, და მთავრისაგან, ქებას გარდა, უხვი საჩუქრებიც მიიღეს.

მოხდება ხანდახან, რომ დიდი ხნის ომის შემდეგ ამ ორი-საგე ქვეყნის მთავრები ზავს შეკრავენ, რის შემდეგ მოისურ-ვებენ ერთად შეყრას და მეგობრულად მოლაპარაკებას. ამისა თვის ამოირჩევენ ხოლმე უმშევნიერესს და უუფართოეს მინ-დორს, რომელიც კი მოიძებნება მიღამოშან დანიშნულ დღეს ერთს და იმავე დროს ორნივე მოვლენ აქ თავიანთის რაზე-ბარ დაწყობილის ჯარებით. ჯარებს წინ მოუძღვებიან თვით მთავრები მშვენიერ ტანისამოსებში გამოწყობილნი, მდაბრუ-ლად ოქროთი და ძეირფასის ქვებით მოკაზმული საუკეთესო ცხენებზე. ჯარები ერთმანეთს ნელ-ნელა უახლოვდებიან და თან დიდ ხმაურობას ასტეხენ დოლებით და საყვირებით. ეს ჯარები რომ მიუახლოვდებიან ერთმანეთს შვილდისრის მანძილ-ზე, თვითეული მთავარი ერთსა და იმავე ჭროს მიუბრუნდება თავისს ჯარს და უბრძანება — გაჩერდითო. ამ ბრძანებაზე ჯარ-ები მაშინვე გაჩერდებიან და აღარ დაიძერიან ადგილიდან. მხო-ლოდ მთავრები თითო მხლებელით ერთმანეთს მიეგებებიან, მხლებლებს ხელში უჭირავთ თითო ოქროსი ან ვეცხლის თა-სი, რომელსაც თვითეული მათგანი მიართმევს თავისს მთავარს. მთავრები ჩამოხტებიან ცხენებიდან, ერთმანეთს მუხლ-მოდრე-კით სალამს მისცემენ, ერთი მეორეს ფეხთა წინ დაუგდებს თასს და მერე სიყვარულით გადაეხვევიან ერთმანეთს. შემდეგ ხელ-ახლად შეჯდებიან ცხენებზე და თავის ჯარების თვალწინ ერ-თად დასეირნობენ და მეგობრულად მუსაიფობენ ნახევარი საა-თის განმავლობაში. მერე მდაბლად თავის დაკვრით გამოემშვი-

დობებიან ერთმანეთს და თავიანთ ჯარებთან დაბრუნდებიან. მეორე დღეს ერთანეთს მიწვევენ და მდიდრულ საჩუქარსაც მიარომევენ. ამის შემჯევე მშვიდობა დამკვიდრებულად ჩაითვალება მათ შორის.

xviii

თამაშობანი

სამეგრელოში დროს გასატანებლად ბევრი სხვა-და-სხვა თამაშობაა. მათ შორის ზოგი გავრცელებულია მთელს ქვეყნი-ერობაზე და ზოგი საკუთრივ სამეგრელოში და საქართველო-შია გავრცელებული და სხვაგან არსალ. პირველთაგანია: ჭაღრაკა, ნარდი და ბანქო. ჭაღრაკასა და ნარდს უფრო ქალები ეტანებიან, ვიდრე კაცები და ისე მარდად და ხელოვნურად თამაშობენ, რომ საუცხოვო სანახავია. პანქო იშვიათია და მხოლოდ უდიდებულესი თავადები თამაშობენ მას. საკუთრად იქაური თამაშობა-კი ორნაირია: ბურთაობა და ნიშანში შეიღლდ-ის-რის სროლა. ორივე თამაშობა სწარმოებს ამ რიგად: ერთ-ერთ ფართო მინდორში, სადაც ცხენებისათვის შესაძლოა თავისუფლად გაჭენება, შერკიბება რვა თუ ათიოდე ცხენოსანი საუკეთესო ცხენებით. მაგრად დაკრავენ ცხენებზე უნაგირებს ორმაგის თუ სამმაგის ღვედებით, იმ შემთხვევისათვის, რომ, ვინც ცობაა, ერთ-ერთი ღვედი გაწყდეს თამაშობის დროს, როცა ცხენოსანი მთელის თავის ძალ-ღონით ტრიალებს უნაგირზე. თვითეულს მათგანს ხელში უჭირავს თითო ჩოგანი (racchetta), რომლის ტარსაც ოთხი ფუ ხუთი მტკაველი სიგრძე აქვს. ჩოგანი ერთიანად გადაქსოვილია საბეჭით, როგორც ჩვენში იყო-ან; ხოლო ერთის მხრით ხე არა აქვს და სრულიად გაშლილია, რათა ამ მხრით უფრო აღვილი იყოს ბურთის მიწიდან აღება. თამაშობა ამაში მღვმარეობს: ვინც თამაშობას იწყებს, იგი ბურთს დაადებს ჩოგანზე, რომელც მაგრად უჭირავს ხელ-ში, და ცხენს გააჭენებს, იმას ერთი მეორეზე ყველა დანა-

რჩენები გისდევენ თავიანთის ჩოგნებით ხელში. პირველი მოთამაშე თავის წინ მაღლა ააგდებს ბურთს იმნაირად, რომ ბურთი როცა მიწაზე დაეარდება, იმ დროს მოთამაშეც იმ ადგილას მივიდეს, და როცა ბურთი ხელისამავ ახტება ზე-მოთ, მოთამაშე თავის ჩოგნით უკან გადაისვრის. ყოველი მო-თამაშე ამ ბურთისაკენ მიაჭინებს ცხენს და ცდილობს სხვებზე წინ დაიჭიროს ბურთი, ისე რომ ცხენიდან არ ჩამოხტეს. ვინც დაიჭირს, მაშინვე სხვების თავში დადგება და იმნაირადვე ააგ-დებს ზევით და მერე უკან გადაისვრის. მერე სხვები სცდილო-ბენ ბურთის დაჭირას, და ამრიგად თამაშობენ სალამომდის. ეს თამაშობა მეტად სასიამოვნო ვარჯიშობაა და დიდად გასარ-თობი.

ამას არ ჩამოუვარდება მეორე თამაშობა, რომელიც მდგო-მარეობს შემდეგ ში. შეჰქრავენ ორს ძლიერ გრძელ კოჭს, ან-ძის მსგავს და დაასობენ ფართო მეოდანის შუაგულში და გაწ-ვრილებულ წვერზე დაადგამენ პატარა რგვალ მაგიდას, რომ-ლის სიგანე არ აღემატება ოთხი თითის დადებას. ასეთს ყაბახს დგამენ ჩვეულებრივ ოდიშის უდიდებულესი თავადები თავიან-თი სასახლის წინ მდებარე მინდორში და როცა მოესურვებათ ამ თამაშობით ღრო გაატარონ, დასდებენ ხსენებულ მაგიდაზე ვეცხლის თასს, მოიწვევენ შვილდისრით შეიარაღებულს მრა-ვალ ცხენოსანს. ეს ცხენოსნები ერთი მეორეზე მიაჭინებენ ცხენებს ყაბახისაკენ. როცა ცხენოსანი ყაბახს მიუახლოოვდება მოპერთავს შვილდისარს და ცხენის ჭენებითვე ქსვრის ისარს ვეცხლის თასს, რომელიც ყაბახის წვერზეა. ვინც მოახვე-დრებს თასს და ჩამოაგდებს ძირს, იგი გაზდება მისი პატრო-ნი და ლირსი იქნება ქებისა ყველა დამსწრეთა მხრით.

xix

ექიმები და ექიმთა

მთელ კოლხიდაში მეტად მიღებული არიან ექიმები და ხალხს ისე არაფერი არ ენატრება, როგორც ექიმის ხელობა.

ამიტომაც შორეულ ქვეყნებიდან მოდიან აქ და სახლდებიან ოსმალები, სპარსელები, ოტალიელები და ფრანგები, რომელთაც ცოტა რამ იციან აშ ხელობისა. მეგრელები არც თხოულობენ, რომ იმათ კარგად იცოდნენ ექიმობის კანონები. მთსულისათვის საკმაო მხოლოდ ექიმის სახელი და წამლის გაკეთების ცოდნა სანახევროდ, რათა ყველასაგან პატიჲკემული, ქებული და მიღებული იქმნას. სხვებზე უფრო პატივსა სცემენ იტალიელებსა და ფრანგებს. ამათგანი რომ ვინმე ჩავა სამეგრელოში, რათა აღარ წავიდეს, ცდილობენ ცოლი შერთონ და ამით დააბან იქ. თან აძლევენ სახლ-კარს, მიწა-ადგილს, სხვილფეხი საქონლის ჯოგს, ყმებს და მონებს, ყველაფერს ისე უხვად, რომ მოსულის სურვირლისაც აღმარება. იქაურები ყველანი შეტად მოწადინებული არიან შეისწავლონ რაიმე წამალი. ამიტომაც სცდილობენ, რომ ექიმმა მათის თვალწინ მოამზადოს წამალი. როცა შეისწავლიან წამლის მომზადებას, მაშინვე მთელ ქვეყანას ასწავლიან. უფრო ცოდნის მოყვარეთ მრავალი წამალი აქვთ შესწავლილი და ჩაწერილი მათ ენაზე ერთნაირ წიგნში, რომელსაც კარაბალინი ჰქვიან. ამ კარაბალინში სწერია სხვა-და-სხვა საცხებლები, აბები, და სასმელები. ხოლო, რადგან ყევლა მასალა არა აქვთ, კარგიდ ერ აკეთებენ ამ წამლებს და ამზადებენ ისე, როგორც შეუძლიათ. თვითეულ დიდებულს ოდიშში აქვს ერთნაირი ყუთი, რომელშიც ინახავს სხვა-და-სხვა აბებს, სასმელებს და ვარდის წყალს, და ამ წამლებს საჭიროების ღრის ხმარობს.

სამეგრელოში არიან ქალები, რომელნიც სიამოვნებით ეტანებიან ავადმყოფთა მოვლას. როგორც კი ვინმე ავად გახდება, რომელიმე ამ ქალთაგანი მაშინვე მივა და დაუწყებს მოვლას: საჭმელის წეს-რიგს დაუნიშნავს და გაუკეთებს რამდენ-სამე წამალს. წამლებად, როგორც შიგნით დასალევად ისე გარედ დასადეპად, ბლომად ხმარობენ ბალახებს. საჭმელის შესახებ ამ წესს ადგანან: სრულებით ერიდებიან ყოველ ნაირ ხორცეულობას და ყველა სხვა საჭმელსა, კარდა ლომისა. ლომს როდინში გასწმენდნენ კანისაგან, ძალიან კარგად გარეცხენ და

საკმაოდ თხლად შოხარშავენ. მიურთავენ ცოტაოდენ ქინძს და ლვინოს რამდენსამე წვეოს. თავის ტკივილის დროს ავადმყოფს შუბლს შეუხევევენ *Cordiaea*-ს.* ფოთლებით. ამის წვენს ასმევენ ცოველნაირ ავადმყოფობაში.

როცა ავადმყოფი დიდ სიცხეშია, მას გაახვევენ ხოლმე ძეწნის ფოთლებში. საფალარათოს ქალები არ აძლევენ ავათ-მყოფობის დროს, მაგრამ თუ ვინმემ საფალარათოს დალევა მოისურეა იმისთვის, რომ ავად არ გავხდეო, იმას აძლევენ ხოლმე დიდ თასს რძიანას (*Titimaglio*) წვენს, რომელიც პირიდანაც და უკანიდანაც ისე ასაქმებს, რომ სიკვდილამდი მიაყენებს. ვინც იშოვნის რევანდს, სულ რომ პაწაწა იყოს და დახრულიც, შეინახავს, ვითარცა ძვირფას წამალს, ციების წინააღმდეგს. მერე როგორ აძლევენ ამ წამალს? არც გამოხარშავენ და არც დანაყვენ, არამედ როგორც არის, ისე მთლად ჩააგდებენ ერთი ღამით წყალში; მეორე დილას ამოიღებენ რევანდს, წყალს ასმევენ ციებიანს და რევანდს კი შეინახავენ სხომისათვის.

ერთხელ მე ვნახე იქაური ექიმი, რომელმაც დაარწმუნა მთავარი, რომ დედოფალს გულის ავათმყოფობისაგან იაკინთო მოარჩენსო. სთქვა ეს თუ არა, მაშინვე მოსძებნეს მშვენიერი იაკინთი წამლის მოსამზადებლად. ექიმმა მოამზადა იგი ამ რიგად: მოატანინა მდინარიდან ერთი ქვა და ჩააგდო ვეცხლის თასში, რომელშიაც ჩაასხა ცოტაოდენი წყალი. იაკინთი დაასუელა წყალში და შემდეგ ამისა მაგრად ხეხა იგი იმ ქვაზე. გულუბრყვილ გქიმს ეგონა, რომ იაკინთი გაილესებოდა ქვაზე. ხოლო ქვა გაილესა და არა იაკინთი, რადგან იაკინთი უფრო მაგარი გამოდგა ქვაზე. ამ უბრალო ქვის ნალესით აავსო ერთი დიდი თასი და მთლად შეასვა ავადმყოფ დედოფალს.

იქაური ექიმი რომ შეფუროს ჯანროზ ექიმს, საკმაოა იცოდეს გაკეთება სამნაირი წამლისა: ერთი—საფალარათო, მე-

*.) ამ მცენარეს და შემდეგ სხვებსაც ვტოვებთ გადაუთარგმნელად, რადგან ვერც ეჭითს ლექსიკონში ვერ ვიპოვეთ მათი. ქართული სახელები მთარგმ.

ორე—სიროფი და მესამე—კარგი გემოის კონსერვი. პირველი და უმთავრესი საფალარათოა. რაც უფრო ძლიერი იქნება საფალარათო, იძლენად მეტი სახელი ექნება ექიმს. საფალარათოს აძლევენ ყოველნაზრ ავადმყოფობაში, მიუხდავად იმისა, არგებს იგი, თუ აწყენს. ხშირად მომხდარა, რომ საფალარათოს ტეტად სამწუხარო შედეგი მოჰყოლია, რადგან ძლიერი საფალარათო ძალას ულევს ავადმყოფს და სენილან კი ვერ ჰკურნავს. ამიტომაც ავადმყოფი ხშირად კვდება. თუ ჩვენებური ექიმი მოხდა იქ და მისცა ავადმყოფს სუბუქი წამალი, რათა ზომიერად გააფალარათოს, როგორც მაგალითად diafanico და diacattolico, იგი ექიმობაში ვეღარ შეეთანხმება იქაურ კარგ ექიმს, რომელიც ამტკიცებს, რომ საფალარათომ ვერ იმოქმედა კარგადაო, წამალი ტანში დარჩაო და სენი ვერ გამოიტანაო გარედ.

ერთხელ სამეგრელოში ჩამოვიდა ერთი სპარსელი ექიმი, რომელიც იყო შეჩეიული მეტად მაგარი აგებულების სპარსელების ექიმობას და ისეთს საფალარათოს უნიშნავდა, რომ უფრო ცხენებს შეეფერებოდა, ვიდრე დღამინანებს. მისი ექიმობის სახელი ისე გაერცელდა, რომ მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოდიოდა და ჰფიქრობდა, რომ ახალი ესკულაპი მოგვიყიდაო. მისი სახელი მართლა ისე განითქვა, რომ ყველა მეგობრებმა უოჩიეს მთავარს, რომ ასეთის შემთხვევით ესარგებლა და სიმრთელის შესანახად ყოველ შემთხვევისათვის ამ ექიმის წამლით განწმენდილიყო. მთავარმა უფრო თავის მრჩეველთა ხათრისათვის, ვიდრე საჭიროების გამო დათანხმდა. მოიწვიეს ექიმი, რომელიც შეუდგა წამლობას. პირველი მისი საქმე ის იყო, რომ აღურალა მთავარს ცხენზე შეჯდომა იმ დროს განმავლობაში, რაც წამლობა გასტანსო. ეს მეტად ძნელი ასატანია საზოგადო მეგრელებისათვის, რომელნიც მჟელს თავის სიცოცხლეს ცხენზე ატარებენ. შემდეგ აღუკრძალა ყოველივე საჭმელი გარდა ცხვრის ხორცისა. მეტე დაუნიშნა საფალარათოს მიღებამდის. ყოველ დღე ორ-ორჯერ აბანოში წასვლა და იქ დარჩენა თითო საათობით მაინც. აბანოო, ამტკიცებდა ექიმი, ცხეულს

დაარბილებს და მერქ საფალარათოს დალევასთანავე ყოველივე გაფუჭებული წვენი სხეულიდან სულ აღვილად გამოვა გარედაო. ამ რიგად საფალარათოდ ამზადებდა მთავარს ათიოდე დღის განმავლობაში და ამ დროს, ხანგამოშვებით, ბლომად მისცა აბები. ბოლოს მოაწია საფალარათოს დალევის დღეც და წინა სალამოს ექიმმა დაალევინა დიდი ვეცხლის თასით ცხელი რძე, წონით არა ნაკლები ერთი ოყისა და სხვა საჭმელის ნება კი იმ სალამოს აღარ მისცა. შუალამისას მისცა ხუთმეტიოდე აბი, თეთოეული წონით თითო დრამა, და გათენების წინ მისცა ვეცხლის თასით ერთნაირი სასმელი, რომელიც იწონიდა ორ გირვანქაზე მეტს. რამდენადაც მახსოვს, ამ წამალში შეაზავა ექიმმა თითქმის ერთი უნკი ლორისქადა (Turbit), იმდენივე ნუშის ზეთი, ზანევარი უნკი რევანდი, სხვა-და-სხვა ხმელი ხილი, ერთი ლრამა Scamonea და სხვა რამები, რომელიც ეხლა არ მაგონდება. ყოველივე ეს დანაყა და ბროწეულისა, ვარდისა და ის მოდულებულ წვენში ჩაყარა, მერქ აურია კარგად და თბილად შეაჭამა მთავარს. მთავარი მეტად მოწადინებული იყო თვისი სიმრთელე დაეცეა და ამიტომაც საკვირველის მოთმინებით ეცორჩილებოდა ექიმის ყოველ ბრძანებას. ამ წამალმა ისე იმოქმედა, რომ სალამომდი, დასაძინებლად დაწოლამდი, ორმოც და შვიდჯერ ასაჭა და ლამის განმავლობაში კიდევ ამჟენჯერვე.

ამ ექიმის სახელი მთელ სახელმწიფოში განითქვა და ყველანი კვირობდნენ ამ კაცის ცოდნას, რომ ერთი წამლით ასე გაწმინდა ავადმყოფის ტანიო. თუმცა მთავარი ისე დასუსტდა, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დადგა თავის უწინდელ ღონეზე, მაგრამ ექიმის კმაყოფილი მაინც დარჩა, რადგან ფიქრობდა, რომ ყოველივე ის, რაც ტანიდან გამოუვიდა, სენი იყო, და ამ სენისაგან დიდის ხნით განთავისუფლებული უნდა ვიყოვო. ამიტომაც ექიმი უხვად დაჯილდოვა და გაისტუმრა. მე კარგად ვიცი, რომ ჩვენში ასეთი წამალი ან უნაყოფო იქნებოდა და ან სიცოცხლეს მოუსპობდა ავადმყოფს, ხოლო სამეგრელოში, იქაურების აგებულებისა, თუ ჰავის მიზეზით, ჩვე-

ნებურის ზომით რომ მისცეთ წამალი, არავითარი მოქმედება არ ექნება. საჭიროა გაორკეცება და გასამკეცება ზომისა, რომ წამალმა იმოქმედოს. ამას გარდა თვით იტალიელები რომ დარჩებიან რამდენსამე ხანს სამეგრელოში, იმათაც ძლიერი საფალარათო ეჭირვებათ იქაურის წესით. ამ საფალარათოს მომზადებაა უმთავრესი საგანი, რომელიც უნდა იცოდეს ამ ქვეყნის ექიმმა.

მეორედ ექიმმა უნდა იცოდეს სიროფის გაკეთება თაფლისა თუ შაქრისაგან. სიროფი ავადმყოფის სენის შესაფერი რომ არ იყოს, არა უშავს-რა, ოლონდ გემრიელი კი იყოს. როცა ვინმე ავად გახდება და ექიმს მოიწევევნ, პირველად ექიმმა სასმელი სიროფი უნდა მოამზადოს. რამდენს სხა-და-სხვა ნიირს სიროფს მოამზადებს ექიმი, იმდენად უფრო სწავლოულის სახელს მოიპოვებს იგი. ამიტომაც ამ ჯურის ექიმები ვარდებს და იას თავის დროზე ბლომად მოჰკრებენ, გაახმობენ და შეინახავენ, რათა საჭიროების დროს თაფლით ან შაქრით შეზავებული მოხარშონ და გააკეთონ სიროფი, რომელიც აგრე უყვართ იქაურებს, არამც თუ ავადმყოფებს, არამედ კარგად მყოფებსაც. სახელგანთქმულ ექიმებს ამ სასმელით სავსე ჭურჭელი ბლომად უნდა ჰქონდეს დამზადებული, რადგან, თუ ვინმე დიდებულმა გზად გამოიარა, მაშინვე მოითხოვს გასაგრილებელ სასმელს და ექიმი ცოტაოდენ სიროფს გაურევს წყალში და ამ სასმელს მიართმევს სტუმარს, რომლის გულსაც ამით მოიგებს. დიდებული სტუმარი სამაგიეროდ უხვად დააჯილდოვებს მასპინძელ ექიმს.

მესამედ, იქაურმა ექიმმა უნდა იცოდეს გაკეთება საექიმო კონსერვისა, რომელსაც იქაურები ეძახან მაჭნუნს. ეს მაჯნუნი სპარსელებს საუკეთესო წამლად მიაჩინიათ, რადგან, მათის აზრით, იგი სხეულს როდი სცლის სისხლისაგან, არა მედ სისხლს სწმენდს და აახლებს. ამას გარდა ძვირფასი ქვებისა ნატეხებისა და ძვირფასი სუნელოვან მცენარეებისაგან აკეთებენ ნაირ-ნაირ წამლებს, რომელსაც შეინახავენ ხოლმე კოლოფებში და საჭიროებისამებრ ხმარობენ. სამეგრე-

ლოს ექიმებმა აღმად თავის მეზობელ სპარსელებისაგან ისწავლეს ამ წამლების გაკეთება. მეგრელებიც მაჯნუნს ეძახიან ამ წამლებს, თუმცა მათებური წამლები ბევრად ჩამორჩება სპარსელებისას, რადგან სპარსელები მისდევენ არაბთა სწავლას და ამას გარდა მათი ბუნება მდიდარია ყოვლისავე სიკეთით, როგორც უბრალო საექიმო წამლებით, ისე ძვირფასის ქვებით და ინტონების სუნელოეან მცენარეებითა. ამიტომაც იგინი აკეთებენ ძვირფასს და კაცთა სხეულისათვის ფრიად სასარგებლო მაჯნუნს. ხოლო მეგრელები მოკლებულნი არიან იმავე სიმდიდრეს და თუმცა აკეთებენ მაჯნუნს, რომელიც შეხედულობით და გემოთი ჰგავს სპარსულ მაჯნუნს, მაგრამ მოქმედებით კი ვერ შეედრება მას. მიზეზი ის არის, რომ მეგრელებს არ აქვთ ძვირფასი ქვები და წამალს აკეთებენ ან სელის დანაყილი თესლისაგან, რომელსაც თაფლით შეზელენ, ან ფორთხხალის კანისაგან, ან სტაფილოსაგან, ან სხვის რისამე ძირისაგან და ხილისაგან. ის კი არის, რომ ოლონდ წამალი კარგი გემოსი იყოს, თორემ რისგანაც უნდა იყოს, მაინც ციდან ჩამოვარდნილ წამლად მიიჩნევენ.

ჩემს დროს იქ იყო ერთი მატყუარა ბოლგარი, რომელმაც რჯულს ულალატა კონსტანტინეპოლში და იქიდან ჩამოვიდა ოდიშში, სადაც მშვენიერად ირჩენდა თავს მხოლოდ იმით, რომ ასეთ წამლებს თითხნიდა: იგი აიღებდა ცოტაოდენ პუს, ძალიან გაახმობდა ცეცხლზე, შეურევდა თაფლს და პილპილს, ჩაალაგებდა რამდენსამე პატარა ჭურჭელში და დაატარებდა სოფლად. ყველას არწმუნებდა, რომ ეს საუკეთესო თერიაყი არის, რომელიც ჩამოვიტანე ქაირიდანო, და დანის წვერზე რაც დაეტეოდა, იმდენს წარალში იღებდა ერთ გოჭს, ან ერთ ყვერულს და ან ერთ ქათამს და ამებით დატვირთული ყოველ საღამოს ბრუნდებოდა სახლში.

ზემოხსენებული სამი საგნის ცოდნა მოეთხოვება იქაურ ექიმს. გარდა ამისა მეგრელები თხოულობენ ექიმისაგან ისეთ რასმე, რაც ჩვენში მავნებლად მიაჩინათ ავადმყოფისათვის. მაგალითად თხოულობენ, რომ ჭქიმზა ავადმყოფს ყოველ სურ-

ვილზე ნება დართოს: თუ სმა უნდა, სეას, თუ ჭამა უნდა, სჭა-
მოს, და თუ ძილი უნდა, იძინოს. შეტისმეტი ულმერთოება იქ-
ნებაო, ამბობენ იგინი, რომ ავადმყოფს კაცმა არ შეუსუბუქოს
ტანჯვაო.

სამეგრელოში უმთავრესად საში ჩვეულებრივი ავადმყო-
ფობაა: ტყირვი, წყალმანკი და ხეელება. რაც შეცხება ხველე-
ბას, მათის აზრით, ხველებას ვნებს ყოველივე ტკბილი. თუ, მა-
გალითად, გულის და ყელის დასალბობად ავადმყოფს ცოტა
შაქარი მისცეს და ამის შემდეგ მას ხეელება აუვარდა, მაშინვე
ჩივილს დაიწყებენ, რომ ყოველივე ტკბილის ბრალიაო, წყალ-
მანკის დროს უსმელობას ავადმყოფები ვერ ითმენენ და არც
უშლიან: მანამდი სვამენ, სანამ არ დაიხჩვებიან. ტყირპსაც სრუ-
ლებით ისე არ წამლობენ, როგორც უნდა წამლობდნენ.

სასაცილო საშუალებას ხმარობენ ბგრეთვე იმ ავადმყოფ-
თა შესახებ, რომელთაც სამდლეული ან ოთხდლეული ციება
სჭირო. ეს საშუალება იქნება მეგრელებმა ისწავლეს აფხაზები-
საგან, მათის მეზობლებისაგან: როგორც კი ციება გამოაჩნდე-
ბა ავადმყოფს და ავადმყოფი დაიწყებს ციებისაგან კანკალს,
წაიყვანებენ, სადაც უფრო ცივი მდინარე ეგულებათ, გააშიშ-
ულებენ და ყელამდი წყალში ჩისეამენ. ორ კაცს ძალით უჭი-
რავს აგრე კაი ხანს და მერე მკვდარ-ცოცხალს ამოიყვანებენ
და ლოგინში დაწვენენ. ამტკიცებენ, რომ ვითომ ამის შემ-
დეგ ავადმყოფი უკეთ გრძნობს თავის თავსაო.

xx

მ გ ზ ა გ რ თ ბ ა

მთელი სიცოცხლე მეგრელებისა განუწყვეტელი შეზავრო-
ბაა, რადგან მათ არც ქალაქები აქვთ და არც ერთ ადგილის
მოხაესებული სახლები, და თვითეული მათგანი ცხოვრობს
იქ, სადაც მოსწონს. ამის გამო, ვისაც საქმე დაურჩება სხვას
თან, უნდა წავიდეს შინიდან და მივიდეს იმ კაცთან, ვისთანაც

საქმე აქვს. ამიტომაც თვითეულს მზად აქვს ყოველივე ის, რაც მგზავრობისათვის საჭიროა: მუდამ მზად ჰყავს ცხენი, მომარაგებული აქვს აგრეთვე კარგი ნაბაზი, რომელიც მეტად საჭირო იქაური ხშირი წეიმების გამო, წალები, დეზები, უნაგირი და ყოველივე საცხენოსნო მოწყობილობა. ყოველთვის ცდილობენ, რომ ცხენზე უბარგოდ იყვნენ და თან არ იკრავენ არამატუ ხურჯინს, არამედ ნაბაზსაც. თან იახლებენ ქვეითა კაცს, რომელსაც ზურგით მიაქვს, რაც საჭიროა. უნაგირი აქვთ ან სპარსული, ან ოსმალფრი, რაც შეიძლება უფრო სუბუქი და მჩალტე; სამკერდე, საძუე და აბჯანდი, თუმცა წერილი და სუბუქია, მაგრამ საკმაოდ მაგარია. ღველები ყოველთვის ორ-ორი აქვთ, რათა ერთი რომ გაწყდეს, მეორე მზად ჰქონდეთ.

მგზავრობის დროს საჭიროა კიდევ ლოგინი, რომელიც ჩვეულებრივ შეიცავს საბანს და ბალიშს. ამ ლოგინს გამოხვევენ ნოხში შეკრავენ თოკით და ან წამოკიდებენ ზურგზე მხლებელ კაცს და ან ცალკე ცხენზე შეჰქიდებენ. გზაში სასტუმროების უქონლობის გამო საჭიროა კიდევ, რომ თან ატარონ სურსათი და სუფრისა და სამზარეულოს მოწყობილება.

ვისაც მოყვარე ეპულება, პირდაპირ მის სახლში მიდის და, რასაკვირველია, მასპინძელი კარგად მიიღებს და მოასვენებს. ამიტომაც ყველა ცდილობს, რომ სხვა-ზა-სხვა ადგილის ჰყანდეს ამისთანა მოყვარე და, გზად რომ გაიცლის, ლაშე გააჭიოს მისას.

სამეგრელოში სრულებით არ აქვთ ხმარებაში არც ეტლი და არც ტახტრევანდი, ისე რომ თვათ ქალებიც იძულებულნი არიან ცხენით იმგზავრონ. ცხენოსნობაში ქალები იმდენად გავარჯიშებულნი არიან, რომ ბევრი მათვანი ცხენზე თვითონ შეჯდება სხვის დაუხმარებლად და უშიშრად მიაჭენებს. ცხენოსან ქალებს ჩვეულებრივ ხურავთ იტიბულად გამოჭრილი და აბრეშუმით და ოქრომკედით მოქარგული ყაბალახი (tocco à traverso) და წევრში წაწვეტილი ქუდი, რომელიც წმინდა მაუდისათ და სარჩულად აქვს სამურის ტყავი. დანარჩენი საც-

ხენოსნო ტანისამოსიც ყველა მშვენიერია. წალები მოქარეული აქვთ. როცა ოდიშის რომლისამე დიდებული თავადის ცოლი ცხენით საღმე წავა, დიდის ამბოთ იახლებს ცხენოსან ქალებს, რომელნიც მეტად კარგად გამოწყობილნი არიან თავის საუცხოვო მოქარეულის ყაბალახებით, წალებით და კაბებით. ერთს მხლებელთაგანს ზურგით მიაქვს პატარა სკამი ხავერდით გადაკრული და ვეცხლით შემკული, რომელსაც ხმარობენ ცხენზე შეჯდომისა და ცხენიდან ჩამოხტომის დროს. როცა მთავრის სახლობა ერთის ადგილიდან მეორეზე გადადის, მაშინ მრავალი ასეთი ქალები მისდევენ მშვენივრად და საუცხოვოდ მორთულნი, რომელნიც ისე მარჯვედ და დახელოვნებულად სხედან ცხენზე, რომ მოგაკონებენ ძველებურ ამაზონელებს.

დაბალი ხალხი მგზავრობს ფეხით. თაშ მიაქვს წვიმის დროს მხოლოდ ნაბაჭი, რომელიც წელს ქვეით ძლივს წვდება, და იძულებული არის დიდ ტალახში ფეხშიშველი იაროს და ხშირად დიდ წეიმაში — თავშიშველი. ქუდს ინახავს ნაბდის ქვეშ, რათა არ დასველდეს და ქუდის დასველებას თავის დასველებას არჩევს. ხოლო სასაცილო ის არის, რომ მთელი დღე ფეხშიშველი დადიან და სახლში კი როგორც მიელენ, მაშინვე ფეხებს დაიბანებენ, ზედ ჩაიცვამენ ფეხსაცმელს და ეგრე მთელი ღამე სძინავთ. უკეთუ მეორე დღეს გზა უნდა განაგრძონ, ხელახლავ გაიძრობენ ფეხსაცმელს და ისე გაუდგებიან გზას.

სიმრავლემ მდინარეებისამ, რომელნიც ყოველ მხრიდან ჩამოუდის ამ ქვეყანას, მკვიდრნი ისე გაავარჯიშა, რომ რაც უნდა ძნელი იყოს წყალში გასვლა, უკან მაინც არ დაიხვიან და გავლენ. წყალი რომ წელამდი წვდებოდეს, ხუმრობით გავლენ.. თუნდაც უფრო დიდი იყოს, მაინც სრულებით არ შეუშინდებიან: მოურიდებლად ტანს გაიშიშელებენ, თავზე დაიკრავენ თავიანთ ტანისამოსს, ერთმანეთს ხელი-ხელზე ჩაჰკიდებენ და გაბედულად გავლენ მდინარეს. ერთხელ მე რიცვედი ერთი მდინარის ნაპირზე. რადგან, მდინარე დიდი წვიმის

გამო მეტად გაღიღებულიყო, მე ვუცდიდი, როდის დაიკლებს მდინარე მეთქი. ამ დროს იმავე ნაპირზე მოვიდა ოთხი მეგრელი, რომელთაც ზურგით მოჭქონდათ ერთი უშველები ქვაბი. როცა დამინახეს იქ მჯდომარე, მკითხეს რას უცდა აქა. მე ვუპასუხე, რომ მდინარის სიღიღე მაბრკოლებს მეთქი, ვცადე წყალში გასვლა, მაგრამ წყალმა ცხენზე უნაგირია დამიფარა მეთქი. ჩემი ასეთი გაუბედაობა მათ სიცილად არ ეყოთ; უცბად ტანს გაიძერეს, ტანისამოსები ჩასდვეს ქვაბში, რომელიც თავზე დაიდგეს და ხელებით დაიჭირეს, და შეეიღნენ მდინარე-ში. წყალი ყელამდი მისწვდა მათ და ზოგჯერ პირიც დაუფარა, ისე რომ იძულებულნი იყვნენ წყალიც ეყლაპათ, მაგრამ გალმა მაინც გავიღნენ თითქმის ხუმრობით.

მეგრელები მეტად თავაზიანი არიან, როცა გზაში ერთმანეთს შეხვდებიან. მაგალითად თუ ვისმე საფრთხილო საქმე რამე შეემოხვა, ან მის ცხენს რამე გაუჭირდა, ან ტვირთი ჩამოუვარდა, და მეორე მგზავრი შეეყარა, ან წამოეწია, ეს უკანასკნელი, რაც უნდა დიდი აზნაური ან თავადი იყოს, მაინც არ ითაკილებს თავის ხელით აღმოუჩინოს შემწეობა. სწორედ აგრე მომივიდა მე, როცა ჩამოვდიოდი გურიის სახლვარზე მდებარე მოებიდან. ერთ მეტად ვიწრო ბოგაზე რომ შევდექი, რომლის ქვეშ საშინელი უფსერული იყო, ჩემი ცხენი ისე შეშინდა, რომ მთლად უკანა ფეხებზე დადგა და ისიც იყო, კინალამ გადამაგდო ხრამში, მაგრამ იქვე შემხვდა ტუილელი ეპისკოპოსი (il Vescovo Tibilelli), რომელიც მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა, მოჭკიდა ჩემს ცხენს სადავეში ხელი, გააჩერა და მშვიდობით გამიყვანა. მეორეჯერ, ჩემდა სასიამოვნოდ, შევესწარი კიდევ მეორე ასეთს საქმეს, რომელიც ჩაიდინა ქალმა, ქალმა დიდებულის გვარისამ მეტაც დაბალის გვამის მიმართ, რაც უფრო სხივსა ჰყენს მის მოქმედებას. ოდიშის დედოფალი გზად მიღიოდა ცველა თავის მხლებელი ქალებით; ზამთარი იყო და მიწა სულ დაფარული იყო თოვლით. დედოფალმა დაინახა ერთი გლახაკი, ავადმყოფი და დასუსტებული, სანახევროდ შიშველი; სიცივის გამო ისე აკანკალებული იყო, რომ არ შეე-

ძლო განძრევა, აჩამცოთ სიარული. აზნაურები და კარის კაცები, რომელნიც ახლდნენ დეფოფალს, წინ წასულიყვნენ და დედოფალი თავისი მხლებელი ქალებით რომ მიუახლოვდა იმ საწყალობელს, მეტად შეეკუთდა იგი და ბრძანა, კარის კაცებს დაუძახეთ და ერთ-ერთმა მათვანმა ცხენზე შემოიჯდინოს ეგ გაჭირვებულიო. ხოლო, რაკი დედოფალმა ნახა, რომ იმათ უძნელდებოდათ მისი ბრძანების აღსრულება ორის მიზეზით: ერთი—რომ ცხენი არ დავლალოთ და მეორე—ეთაკილებოდათ ის უბედური, —სრულებითაც არ განრისხდა ასეთი მათი ურჩობისა გამო, არამედ ტკბილად უბრძანა, რომ ის გაჭირვებული კაცი შემოიჯდინა თავის ცხენზე მთავრის უკანონო ასულს, რომლის კეთილი და მოწყალე გული ცნობილი იყო. ამან შემოიჯდინა ცხენზე ის უბედური და დიდის კმაყოფილებით მიიყვანა სასახლეში.

რაც შეეხება მდინარეში გასვლას, განსაკუთრებით სუსხიან ზამთარში, თუ რომელსმე ცხენოსანს შესვდა ნაპირზე ქვეითი კაცი, რომელსაც უნდა გასვლა მეორე ნაპირზე, ამას ან უთავაზებს თავისს ცხენს, ან თან შემოიჯდენს და ისე გაიყვანს. სხვათრივაც ასეთს შემთხვევაში ყოველსავე საჭირო შემწეობას აღმოუჩენენ ერთმანეთს. როცა მდინარე ისე გადიდებულია, რომ ფონს ცხენით ვერ გავლენ და საჭიროა ნავი, ცხენებს ნავში არასოდეს არ ჩასვამენ, არამედ მოხსნიან უნაგირებს და ჯოხის ცემით აიძულებენ წყალში ჩასვლას და რომ უკან არ დაბრუნდნენ, კაცები ნაპირიდან ხელის ქნევით, ყვირილით და ქვების სროლით ისე შეაშინებენ, რომ ცხენები უცბად გასცურავენ მეორე ნაპირას, სადაც ხალხი ბლობად ელოდება, გზაზე გადაელობება ამ ცხენებს და ადვილად დაიჭირავს.

როცა მგზავრს ან უცებ წვიმა წამოეწევა, ან წყალში გასვლა დასჭირდება, და ასეთ შემთხვევაში გაიწუნწყება, რომელ საზღვაც არ უნდა მიადგეს სოფელში, ყველა დიდის სიამოვნებით მიიღებს, ცეცხლთან მიიყვანს გასაშრობად და პურის.

საკმელად მიიპატიუებს. არასოდეს არ შევსწრებივარ, რომ ვის-
მესთვის ასეთი მასპინძლობა არ გაეწიოთ. ამბობენ, რომ
ასეთს შემთხვევაში შემწეობის უარ-ყოფა მეტად დიდი ცო-
დვა არისო.

ეჭიუდეგი კართულის

ლიტერატურის

შორის მემკვეთი

თანა გ. დ. ერისთავი (1811—1864 წ. *)

II

პირველი პრინციპი რეალიზმისა, რომ ავტორის პირადობა იქმნეს დამალული, მასი პირადი გრძნობა და აზრი დაფარული და არ გამოჩენილი—ეს პრინციპი ყველაზე უკეთ დრამატიულს ნაწარმოებს ეხერხება ხოლმე. მართლაც, დრამატიული ფორმა ნაწარმოებისა იმგვარია, რომ იშვიათად აძლევს შემთხვევას მწერალს თავისს პირადობის გამოსაჩენად. რომანში, პოემაში და უმეტესად კიდევ ლირიულ ნაწარმოებში ძალა-უნებურად, რაც უნდა ეცალოს ავტორი, მაინც ვერ დამალავს თავისს განწყობილებასა და გრძნობას. დრამატიულს ნაწარმოებში მარტო შოქმედება იხატება და ეს მოქმედება აქ იწყება, ვითარდება და თავდება სხვა-და-სხვა მოქმედ პირთა შორის. აღიტომაც აეტორს შემთხვევაც არა აქვს თავისი აზრი ჩაიჩინოს საღმე. მართლია აქაც ზოგიერთი მოქმედი პირი გამოხატავს ხოლმე ავტორის გრძნობასა და გინდ აზრს ამათუ იმ შემთხვევისა და მოვლენის შესახებ, მაგრამ ეგ ხდება იმ აუცილებლობის კანონის გამო, რომლის მიზეზითაც აეტორს

*) იხ. „მოამბე“ № X, 1900 წ.

არ ძალუძს თავისი პირადობა ისე მიმალოს, რომ სადმე მაინც არ ამოყოს მისმა „მე“-მ თავი, როგორც წარმომადგენელმა მისის გრძნობისა, აზრისა და სურვილისა. და ეს პირადობის განძევება თავისის ნაწერებიდან, იმდენად უფრო ძნელია მწერლისათვის, რამდენადაც იგი უფრო ნიჭიერია. მართლაც ნიჭიერება, ტალანტი და გენიოსობა არის განმასხვავებელი და განმაცალკევებელი თვისება პირადობისა და რამდენად ეგ პირადობა აღბეჭდილია უმაღლესის ნიშნით, იმდენად ძიელია მის-თვის თავისის განსაკუთრებულის თვისების დამალვა. ხოლო მა-ინც კი თვით გვარი დრამატიულის მწერლობისა ისეთია, რომ ავტორს უფრო ადვილად შეუძლია პირადობის დამალვა.

გ. ერისთავის საუკეთესო კომედია „გაყრა“ სრული დამაკმაყოფილებელია ამ მხრით რეალურის კომედიისა. სად არის აქ ავტორი ან მისი მსგავსი პირადობა, ან მისი აზრისა და გრძნობის გამომსახველი ტიპი—არსად. ყველა მომქმედი პირი პავლესა და ანდუყაფარიდან დაწყებული თვით მათ ძპა ივანე-მდის, რომელიც რუსეთში გაზრდილია და ვარშავიდან ახლად მოსული—ავტორის მწარე დაკრინვის საგნად ხდებიან. ამ ივა-ნესთან კი აქვს საერთო ავტორს—დიალ: ეს ის, რომ გ. ერის-თავიც რუსეთშია ნამყოფი და ვარშავიდან ჩამოსული—მეტი არაფერი მსგავსება არ არსებობს მათ შორის.

რეალურის კომედიის დამაკმაყოფილებელია ეს კომედია იმითაც, რომ შიგ აღწერილია უმნიშვნელო და უფერული ყო-ველ დღიური ცხოვრება. ყველა მომქმედი პირი არის საშუალო ზომისა და არცერთს არა აქვს ადგილი გარეშე ბერძის სინამდევილისა, აქ ეტრუერთ რომანტიულ გმირს ეერ შეხვდე-ბით, გმირულისა და რაინდულის მოქმედებითა და აზრით აღ-სავსეს—აქ ისეთი სინამდვილეა დასურათებული, ისეთი უბად-რუკება, რომელსაც ხავსი აქვს მოკიდებული და შმორჩს სუ-ნი უდის.

რეალიზმის ფილოსოფიაც არის ამ კომედიაში გატარებუ-ლი, ფილოსოფია, რომელიც აცხადებს, რომ კაცი პაიკია და სუსტი ქმნილება, რომლის ყოველივე მოქმედება, რაც უნდა

შალალის ხარისხის იყოს ეგ მოქმედება, მაინც ბინძურის, პირუტყვულის სურვილებითა და მისწრაფებით განისაზღვრება ხოლმე. საზოგადოდ, ამ ფილოსოფიის აზრით, კაცობრიობის მეტად დიდი ნაწილი პირუტყვულს ცხოვრებას მისდევს, მისი იდეალი მთლად ერთიანად ცხოველის ინსტიქტებისა და აპეტიტებისაგან შესდგება, არავითარი მაღალი აზრი და გრძნობა მათ არ აწუხებს, მაგვეარი აზრები ზოგიერთ ოცნების მოყვარე პოეტისა და ფილოსოფოსის საქმეა და ისინიც მალე ეთხოვებიან ამ ოცნებას, თუ კი წინ გადაელობა რაიმე პირუტყვული მოთხოვნილება.

აბა, ნახეთ „გაყრაში“ აღწერილი ცხოვრება, თუ ტიპოური წარმომადგენელი არ არის უფერულის პირუტყვულის ცხოვრებისა. რა აზრი და რა გრძნობა აწუხებს ანდუყაფარს? არავითარი, გარდა იმისა, რომ მამული ჰქონდეს, სჭამოს და სვას და ეს სურვილი იმდენად ძლიერადა აქვს გამჯდარი ძვალრბილში, რომ ძმის გაქურდვისაც კი არ ერიდება, ოღონდ მამული შეიმატოს. პავლე—ქორ-მედებრების მოტრითიალეა, ქვაქვაზედაც ნუ იქმნება, ოღონდ მისი ქორი და მეძებრები კარგად ჰყვანდეს. სომებს მიკირტუმს ხომ სულ „ფული, ფული და ფული“ ელანდება და შემდეგი მისი დიდი იდეალი ის არის, რომ მისი: „შუშანი კნეინი დაუძახონ: კნეინო, კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამე იქმნება დიდებულიძიანთ ხნამე!“ ფული რისთვის არის საჭირო და გამოსადევგარი,—ეს მიკირტუმასათვის გამოუცნობელია; გაუგონია და უგრძვნია, რომ ამ დროში ყველაფრისათვის საჭიროა „ფული, სულ ფული... ფული“ და სხვას ვეღარას ეტანება მისი უბარა რუკი გონება. რამდენზე უფრო მაღალია მაზე თვით თავისს ფულის მოყვარეობაში „ძუნძის“ ვმირი კარაპეტა, რომელსაც თითქმის ოცნებით აღსავსე დიდი პლანები ეხატება თვალის წინ. მასა სწამს, რომ ფულით ყოველიფრის გაკეთება შეუძლიან: თეატრის, რკინის გზის; შეუძლიან, როგორც უნდა, ღირსება შეიძინოს. თავი მეფედ მიაჩინია! „მეფე არა ვარ? აბა ვის

უდგია ამისთანა ოქტოს ტახტიზ მეფე ვარ რაღა! გაგიგონიათ ოჰყალი ჯადო რომ იყო, ისე ვიქ: სოფელი თავდაყირა უზამ- რამდენი კეთილი საქმე ვიქ? პირველი ვინც ბელოვლეთია ჯა- ლათი უთხრამდი: „თავი კტრე!.. უფულო კაცისათვის არ არის ქვეყანა გაჩენილი“. მიკირტუმასთანა parvenu-ს პატივის მოყვა- რეობა თავის დღეში ვერ ააჩერებს. მისთვის შვილის „კნეი- ნობა“ არა თუ სასურველია, საშიშარი რამეც არის: ჩემ ქალს ქართველი უნდაო; „ქართველი ჩემი პარკები დახსნას.., ხომ წავიდა ჩემი ფულები ატლასის დახეულ ჯიბდში“. (გვ. 266, 267) ყველაზე უფრო უბადრუკი და უფერული კი ის ივანეა, რო- მელიც „რუსეთში გაზღილა“. რუსეთში გაზღილ კაცს განათ- ლებისა და კულტურის თესლი უნდა შემოეტანა ცხოვრებაში, ახალის აზრისა და ახალის მოქმედების მოციქული უნდა გამხ- დარიყო და ამის სამაგიეროდ სასაკილო რამებს ჭყურტუ- ლობს და ანდუყაფერის სრულიად სამართლიან დაცინვასაც კა- იწვევს.

„თერგდალეული წემი ძამია,
ილაჭს მიწუკერამს, შემომდგომია,
აღარ ისეგნების, არ იშლის გაყრას,
სახლის ის წაიღებს, მიპირებს აუცილს,
ზეარში აპირებს; კაზების დაჭრას,
კაზების წილად თუთების ჩეურას!“ (გვ. 130)

ანდუყაფარი აქ არათერს გადაჭარბებულს არ ამბობს: ივა- ნეს ოცნება და ცოდნა ამაზე უფრო შორს არ წასულია, რომ ვაზების წილად თუთები ჩევარა ზეარში. ეს ოცნებობა ივანე- სი მიკირტუმას პრაქტიკულ მოსაზრებასთან ნიჭიერ სცენაში აქვს დაპირდაპირებული თ. გ. ერისთავს:

იგ. ია რაზდელი შოლე ნა სემ.

მიგ. მაგითა ფული კერ გასცემ.

იგ. აქ მომიჯა მე კაშუსტა.

მიგ. ა გ გარმანე ბუდით შუსტა.

- აგ. ტურ მადთა სატი ტავა.
 მიკ. ჭიბიდგან ფულები გავა.
 იგ. აქ ბესედეა გაცემდება.
 მიკ. უფუღოდ კი არ იქნება.
 იგ. ეს ლაბირინტად უცხოა.

მიკ. გადევ გითხრამ გიუ კრაცხა!.. სუსულა კარგად ფიქრობ,
 ტნაზ! მაგრამ ფელი, სულ ფელი... ფელი...

ივანე კი სატანას უძახის მიკირტუმას, რომელმაც ფანტა-
 ზია მოუწამლა, მაგრამ მისი ფანტაზია უიმისოდაც მეტად ბე-
 ჩავთ და გლახხევი იყო კიდევ უფრო უფერული და თუთიყუ-
 შებრივია ივანეს ტირადა გლეხების შესახებ:

და! სასიამოვნო არის ჰუკდეს მებატონეს ერთგული მსახური
 და უქმები. გრასპოდი! მომეც შეძლება, რომ ჩემმა ისე შემა-
 ჟვარონ, როგორც გაბრიელმა (მასთ ბიჭია). გავარა შოუზაა ბიტ-
 დობისიმ, ხოტ ი ბედნიმ შომეშჩიგომ! დაგდოცგიდენ შენი უქმანი....
 მეც გეცდები...

უოველი ანბანი აქ გაგრძნობინებთ, რომ ივანეს ეს სიტ-
 კეები ენის წევრზე აქვს მიბლანდული. სრულიად შეუგნებე-
 ლია მისთვის ეგ აზრები და უოველ შემთხვევაში შეუსისხლ-
 ბორცებელი აქვს იგინი და მალეც განუქარდებიან ვითა სიზ-
 მარი. მთელის კომელის მწარე ხასაცილო და თითქმის დრა-
 მატიული მხარე ის არის, რომ ეს ვაებატონი, რომელიც იმით-
 გაგვეცნობა, რომ ქართველებს სიყვარულის უნიკურასა სწავებს
 და პროცეს კრიტიკას უკეთებს „ჩვენთა ქართველთა უკრძ-
 ნობართა“ და ჩვენთა ყრმათა „გულგრილებსა“. შემოდის მე-
 ოთხე მოქმედებაში და მიკირტუმას ჯერედ უცნობს და უნა-
 ხავ ქალს ირთავს, მხოლოდ იმიტომ, რომ მიკირტუმას ვალი
 თავიდან მოიშოროს. ესეთი გახლავთ ახალის ცივილიზაციის
 ნამყოფა თ. ივანე დიდებულიძე, ამაზე უფრო სინამდვილით და
 მწარე დაცინებით ძნელი-ლი იყო ამ ახალგაზღობის დასურა-

თება და ო. გ. ერისთავის უმთავრესი მნიშვნელობაც ამ ვაუ-
ბატონების დახასიათებაშია.

რეალიზმის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელია ის გვა-
რი კომედიისა, რომელთა ჩიუხეს ეკუთვნის გ. ერისთავის კო-
მედიები: „გაყრა“ და „დავა“. ეგენი არიან ზნე-ჩერულების და-
მახასიათებელი კომედიები. მოგეხსენებათ, რომ არის ხა-
საითის დამასურათებელი კომედია, რომლის უფალი მოლიე-
რი იყო, თავისის „ძუნწით“ და „ტარტიუფით“. ამ გვარ კო-
მედიას საგნადა აქვს კაცის ამა თუ იმ განსაკუთრებულის
თვისების გინდ ხასიათის დასურათება: მაგალითად სიძუნწე,
(„ძუნწი“ მოლიერისა და მისი მიბაძვა გ. ერისთავისა;) პირ-
მოთნეობა, ფარისევლობა („ტარტიუფი“ მოლიერისა). ხასია-
თის დამასურათებელი კომედია უფრო კლასისკურის სკოლის
კუთვნილებაა, რადგან განსაზოგადებულია არის აღებული თვი-
სება კაცისა და ამ თვისების გამომხატველია ესა თუ ის პირის
აღებული. იგი უფრო განყენებულის, განსაზოგადოებულის სი-
ნამდვილის დამხატველია და არა უბრალო, ყოველ-დღიურისა
და ჩერულებრივის მოვლენის აღმნუსხელი. მართლაც, ცხოვრე-
ბაში იშვიათად შეხვდებით კაცს, რომელიც მარტო ერთის ვნე-
ბის, ერთის მიღრეკილების მონა იყოს. ყოველ ძუნწს აქვს
კიდევ სხვა რაიმე თვისება, ყოველ ფარისეველსა და პირმო-
თნეს აქვს სხვა რაიმე ღირსება ან ნაკლულევანება. არ არის
ქვეყანად ძუნწი, პირმოთნე ეჭვიანი და სხვა. არის მხოლოდ
კაცი, რომლის უაღრესს ნაკლულევანებას. შეადგენს ესა თუ
ის ზემოხსენებული თევისება.

არ შევეხებით აქ მას, თუ რამდენად წინააღმდეგია ლიტე-
რატურის კანონისა, მისი ძირითადის მოთხოვნილებისა ეგრეთი
ტიპების გამოხატვა, რადგან იგი შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მხო-
ლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ კომედია ზნე-ჩერულების დამა-
ხასიათებელი უფრო შეეფერება რეალიზმის მოთხოვნილებას.

„გაყრაში“ თქვენა პხელავთ ჩვენებურის თავადის ოჯახის
ზნე-ჩერულების დასურათებას, ეს მამულს ჩასციებია, ის მწევ-

რებსა და მექებრებს, სომებს მიკირტუმას ფულები ელანდება ყოველ წუთში და „კნიაზ-კნეინბას“ ელტეის—გათავდა და მორჩია. აქა არც ძუნწია, არც ფარისეველი, არც იჭვიანი, არც დადებისა და პატივის მოყვარეობით გაგიუებული აღამიანი. რეალურია ეს კომედია იმითაც, რომ აქ ერთ კაცსაც ვერ ნახავთ ავტორის აზრის გამომხატველს, ერთს აზრსაც ვერ შეხვდებით ისეთს, რომელსაც ავტორი თავისად იჩემებდეს.

მეორე კომედია თავ. გ. ერისთავისა, — „დავა“, — უფრო სუსტია ტექნიკურის მხრით „გაყრაზე“, მაგრმ უფრო მაღალია შინაარსითა და აზრით. ირონია ავტორისა, მისი დაცინვა აქ უფრო ფართოა. როგორც „გაყრა“-ში ძმათა შორის გაყრის ამბავს უტრიალებს ირგვლივ მთელი მექანიზმი პიესისა, ისე აქ ორ თავადთა შორის ერთი ნაჭერი აღვილის გამო დავა აძლევს ტონს მთელს პიესას. იქ ამა თუ იმ პირის ინტერესი, ზრახვა, სურვილი და მოქმედება მამულის გაყოფას დასტრიალებს თავზე; აქ კი „დავით“ იწყება მომქმედ პირთა სულიერი მოძრაობა— თუ კი მათს უფერულსა და უმნიშვნელო წეწვა-გლეჯას რაიმე სულიერი ნიშანი ატყვია— და დავის დამთავრებით ყოველივე ისპობა. აქ უფრო მწვავია ძველი და ახალი თაობის შეჯახება, უფრო უსამართლოა „ახალის“ დევნა.

„დავის“ ბეგლარი ახალ-თაობის წარმომადგენელი „შეშლილის“ ბეგლარია და ასე წარმოიდგინეთ, მთელი მისი მონოლოგები „შეშლილი“-დან არის პირდაპირ გადმოტანილი. ეს მაინცა და მაინც არ ამტკიცებს ავტორის ნიჭის შემოქმედებითის ძალის სიმდიდრეს და უხერხულიც არის. უხერხრლია მით, რომ ბეგლარი მეტად წრფელისა და კეთილ-შობილის აზრითა და გრძნობით არის გატაცებული და მეტად სასაკილო მდგრამარეობაში აყენებს ავტორი. „გაყრის“ ივანე სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ავტორი გვიჩვენებს, ამას ითხოვდა ლოლიკა მისი ბუნებისა, ლოლიკა მოვლენისა და ფაქტისა, ესე იგი პირველსავე შემთხვევაში უნდა წაეღო ქარს მისს ენაზე პრტყელ-პრტყელად უნაქარები აზრები, რაფგან ეგ აზრები მისს არსებაში ქა-

რისგანვე შემთხვევით იყო შეტანილი. შაგრამ თუ ივანეს მოქმედება აუცილებელი იყო, თუ ივანე ლიდებულიძეს მთელი მისი ეროვნების ფილოსოფია იმით უნდა დაემთავრებინა, რომ თავი ხუთასი თუმნის ვექსილად გაეყიდნა და შერიცხულიყო პავლესა და ანდურყაფართა თანა. ბეგლარის ისე მოქმედა, როგორც „დავა“-შია ნაჩვენები თითქმის წარმოუდგენელია, წინააღმდეგია სინამდვილის ლოდიკსა. ისეთის წრფელის აღტაცებულის გრძნობების პატრონი, ისეთი პოეტური არსება, როგორიც ბეგლარი იყო, ისე როგორ დაიმახინჯებდა თავს, რომ „სტრიაპჩისთან“ ქრომის მისატანად მიეიღოდა. და ამ მოქმედებას ისე ადვილად აღსრულებდა, რომ ერთხელაც არ გაუწევდა თავისს თავს წინააღმდეგობას, ერთხელაც არ აღშფოთდებოდა და არ შეეზიზლებოდა თავი ამგვარის. მოქმედებისათვის.

რასაკვირველია, კაცს შეუძლიან ათასჯერ უფრო მაღალი აზრი წარმოსთქვას და ათასჯერ უფრო აღტაცებული იყოს, ვიდრე ბეგლარი და თანაც ბევრად უფრო დიდი დანაშაული ჩაიღინოს, ვიდრე ბეგლარმა. მაგის მაგალითით აღსავსეა ადამიანთა ცხოვრება. მაგრამ ჯერ ერთი მაშინ ბეგლარი იმ აზრსა და გრძნობებს ისე წრფელად ველარ გამოსთქვამდა, როგორც ავტორსა აქვს გამოხატული. იმის აზრებს რიტორიკა დააჩნდებოდა, თვალსაჩინო იქნებოდა, რომ იმის მოლაპარაკე კაცს იგი ისე არა აქვს გულსა და სულში გამჯდარი. და მერმე თუ კი ისე წრფელად და გულნათლად შეთვისებულია ის გრძნობები და აზრები რომლის გამომხატველად ბეგლარი ხდება კომენტარი, რაღა ასეთი კაცი სამარცხეინო საქმეს ჩაიდენს აღამიანის ბუნების სიძაბუნისა და სისუსტის გამო; სინანულს მაინც მიეკუთხა, სინიდისი მაინც დაუწეუბს ქენჯნას და გულს დაუთუთქავს თავისი ბეჩაობის შეგნება. აქ კი სრულიად ურცხვად და პირუტყვულის მორჩილებით ბეგლარი საზიზლარ მოქმედებას ჩაიდენს. მათ მის ბრძანებით და თითქო აქ არაფერიაო ისე იქცევა. შეიძლება ბეგლარი მით უფრო უხერხული იყოს „დავაში“, რომ ეგ პირი არა მარტო სახელით, არამედ მთელის მონოლოგე-

ბით, როგორც კიდევაც მოვიხსენიეთ ზემოა, „შეშლილის“ გმირია და იქ მისი მოქმედება სრულიად კანონიერია ხელოვნების მხრივ და დასურათებულის ხასიათის შესაფერი.

სულ სხვა არის ამავე „დაეის“ ბეორე გმირი მიხეილი. ეს ივანე დიდებულიძის გულის ძმაა. პირველისავე მისი სიტყვიდან კანონიად სჩანს; რომ ცივილზაციასა და კულტურასთან ახლოსაც არ გაუვლია; შორიდან ღაუნახავს განათლებული ხალხი და მაიმუნსავით და თუთიყუშივით იმეორებს ორიოდე სიტყვას. პირველისავე სიტყვიდან ამ პატრიკულის ფრანგულფის მოღალადე ხდება ეს ვაჟბატონი: „საკვირველია ეს ვოენის სამხახურა: ყველას ბეჭნიერი ხასიათი გვაქრს; გინდა ქვეყანა უკან გადატრიალდეს, ჩვენთვის ბურტყლი ბუმბული არია! ჩვენი ქარიანი ხასიათი სჯაბს პოეტობას. საკვირველია, უნდათ, რომ ყველა კაცი ანგელოზია გახალონ! აბა ეს ჩემთა პოეტი ეცადოს თავის მამა გახადოს ანგელოზიად?“ ამისთანა კაცისაგან სრულიად ადვალია „სტრიაპჩასთან“ მისვლა და უსირცვალოდ ქრისტის შეძლევა და აქაც იგივე ნამდვილი სურათია ჩვენის ახალგაზრდობასა, რომელსაც ევროპული ტანისამოსი აცია, სხვა არაფერი, გული კი ისევ ჭრელი აქვს, დაცემულის და გარევნილის საზოგადოებისავან ჩანერგვალ თვისებებით აღსავსე. მაგრამ თუ ცოტათა არის მივივიწყება ბეგლარის წრფელ სევდიან სიტყვებს და მასაც იმ დროს ახალგაზღათ წარმოვიდგენთ — საუცხოვო რამ არის ეს სცენა „სტრიაპჩის“ ოთახში, საოცარის კომიზებით დახატული და მწარე ნაღველით სავსე ირონიით გაქცენთილი:

ბამოსვლა მოითხე

ბეგლარი და მიხეილი (ოთახი სტრიაპჩისა)

ბეგლარ. უჟ! მიხეილ, შენც აქა სარჩე

მიხეილ. დააღ. შენ თას აკეთებ?

ბეგლარ. ნუღარა, მეითხავ, დამის გავეგიშვე:

მიხეილ. რა დმიტრი გავიწყო. აი, ამისმა მაღლმა, უკუნრაზარ ნინოს. მე მოგიხერხებ.

ბეგლარ. ძმედი მაქს!.. ერთი ამ სათაბალიდგან გამომიუკანებ, მიხეილ. გამოგიუგან.

ბეგლარ. რომ ჯერ არ იცი, რათა გარ აქ?

მიხეილ. უთუოდ მამა-შენი გამოგდებავნიდა!

ბეგლარ. ეგ არის და! ბეჭედი გამომატანა, ჭრთამი მიეციო.

მიხეილ. მეც ჭრთამი მოგიტანე.

ბეგლარ. (ილებს ბეჭედს) მიუკავშირი, შენ მიეცი მამა-ჩემის მაგილად ესა.

მიხეილ. (იკინის) რას ამშობი როგორ იქნება, როდი აიღებს.

ბეგლარ. ახა მეც მაგისი მეშინან. მიუკავშირი, ასტრატია არა გამოვიდეს-რა! და შეკოტილი.

მიხეილ. მიუკავშირი! შენგანაც აიღებს და ჩემგანაც, მაგრამ ცალკ-ცალკა უნდა მივცეთ. (გვ. 228—229).

აი სურათი გულის მომწყელელი და მწარის სინამდვილით დაწერილი, სურათი იმ ახალგაზრდობისა, რომლის წინაშე ჩვენი რომანტიკოსი პოეტი მუხლს იყრიდა:

«ეამთ კითარებით გარდახევწილთ შენ შვილთ მიდამო
მოაჭერ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსაგესე სული
უდნობს უინულესა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული
და მუნით ჭირდევნ თესლთა ძვირფასთ მშობელსა ქვეუნად-
მხურგალეს ცის ქვეშ მოსამყალთა ერთი ათასად.

დიალ, მათი ცხოველი ტრფიალებით აღსავსე გული „შუ-
შანიკს“ პყიდის გვარს ხუთას თუმნად და მუნით მოზიდულის
თესლით აღსავსენი, მამის ბრძანების ყურ-მოჭრილნი ყმანი,
სტრიაპჩის ქრთამებს უზიდვენ. მაგრამ რომანტიკოსს პოეტს აღარ
დასუალდა „მოზიდულის თესლის“ ნაყოფი ენასა, თორებ არა

ერთსა და ორ ლექსს შეგვძენდა გენიოსურის სასოწარკვეთი-ლებითა და სევდით შექმნილს.

დიალ, ასეთი იყო უმეტესობა და ამაში თ. გ. ერისთავი უტყუარის სინამდვილის გადმომთარების — იგი მხატვარია ჩვეულებრივის, საზოგადო და საერთო მოქლენისა. ნ. ბარათა-შვილი კი რომანტიკოსია, არა ჩვეულებრივება და სამაგალი-ოს აქცევს ყურადღებას, ორიოდე კაცი ჰყავდა უთუოდ სა-ხეში და ამაში იგიც მართალია, ხოლო მათი მშვენიერება და ძლიერება მათვე სულში იყო დამარხული და არა „მუნით მო-ზიდულ თესლზე“ აღმოცენებული, პოეტმა თესლი ნაყოფად მიიღო და ამაში კი შემდარი იყო. „დავაში“ გამოყვანილი ბეგლარი რომანტიზმის დაცინებაა და მიწასთან გასწორება, მი-ხეილი კი რომანტიზმის უარისყოფა და მისი სიკედილის მაჩვე-ნებელი მოვლენა. გ. ერისთავის კომედია ახალის დროის გა-მომხატველი იყო, იმ დროის, რომელშიაც დათარებობდნენ და ბატონობდნენ ივანეები და მიხეილები, ბეგლარი კი ან განძუ-ვებული იყო და ან სურვილისამებრ მორჯულებული.

„დავაში“ გამოხატული შეტაკება ძველისა და ახალის თაობისა, პირველის სრულის გამარჯვებით თავდება. ახალ ვვა-რი მოქმედება ისეთი მაღალი და დიდებულიც კი, როგორც ლიტერატურა განკიცხული და არად მიჩნეული ძველის თაო-ბისაგან. იმ თაობას „დავისა“, „გაყრისა“, ერთმანეთის წეწვა-გლეჯისა და არზების წერის მეტი არაფერი არ მიაჩნდა საქ-მედ. მაგრამ ძალასა და ენერგიას უფრო დიდს იჩენდა, თუ კი არზის მოტრფიალე ამირინდომ ლექსის მოტრფიალე ბეგლარი, პოეტი ნაზბუნებიანი ისე მოაქცია, რომ სტრიაპჩისთან ქრთა-მებით გაგზავნა.

ეს კომედია თითქმის პოლიტიკურის სატირის დახაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენში; იგი გვიხატავს „სტრიაპჩებისა“ და „პერვეოჩიკების“ მექრთამეობასა, უცოდინარობასა და გარყვ-ნილებას და ამით იმ დროის სასამართლო წეს-წყობილებას სას-ტიკადა ჰკიცხავს; „თითქმის“ მეთქი, იმიტომ, რომ ამ სატი-

რიულ სცენებს, როგორლაც ეპიზოდიური ხასიათი აქვს და გაუბედავობა ეტყობა, თუ „სტრიაპჩებსა“ და „პერევოჩიკებზე“ უმაღლესად მდკომნი ვერ აულია ნიშანში.

ბევრს არას ვიტყვით „ძუნწის“ შესახებ, რომელიც მოლიერის „ძუნწის“ მიბაძვაა, თუმც ნიჭიერის ხელით დაწერილი. ერთად-ერთი საგანი, რომელიც ავტორის ორიგინალობის ნიმუშით — ეს არის ქართულის დრო-მოქმედულის ფეოდალიზმისა და ხომხურის დროის შესაფერი ფულის მოყვარეობის დასურათება, ფეოდალის რაინდულის ოცნებებისა და ფულის მაღმერთებელის ძუნწი მოვახშის სურვილების დაპირდაპირება. მაგრამ რამდენად სასაკილოა და მოძველებული არჩილის აღტაცება უანგიანის ხმლით, მისი რიტორიული „შენ გხედავ ხმალო პა-პისა ჩემის“, იმდენათვე თითქმის სასაკილოა კარაპეტას განკუნებული სიყვარული ფულისა, მართალია, კარაპეტა დარწმუნებულია, რომ სამოთხეში მარტო ფულია, რომ ფულის წყალობით „დვა რაზა ბლულოროლნიც“ გახდება, მაგრამ ეს სიტყვის მასალადა აქვს ნახმარი, თვით კი მარტო და მხოლოდ ფულის მოპოებისათვის ყოველივე ნაკლულევანებასა და უსიამოენებას იტანს. ერთად-ერთი ჩერალური შედეგი მისი ფულისათვის წვა-დაგვისა ის არის, რომ მისი ოქროთი გატენილი პარკები თანდათან იზრდება. ამიტომაც, როგორც არჩილის ოცნება არის უნიალაგო, ისე კარაპეტასათვის მისი დიდი გეგმები მიუწდომელია და აღუსრულებელი, მაგრამ სამაგიეროდ კარაპეტასაგან ვაებით შეძენილის ფულით, მასი შემდევნი ცოტათი არის მაინც აღისრულებენ „ძუნწის“ ფიქრებს. არჩილის აზრი და ოცნება კი მისთვისაც უნაყოფოა და შთამომაელობისათვით საც გამოუდეგარი. ჩვენ აქ არ ვეხებით ზე იბრივ შხარეს კარაპეტასა და არჩილისას, ჩვენ გვინდა ავხსნათ მხოლოდ ის სურათი ცხოვრებისა, რომელიც გ. ერასთავმა მოგვკა მათ სახე-ში. აბა ერთი მიზრძანეთ რაღა დროსი იყო 1850-ში ასეთი იდეალები ქართველის კაცისათვის:

«მოვკედ, შექმერტყი მის, შეიღისა შეიღისა, — ეუბნება არჩიბლ
ლექთა და სპარსთა გაჭრიდე, ვით ცვილსა,
შთამბერე მთსი შეს ვაუგარობა,
მისი სასეფლი, ჰატიოსნება (ჰკოცნის).

მართალია, გ. ერისთავს არად ეპიტნავებოდა კარაპეტას
ფულის მოყვარეობა ისე, როგორც არჩილის ხმლის ტრფიალი,
მაგრამ კარაპეტი მაინც უფრო გონიერად დასახა, თუ ასეთის
სარკაზმით აღსავს სიტყვებით დაახასიათებინა არჩილის რაინ-
დული აღტაცება: „გეუბნებით, რომ ქართველს ფული არ უნ-
და”, — ამბობს კარაპეტა: „ხელამთ ენგინ რკინაზე რასა ბო-
დამს... ჩემი ოქროებს თვალი არ უყურა”.

ამით გ. ერისთავმა ქართველ ერს ის ამცნო, რა დროა
ცხოვრების ახალ მოთხოვნილებას შეეთვისოს, გაიგოს დროის
საჭიროება და თავი დაანებოს საუკუნოებით შეთვისებულ რა-
ინდულ ოცნებებს, რადგან იგი ოცნებები დღეინდელ დღეს
გამოუყენებელი და სასაკილო არიან. თ. გ. ერისთავი რომ
ზოგიერთში მართალი იყო, ამას დღეინდელი ჩვენი ცხოვრება
გვიმტკიცებს. ჩვენ ერთობ ჩამოვრჩით მეზობელ ერთ ეკონო-
მიურად და საზოგადოლ კულტურით, ძათზე უფრო დაბლა
დავრჩით. ამაში, რასაკვირველია, უფრო დიდი ბრალი ჩვენ გვა-
დევს, ამის უპირატესი მიზეზია ჩვენის ერის დაუდევრობა, აპა-
ტია, სისუსტე, უენერგიობა. არავინ არ არის ვალდებული ლა-
ლაობა და გამდლობა გაგვიწიოს, მით უმეტეს, როცა თვით
საქმე გაჭირებული აქვს. თავგანწირულება ისეთს ადამიანს
უნდა მოვსთხოვოთ, რომლისთვისაც ჩვენ რაიმე მსხვერპლი
მიგვიტანია, ძმათა და მეგობრად მიგვიღია და მიგვეჩნია. გარე-
შე ამისა უნდა მოვითხოვოთ მხოლოდ, რომ კანონიერება და
წესიერება დაცული იყოს.

გ. ერისთვის კომედიების შინაარსი ჩვენს დრამატიულ ლი-
ტერატურას რაღაც ფატალურ ძალად დაწვა თავზე. ჩვენი
ტრამატიული მწერლობა (კომედიები განსაკუთრებით) აღარ
შასულა გარეშე იმ საგნებისა, რომლებიც გ. ერისთავს თვის

ნაწარმოებში წარმოუყენებია : თავად-აზნაურთა უდარდელი ცხოვრება: ქართველისა და სომების დაპირდაპირება, რომელშიაც ყოველთვის ქართველია სომხისაგან დაჯაბნილია; მცირე მოხელეთა მოქრთამეობა და სხვ. სამწუხაროა სწორედ, რომ არც გ. ერისთავის წინედ და არც შემდეგ ჩვენ არა გვყოლია მწერალი, რომლის დრამატიულ ნაწარმოებების ღირსებები შეედრებოდეს თ. გ. ერისთავის კომედიების ღირსებებს. პოეზიაში ა. ჭავჭავაძეს, გ. ორბელიანს და ნ. ბარათაშვილს ღირსეული მემკვიდრე ჰყავთ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი და, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ჩვენში სალირიკო პოეზია კიდევ მხნედ და ძლიერად არის. დრამატიულს ხელოვნებას კი (განსაკუთრებით კომედიებს) ჩვენში არა თუ გ. ერისთავზე უკეთესი, მისი მსგავსიც არავინა ჰყავს ჯერ-ჯერობით.

გატა აბაშიძე



ინგლისის პონსტიტუცია

მე-XIX საუკუნეში *)

სარეფორმო მომხაობა. მთელი ეს წეს-წყობილება: მეფე, პარლამენტი, ადგილობრივი აღმინისტრაცია, საარჩევანო წესი, ეკკლესია, კანონები დატაკებისა, და მუშების შესახებ, ირლანდიის დამოკიდებულება,—ყველა ეს ძველი წესი იყო. მაგრამ ეს წესი კიდევ განმტკიცდა 1814 წლის წინა ხანაში. საფრანგეთის რევოლუციამ, რომელმაც თავზარი დასცა მოწინავე წოდებას, შეაზარა მას ყოველი ახალი წესი და 30 წლის განმავლობაში ხელი შეუშალა ყოველ გვარ რეფორმის შემოღებას. საფრანგეთთან ომებმა უეპრად ასწიეს სახელმწიფო ვალი 861 გირეანქა სტერლინგამდის 1815 წელში, მაშინ, როდესაც 1721 წელში მხოლოდ 237 მილიონი გირეანქა სტერლინგი ვალი ჰქონდა. (23000 მილიონ მანეთამდის). გარდა ამისა, ინგლისის ნაწარმოების ეკროპაში გატანამაც იმატა, მაგრამ ამით კაპიტალისტების და მრეწველების სიმდიდრემ და გავლენამაც მოიმატა. სამუშაო ქირა მათ დასცეს და პურზე ფასი კი ასწიეს. იმავე დროს მსხვილ მრეწველობის შექმნამ გაამრავლა მუშათა რიცხვი და ამით კიდევ უფრო გააცალკევა მდიდარი ლარიბისაგან. იმ დროს, როცა საფრანგეთი ძველს რეესის თავს აღწევდა, ინგლისი მთელ თავის ლონეს ხმარობდა ძველის წესის დასაცველად. „ძველი ინგლისი“ 1814 წელში უფრო სავსებით გამოიხატა, ვიდრე 1798 წელში. მისი დამა-

*) იხ. „მოამბე“ № IX, 1900 წ.

ხასიათებელი თვისებები ამ დროს წინანდელზე უფრო მკაფიოდ გამოიხატა. ეს თვისებანი იყვნენ ისე თავისებურნი და საკვირველი, რომ მათ ინგლისელთა რასებრივ თავისებურნბას აწერენ. უკიდურესი უთანასწორობა მდიდართა და ღარიბთა შორის, მთავრობა ეითომ მონარქიული და წარმომადგენლობითი, საქმით კი მილიონერთა ბატონობის განომხატველი, გკალესია არისტოკრატიული და სარწმუნოება საეალდებულო, — აი ეს თვისებანი. ამის გამო პოლიტიკაში სინდისით ვაჭრობა და უწევს რიგობა, კერძო ცხოვრებაში კი ფუფუნება და ფორმალიზმი, მდიდრების პირმოთნეობა, ღარიბების ხელ-მოკლეობა, ულონობა და მონური ქედის მოხრა, ფულის და ხარისხის თაყვანის ცემა, როგორც რიგიან საზოგადოებაში გარევის საშუალებისა, თაყვანისცემა, რომელიც ტეკაერიმ აღწერა და აღნიშნა ახალის ტერმინით „სიიბ“-ით *) მთელ ამ წყობილებას სიძველეთ მოჰკონდა თავი. წინააღმდეგ ფრანგი-რევოლუციონერისა, ინგლისელი, ამ საუკუნის დასაწყისში, ყოველ არსებულ დაწესებულებას პატივს სცემს იმიტომ, რომ ის ძველია. ის გვერდს უვლის ყოველ ახალ წესის შემოღებას იმისათვის რომ იგი ჯალია. ტრადიციის სიწმინდის თეორია, ბერკის გამოთქმული 1790 წელში ეხლა ინგლისის უნივერსიტეტების, აზნაურების და სასულიერო წოდების დოგმათ გახდა. 1814 წელს ინგლისის ერი ტრადიციის მიმდევარი არისტოკრატიული ერი იყო, ტორიების დასი, რომელსაც მეფე და უმცირესობა პალატისა ემხრობოდა, ხელშეუშლელად განაგებდა სამეფოს. ლივერპულის სამინისტრო 14 წელი (1812—1817 წ.) არსებობდა. ომი დასრულდა. მიწის მესაკუთრებში, რომელიც პარლამენტში უმეტესობას შეადგენდნენ, პარლამენტს მიაღებინეს ორი ზომა:

*) უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა, მას ხმარობენ იმ პირთა შესახებ, რომელთაც ყოველთვის სურთ თავი „უკანასკნელ“ მოდის კაცებათ გაჩვენენ.

1) აღკრძალვა უცხო ქვეყნიდან პურის შემოტანისა, სანამ მისი ფასი 4 გირვანქამდის (40 მ,) არ მიაღწევდა, მაგრამ რაღაც პურის ფასმა მატების მაგივრად იკლო და ვერც აღდნიშნულ ფასამდის მიჯდინება, პურის შემოტანაც ფაქტიურად აღკრძალული შეიქმნა.

2) გაუქმება (1816 წ.) იმ გადასახადისა შემოსავალზე, რომელიც ომის დროს იქმნა შემოღებული. მხოლოდ ზავის ჩამოვარდნის შემდეგ ხელ-ახლად იწყება სარეფორმო მოძრაბა. ეს გამოიხატა დიდ ქალაქებში რადიკალთა დემონსტრაციებით და პარლამენტში კი წევრებისაგან კანონ-პროექტების წარდგენით. თვითეული წევრი ჰკიდებს ხელს განსაკუთრებით რომელიმე რეფორმას; უილბერფორმასი. (Wilberforce) მონობის მოსპობას, რომილი და მაკინტოში (Macintosh) სისხლის სამართლის კანონების შემსუმუქებას, ბურდეტი კათოლიკეთა ემანსიპაციას, გრეი და როსსელი საარჩევანო რეფორმას, ბრუგვეგაში სწავლა-განათლების რეფორმას. ამათ კარგად იციან, რომ მათგან წარდგენილ პროექტებს პარლამენტი არ მიიღებს, მაგრამ მათი ტაქტიკა იყო, რომ ამ პროექტების მუდამ წარდგენით შეეჩინათ მათვეის საზოგადოების აზრი. ისინი მარტო პარლამენტში კი არ მოქმედობენ. ისინი ცდილობენ პარლამენტის გარედაც—საზოგადოებაზედაც იქონიონ გაელენა. ამგვარად სდგება საზოგადოებური აზრი პოლიტიკურ კითხვებზე. ეს ახალი მოვლენაა ინგლისში.—მე-XVIII საუკუნეში საზოგადოებას, გარდა ლონდონის გარეთუბნებისა, აინტერესებდა მარტო ოშები, გადასახადი და სარწმუნოებრივი დავები. საზოგადოების აზრის გამოფხილებას დიდი სამსახური გაუწია მე-XVIII საუკუნის გასულს დარსებულმა დიდმა საპოლიტიკო გაზეთებმა; „Morning Chronicle“—1769 წ., „Post“—1772 წ., „Times“—1785 წ. და „Curier“—1792 წ. აქ იყო მოთავსებული განცხადებები, სავაჭრო ახალი ამბები, მეთაურო წერილები და პალატის სხდომების ანგარიშები. მთავრობა და პარლამენტი უკმაყოფილოდ უყურებდნენ ამ ახლად შექმნილს პოლიტიკურ ძალას; ისინი არა თუ აქეზებდნენ მწერლობას,

პირიქით ცდილობდნენ კიდევ სხვა-და-სხვა ზომებით შეეფერ-სებიათ მისი განვითარება. თითო ცალი გაზეთის დასტამბევის უფ-ლების ბაჟი ორი პენიდან (1789 წ.) ოთხ პენსამდის (15 კ.) ასწიეს 1815 წელში.; შემოიღეს ქალალდზე გარდასახადი, რო-მელიც არსებობდა 1816 წლამდის. მწერლობა ექვემდებარე-ბოდა ძველ კანონმდებლობას შეურაცხყოფის შესახებ, რომ-ლის ძალით ყოველი უპატიური მოხსენება მეფის, თავადის, სარწმუნოების და მთავრობისა დაისჯებოდა დაპატიმრე-ბით, ან გადასახლებით. ოპპოზიციის გაზეთები განუწ-ყვეტლი გამოძიების ქვეშ იყვნენ. 1812 წელს „Morning post“-მა უელსის პრინცს დაარქვა ადონისი. ძმებმა გიორგიმა უსაყვედურეს გაზეთს გაზვიადება, ამისთვის მათ მიუსაჯეს ერ-თი წლით დაპატიმრება. 1808 წლიდან ვიდრე 1821 წლამ-დის დასჯილ იქმნა 94 უურნალისტი, რომელთაგან 12 გადა-სახლება მიუსაჯეს; უურნალისტებს იმ დროს საზოგედობაში არ ჰქონდათ არავითარი პატივი. 1828 წელში ვექილები არ დე-ბულობდნენ მათ თავის წრეში; პოლიტიკური მოღვაწეები ლებუ-ლობენ მხოლოდ საიდუმლოდ თანამშრომლებს ყოველ დღიურ გაზეთებში, მაგრამ მწერლობა მაინც ძალა შეიქნა. რამოდენი-მე ლონდონში დასახლებულმა შოტლანდელმა გაამუშაობესა გაზეთის საქმე.

„Times“-ის გამომცემელმა უალტერმა ორთქლის სატკეცი მანქანით ისარგებლა და საათში 1500 ცალს სტამბავდა. (1814 წ.) მარტო განცხადებები იჭერდა მის გაზეთში 60 სვეტამდის: მან შეადგინა განსაკუთრებული ბიურო ახალი ამბების მისაღებად და შეეძლო შეპბრძოლებოდა თვით მთავრობასაც, რომელიც უჭერდა მას წერილებს ფოსტაში. პარლამენტი 1770 წლიდან აღარ ეწინააღმდეგებოდა თავის სხდომების ანგარიშების გამოქ-ვეყნებას გაზეთებში. ეს იყო და არის დღესაც ერთად-ერთი საშუალება ანგარიშის გამოცხადებისა. ინგლისის პარლამენტს არც სტენოგრაფი ჰყავს და არც ოფიციალური ანგარიში აქვს. ამგვარად მწერლობა შუამავალი შეიქნა პალატის და საზოგა-დოების შორის, რადგანაც გაზეთი დიდი გადასახადის გამო-

მეტად ძვირი იყო, ამიტომ 1815 წელში მხოლოდ 6 ყოველ დღიური გაზეთი იყო და იმათვან ყველაზე გაელენიანი „Times“-ი, იგი ჯერ კიდევ 8000 ცალზე მეტი არ იყიდებოდა, მაგრამ მოთხოვნილება მატულობდა, გადასახადთან გაზეთთა ეგზემპლარებრი საერთო რიცხვმა 16 მილიონიდან (1801 წ.) მიაღწია 25. მილიონამდის 1821 წელს, გარდა ნება-დაურთველ გაზეთების რიცხვისა. ამ დროს დაედვა საფუძველი ორ დიდ საპოლიტიკურ ჟო მიმოხილვას, ვიკების დასის „Edinburgh Review“ (1808 წ.) და ტორიის დასის „Quarterly Review“ (1809 წ.). ომის დროს შეჩერებული პოლიტიკური ცხოვრება ისევ განახლდა 1814 წ. როგორც პარლამენტში ისე მწერლობაში, დაიწყო საერთო ბრძოლა წინააღმდეგ ძველი წყობილებისა, რომელსაც ემხრობოდა მთავრობა და ტორიების დასის უმრავლესობა. ამავე დროს მუშებთა შორის წარმოიშობა ძლიერი აგიტაცია. ინგლისის მრეწველობა სულ ახალი გამოსული იყო საუკრო ასპარეზზე, ის მოქმედობდა მცირე კაპიტალით და ბაზრის პირობების საქმით ცოდნაც არ ჰქონდა: მწარმოებელნი, რომელნიც ბრმად მოქმედებდნენ, ხან მოთხოვნილებაზე მეტს ამზადებდნენ, ხან სწრაფად ამოკლებდნენ წარმოებას, ამიტომაც ისინი ჯერ საჭიროებაზე მეტს მუშათა რიცხვს ქირაობდნენ და შემდეგ კი დაითხოვდნენ მათ. ოცდა ათი წლის განმავლობაში ინგლის თავს გადახდა ბევრი ხანგამოშვებითი კრიზისები (1810, 1816, 1826—29, 1837, 1842, 1848 წ.). უოველიკრისზისი აუარებელ მუშების რიცხვს სტოვებდა უსაქმოდ. და ღრატად, მეტადრე დამართველებს და ფეიქრებს, რომელნც გარსაზიდავ საქონელს ამზადებდნენ.. ამგვარ გაჭირვებას მუშათა არეულობა მოსდევდა ხოლმე.

თავისუფლობა 1819
მშვიდობიანობის ჩამოგდებას, როგორც მოელოდენ, არ მოჰყვა გაჭრობა-მრეწველობის აღორძინება; წინააღმდეგ მოლოდინისა მას თან მოჰყვა კრიზისი; კონტინენტის სახელმწიფოები ცდულობდნენ არ. შეეშვათ ინგლისის ნაწარმოები; გატანამ იყ

ლო. გაუსაღებელი საქონლით დატეირთულმა მწარმოებ-ლებმა დაუკლეს მუშების ქირას; ამავე დროს მოუსავლო-ბის და უცხოეთიდან პურის შემოტანის აღკრძალვის გამო პუ-რის ფასმა აიწია. ამგვარად 1816 წელში მოხდა კრიზისი, რო-მელიც გამოიხატა უმუშაობაში და სიღატაყეში, სამუშაოს მოკ-ლებულნი მუშები ამ მოვლენას აწერდნენ ახალ მანქანებს, რომელთაც დასცეს შინაური ხელსაჭმე და ზოგ ადგილას მუ-შებმა მანქანები კიდეც დაამსხვრიეს. ეს პირველი საქმე არ იყო, 1811 წელშიც ერთმა გიუმა გამოიწვია აჯანყება წინააღმდეგ მანქანებისა. ახალი მხოლოდ ის პოლიტიკური სახე იყო, რო-მელიც მიიღო ამ მოძრაობამ.

მე-XVIII საუკუნიდან დაწყებული ინგლისში არსებობდა დასი, რომელიც რადიკალურ პოლიტიკურ რეფორმების შე-მოღებას ცდილობდა, საყოველთაო საარჩევნო წესის საშუა-ლებით. ეს „სახელშოდებაც „რადიკალი“ (ინგლისური სიტ-უვიდან წარმოსდგება) მაშინ მიიღო ამ დასმა. ეს დასი გაჩნ-და 1769 წელს. ორგანიზაცია მიიღო მან 1793 წელში და ერთობა პქონდა საფრანგეთის, რესპუბლიკელებთან co-responding society'ს საშუალებით. მთავრობა სდევნიდა ამ საზოგადოებას, ბოლოს კიდეც აღკრძალა იგი, მაგრამ მის-მა წევრებმა თავიანთ რწმენებს არ უტალატეს. მთელი საზო-გადოება თავდაპირველად შესდგებოდა მხოლოდ რამოდენიმე პირთაგან, რომელნიც თითქმის უველანი ლონდონში ცხოვრო-ბდენ, მაგრამ მალე მათ მოიპოვეს მომხრეები ახალგაზღვობაში და პატარა საზოგადოება გარდაიშნა საქმაო ძლიერ რადი-კალთა დასად, რომელსაც შეეძლო მიეღო მონაწილეობა პოლი-ტიკურ ცხოვრებაში. ინტელექტუალური ცენტრი ამ დასისა იყო ბენტამის მოწაფეების ჯგუფი—ეგრედ წოდებული უტი+ ლიტარული სკოლა, რომელიც ებრძოდა ძველ ინგლისის რე-გიმს გონების და „რაც შეიძლება მეტ-პირთა ბედნიერების“ სახელით. ხელმძღვანელი ჯერ კოლეტი (Collet) იყო. იგი გლე-ხის შვილი იყო, რედაქტორი სახალხო გაზეთებისა, რომელიც მუშა ხალხისათვის სწერდა; იგი ებრძოდა არა-მწარმოებელ,

„უმოქმედო (უსაქმურ) კლასებს“, რანტიერებს და სამღვდელოებას და ითხოვდა იაფ სარწმუნოებას და იაფ მთავრობას.

პარლამენტის რეფორმა ყველას მიაჩნდა ყველა სხვა რეფორმების საფუძვლად. პარლამენტს არ მოეთხოვებოდა ღარიბ კლასზე ზრუნვა, სანამ იგი არ გახდებოდა ხალხის ნამდვილი წარმომადგენელების კრება; იგი ჯერ უნდა გამხდარიყო როგორც მდიდრების ისე ღარიბების წარმომადგენელი და ამიტომაც რაღიკალები საყოველთაო საარჩევნო უფლებას თხოულობდნენ. პირებისად საქმე დაიწყო კოლეგია თავის გაზეთ Weekly Register-ის ფას-დაკლებით, 1 შილინგიდან 23 პენისად გახადა (1816 წ.); მან მიმართა მთელი ინგლისის მუშა ხალხს და იწვევდა მათ მოეთხოვა საარჩევნო რეფორმა. ახლად არა ჩეულმა ლორდ-მერიმა ლონდონისამ რეფორმას ხელი შეუწყო. ადრესში, რომელიც რეგენტისადმი იყო მიმართული, მან სთქვა ის აზრი, რომ კრიზისის ერთად-ერთი წამალი რეფორმა არისო. მთავრობის შესაშინებლად რაღიკალებმა უკმაყოფილო მუშებს მიმართეს. მათ შექნეს ძლიერი აგიტაცია: გაიმართა მიტინგი — მონსტრი (Meeting-monstre), საჯარო სიტყვები, დიალი პროცესიები დროშებით, რომლებზედაც ეწერა სხვა-და-სხვა დევიზები. ყველა ეს მოვლინება ისე ჩვეულებრივი შეიქნა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ეხლა მათ ინგლისის ძველ ეროვნულ ჩვეულებად სთვლიან. ამ საშუალებებს წინადაც ხმარობდნენ, მაგრამ მხოლოდ საარჩევნო რეკლამებზე; რაღიკალების დასმა კი ეს საშუალებები იხმარა „განყენებულ“ მიზნის მანიფესტაციად.

1816 წელში სპაფილდში, ლონდონის მახლობლად, საგულისხმო მანიფესტაცია მოხდა. პროკლამაცია იწვევდა გაჭირვებულ მუშებს შეკრებილიყვნენ რეგენტისა და პალატისათვის გაეგზავნათ თხოვნა, რომ მათ შეიღოთ საჭირო ზომები: შედგა კრება, რომელზედაც გადასწყვიტეს კვლავ შეკრებილიყვნენ პასუხის მისაღებად. მოთავეებმა გააკრეს აფიშები, რომელიც თანამედროვე ვითარებას დიდ ბრიტანეთისას ამგვარად ხატავდა: „4 მილიონი ხალხი გაჭირვებაშია, 4 მილიონი სი-

ლატაკეში, $\frac{1}{2}$ მილიონი ნახევრად ლატაკია, $\frac{1}{2}$ მილიონი კი ფუფუნებაშია, ჩვენი მოძმე ირლანდიელები კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არიან“. ორატორი—დოსტაქარი უატსონი (Watson) კრებაზე (1816 წელს დეკემბერი) ეტლზე შემდგარი აფრიალებდა სამჯერთავას; ამ გვარად მთელი ეს მოძრაობა იყო შედეგი სილატაკისა და ფრანგების სებურ სარევოლიუციით მისწრაფებისა. შთავრობამ ჯარის-კაცებს უბრძანა კრება გაეფანტა. შემდეგ რეგენტმა იმ პეტიციის პასუხად, რომელიც რეფორმების შემოღებას ითხოვდა, გამოსთვა „მწუხარება და განცვიფრება“ და პალატის გახსნის დროს ინგლისის საარჩევნო წესი ყველა ხალხების წესებზე უუსრულესად აღიარა. როცა ის პალატიდან დაბრუნდა, მის მტლს ქვებს ესროლნენ. მაშინ მთავრობამ პარლამენტის საიდუმლო კომისიები დაარსა და მათ წარუდგინა ანგარიში „კრებების და კავშირების“ მოქმედებისა, რომელთაც მიზნად აულიათ საზოგადოების წესიერების დარღვევა. ამასთანავე მთავრობა აცხადებდა, რომ არსებობს შეთქმულობა, რომელსაც მიზნად აქვს დაარღვიოს სამეფოს ყველა პოლიტიკური დაწესებულება და ძირი გამოუთხაროს საკუთრების პრიციპს“. პალატამ გადასწყვიტა *habeas corpus*-ის შეჩერება და ყველა მორიგეობა მსაჯულებს უფლება მიანიჭა გაუსამართლებლად და პატიმრებინათ ავტორები და გამსყიდველები აღმაშფოთებელ და ლეთის-შგმობელი თხზულებებისა. განსაკუთრებულ სასტრიქ მხედველობის ქვეშ ჰყაუდათ დროგამო შვებითი მწერლობა, რომელიც ერთმა მინისტრმა დასახა „კონსტიტუციის შეტად საშიშ მტრად“. კანონი მთავრობას უფლებას აძლევდა და გთხოვა ყოველგვარი კრება, რომელიც აღძრავდა „ზიზლს და სიძულვილს მთავრობის და კონსტიტუციისადმი“. ვინც კრების დაშლის წინააღმდეგი იქნებოდა, მათ სიკედილით დასჯა მოელოდათ (1817 წ.) ხალხის გაჭირვება ისევ გაჭირვებად ჩეჩებოდა; მოხდა კიდევ რამოდენიმე მანიფესტაცია. შანჩესტერის უსაქმოდ დარჩენილი მუშები გაემგზავრნენ ლონდონისაკენ ქვეითად, თვითეულს მათგანს თან ჰქონდა თითო საბანი. ეს „საბნიანი

მოგზაურები“ დააკავეს გზაზე. ჩრდილოეთის მუშათა ოლქებში საიდუმლო კრებები იმართებოდა, სადაც შეიარაღებულ აჯანყებაზედაც ლაპარაკოზღნენ; საქმე მარტო ლაპარაკით არ გათავებულა: ერთმა შეიარაღებულმა გროვამ გასწია ნოტინგამისაკენ, მეორე კი ღამით დაეცა რამოდენსამე შენობებს. გაიმართა დიდი პოლიტიკური პროცესიები (წინააღმდეგ უატსონისა, რომელიც გამართლებულ იქმნა და წინააღმდეგ ნოტინგების აჯანყებას ბელადის—ბრანდრეტისა (Brandreth), რომელიც დასჯილ იქმნა). რადიკალთა დასის პროგრამმა სავსებით გამოიხატა რეფორმის ამ პროექტში, რომელიც პალატას წარუდგინა ამ ხანის ერთად-ერთმა რადიკალ-დეპუტატმა *) ბურდეტში).

საყოველთაო საარჩევნო წესი და ფარული კენჭის ყრა, გაწესიერებული საარჩევანო ოლქები, სათემო პალატის ყოველწლიური არჩევა (parlement annuel). ეს რეფორმა მთლად ერთიანად ერს მიანიჭებდა მთელ პოლიტიკურ უფლებას. ძევლმა დასებმა ამ პროექტის განხილვაც კი არ მოინდომეს.

როცა საქმეებში (წარმოებამ) ჩვეულეირივი მიმდინარეობა მიიღო და გაჭირვება შემცირდა, მაშინ რადიკალთა დასის აგიტაციაც შეწყდა. 1818 წ., არჩევნების დროს, ვიგების ოპოზიცია გაძლიერდა, (140-დან 170 წევრამდე), მაგრამ ტორიებს დიდი უმრავლესობა ჰყავდათ. 1819 წელში კვლავ თავი იჩინა მრეწველობის კრიზისმა და ხალხის გაჭირვებამ; რაღიც კალთა დასი ისევ შეუდგა აგიტაციას, იგი მოქმედობდა განსაკუთრებულ სამართლების მუშების და ჩრდილო-დასავლეთის ფეიქართა შორის, რომელთაც ყველაზე მეტად დააჩნდათ ქირის დაკლება და უმუშავრობა. მანიფესტაციების ცენტრად ამ ხანად ლონდონის მაგიდა მანჩესტერის ოლქი შეიქნა. როგორც 1816 წ., რადიკალებმა მოახდინეს „მიტინგი-მონსტრი“ და და-

*) ის არჩეულ იქანა ლონდონის გარეთ-უბნის—დაბა ვერმინსტრეინისაგან. აქ ამომრჩევლების უმრავლესობას, რომელთა რაოდენობა დიდი იყო, მუშები შეადგენდნენ. ამგვარი ფაქტი ინგლისში იშვიათი იყო.

ამზადეს პეტიცია საარჩევნო რეფორმის სათხოვნელად; იგი შეიცავდა ხუთ მუხლს: საყოველთაო საარჩევანო უფლებას, ფარულ კენჭის ყრას, ყოველ-წლიურ პარლამენტს, დეპუტატების ჯამაგირს და საარჩევანო კენჭის მოსპობას (იმ დროებში დეპუტატად არჩევისათვის კანდიდატს უნდა წარედგინა მოწმობა იმ შემოსავალისა, რომელსაც აძლევდა მას უძრავი ქონება).

მანჩესტერის მახლობლად პეტერლუს მიტინგზე, რომელზედაც 50,000 კაცი შეიკრიბა, პროცესის შინ უძლოდა დრო-შები, ფრიგიული ქუდებით და ზედ-წარწერებით: „ძირს პიერის კანონები“, „თავისუფლება ან, სიკვდილი“ (საფრანგეთის რეეოლიუციის დევიზია), — „თანასწორი წარმომადგენლობა ან სიკვდილი“. ორატორმა ჰონტმა (Hunt) დაიწყო სიტყვის წარმოთქმა; პოლიციამ შეპყრობა დაუპირა, გაჩნდნენ ცხენოსანი პოლიციელები, მაგრამ ბრძომ დაითარო. ჰონტი; მაშინ გაუზარის პოლკი შეიჭრა ბრძოში, რის გამოც რამოდენიმე კაცი კიდეც გაისრისა (აგვისტო 1819 წ.). რადიკალებმა გამართეს სამაგიეროდ საწინააღმდეგო მიტინგები. შეპყრიბებს შემოწირულებანი „პეტერლუს გაელეტის“ მსხვერპლების სასარგებლოდ: ლონდონის ქალაქის საბჭომ გამოაცხადა თავისი უკმაყოფილება შესახებ მთავრობის „უსამართლო და უმართებულო“ ყოფა-ქცევისა და თან ამტკიცებდა, რომ ინგლისელთ აქვთ უფლება შეიკრიბონ საზოგადო ბოროტ-მოქმედებაზედ მსჯელობისათვის. მთავრობას უსაყვედურებდნენ ინგლესის ტრადიციების გათელვას.

მთავრობამ არა თუ ამ საქმის გამოძიების უარი სთქვა, პირ-იქით საქმეც შეუყენა ჰონტს, რომელსაც აბრალებდა „შეოქმულობის მოხდენას კანონების მუქარით გამოსაცვლელად“. მთავრობამ აიძულა პარლამენტი, მიელო რამოდენიმე საყანეებო ზომები, სახელობრ ეჭვია აქტი, „ალაგმვის კანონებად (Les lois de baillon) წოდებული: 1) სამართალში მიცემის დაჩქარებული პროცედურა, 2) სამხედრო ვარჯიშობის აღკრძალვა, 3) იარაღის საპოვნელად სახლების გაჩხრევის უფლების მინიჭება, მომრიგებელ-მოსამართლეებისათვის, 4) უფლება ყოვე-

ლის აღმაშფოთებელისა და ლვის-მგმობელ თხზულებების და კავებისა და ავტორის განდევნისაც (მთავრობა გადასახლებასაც თხოულობდა) სახელმწიფოდან ასეთის დანაშაულობის მეორედ ჩადენისათვის, 5) აღკრძალვა ყველა იმ კრებებისა, რომელთაც მიზნად ექმნებოდა პეტიციის შედგენა და შესახებ „სახელმწიფო და საეკულესიო საქმეების“ უკმაყოფილების განხილვა. აღკრძალვა იარაღის, დროშების ანუ რაიმე ნიშნების კრებებზე ტარებისა, 6) ლერბის გარდასახადი და საწინდრის მოთხოვა ყველა იმ პოლიტიკურ თხზულებისათვის, რომელიც აღემატება ორ ფურცელს.

რადგანაც ყველა შშვიდობიანი მანიფესტაციები აღკრძალულ იქმნენ, ზოგი უკიდურესმა რადიკალებმა ლონდონში შეთქმულობა მოახდინა, როგორც ამბობენ მინისტრების ამოსაწყვეტად. მთავრობამ ისინი შეიპყრო და ხუთი მათგანი ჩამოალოჩ (1820). მჩერწველობის კრიზისის გათავების შემდეგ რადიკალების აგიტაციაც შეჩერდა.

წერილ - წერილი რეფორმები. (1820—1827). იანვარში, 1820 წ. გამეფდა გიორგი მე-IV და ოპოზიციამაც მის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. მეუღლე მისი კაროლინა, რომელიც მან მიიშორა თავიდან და რომლის დედოფლობის წინააღმდეგი იგი იყო, წინააღმდეგ მისი სურვილისა დაბრუნდა ინგლისში და ხალხმაც აღტაცებით მიიღო. მეფეს ჰსურდა გაყრა, მაგრამ სამინისტრომ ვერ გაპბედა ამის მოთხოვნა ლორდების პალატისაგან. გიორგი IV-ემ თავის ბედოვლათობით, ლოთობით, ვალებით, გარყენილობით და მოუხეშავობით ისე შეაზიზლა ყველას თავი, რომ მას არ შეეძლო მამისებური გავლენა ჰქონიდა სამინისტროზე. აი ამან აიძულა მთავრობა საპარლამენტო რეზიმს მიმხრობოდა.

პარლამენტის უმრავლესობა ჯერ კიდევ ტორიების დასს ეკუთვნოდა. მაგრამ ამ დასში ნელ-ნელა მოჰყვნენ. აზალვაზდები, რომელნიც არ იყვნენ ისე სისტემატიური მტრები ყოველი რეფორმისა. თავისუფალ აღვილებზე სამინისტროში მო-

იწევის ახალი პირები: პილტო (Peel) 1821 წელში და კანინგი (Canning) 1822 წ., რომელთაც ცოტაოდნად შესცვალეს მთავრობის პოლიტიკის მიმართულება. კანინგმა აღიარა დამოუკიდებლობა ამერიკის ახალი რესპუბლიკებისა, რომელიც აჯანყდნენ ისპანიის წინააღმდეგ და ამით მან გასწუვიტა კავშირი ინგლისსა და სხვა ოკითმპურობელ სახელმწიფოებ შორის. პილმა წარუდგინა პალატას რეფორმის კანონები. ამგვარად შემოღებულ იქნა რამოდენიმე წვრილ - წვრილი რეფორმა.

სისხლის სამართლის კანონების რეფორმა, რომელსაც რომილლი უკვე 1808 წ. თხოულობდა, უარპყო ლორდების პალატამ; პილმა მოახერხა წვრილმან დანაშაულობისათვის სიკვდილით დასჯის მოსპობა, მაგალითად, მალაზიის ფანჯრებიდან მოპარვისათვის; ჯიბგირობისათვის და სხვებ ადგილებში ნებადაურთველად ნადირობისათვის. (braconnage).

2) ეკინომიური წყობილება შეიცვალა რამოდენსამე ზომების მიღებით, რომლებსაც მინისტრს გიორგისონს (Huoskisson) აწერდნენ; ინგლისმა შეირჩინა 1651 წლის „საზღვაოსნო აქტი“, რომელიც უკრძალავდა გაქრობას ყველა უცხოეთის გემებს. უცხო ქვეყნები ემუქრებოდნენ ინგლისს სამაგიერო ზომების მიღებას. ერთმა კანონმა საშინისტროს ნება მისცა უცხო სახელმწიფოებთან პირობების შეკვრისა — შესახებ ინგლისისა და მათი ხომალდების უფლებების გათანასწორებისა. რადგან შემოსავალმა იმატა, მთავრობამ შეამცირა სახელმწიფო ვალის სარგებელი და გაამარტივა მეტიც რთული სადამოუნო წესი (მასში 1200 მუხლზე მეტი იყო); ზოგი საჭამოენო გარდასახადი მოსპოტ და ბევრ საქონელზე შეამცირა. ბაჟი. (1823—25). მთავრობას არავითარი ზომა არ მიუღია პურზე ბაჟის მოსასპობლად, მან მხოლოდ მიაღებინა პარლამენტს მოძრავი ნიხრი, რომლის ძალით შეიძლებოდა უცხოეთიდან პურის შემოტანა მხოლოდ იმ წამიდან, როცა მისი ფასი 66 შილლინგამდის (80 მაგიერად 1823 წ.) იმდენიდა. ეს კიდევ არ იყო არც თავისუფალი აღეს მოუწოდა და არც

თავისუფალი ვაჭრობა პურისა; შაგრამ ამით ძველი ოლმკრძალავი რეეიმი შეირყა.

3) სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად ერთგვარ ხელობის მუშებმა შეადგინეს საურთიერთო დამხმარებელი ასსოციაციები, ეგრეთ წოდებული „მეგობართა საზოგადოები“, ანუ „სახელოსნო კლუბები“, შემდეგში Frades unions'-ებად (სახელოსნო კავშირები) გარდაქმნილი, მაგრამ, რადგან ეს ასოციაციები 1800 წლის კოალიციათა წინააღმდეგ კანონმდებლობას ექვემდებარებოდა, ამისათვის მუშებმა ისინი გადაკეთეს საიდუმლო საზოგადოებებად და თითქმის მასსონთა წრეების სახეც მიაღებინეს. ლონდონის მუშები სხვაზედ შეჯნებულნი პოლიტიკაში და უკეთესი ორგანიზაციის მექონენა, რადიკალურთან იყვნენ შეერთებულნი, ისინი ცდილობდნენ ასოციაციების თავისუფლების მოპოვებას. ერთი გამდიდრებული მკერვალი პლასი (Place), რომლის სახლი რადიკალ მუშათა დასის ცენტრი იყო, მეტად მოხერხებულად წაუძლვა საქმეს. რადიკალურმა დეპუტატმა ჰუმმა (Hume) ჩაგონა მინისტრებს პილსა და გროსკირინსა გამოეკვლიათ ეკონომიური შედეგი იმ კანონებისა, რომელიც კრძალავდნენ: 1) მუშების ემიგრაციას, 2) მანქანების გატანას და 3) მუშათა კოალიციებს. ამგვარად, მუშათა საკითხი გაცურდა შეუმჩნევლად სხვა კითხვებთან ერთად. მკელევარმა კომისიამ მოისმინა მეტად მოხერხებულად გამოთქმული მოსაზრებანი შესახებ იმ ზარალისა, რომელსაც აძლევს მრეწველობას კანონი წინააღმდეგ კოსლიკისა და, დარწმუნდა რა ამაში, თვით წარადგინა ეს კანონი მოსაპობად. პალატამ უკამათოდ გადასწყვიტა მოსპობა (1824 წ.), მაგრამ, როგორც კი მუშებმა ისარგებლეს თავისუფლებით, გაიფიცეს და სამუშაო ქირის მინისტრის განსაზღვრა მოითხოვეს, მყარმოებლებმა და გემბის მეპატრონეებმა მოითხოვეს ძველი წესის აღდგენა. ახალმა მკელევარმა კომისიამ დაინახა ხაჭიროდ 1824 წლის კანონის მოსპობა პალატამ კომპრომისი ირჩია და 1825 წელს სამისო კანონი გამოსცა. მან ნება დართო მუშათა კოალიციებს, მაგრამ მხოლოდ

„სამუშაო ქირის“ ნიხრის და „სამუშაო დრობს“ განსასაზღვრავად (და არა შეგირდთა რიცხვის შესამცირებლად და ცილაობით სამუშაოს მოსასპობად). ამასთან ავე კანონი ამბობდა, რომ ის, ეინჯ დაიწყებდა აგიტაციას სამუშაო ქირის ასაწევად ძალადობით, ან მუქარით, „შეურაცხყოფით ან ხელის შეშლით“, მას სასჯელად სამი თვის სავალდებულო შრომა მოელოდა. მოსამართლეთ ეკონათ, რომ ეს მუხლი კანონისა მათ უფლებას აძლევდა დაესაჯათ ის გაფიცულები, რომელიც თავიანთ ამხანაგებს უსაყველურებლნენ მუშაობის გაგრძელებას. ეს ასოციაციის ნახევრად თავისუფლება იყო, ეს ნახევარი ზომა იყო, ისე, როგორც ყოველივე ზომა ამ საუკუნეში დაწყებული. ამავე დროს*) დაწყო, გზების ვაუმჯობესობა. გზებს დამტკრეული ქვით კირწყლავლნენ (მთელ-მთელი სიპის ქვის მაგიერად) შოტლანდიელ მაკ-ადამის სისტემაზე და პირველი რკინის გზა გაიმართა ლივერპულსა და მანჩერსტერს შუა (1825 წლიდან 1829 წლამდის).

გზთოლდა ემსისიშაცია. 1800 წელს ირლანდიის უნიის შემოღების შემდეგ კათოლიკების შესახებ კანონმდებლობაში წინააღმდეგობა იყო. ინგლისში კიდევ არსებობდა ის ძველი კანონები, რომლების ძალით კათოლიკებს არც ერთ დაწესებულებაში, არც ერთ კორპორაციაში შესვლის უფლება არ ჰქონდათ, და ამის გამო მათ არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ არც ამომრჩეველნი, არც არჩეულნი; ირლანდიაში კი, პარლამენტისაგან 1780 წელს დადგენილი წესით, მათ ეს უფლება ენიჭებოდათ.

ამ გვარად ირლანდიის კათოლიკები ინგლისის კათოლიკებზე უკეთეს პირობებში იყვნენ. ირლანდიის მამულიშვილები კათოლიკეთა წინააღმდეგ საგანგებო კანონების მოსპობას თხოულობდნენ. ეს ბრძოლა დიდი ხანი სწარმოებდა პარლამენტში „კათოლიკეთა მდგომარეობის შემსუბუქების“ კანონ-პროექტის

*) ამ ხანას ამკობენ დიდებული მგოლნები ბაირონი და შელლი გალტერ სკოტის რომანები.

სახით. 1813 წლიდან გრატტანი (Crattan) ცდილობდა ამაზე მსჯელობა აღეძრა პალატაში, მაგრამ ანგლოკანური ეკკლესიის უპირატესობის მომხრე მეტი შეიქმნა და უმეტესობაში გარდას-წყვიტა დაეტოვებინათ კათოლიკები განსაკუთრებულ მდგომარეობაში. მას შემდეგ ეს პროექტი ყოველ წლივ შემოჰქმდათ პარლამენტში, მაგრამ ყოველთვის უარ-ყოფილი რჩებოდა; 1821 წელს ეს პროექტი საერო პალატაში გადავიდა, მაგრამ ლორდთა პალატაში კვლავ უარ-ჰყო. სამეფო სახლობა გადაჭრილ უარზე იდგა. გიორგი IV-ემ გიორგი მე-III-ის მსგავსად აღიარა, რომ ის მტკიცედ სდგას მეფის ფიცზე და ამიტომ იგი ანგლოკანის ეკკლესიის უპირატესობის დამცველია. თვით იორკის ჰერცოგმა წარადგინა ლორდების პალატაში პეტიცია რეფორმის საწინააღმდეგოდ. გაბედულად ირლანდიელი კათოლიკები მოქმედებდნენ. მათ შეადგინეს კათოლიკეთა ასოციაცია (1823), რომლის მოთავე იყო შესანიშნავი ორატორი-ადვოკატი ო'კონნელი (O'Connell); იგი თავისუფლების სახელით თხოულობდა საგანგებო ზომების მოსპობას. პარლამენტმა კანონით აღკრძალა ამგვარი ასოციაციები. კათოლიკეთა ასოციაციები დაიხურა, მაგრამ მალე ისევ შეცვლილის წესდებით დაიწყო მოქმედება.

ტორიები ამ კითხვის გამო ორ დასად გაიყვნენ. 1825 წელს პალატის უმეტესობამ მიიღო რეფორმის პროექტი, მაგრამ თვით სამინისტროში მოხდა უთანხმოება და როდესაც ლორდმა ლივერპულმა (Liverpool) ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავი დაანება, მისი ადგილი კათოლიკეთა ემანსიპაციის თანამედრობმა კანინგმა დაიკავა (1827 წ.). მისი სიკვდილის და ერთი მოკლე სამინისტროს შემდეგ, რომელიც მინისტრთა შორის უთანხმოების გამო დაირღვა, შესდგა ველინგტონის (Wellington) სამინისტრო. აქ შონაწილეობას ღებულობდნენ ძველი ტორიები — წინააღმდეგი ყოველგვარ რეფორმებისა და კანინგელნი (მეგობრები კანინგისა), — მომხრენი ემანსიპაციისა. შემდეგში კანინგელნი უკუ-დგნენ. მიუხედავად ამ გარემოებისა, ვიგების დასმა, წინააღმდეგ სამინისტროს სურვილისა, აი-

ძულია სათემო პალატა—მოესპონ პროტესტანტ-დისსილენტების საწინააღმდეგოდ შემოღებული საგანგებო ზომები; 1828 წელს მოსპობილ იქმნა კანონი, რომლის ძალითაც ყველა სამსახურ-ში შემსვლელნი უნდა ზიარებულიყვნენ ან გლიკანურ ეკკლესიის წესზე. ესეც მხოლოდ ნახევარი ზომა იყო, რადგან რჩებოდა „შეცვლის“ დოგმის უარ-ყოფის ვალდებულება, რაიცა კათოლიკებს ისევ ძველ კანონს აქვემდებარებდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საგანგებო კანონების სისტემა სარწმუნოების შესახებ შეირყა, ამავე დროს ო'კონნელიმ სცადა ჩაეგონებინა მთაერობისათვის, რომ დათმობა აუცილებელი საჭიროება იყო. მან დაიდა საარჩევანო ყუთი კლერის საგრაფოში ერთის სამინისტროს წევრის წინააღმდეგ და, თუმცა მას, როგორც კათოლიკეს, არ შეეძლო პარლამენტის წევრობა, და არც არავინ იცნობდა მას საგრაფოში, მაგრამ მღვდლებმა ამოარჩევინეს იგი კათოლიკე-ამომრჩევლებს (1828 წ.).

როცა შეიკრიბა ახლად არჩეული პალატა, პილმა წარადგინა კათოლიკების ქმანსიპაციის პროექტი; მეფე ჯერ დასთანხმდა და მერე უკანვე წაიღო თავისი სიტყვა; მაშინ პილმა ითხოვა სამსახურიდან დათხოვნა. გიორგი მე-IV-ემ შეიწყნარა მისი თხოვნა, მაგრამ როცა ვერავინ იპოვნა სამინისტროს შემდგენი, იძულებული შეიქმნა გარემოებას დამორჩილებოდა და ისევ პილი მოეწვია. კანონში (მიღებულ იქმნა 348 ხმით წინააღმდეგ 160-ისა) მოსპონ კათოლიკეთა წინააღმდეგ მიმართული რაზმები. (1829 წ.) ამავე დროს ირლანდიაში ასწიეს საარჩევანო ცენზი, რათა ღარიბ გლეხთათვის ხელიდან გამოეცალათ საარჩევანო უფლება.

საარჩევანო რეფორმა 1832 წ. საარჩევანო რეფორმას, რომელსაც ვიგები მე-XVIII საუკუნიდან დაწყებული მუდამ

ითხოვდნენ, სახელი გაუტეხეს რადიკალებმა. როცა როსსელმა (Russell) ხელ-ახლად დაიწყო ეს საქმე ვიგების სახელით, მას არ ჰქონდა ძველი რადიკალური ხასიათი. საარჩევანო კანონის პროექტს წინანდებური პრივილეგიის ხასიათი შერჩა, საქმე მარტო ამ პრივილეგიის (უპირატესობის) „დამპალ“ დაბებიდან ახალ ქალაქებში გადმოტანაზე იყო. ტორიების დასმა მარტო ორი დაბა გასწირა (1821 – 1827), მაგრამ რეფორმას საზოგადოებაში თანდათან ემატებოდა თანამერინობელთა რიცხვი. ვიგების დასი ახალ-ახალ საარჩევანო ხმებს იძენდა მაშინ, როდესაც ტორიის დასი უძლურდებოდა, რაღვანაც დასის უმრავლესობასა და კანინგიტების დასთა შორის უთანხმოება მოხდა კათოლიკების ემანსიპაციის გამო. გიორგი IV-ს გარდაცვალების შემდეგ არჩეულ პალატაში ტორიის დასი სუსტ უმეტესობას შეადგენდა. 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციამ კიდევ გაამხნევა რეფორმის მომხრეები. მოძრაობა დაიწყო წრდილოეთის და დასავლეთის სამრეწველო - თლექებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, ხოლო წარმომადგენლები პარლამენტში მეტად მცირე ჰყავდა. ცენტრი ამ მოძრაობისა ბირმანგამი იყო, იქ შესდგა პოლიტიკური წრე სარეფორმო მისწრაფების გასაძლიერებლად. ტორიის სამინისტროს მეთაურმა (პრემიერი) ველინგტონმა გაიგო საზოგადოების აზრის მიმართულება. ლორდდების პალატის გახსნის დროს, როცა ეიგთა ოპოზიციის ბელადმა გრეიმ ილაპარაკა რეფორმაზე, ველინგტონმა გამოუცხადა, რომ მას არც არა გაუგონია რა და არც არა წაუკითხავს ისეთი, რომელიც ამტკიცებდეს წარმომადგენლობის წესის შეცვლის მიუკილებლობას და კიდეც რომ მიანდონ მას საკანონმდებლო დაწესებულის წესის შედგენა რომელიმე ქვეყნისათვის, ან კერძოდ ინგლისისათვის, ის გადაჭრით ვერ იტყოდა, რომ შეადგენდა ახლად არსებულის მსგავსს, რაღვანაც

ადაშიანის ბუნებას არ შეუძლიან ერთბაშად მიაღწიოს ასეთს სისრულეს, მაგრამ ის ეცდებოდა კი, რომ შემოვედო ისეთი წესი, რომელსაც იგივე შედეგები მოჰყვებოდა (ნოემბერი 1830 წ.), რაც არსებულ წესს.

ამ განცხადებამ დაპლუპა ტორიების სამინისტრო, როცა „სასახლის ფურცელი“, ესე იგი მეფისა და მისის სახლეულობის სახარჯო ფულის რაოდენობაზედ შეიქმნა ლაპარაკი, სამინისტროს მხოლოდ უმცირესობა მიემხრო, რადგან შეერთლნენ ვიგები და კანინგიტები, მაშინ ახალმა მეფემ, ვილჰელმ მე-IV-მ, შეადგინა კოალიციური სამინისტრო, რომლის სათავეშიაც იდგა იგი, ლორდი გრეი; მან წარადგინა საარჩევანო რეფორმის პროექტი. პროექტის მიზანი იყო, დეპუტატთა რიცხვის შეუცელელად, წაერთმია 60 დამპალ დაბებისათვის 119 დეპუტატი, 46 გარეთუბნისთვის დაეტოვებინათ მარტო 1 დეპუტატი და ამგვარად განთავისუფლებული ადგილები გაენაშილებინათ უფრო დასახელებულ საგრაფოების დიდ ქალაქებისათვის, რომელთაც სრულიად არ ჰყავდა წარმომადგენელი. ეს იყო ვიგისებური კომპრომისი. ეს ძლიერ განსხვავდებოდა რადიკალების რეფორმებისაგან. მიუხედავად ამისა პროექტს შეხვდნენ პალატაში ირონიული დაცინვით, ტორიების უმეტესი ნაწილი წინ აღუდგა მას და შეორე წაკითხების შემდეგ პროექტი მარტო ერთი ხმის უმეტესობით გავიდა. სამინისტრომ დაითხოვა პალატა 1831 წ. ვიგების დასი იბრძოდა, როგორც რეფორმების მსურველი დასი, აი ამ დევიზით: „ბილი, სრული ბილი და არა რა, გარდა ბილისა“, და 1783 წლის შემდეგ ვიგებმა პირველად ქხლა გაიმარჯვეს: პალატის უმრავლესობა მათი იყო. პალატამ მიიღო რეფორმა, მხოლოდ ლორდებმა უარჲუეს იგი. მაშინ დიდ ქალაქებში მუ-

შათა შორის რადიკალების ხელმძღვანელობით ვაიმართა პოლიტიკური, თითქმის რევოლუციონური აგიტაცია.

ლონდონის ხუროთა ერთმა ჯგუფმა, მსგავსად მეტოდის-ტების რელიგიურ საზოგადოებებისა, „შეადგინა ასოციაცია—უეროვნული კავშირი მუშათა კლასებისა“, მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საყოველთაო საარჩევანო უფლებების შეძენით. ეს ას წაში იყო, როდესაც მუშათა მოძრაობის ბეჭდადნი ცდილობდნენ შეერთებინათ ყველა ის წვრილ-წვრილ ხელოსანთა ადგილობრივი ასოციაციები, რომლებიც დღემდის განცალკევებულად იყვნენ, დიდ საერო ასოციაციად, რომელიც საკმიო ძლიერი იქნებოდა, რომ მოეთხოვათ თავიანთ მეპატრონეებისაგან დღიური ქირის მინიმალური ნიხრის დაგვენა. ის ლანდიცილმა ფეიქერმა, კარლიკე ლოპერტიმ (Doherty) დააარსა შანჩქსტერში (1830 წ.) შრომის მფარველი სახალხო ასოციაცია, რომლის წევრები უმდეტეს ნაწილად ფეიქრები იყვნენ; ასოციაცია მას დაიშალა ფულის უქონლობის გამო. ამ საზოგადოებრის წყალობით მუშები დაუახლოვდნენ ერთმანეთს და 1819 წ. რადიკალების ტაქტიკას დაადგნენ, მხოლოდ ისინი შეუერთდნენ ვიგების ბურუუაზულ დასს; იგათ იმედი ჰქონდათ, რომ ვიგების რეფორმის საშუალებით შემდეგ მათ შეეძლებათ უფრო რა რადიკალურ რეფორმის შემოლება. ეს მუშები ჰგვრიდნენ ვიგებს საკირო შრბოს მანიფესტაციების, კრებების და დიდებული პროცესიებისათვის ლონდონში და ბირმინგამში. ამ სახალხო მოძრაობაში მცირა ვიგებს საკმიო ძალა ლორდების წინააღმდეგობის დასამსხრევების; ეს შეამძინეს ვიგებმა მოსალოდნელი საერთო აჯანყებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაუთმობელნენ რეფორმას; ბირმინგამში პოლიტიკური კავშირისაგან მოწვევულმა კრებამ ისიც კი დაადგინა, რომ უარი ეთქვათ გადასახადზე, თუ რეფორმა არ იქნებოდა.

და შემოღებული. პალატამ ხელ-ახლავ მიიღო რეფორმის კანონი (მარტი 1832 წ.). ლორდების პალატამ ეერ გაბედა სრულიად უარეყო ივი. მხოლოდ ცდილობდა მის დამახინჯებას. მაშინ სამინისტრომ მოსთხოვა მეფქს, დაეთანხმებინა ლორდები, იმ მუქარით, რომ რამოდენსამე ახალ ლორდებს დანიშნავს უმეტესობის შესაცვლელად. მეფემ უარი განაცხადა, მიიღო სამინისტროს გადადგომის თხოვნა და სცადა ტურის სამინისტროს შედგენა ველინგტონის მეთაურობით. მაგრამ ტურიებმა ვერ იკისრეს მმართველობა და ამიტომ მეფე დასთანხმდა ისევ ვიგების სამინისტროს მოწვევას და აღუთქვა ახალი ლორდების დანიშვნა. ბოლოს ლორდების პალატაც დათანხმდა და მიიღო ბილი 9 ხმის უმეტესობით (1832 წ.).

ასეთი წვალებით მოპოებული 1832 წლის რეფორმა იყო კომპრომისი ძეველი წესებისა, რომელსაც იყავდნენ ტორიები და სისტემატიური რეფორმას შუა, რომელსაც რადიკალები ითხოვდნენ; მან დასტოვა ძეველი ორგანიზაცია: პალატა არჩეული 7 წლის ვადით, კენჭის უფლება, როგორც უპირატესობა, რომელიც იყო კუთვნილება ძეველ წარჩინებულ კორპორაციებისა (საგრაფოების, დაბების და უნივერსიტეტების) და შეკავშირებული უძრავ საკუთრების მფლობელობასთან, არჩევანთა ძეველი ფორმა საჯარო და წერილობითი (poll), განუმეორებელი კენჭოსნობა—შედარებითი უმეტესობაზე დამყარებული; დეპუტატთა წინანდებური რიცხვი (658). მაგრამ მან აღმოფხრა უფრო აღმაშფოთებელი უთანასწორობანი წარმომადგენელთა განაწილებაში—სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთს შორის, მეტად თვალსაჩინო ბოროტ-მოქმედებანი, დახავსებული დაბები, ჩაწერის დაგვიანება (poll) და შეუსაბამო პირობები არჩევანთა უფლებისა დაბებში.

ეს რეფორმა შესდგებოდა სამის კერძო ზომისაგან: 1) დეპუტატების აღგილების განაწილება. 143 აღგილი წაერთვა და-

ბებს, 2,000-ზე ნაკლებ მცხოვრებიანს, 55 დაბას მოესპო ყოველივე წარმომადგენლობა, 30 დაბა ჩამოიყვანეს ორიდან ერთ დეპუტატზე; დანარჩენი ადგილები განაწილდა უწარმომადგენლო ქალაქთა შორის. (44 ადგილი დიდ ქალაქებს მიეცა, თითოს თრ-თრი დეპუტატი, 22 ადგილი—უფრო პატარა ქალაქებს, თითოს თითო დეპუტატი). 65 ადგილი მიიღო საგრაფოების კრებულებმა; 8 შოტლანდიაში, 4 ირლანდიაში და 3 უალისში.

2) საარჩევანო უფლების პირობების გაერთვარება: საგრაფოში ამომრჩევი იყო ყოველი შესაკუთრე, რომელსაც ათი გირვანქა სტერლინგი შემოსავალი ჰქონდა, ან მოიჯარაურე იმისთანა მამულისა, რომელსაც 50 გირვანქა სტერლინგი შემოსავალი ჰქონდა; დაბებში კი—ყველა იმ სახლების მქირავებელს, რომლებიც ათ გირვანქა სტერლინგის შემოსავალს იძლევა.

3) კენჭის ყრა გრძელდება არა უმეტეს ორი დღისა. საგრაფოებში ამომრჩეველთა რიცხვმა იმატა 247,000-დან 376,000-მდე; დაბებში კი 188,000-დან 286,000-მდე, ამომრჩეველთა და მცხოვრებთა შორის შედგა უწინდელ 1: 32 პროპორციის მაგივრად 1: 22. მუშების უმეტესი ნაწილი დარჩა საარჩევანო უფლების გარეშე. რეფორმამ ამომრჩევლების რიცხვში შეიყვანა წარმომადგენელი წვრილ-ფეხა ბურჯუაზისა, ფერმერებისა, იჯარაურებისა, რომელთაც საღრაფოებში მიიღეს ხვის უფლება, და სამხრეთის და დასავლეთის სამრეწველო ოლქები, სადაც ბევრ ქალაქებს აქამდის არა ჰყავდა წარმომადგენელი და ეხლა მიეღოთ უფლება თავიანთი დეპუტატების გაგზავნისა. ეს არ იყო დემოკრატიული რეფორმა, მაგრამ ეს იყო ძველი წესის (რევიმის) კარების ჩამოტკრევა, რომლის ამოშენება შეუძლებელილა იყო. პალატა გარდაიქცა ნამდვილ ამორჩეულ და

წარმომადგენელ კრებად. საზოგადოების აზრი მას მხარს აძლევედა და ოვალ-ყურს აღევნებდა; პალატა თან-და-თან ხდებოდა უაღრეს გამგედ და რეფორმების იარაღადაც.

(შემდეგი იქნება)



ГДАВЪ 1901 ГОДА

Открыта подписка на 1901 г.
на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНИЕ“

Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакціей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтеніи, форматъ газеты съ конца вынѣшняго года будетъ увеличенъ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

СЪ ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ:

На 12 мѣсяцевъ	10 р. — к.		На 6 мѣсяцевъ	6 р. — к.
” 11 ”	9 р. 50 к.		” 5 ”	5 р. 25 к.
” 10 ”	8 р. 75 к.		” 4 ”	4 р. 75 к.
” 9 ”	8 р. — к.		” 3 ”	3 р. 50 к.
” 8 ”	7 р. 25 к.		” 2 ”	2 р. 75 к.
” 7 ”	6 р. 50 к.		” 1 ”	1 р. 50 к.

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на 3 мѣсяца—5 р.

Для годовыхъ подпісчиковъ, какъ городскихъ, такъ и погородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, допускается РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7р., на полгода—4 р.

Лица, подписывающіяся на будущій годъ, получаютъ газету въ наступнѣмъ году бесплатно.

Подпись принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждого мѣсяца. Подпись принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Книги, издаваемыя редакціею, будутъ продаваться подписчикамъ „Нов. Об.“ съ уступкою 50%.

(3. 1—1)

Открыта подписка на ежемесячный научно-литературный журналъ
на 1901 годъ.

„КАВКАЗСКІЙ ВѢСТНИКЪ“, (годъ второй)

издаваемый въ г. Тифлисѣ В. Д. КОРГАНОВЫМЪ, подъ редакторствомъ Е. И. БЕГИЧЕВА, по слѣдующей программѣ:

- 1) Правительственные распоряженія.
- 2) Кавказъ и сосѣднія съ нимъ страны въ историческомъ отношеніяхъ. Мемуары, записки, воспоминанія, біографіи и некрологи выдающихся дѣятелей.
- 3) Статьи по различнымъ научнымъ отраслямъ, а также практическаго характера. Протоколы ученыхъ обществъ и общественныхъ учрежденій.
- 4) Беллетристика: оригинальные и переводные романы, повести, рассказы, драматическая произведенія, поэмы и стихотворенія.
- 5) Обзоръ событий мѣстной и европейской жизни. Корреспонденціи изъ Россіи и за границы, преимущественно имѣющія отношеніе къ Кавказу и сосѣднимъ ему странамъ.
- 6) Литературная критика и библиографія. Статьи по искусству.
- 7) Смѣсь: исторические эскизы, анекдоты, мелкая беллетристическая произведенія и т. п.
- 8) Справочный отдѣлъ.
- 9) Объявленія.

По мѣрѣ надобности статьи въ журналѣ иллюстрируются виньетками, рисунками и портретами, а также къ нимъ прикладываются карты, планы и чертежи.

Для участія въ журналѣ приглашены лучшія наличныя и литературныя силы въ Россіи. Для обзора заграничныхъ событий, касающихся Кавказа и сосѣднихъ съ нимъ странъ, имѣются корреспонденты въ главныхъ городахъ Европы.

Редакція журнала помѣщается на авчальской ул. д. Корганова, № 28.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

	Городскіе.	Иногородніе.	За-границу.
За годъ	9 р.	10 р.	12 р.
—½ года. :	5 р.	6 р.	7 р.
—3 мѣсяца	3 р.	3 р.	4 р.

За перемену адреса взимается 50 к.

За объявленія, помѣщаемыя въ книжкахъ журнала взимается: за щѣлую страницу 20 р., за ½ стр. 12 р., за ¼ стр. 7 р.

Подписка на журналъ и объявленія принимаются въ Тифлисѣ, въ конторѣ журнала „Кавказскій Вѣстникъ“, на Головинскомъ пр. д. № 10, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

(Э. 1—1)

„ე თ ა მ ა ე“

წელიწადი შემცირებული

გამოვლის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

ვასი უზრნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.
საზღვარ-გარედ 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვიც „მოამბე“ მთელის ფლით გამოიჭრის, „ცნობის
ფურცელი“ უფასოდ დაგთვობა გამოიჭრის დღიდან.

ფასის განაწილება შეიძლება ასე. შირვებულ 5 მან. 1-ლ აპრილა—
დე— 3 მან, და 1-ლ თებერვალი— 2 მან.

ხელის-მოწერა მიჩრება ტფილისში, უურნალი „მოამბის“ რედაქციაში,
სომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერმა ადრესის გამოცვლისათვის ერთი მანე-
თი უნდა წარმოადგინოს

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлесъ, Редакция „Моамбе“.**

უურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს,
რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, ომმლებიც აო
დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავ-
ლობაში; — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას
დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოვზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეპვე-
ლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ
უურნალმა თავისი აზრი წარმოსტვეს, ორ-ორი ეგზემპლირო უნდა გა-
მოუგზავნოს რედაქციას.

პირიპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-
უქმებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმოტრილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი
უურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმო-
უგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებებ
ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ შტულია. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
აღმენდრე ჭეთაძე

გამომცემელი
აღმენდრე ჭაბაძე